# საქართველოს თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები

# Modern International Economic Relations of Georgia

შ. ვეშაპიძე, ლ. ბახტაძე,
რ. ფუტკარაძე, ჯ. ხარიტონაშვილი, ი. დანელია,
მ. ლომინაშვილი, ნ. ჩანტლაძე

# საქართველოს თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები

**მონოგრაფია**

**შოთა ვეშაპიძის** საერთო რედაქციით

© შ. ვეშაპიძე, ლ. ბახტაძე, რ. ფუტკარაძე,
ჯ. ხარიტონაშვილი, ი. დანელია,
მ. ლომინაშვილი, ნ. ჩანტლაძე

თბილისი
**2024**

საქართველოს თანამედროვე
საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები:
**მონოგრაფია /ვეშაპიძე შ. და სხვა/; თბილისი, „Smarty,“ 2024. 204 გვ.**

ავტორები:

**შოთა ვეშაპიძე** (პასუხისმგებელი რედაქტორი) – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

**ლელა ბახტაძე** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

**რამაზ ფუტკარაძე** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

**ჯემალ ხარიტონაშვილი** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

**ირაკლი დანელია** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ექსპერტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული სპეციალისტი-ლექტორი;

**მიხეილ ლომინაშვილი** – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი (ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა);

**ნანუკა ჩანტლაძე** – ეკონომიკის მაგისტრი.

რედაქტორი:

**თეიმურაზ შენგელია** – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

რეცენზენტები:

**რამაზ ოთინაშვილი** – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი.

**ლოიდ ქარჩავა** – ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი.

**ლელა ჯამაგიძე** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

**ISBN 978-9941-8-6190-1**

მონოგრაფიული ნაშრომი **„საქართველოს თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები,“** ეძღვნება საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილეობის შედეგებისა და პერსპექტივების გამოკვლევას გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე. საქართველო, წარმატებითაა ჩართული მსოფლიო ეკონომიკურ თანამეგობრობაში, ზრდის საექსპორტო პოტენციალს, აფართოებს ეკონომიკურ თანამშრომლობას მსოფლიოს ქვეყნებთან, ამყარებს ურთიერთხელსაყრელ ურთიერთობებს აშშ–სთან, ევროკავშირთან, აზერბაიჯანის და სომხეთის რესპუბლიკებთან, თურქეთთან, ახლო აღმოსავლეთის, ყაზახეთის და შუა აზიის სხვა რესპუბლიკებთან, ჩრდილოელ და სამხრეთელ მეზობლებთან, ჩინეთთან, ინდოეთთან, ევროპის ქვეყნებთან, იაპონიასთან, სრულიად მსოფლიო თანამეგობრობასთან. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სისტემური გააზრება აუცილებელია საქართველოს მსოფლიო ეკონომიკურ თანამეგობრობაში ინტეგრაციისთვის. ამიტომ მნიშვნელოვანია გამოვარკვიოთ თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური სივრცის გლობალური პროცესების თანმდევი ტენდენციები და მათი გავლენა ჩვენს ქვეყანაზე. მნიშვნელოვანია შეფასდეს, საით მიემართება საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს სამომავლო განვითარება, რა გზებით შეიძლება ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა, რა არის მისი პრიორიტეტები, როგორია ქვეყნის განვითარების საგარეო ორიენტირები. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანი საკითხია საქართველოს ევროპული ინტეგრაცია. საქართველომ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიიღო და ქვეყანა წარმატებით მიჰყვება ევროპული ღირებულებების ოპტიმალური სინთეზის, მოწინავე გამოცდილების, მიღწეული სტანდარტების გაზიარების და დამკვიდრების გზას. წიგნი სათანადო დახმარებას გაუწევს აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ მკვლევრებს, მეცნიერებს, სტუდენტებს.

# რეზიუმე

დღევანდელ პირობებში, გლობალური ეკონომიკა ეროვნული უსაფრთხოების ახალ ეპოქაში შევიდა. COVID-19 პანდემიამ ცხადი გახადა დაუცველობა, რომელიც გამოწვეულია უკიდურესი დამოკიდებულებით მიწოდების გლობალურ ჯაჭვზე და გლობალურ ჯანმრთელობის რისკებთან ბრძოლის კოორდინაციის არარსებობაზე. მაგრამ რამაც ყველაზე მეტად გვამცნო ეს ახალ ეპოქა, ეს არის რუსეთის არაპროვოცირებული შეჭრა უკრაინაში, მსოფლიო ეკონომიკის საბოტაჟი, სასურსათო ომი და ენერგეტიკული ომი. გარდა ადამიანური და ეკონომიკური დანაკარბებისა, უკრაინის ომმა მკვეთრად გააძლიერა უთანხმოება დასავლურ და აღმოსავლურ გეოპოლიტიკურ ბლოკებს შორის, რომელიც შემოკრებილია, შესაბამისად შეერთებული შტატების და ჩინეთის ირგვლივ.

თანამედროვე მსოფლიოში, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, დამოკიდებულია როგორც საშინაო, ასევე საგარეო ფაქტორებზე. ამიტომ, თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირობებში, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, საქართველოს მდგრადი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ის ხელს უწყობს სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარებას, ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციას, სამრეწველო გამოცდილების გაცვლას, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების და საქონლითა და სერვისებით მსოფლიო ვაჭრობის დაჩქარებულ განვითარებას.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მთავარი მიზანია მსოფლიო თანამეგობრობისხის ერთობლივი ეკონომიკური პოტენციალის უპირატესობების მაქსიმალური გამოყენება. ამავდროულად, აუცილებელია გავაცნობიეროთ, რომ ქვეყნები ამ პროცესში სხვადასხვა როლს ასრულებენ და ნებისმიერი ქვეყნის ან მისი ცალკეული რეგიონის საერთაშორისო მნიშვნელობა ემყარება არსებულ ბუნებრივი რესურსებს, ეკონომიკური განვითარების დინამიკას, მის ადგილს საქონლისა და მომსახურების წარმოების მსოფლიო სისტემაში და ფინანსური რესურსების არსებობას, მის ხელმისაწვდომობას.

საქართველო, წარმატებითაა ჩართული მსოფლიო ეკონომიკურ თა-

ნამეგობრობაში, ზრდის საექსპორტო პოტენციალს, აფართოებს ეკონომიკურ თანამშრომლობას მსოფლიოს ქვეყნებთან, ამყარებს ურთიერთხელსაყრელ ურთიერთობებს აშშ–სთან, ევროკავშირთან, აზერბაიჯანის და სომხეთის რესპუბლიკებთან, ახლო აღმოსავლეთის, ყაზახეთის და შუა აზიის სხვა რესპუბლიკებთან, რუსეთის ფედერაციასთან, ჩინეთთან, ევროპის ქვეყნებთან, იაპონიასთან, სრულიად მსოფლიო თანამეგობრობასთან, რომელიც არის საერთაშორისო ურთიერთობების რეგულირების მიზნით ურთიერთმოქმედი სუბიექტების ერთობლიობა.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სისტემური გააზრება აუცილებელია საქართველოს მსოფლიო ეკონომიკურ თანამეგობრობაში ინტეგრაციისთვის. ამიტომ მნიშვნელოვანია გამოვარკვიოთ თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური სივრცის გლობალური პროცესების თანმდევი ტენდენციები და მათი გავლენა ჩვენს ქვეყანაზე. მნიშვნელოვანია შეფასდეს, საით მიემართება საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს სამომავლო განვითარება, რა გზებით შეიძლება ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა, რა არის მისი პრიორიტეტები, როგორია ქვეყნის განვითარების საგარეო ორიენტირები. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანი საკითხია საქართველოს ევროპული ინტეგრაცია. მოკლე დროში საქართველომ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიიღო და ქვეყანა წარმატებით მიჰყვება ევროპული ღირებულებების ოპტიმალური სინთეზის, მოწინავე გამოცდილების, მიღწეული სტანდარტების გაზიარების და დამკვიდრების გზას.

# RESUME

The global economy has entered a new age of national security under current conditions. The COVID-19 pandemic has highlighted the vulnerability caused by our reliance on global supply chains and a lack of collaboration in combating global health hazards. However, what has most distinguished this new century is Russia's unjustified invasion of Ukraine, global economic devastation, food and energy warfare. Aside from the human and economic costs, the war in Ukraine has widened the schism between the Western and Eastern geopolitical blocs, which are centered on the United States and China, respectively.

In the contemporary world, a country's economic development is influenced by both local and external influences. As a result, in the context of modern socioeconomic growth, international economic ties are one of the most significant variables influencing Georgia's long-term development. It helps to promote scientific and technical progress, the judicious use of natural resources, globalization of the world economy, the exchange of industrial expertise, the rapid growth of international economic ties, and worldwide commerce in products and services.

The primary objective of global economic development is to maximize the benefits of the entire community's combined economic capacity. At the same time, it is important to recognize that countries play different roles in this process, and the international importance of any country or its individual region is based on existing natural resources, economic development dynamics, its place in the global system of production of goods and services, and the existence and availability of financial resources.

Georgia successfully participates in the global economic community, increases its export potential, expands economic cooperation with the rest of the world, and establishes mutually beneficial relations with the United States, the European Union, Azerbaijan, Armenia, the Middle East, Kazakhstan and other Central Asian republics, the Russian Federation, China, European countries, and Japan.

A thorough grasp of international economic connections is required for Georgia's incorporation into the global economy. As a result, it is critical to understand the associated developments of current world eco-

nomic processes and their influence on Georgia. It is critical to determine where the sovereign state of Georgia's future growth is heading, how it can secure the safety and well-being of its population, what its priorities are, and what the country's external orientations are. In this context, the European integration of Georgia is an important issue. In a short period of time, Georgia received the status of a candidate for the European Union, and the country is successfully following the path of optimal synthesis of European values, advanced experience, sharing and establishment of achieved standards.

# სარჩევი

რეზიუმე ---------------------------------------------------------------------- 4

Resume ---------------------------------------------------------------------- 6

შესავალი ---------------------------------------------------------------------- 9

**თავი 1.** გლობალიზაციის თანამედროვე პროცესები და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები-----------14

**თავი 2.** საქონლით საერთაშორისო ვაჭრობაში საქართველოს მონაწილეობის ანალიზი ---------------------20

**თავი 3.** საქართველოს საგარეო ვაჭრობის რეგულირების თავისებურებები -------------------------------34

**თავი 4.** საქართველოს ეკონომიკაზე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მონაწილეობის ზეგავლენა----------------47

**თავი 5.** საქართველოს მონაწილეობა სატრანსპორტო-ლოჯისტიკური მომსახურების მსოფლიო ბაზარზე ----------------------------------------------62

**თავი 6.** საქართველოს მონაწილეობა კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობაში-----------------------------------89

**თავი 7.** საქართველოს მონაწილეობის გამოწვევები შრომის საერთაშორისო მიგრაციაში ----------------------101

**თავი 8.** საქართველოს მონაწილეობა ტექნოლოგიების და ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო ბაზარზე-------------------------------------- 113

**თავი 9.** საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო ინტეგრაციულ გაერთიანებებში -----------------------------131

**თავი 10.** საერთაშორისო ციფრული კონკურენციის ინდექსი და საქართველოს პოზიციის შეფასება---------152

**თავი 11.** საქართველოს თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ძირითადი შედეგების შეჯამება --------------------------------171

მონოგრაფიაში გამოყენებული ლიტერატურა -----------------------181

მონოგრაფიის ავტორების შესახებ --------------------------------------197

# შესავალი

თანამედროვე ეტაპზე, გლობალური ეკონომიკა ეროვნული უსაფრთხოების ახალ ეპოქაში შევიდა. COVID-19 პანდემიამ ცხადი გახადა დაუცველობა, რომელიც გამოწვეულია უკიდურესი დამოკიდებულებით მიწოდების გლობალურ ჯაჭვზე და გლობალურ ჯანმრთელობის რისკებთან ბრძოლის კოორდინაციის არარსებობაზე. მაგრამ რამაც ყველაზე მეტად გვამცნო ეს ახალი ეპოქა, ეს არის რუსეთის არაპროვოცირებული შეჭრა უკრაინაში, მსოფლიო ეკონომიკის საბოტაჟი, სასურსათო ომი და ენერგეტიკული ომი. გარდა ადამიანური და ეკონომიკური დანაკარბებისა, უკრაინის ომმა მკვეთრად გააძლიერა უთანხმოება დასავლურ და აღმოსავლურ გეოპოლიტიკურ ბლოკებს შორის, რომელიც შემოკრებილია, შესაბამისად შეერთებული შტატების და ჩინეთის ირგვლივ.

თანამედროვე მსოფლიოში, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, დამოკიდებულია როგორც საშინაო, ასევე საგარეო ფაქტორებზე. ამიტომ, თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირობებში, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, საქართველოს მდგრადი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ის ხელს უწყობს სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარებას, ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციას, სამრეწველო გამოცდილების გაცვლას, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების და საქონლითა და სერვისებით მსოფლიო ვაჭრობის დაჩქარებულ განვითარებას.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მთავარი მიზანია მსოფლიო თანამეგობრობისბის ერთობლივი ეკონომიკური პოტენციალის უპირატესობების მაქსიმალური გამოყენება. ამავდროულად, აუცილებელია გავაცნობიეროთ, რომ ქვეყნები ამ პროცესში სხვადასხვა როლს ასრულებენ და ნებისმიერი ქვეყნის ან მისი ცალკეული რეგიონის საერთაშორისო მნიშვნელობა ემყარება არსებულ ბუნებრივი რესურსებს, ეკონომიკური განვითარების დინამიკას, მის ადგილს საქონლისა და მომსახურების წარმოების მსოფლიო სისტემაში და ფინანსური რესურსების არსებობას, მის ხელმისაწვდომობას.

საქართველო, წარმატებითაა ჩართული მსოფლიო ეკონომიკურ თანამეგობრობაში, ზრდის საექსპორტო პოტენციალს, აფართოებს ეკონო-

მიკურ თანამშრომლობას მსოფლიოს ქვეყნებთან, ამყარებს ურთიერთხელსაყრელ ურთიერთობებს აშშ–სთან, ევროკავშირთან, აზერბაიჯანის და სომხეთის რესპუბლიკებთან, ახლო აღმოსავლეთის, ყაზახეთის და შუა აზიის სხვა რესპუბლიკებთან, რუსეთის ფედერაციასთან, ჩინეთთან, ევროპის ქვეყნებთან, იაპონიასთან, სრულიად მსოფლიო თანამეგობრობასთან, რომელიც არის საერთაშორისო ურთიერთობების რეგულირების მიზნით ურთიერთმოქმედი სუბიექტების ერთობლიობა.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სისტემური გააზრება აუცილებელია საქართველოს მსოფლიო ეკონომიკურ თანამეგობრობაში ინტეგრაციისთვის. ამიტომ მნიშვნელოვანია გამოვარკვიოთ თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური სივრცის გლობალური პროცესების თანმდევი ტენდენციები და მათი გავლენა ჩვენს ქვეყანაზე. მნიშვნელოვანია შეფასდეს, საით მიემართება საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს სამომავლო განვითარება, რა გზებით შეიძლება ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა, რა არის მისი პრიორიტეტები, როგორია ქვეყნის განვითარების საგარეო ორიენტირები. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანი საკითხია საქართველოს ევროპული ინტეგრაცია. მოკლე დროში საქართველომ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიიღო და ქვეყანა წარმატებით მიჰყვება ევროპული ღირებულებების ოპტიმალური სინთეზის, მოწინავე გამოცდილების, მიღწეული სტანდარტების გაზიარების და დამკვიდრების გზას.

მსოფლიო ეკონომიკის დინამიური განვითარების შედეგად, ახალ ათასწლეულში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის და საერთაშორისო კონკურენციის გაღრმავების ზეგავლენის ფონზე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფორმები შეიცვალა. მისთვის დამახასიათებელი გახდა ეკონომიკური ზრდის დინამიკის შენელება. ის უფრო დაბალია, ვიდრე მეოთხე სამრეწველო რევოლუციის ტემპებით იყო მოსალოდნელი. შეიცვალა გლობალიზაციის ხასიათი. მასზე ზეგავლენა იქონია, ასევე COVID-19 პანდემიის გლობალურმა გავრცელებამ, რამაც ეკონომიკური აგენტების უმეტესობის ქცევაში მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ცვლილებები გამოიწვია. შედეგად, ახალი რეალობა ერთ-ერთ მთავარ ტენდენციად უნდა ჩაითვალოს, რომელიც მსოფლიო ეკონომიკის ამჟამინდელ განვითარებას განსაზღვრავს. ამდენად, ეკონომიკისა და მთლიანად საზოგადოებისთვის, მისი შედეგების გათვალისწინება მნიშვნელოვანია. ამიტომ მიგვაჩნია, რომ საქართველოს

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების კვლევა აქტუალური პრობლემაა.

2007-2008 წლების მსოფლიო გლობალური ეკონომიკური კრიზისის დაბალი ტემპებით დაძლევა, რომელიც გამოიხატება მსოფლიო საქონელბრუნვის ზრდის ტემპის შენელებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების შემცირებით, პირველ რიგში, განვითარებადი ბაზრების ქვეყნებში, ნიშნავს იმას, რომ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაში ახალი ტენდენციები გამოიკვეთა. ეს ეხება წარმოების ფაქტორების საერთაშორისო მოძრაობას, ახალ ტენდენციებს კაპიტალის და სამუშაო ძალის საერთაშორისო მოძრაობაში, ასევე ცვლილებებს ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო ბაზარზე.

ეკონომიკის გლობალიზაციაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ციფრული ეკონომიკის განვითარება, რომელიც გამოსახავს დიგიტალიზაციის ზეგავლენას საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების თითოეულ ფორმაზე. საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალური დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე იკვეთება ტენდენცია, 21-ე საუკუნეში ციფრული ეკონომიკის გაფართოების და ციფრული უთანასწორობის დაძლევის შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მონოგრაფიაში მნიშვნელოვანია საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გამოწვევების განზოგადება, გაანალიზება და გამოკვლევა. აღნიშნული შეეხება როგორც საქონლით, მომსახურებითა და ტექნოლოგიებით ვაჭრობას, ისე მსოფლიოსა და საქართველოში თანამედროვე მდგომარეობის შეფასებასა და გამოკვლევას. ასევე მნიშვნელოვანია შრომის საერთაშორისო დანაწილების, მიგრაციული კრიზისის და რეგიონული ინტეგრაციის ტენდენციების გამოვლენა და რეკომენდაციების შემუშავება გლობალიზაციის ეპოქაში ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ახალი გამოწვევების დაძლევის და სრულყოფის მიმართულებით.

წარმოდგენილი მონოგრაფიული კვლევის ინტერესის სფეროს წარმოადგენს საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილეობის შედეგებისა და პერსპექტივების გამოვლენა და განსაზღვრა. საკვლევი თემით დაინტერესება გამოწვეულია იმით, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების დონე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებთან და საერთაშორისო ეკონომიკურ გაერთიანებებთან ურთიერთობის ხარისხზე.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები ქვეყნის მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ხელს უწყობს სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარებას, ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციას, საერთაშორისო საწარმოო გამოცდილების გაზიარებას, საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის დაჩქარებულ განვითარებას, კაპიტალის და ადამიანების თავისუფალ გადაადგილებას.

საკონკურსოდ წარმოდგენილი კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილეობის შედეგებისა და პერსპექტივების სიღრმისეული გამოკვლევა. მისი არსი გამოიხატება საქართველოს მონაწილეობაში საქონლით, მომსახურებით და ტექნოლოგიებით ვაჭრობაში. ასევე მნიშვნელოვანია კაპიტალის საერთაშორიო მოძრაობის, შრომის საერთაშორისო დანაწილებისა და მიგრაციის, საქართველოს საერთაშორისო ინტეგრაციულ გაერთიანებებში მონაწილეობის ასპექტების გაშუქება.

მონოგრაფიული კვლევის მიზნის მისაღწევად ჩამოყალიბებულია შემდეგი ამოცანები:

• გლობალიზაციის თანამედროვე პროცესებსა და საერთაშორიო ეკონომიკური ურთიერთობებს შორის ურთიერთგანმაპირობებელი კავშირების ანალიზი;

• საქონლით საერთაშორისო ვაჭრობაში საქართველოს მონაწილეობის ანალიზი;

• საქართველოს საგარეო ვაჭრობის რეგულირების თავისებურებების გამოვლენა;

• საქართველოს ეკონომიკაზე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მონაწილეობის ზეგავლენის დადგენა;

• სატრანსპორტო-ლოჯისტიკური მომსახურების მსოფლიო ბაზარზე საქართველოს მონაწილეობის შედეგების ანალიზი;

• კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობაში საქართველოს მონაწილეობის ანალიზი;

• შრომის საერთაშორისო მიგრაციაში საქართველოს მონაწილეობის პრობლემების გამოვლენა;

• ტექნოლოგიების და ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო ბაზარზე საქართველოს მონაწილეობის ანალიზი;

• საერთაშორისო ინტეგრაციულ გაერთიანებებში საქართველოს მონაწილეობის შედეგების ანალიზი;

• საერთაშორისო ციფრული კონკურენციის ინდექსი და საქართველოს პოზიციის შეფასება.

წარმოდგენილი მონოგრაფიის კვლევის საგანს წარმოადგენს, საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების შედეგების შეფასება. კერძოდ, ანალიზი იმისა, თუ საერთაშორისო თანამეგობრობასთან სიახლოვემ და მსოფლიო ეკონომიკაში ჩართულობამ რა შედეგები მოუტანა ქვეყანას, ასევე რა შესაძლებლობები იკვეთება სამომავლოდ.

მონოგრაფიის კვლტვის ობიექტია გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე ჩამოყალიბებული საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, საქართველოს საგარეო ვაჭრობის რეგულირების მექანიზმები, მსოფლიო ბაზარზე საქართველოს სატრანსპორტო-ლოჯისტიკური მომსახურების პრიორიტეტული მიმართულებები, საქართველოს მონაწილეობა კაპიტალის, შრომის საერთაშორისო მიგრაციიის, ტექნოლოგიების და ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო მოძრაობასა და საერთაშორისო ინტეგრაციულ გაერთიანებებში.

წარმოდგენილი მონოგრაფია ატარებს როგორც რაოდენობრივი, ასევე, ძირითადად თვისებრივი კვლევის ხასიათს. კვლევა ეფუძნება საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების შესახებ როგორც ქართულენოვან, ასევე უცხოურ სამეცნიერო პუბლიკაციებს, საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების ანგარიშებს და სხვა წყაროებს. კერძოდ, კვლევა ეფუძნება: გაეროს და საერთაშორისო ორგანიზაციების დოკუმენტებს, ანგარიშებს, კვლევებს; საქართველოს პოლიტიკის დოკუმენტებს, განვითარების სტრატეგიებს; შესაბამის კანონებს და კანონმქვემდებარე აქტებს; სოციოლოგიური კვლევის მასალებს და სხვა. კვლევა განხორციელდება დედუქციის, ინდუქციის, ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე, საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების შედეგებისა და პერსპექტივების სიღრმისეულ ანალიზზე დაყრდნობით. კვლევით პროექტზე მუშაობის პროცესში გამოყენებული როგორც თეორიული, ასევე ემპირიული კვლევის მეთოდებიდან, აღსანიშნავია სამაგიდო კვლევის და საველე კვლევის მეთოდები. სამაგიდო კვლევა მოიცავს შესაბამისი სტატისტიკის, სტატიების, წერილების, პოლიტიკის დოკუმენტების, ინსტიტუტების, კანონმდებლობის და ა. შ. ანალიზს. საველე კვლევა მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ სოციოლოგიურ გამოკითხვებს.

# თავი 1. გლობალიზაციის თანამედროვე პროცესები და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები

გლობალიზაციის თანამედროვე პროცესებსა და საერთაშორიო ეკონომიკური ურთიერთობებს შორის ურთიერთგანმაპირობებელი კავშირია. ცნება „გლობალიზაცია“ თანამედროვე მსოფლიოში გამოიყენება მოვლენათა ფართო წრის მიმართ მისი მთლიანობის ზრდის აღსანიშნავად. ტერმინი გლობალიზაცია ინგლისურ სიტყვა „გლობეს“ უკავშირდება, რაც დედამიწას, გლობუსს ნიშნავს, ხოლო გლობალ – მსოფლიოს, გლობალურს. ეს არის პროცესი რომლის განხორციელების შედეგად მსოფლიო გარდაიქმნება ერთიან სისტემად, რა დროსაც ხდება ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური და რეგიონალური სფეროების ინტეგრაცია.

გლობალიზაციის წყაროებია:

- მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი;
- მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაცია;
- ტრანსნაციონალიზაცია;
- საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა;
- კულტურული ტრადიციების გაერთიანება.

მსოფლიო ეკონომიკასთან დამოკიდებულებაში გლობალიზაცია ვლინდება, როგორც:

- ფირმათა და ინდივიდთა მზარდი ჩართულობა საერთაშორისო ვაჭრობასა და ინვესტიციებში;
- კაპიტალის ნაკადთა ზრდა, სამუშაო ძალის მიგრაცია;
- მრავალეროვნული კორპორაციების გავლენის მასშტაბები;
- ტექნოლოგიათა სტანდარტიზაცია;
- ცვლილებათა და ახალ იდეათა სწრაფი გავრცელება.

გლობალიზაციის აღნიშნული გამოვლინებები იმის მაჩვენებელია, რომ საზოგადოებები და ქვეყნები სულ უფრო და უფრო ინტეგრირებული ხდება. გლობალიზაცია მოიცავს კაცობრიობის ცხოვრების ყველა სფეროს. ეკონომიკაში იგი ჰპოვებს ასახვას შემდეგ პროცესებში:

- საერთაშორისო ვაჭრობა იზრდება წინმსწრები ტემპებით მშპ-ის ზრდასთან შედარებით;
- მომდინარეობს კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის მნიშვნელოვანი ზრდა, განსაკუთრებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების;
- შეინიშნება ეკონომიკური ბარიერების შესუსტება ქვეყნებსა და მათ სუვერენიტეტებს შორის საერთაშორისო შეთანხმებების ზრდასთან დაკავშირებით, რაც საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნას განაპირობებს;
- ხდება გლობალური ფინანსური სისტემის განვითარება;
- იზრდება მსოფლიო ეკონომიკის წილი, რომელიც იმყოფება მრავალეროვნული კორპორაციების კონტროლქვეშ;
- იზრდება ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების როლი, როგორებიცაა: მსო (მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია), მსოფლიო ბანკი, სსფ (საერთაშორისო სავალუტო ფონდი), საერთაშორისო გარიგებების განხორციელებაში;
- საერთაშორისო შრომის დანაწილების გაღრმავებამ წარმოების ფრაგმენტაციის ფორმით განაპირობა მრავალეროვნული საწარმოების მიერ ბიზნესის წარმოების ახალი მეთოდების გამოყენების ზრდა, ისეთების, როგორიცაა, მაგალითად, აუტსორსინგი (გარეშე ნარდი).

გლობალიზაციის ზეგავლენის საკითხები აისახება გლობალისტების და ანტიგლობალისტების შეხედულებებში.

გლობალისტები პოზიტიურ მხარეებზე საუბრისას ხაზს უსვამენ გლობალიზაციის როლს ინტეგრაციის გზით ერებსა და სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სხვა კავშირების გაღრმავებასა და განხორციელებაში. ეკონომიკური ასპექტით გლობალიზაციას, რაც გულისხმობს მსოფლიოს თავისუფალი ბაზრის შექმნას, უდავოდ მრავალი სიკეთის მოტანა შეუძლია თითოეული ქვეყნის ეკონომიკისათვის:

- ხელმისაწვდომს ხდის კაპიტალს, ტექნოლოგიებს, უფრო იაფ იმპორტსა და გაცილებით ფართო საექსპორტო ბაზრებს;
- აადვილებს, აიაფებს და აჩქარებს საერთაშორისო ეკონომიკურ გარიგებათა განხორციელებას;
- კონკურენცია საშუალებას აძლევს ქვეყნებს ძალისხმევა მოახმარონ იმას, რაც მათ უკეთესად გამოსდით.

ანტიგლობალისტები გლობალიზაციის ნეგატიურ მხარეზე საუბრისას გამოიყენებენ ამგვარ მეტამორფულ მსჯელობასაც: “გლობალიზაცია მატარებელია, რომელიც თავის გზაზე ანადგურებს ყველაფერს, რასაც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინდივიდუალობის ბეჭედი აზის“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გლობალიზაცია ხელს უწყობს ეროვნული და სახელმწიფოებრივი თვითარსებობისა და თვითმყოფადობის შესუსტებასა და ნიველირება-გაერთსახოვნებას.

❖ საერთაშორისო ორგანიზაციები აჭარბებენ თავიანთ უფლებამოსილებებს, ხელს უწყობენ კულტურათა არასასურველ აღრევას უნივერსალური ნორმების შექმნით;

❖ შეიცავს გლობალური მონოპოლიზმის სტიქიური საბაზრო ურთიერთობების და აქედან გამომდინარე, არასამართლიანი კონკურენციის წარმოშობის საფრთხეს;

❖ ეკონომიკური პროცესების ეფექტიანი, გლობალური, ზეეროვნული რეგულირება.

## საქართველო ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსში

საქართველო აქტიურადაა ჩართული გლობალიზაციის თანამედროვე პროცესებში. **ეკონომიკური გლობალიზაციის** ინდექსის თანახმად, საქართველო გლობალიზაციის დონით მსოფლიოში 53-ე ადგილზეა 71.4 ქულით, ცალკე აღებული ეკონომიკური გლობალიზაციით კი მას 22-ე ადგილი უჭირავს. გლობალიზაციის საერთო დონით 55-ე ადგილი იმით არის განპირობებული, რომ სოციალური გლობალიზაციით საქართველო 73-ე ადგილზეა, ხოლო პოლიტიკური გლობალიზაციით 125-ე ადგილზე. გასულ წელს საქართველოს გლობალიზაციის ქულა 0.2-ით მაღალი, 71.6 იყო.საქართველოს ეკონომიკურ გლობალიზაციაში 100-დან 81.5 ქულა აქვს. ეკონომიკური გლობალიზაციის კომპონენტებში – საერთაშორისო ვაჭრობაში 84.3 ქულა აქვს, ხოლო ფინანსურ გლობალიზაციაში – 78.7. საქართველო მაღალ პოზიციას საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალური პოლიტიკა და უცხოური კაპიტალის თავისუფლად შემოსვლის შესაძლებლობა განაპირობებს.

პოლიტიკურ გლობალიზაციაში საქართველოს 100-დან 59.4 ქულა აქვს, შედარებით დაბალ ქულას მნიშვნელოვნად განაპირობებს ის

ფაქტი, რომ საქართველოში ბევრი ქვეყნის საელჩო არ არის და პირიქით, საქართველოს საელჩოები ბევრ ქვეყანაში არ არის.

სოციალურ გლობალიზაციაში საქართველოს 100-დან 73.4 ქულა აქვს. საქართველოს მაღალი ქულები აქვს ტურიზმში, ემიგრანტების რაოდენობაში, ფულად გზავნილებში, მაგრამ დაბალი ქულები აქვს საერთაშორისო აეროპორტების რაოდენობაში, სამოქალაქო უფლებებში, ჰუმანურ კაპიტალსა და პერსონალური მომსახურებით ვაჭრობაში. ნული ქულა აქვს „იკეას" მაღაზიების არსებობაში, რადგან ეს ცნობილი შვედური ბრენდი საქართველოში ჯერ არ შემოსულა.

**საქართველოს პოზიცია გლობალიზაციის ინდექსში, ადგილი**




**წყარო:** ციურიხის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, გლობალიზაციის ინდექსი

ქვეყნის გლობალიზაციის დონე გვიჩვენებს, რამდენად არის ქვეყანა ინტეგრირებული მსოფლიოში ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური კუთხით. გლობალიზაციის მაღალი დონე ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ხელშემწყობ ფაქტორად მიიჩნევა.

## შესაძლებლობები

ტერიტორიითა და მოსახლეობით მცირე ქვეყნისთვის გლობალურ, საერთაშორისო ბაზრებთან ინტეგრირება ძალიან მნიშვნელოვანია. ეს იძლევა საშუალებას, შენი ეკონომიკის საზღვრები ქვეყნის ფიზიკურ საზღვრებთან არ სრულდებოდეს, წარმოებული პროდუქციის მომხმარებელი მხოლოდ საკუთარი, მცირერიცხოვანი მოსახლეობა არ იყოს.

საერთაშორისო ვაჭრობა ქვეყანას აძლევს საშუალებას, გამოიყენოს ე.წ. შედარებითი უპირატესობა, ანუ სხვა ქვეყნიდან შემოიტანოს (იმპორტი) ის საქონელი და მომსახურება, რისი წარმოებაც ქვეყნის შიგნით უფრო ძვირია, ვიდრე საზღვარგარეთ, და პირიქით, სხვა ქვეყნებში გაიტანოს (ექსპორტი) ის საქონელი და მომსახურება, რომლის წარმოებაც თვითონ უფრო იაფი უჯდება, ვიდრე სხვა ქვეყნებს. საბოლოო ჯამში, ქვეყანა იგებს როგორც ექსპორტიდან, ასევე იმპორტიდან. მარტივად რომ ვთქვათ, ვყიდულობთ იაფად და ვყიდით ძვირად. ეს კი ზრდის მოსახლეობის დანაზოგებს, რაც ინვესტირებისა და ეკონომიკური განვითარების აუცილებელი პირობაა.

## საფრთხეები

პატარა ქვეყნის ეკონომიკაზე გავლენას უფრო მეტად მსოფლიო ეკონომიკური კრიზისები ახდენს, რადგან ქვეყანა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სხვა ქვეყნების ეკონომიკურ წარმატებებზე თუ წარუმატებლობებზე. ეს ნაკლი ანტიგლობალისტების საყვარელი თემაა.

წარმოშობს ახალ პრობლემებს:

❖ კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება

❖ სამუშაო ძალის მიგრაცია

❖ სწრაფად იზრდება ლეგალური და არალეგალური მიგრაციული ნაკადები

❖ ლობალური ეკონომიკური ინტეგრაცია ბიძგს აძლევს პოლიტიკურ დეზინტეგრაციას

2015 წლის 25 სექტემბერს გაეროს 193 წევრი ქვეყანა შეთანხმდა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტზე, სათაურით - „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვი-

თარებისათვის“. ეს დღის წესრიგი მოიცავს 17 მიზანს და 169 ამოცანას.

მდგრადი განვითარების მიზნები (SDG) და ამოცანები გლობალური ბუნების და უნივერსალური გამოყენებისა არიან, რადგან ითვალისწინებენ განსხვავებულ ეროვნულ თვისებებს, შესაძლებლობებს და განვითარების დონეს და პატივს სცემენ ეროვნულ პოლიტიკას და პრიორიტეტებს. ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებელნი არ არიან - მათი განხორციელება ინტეგრირებულად უნდა მოხდეს. ახალი მიზნები ორიენტირებულია მდგრადი განვითარების სამ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტზე - ეკონომიკური ზრდა, სოციალური ინკლუზია და გარემოს დაცვა.

მდგრადი განვითარების მიზნების მნიშვნელობიდან და თემატიკის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ინიციატივით დაიწყო აღნიშნული მიზნების ნაციონალიზაციის პროცესი.

საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი მიზნებია:

❖ ხელმისაწვდომი, საიმედო, სტაბილური და თანამედროვე ენერგიის საყოველთაო ხელმისაწვდომობა;

❖ სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის;

❖ მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა;

❖ ქვეყნის შიგნით და ქვეყნებს შორის უთანასწორობის შემცირება.

# თავი 2. საქონლით საერთაშორისო ვაჭრობაში საქართველოს მონაწილეობის ანალიზი

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში, საქართველო წარმატებით მიჰყვება საერთაშორისო სავაჭრო სივრცეში სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავების გზას. ამ მიზნით, უაღრესად მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნებთან ექსპორტის გაზრდა, ექსპორტის ეტაპობრივი დივერსიფიკაცია და უარყოფითი სავაჭრო სალდოს შემცირება. სავაჭრო, საფინანსო-საკრედიტო, სამეცნიერო, ტექნოლოგიური და სხვა სახის ურთიერთობების გაღრმავება აუცილებელია, როგორც განვითრებული, ისე განვითარებად ქვეყნებისთვის. ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და უმუშევრობის შემცირება კავშირშია მისი საექსპორტო შესაძლებლობების გაზრდასთან. ამრიგად, საგარეო ვაჭრობის საკითხების კვლევა ფრიად აქტუალურია. წარმოდგენილ პრობლემას ეხება ქართველი და უცხოელი მეცნიერ ეკონომისტები არაერთი ნაშრომის ნაშრომი.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვანი სექტორია საერთაშორისო ვაჭრობა. მსოფლიო ვაჭრობასთან მიმართებაში საქართველოს საგარეო ვაჭრობა მეტად მოკრძალებულია. 2022 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოს საქონლის ექსპორტის წილი შეადგენს მსოფლიო ექსპორტის 0.01%-ს, ხოლო ქვეყნის იმპორტის ხვედრითი წილი მსოფლიო იმპორტის 0.03%-ია. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, საქართველო მსოფლიო 100 ექსპორტიორ და იმპორტიორ ქვეყანებს შორის არაა წარმოდგენილი. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, 2022 წელს მსოფლიო საქონლის ექსპორტმა 24312 მლრდ აშშ დოლარი, ხოლო საქონლის იმპორტმა 25118 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოს საქონლის ექსპორტი მსოფლიო ექსპორტის 0.02%, ხოლო საქართველოს საქონლის იმპორტი მსოფლიო იმპორტის 0.05%-ია. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, საქართველო მსოფლიო 100 ექსპორტიორ და იმპორტიორ ქვეყანებს შორის არაა წარმოდგენილი (World Trade Organization, 2023. World Trade Statistical Review.)

საქსტატის მონაცემების მიხედვით ქვეყნის ექსპორტის და იმპორტის მაჩვენებლები მზარდი ტენდენციით ხასიათდება. ქვეყნის ექსპო-

რტმა 2007 წელს, ქვეყნის ისტორიაში პირველად გადააააჭარბა მილიარდ აშშ დოლარს... 2014-2017 წლებში საქართველოს საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები დიდად არ განსხვავდებოდა, ექსპორტის მოცულობა არ აღემატება 3 მლრდ აშშ დოლარს. საქსტატის მონაცემებით, 2014-2020 წლებში საქართველოს საგარეო სავაჭრო ურთიერთობები ძირეულად არ იცვლებოდა და საგარეო ვაჭრობის სალდო 4.7-5.9 მლრდ აშშ დოლარის გარშემო მერყეობდა. იმპორტის მოცულობა 7.3-9.5, ხოლო ექსპორტი 2.1-3.8 მლრდ დოლარამდე ფარგლებში იცვლებოდა. აღსანიშნავია, რომ 2021 წელს საქართველოს საგარეო ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლები, პანდემიამდე ნიშნულზე (2019 წელთან შედარებით) მაღალია. ქვეყნის ექსპორტის, ადგილობრივი ექსპორტის, იმპორტის და სავაჭრო ბრუნვის რეკორდული ზრდა და მაჩვენებლები დაფიქსირდა. 2022 წელს საქართველოს საგარეო ვაჭრობაში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, პირველად ექსპორტმა 5 მლრდ აშშ დოლარს, ხოლო იმპორტმა 13 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა. უარყოფითმა ვაჭრობის სალდომ 7.9 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო ადგილობრივმა ექსპორტმა ასევე პირველად 3 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა (იხ. ცხრილი N1).

2021 წელს, წინა წელთან შედარებით საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა 25.6% და 14 315.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. საქონლის ექსპორტი გაიზარდა 26.9 % და 4 242.3 მლნ. აშშ დოლარს შეადგინა, ხოლო იმპორტი გაიზარდა 25.1% და 10 073.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ქვეყნის უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2021 წელს 5 834.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. მისი წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში მცირედით შემცირდა და 40.7% შეადგინა (2020 წელი - 41.3%). ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში თითქმის არ გაზრდილა 29.6% შეადგინა (2020 წელი -29.3%). აღსანიშნავია, რომ ადგილობრივმა ექსპორტმა, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 720 მლნ აშშ დოლარი და 29.9%-ით გაიზარდა და 3127.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (2020 წელი -2,406.9 მლნ აშშ დოლარი).. იგი მთლიანი ექსპორტის 73.7%-ია.

2022 წელს საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 19131.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 33.4%-ით მეტია. ქვეყნის ექსპორტი გაიზარდა 31.6%-ით და 5583.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. იმპორტი კი გაიზარდა 34.2%-ით და 13547.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბა-

**ცხრილი N1. საქართველოს საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები 2016-2022 წლებში**

| | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საგარეო სავაჭრო ბრუნვა (მლნ. აშშ დოლარი) | 9 459 | 10 802 | 12 741 | 13 315 | 11 347.7 | 14 315.6 | 19 131.1 |
| ზრდა % | -1% | 14% | 18% | 5% | -14.80% | 25.6% | 33.4% |
| საქონლის ექსპორტი (FOB) (მლნ. აშშ დოლარი) | 2,117 | 2,746 | 3,380 | 3,798 | 3 342.1 | 4 242.3 | 5583.4 |
| ზრდა % | -4% | 30% | 23% | 12% | -12% | 26.9% | 31.6% |
| ადგილობრივი ექსპორტი (მლნ. აშშ დოლარი) | 1,620 | 2,008 | 2,226 | 2,324.5 | 2,406.9 | 3 127.1 | 3 704.2 |
| ზრდა % | 1% | 24% | 11% | 4% | 4% | 29.9% | 18.4% |
| საქონლის იმპორტი (CIF) (მლნ. აშშ დოლარი) | 7,342 | 8,057 | 9,362 | 9,517 | 8,005.6 | 10 073.3 | 13 547.7 |
| ზრდა % | 1% | 10% | 16% | 2% | 0.2% | 25.1% | 34.2% |
| საგარეო ვაჭრობის სალდო (მლნ. აშშ დოლარი) | -5,225 | -5,311 | -5,982 | -5,719 | -4,663.4 | -5 831.0 | -7 964.3 |
| ზრდა % | 2% | 2% | 13% | -4% | -0.2% | 24% | 36% |

**წყარო:** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. https://www.geostat.ge

ლანსი 2022 წელს, 7964.3 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 41.4 პროცენტია. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის ქვეყნის ექსპორტის, იმპორტის, სავაჭრო ბრუნვისა და სავაჭრო სალდოს მაჩვენებლები რეკორდულია.

## საგარეო ვაჭრობა ქვეყნების ჯგუფების მიხედვით

2021 წელს გაიზარდა საქართველოსა და დსთ-ს ქვეყნებს შორის სავაჭრო ბრუნვა. დსთ-ს ქვეყნებთან სავაჭრო ბრუნვამ 2021 წელს 24%-ით გაიზარდა, 4836.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 34% შეადგინა (2020 წელი - 34%). ექსპორტი გაიზარდა 34%-ით, 2020.80 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი ექსპორტის 48% შეადგინა (2020-45%). იმპორტი 17%-ით გაიზარდა და 2826.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, მთლიანი იმპორტის 28% შეადგინა (2020 წელი – 30%). მზარდია დსთ-ს ქვეყნებში ადგილობრივი ექსპორტი, რამაც 1 118.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 40% მეტია წინა წლის მაჩვენებელზე. ასევე, ქვეყნის სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 25%-ით გაიზარდა და 785.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

დსთ-ს ქვეყნებში ექსპორტში წარმოდგენილია: მსუბუქი ავტომობილები - ექსპორტი 419.4 მლნ. აშშ დოლარი, ფეროშენადნობი - 190.9 მლნ. აშშ დოლარი (რუსეთზე მოდის დსთ-ს ქვეყნებში ექსპორტის 90%), ღვინო - 179.9 მლნ. აშშ დოლარი (რუსეთი 73%), მინერალური წყალი - 116.3 მლნ. აშშ დოლარი (რუსეთი- 52%), სპირტიანი სასმელები - 113.1 მლნ. აშშ დოლარი ( რუსეთი 36%), უალკოჰოლო სასმელები - 49.8 მლნ. აშშ დოლარი (რუსეთი 52%), ახალი ხილი - 58.1 მლნ. აშშ დოლარი (რუსეთი 84%), აზოტოვანი სასუქები - 46.9 მლნ. აშშ დოლარი და სხვ.

აღსანიშნავია, რომ 2021 წელს საქართველოში დსთ-ს ქვეყნებიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტმა 660.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. დსთ-ს ქვეყნებიდან იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში წარმოდგენილია: ნავთობი - 458.7 მლნ. აშშ დოლარი (რუსეთზე მოდის დსთ-ს ქვეყნებიდან ნავთობის იმპორტის 29%), სპილენძის მადნები - 357.4 მლნ. აშშ დოლარი, სიგარეტები - იმპორტი 89.3 მლნ. აშშ დოლარი, ხორბალი - იმპორტი 88.6 მლნ. აშშ დოლარი (რუსეთი 99%), არმატურა - 52.2 მლნ. აშშ დოლარი (რუსეთი 5%), მცენარეული ზეთი - 47.8 მლნ. აშშ დოლარი (რუსეთი 87%), საკონდიტრო ნაწარმი - 39.5 მლნ. აშშ დოლარი (რუსეთი 65%) და სხვ.

საქართველო 2014 წლიდან ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულების შემდეგ, იწყებს საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებისა, ქვეყნის მსოფლიო ეკონომიკასა და მსოფლიო ფინანურ სისტემაში ინტეგრაციის ახალი ეტაპი (ფუტკარაძე, 2019). 2021 წელს ევროკავშირთან სავაჭრო ბრუნვა 19%-ით გაიზარდა და 3025 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ანუ ევროკავშირზე მოდის მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 21% (2020 წელი - 22%). ექსპორტი ევროკავშირში მხოლოდ 3%-ით, გაიზარდა 717.1 მლნ. აშშ დოლარი და მთლიანი ექსპორტის 17% შეადგინა (2020 წელი -21%). ხოლო იმპორტი ევროკავშირიდან 25%-ით გაიზარდა და 2 307.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, მასზე მოდის მთლიანი იმპორტის 23% (2020 წელი – 23%). აღსანიშნავია, რომ ევროკავშირში ადგილობრივი ექსპორტი უმნიშვნელოდ, მხოლოდ 3%-ით გაიზარდა, 639.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და ევროკავშირში მთლიანი ექსპორტის 89% დაიკავა.

2022 წელს საქართველოს ევროკავშირთან სავაჭრო ბრუნვამ წინა წელთან შდარებით 29%-ით გაიზარდა, 3922.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი ბრუნვის 20.5% დაიკავა. საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში გაიზარდა 20%-ით, 863 მლნ. აშშ დოლარი და საქართველოს მთლიანი ექსპორტის 15.4% შეადგინა. იმპორტი ევროკავშირიდან 32%-ით გაიზარდა და 3060.5 მლნ. აშშ დოლარი და საქართველოს მთლიანი იმპორტის 22.6% შეადგინა. (2021 წელი – 23%). ევროკავშირში ადგილობრივი ექსპორტი 16%-ით გაიზარდა, რამაც 741 მლნ. აშშ დოლარი და ევროკავშირში საქართველოს მთლიანი ექსპორტის 86% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დსთ-ს ქვეყნებთან სავაჭრო ბრუნვა 2022 წელს 32%-ით გაიზარდა და 6405 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (მთლიანი ბრუნვის 34% , 2021 წელი - 34%). საქართველოს ექსპორტი გაიზარდა 33%-ით და 2685 მლნ. აშშ დოლარი შადგინა (მთლიანი ექსპორტის 48%, 2021 წელი -48%). ქვეყნის იმპორტი კი გაიზარდა 32%-ით გაიზარდა და 3723 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (მთლიანი იმპორტის 28%, 2021 წელი - 28%). მაღალია საქართველოდან დსთ-ში ადგილობრივმა ექსპორტის მოცულობა, რამაც 2022 წელს 1104 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (დსთ-ში საქართველოს მთლიანი ექსპორტის 43%).

ანუ საქართველოს დსთ-ს ქვეყნებთან სავაჭრო ბრუნვა, ევროკავშირთან სავაჭრო ბრუნვას აღემატება 63%-ით. ხოლო ექსპორტის მაჩვენებელი დსთ-ს ქვეყნებში, საქართველოს ევროკავშირში ექსპორტს აღემატება 211%-ით.

ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია ექსპორტის დივერსიფიკაცია, ერთ-ერთ პრიორიტეტად ევროკავშირის ბაზარი მიიჩნევა. 2021 წელს ევროკავშირში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტმა 180 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოდან ექსპორტი ევროკავშირში სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ასე გამოიყურება: სპილენძის მადნები და კონცენტრატები - ექსპორტი 315.0 მლნ. აშშ დოლარი (კლება 17%), თხილი - 80.1 მლნ. აშშ დოლარი, ღვინო - 28.7 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 20%). სპირტიანი სასმელები - 20.8 მლნ. აშშ დოლარი (კლება 8%), მინერალური წყალი - 20.1 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 20%), ხილ-ბოსტნეულის წვენები - 3.6 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 6%), ხილ-ბოსტნეულის კონსერვები - 7.1 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 11%), ფეროშენადნობი - 23.8 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 200%), აზოტოვანი სასუქები - 47.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 95%) და სხვ.

ევროკავშირიდან იმპორტში წარმოდგენილია: ნავთობი და ნავთობპროდუქტები - იმპორტი 312.9 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა წინა წელთან შედარებით 78%), სამკურნალო საშუალებები - 223.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 16%), მსუბუქი ავტომობილები - 128.1 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 42%), სატვირთო ავტომობილები - 64.1 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 47%) და სხვ.

საქსტატის ინფორმაციით 2022 წელს საექსპორტო ათეულის პირველი ადგილი დაიკავა სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა - 1024.2 მილიონი აშშ დოლარით, ეს კი მთლიანი ექსპორტის 18.3 %-იას. მეორე ადგილი დაიკავა მსუბუქმა ავტომობილებმა 905.7 მილიონი აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის - 16.2%), მესამე ადგილი დაიკავა ფეროშენადნობებმა 459.8 მილიონი აშშ დოლარით (8.2%). საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის მაჩვენებელი 11%-ით გაიზარდა და 1262 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა, ხოლო სამრეწველო პროდუქციის ექსპორტის მაჩვენებელმა 40%-ით მოიმატა და 4 331 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა.

აღსანიშნავია, რომ 2022 წლის უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი იყო მსუბუქი ავტომობილები. მათი იმპორტის მაჩვენებელია 1714 მლნ. აშშ დოლარი და ეს მთელი იმპორტის 12.7%-ს შეადგენდა. მეორე ადგილი დაიკავა ნავთობმა და ნავთობპროდუქტებმა 1335.2 მლნ. აშშ დოლარით (რაც იმპორტის 9.9 %-ის), მესამე ადგილი დაიკავა სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა, მათ 775.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (იმპორტის 5.7%). სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპო-

რტმა 37%-ით გაიზარდა და 1851 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო სამრეწველო პროდუქციის იმპორტმა კი 33-ით გაიზარდა და 11598 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

## საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები ექსპორტის, იმპორტის და სავაჭრო ბრუნვის მიხედვით

2021 წელს ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 77.3 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო ათეული წარმოდგენილია მე-3 ცხრილში. პირველი ადგილი საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებს შორის ექსპორტის მიხედვით ჩინეთს უკავია, 2021 წელს 615.7 მლნ აშშ დოლარის ექსპორტი განხორციელდა. ჩინეთში ექსპორტირებული საქონლის მოცულობა მნიშვნელოვნად იზრდება და მთლიანი ექსპორტის 14.5% შეადგინა. ჩინეთის ბაზარი მუდმივად უფრო მიმზიდველი ხდება ქართველი ექსპორტიორებისთვის.

რუსეთი, საქართველოს მეორე უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნაა. 2021 წელს რუსეთში 610 მლნ აშშ დოლარის ექსპორტი განხორციელდა (2020 წელი - 441 მლნ აშშ დოლარი). აღსანიშნავია, რომ რუსეთთან ვაჭრობის გაზრდა დიდი საფრთხეებთან და გამოწვევებთანაა დაკავშირებული და ნეგატიურად უნდა შეფასდეს. მესამე უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია ექსპორტის მიხედვით აზერბაიჯანი, სადაც 2021 წელს 532 მლნ აშშ დოლარის ოდენობის ექსპორტი განხორციელდა, წინა წელს მაჩვენებელი 441 მლნ აშშ დოლარი. თურქეთში კი 323 მლნ აშშ დოლარის ექსპორტი განხორციელდა.

უკრაინაში 2021 წელს 307 მლნ აშშ დოლარის ექსპორტი განხორციელდა. მთლიანობაში უკრაინა საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანაა. აღსანიშნავია, რომ უკრაინაში მიმდინარე საომარმა მოქმედებებმა შეამცირა სავაჭრო ბრუნვა. უკრაინის შემდეგ უმსხვილეს სავაჭრო საექსპორტო პატრნიორს სომხეთი წარმოადგენს, სადაც 266 მლნ აშშ დოლარის ექსპორტი განხორციელდა. მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ექსპორტი აშშ-ში და 2021 წელს 194.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (2020 წელი 80 მლნ აშს დოლარი). ათეულის ბოლო ორი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყანაა ყაზახეთი (96.2 მლნ აშშ დოლარი) და ესპანეთი (89.3 მლნ აშშ დოლარი).

ადგილობრივი ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა შემდეგ ქვეყნებში: რუსეთი (440.7 მლნ. აშშ. დოლარი, ზრდა 38.3%), თურქეთი (304.5 მლნ. აშშ. დოლარი, ზრდა 74.8%), ჩინეთი (580.9 მლნ. აშშ. დოლარი, ზრდა 26.2%), აშშ (146.9 189.9 მლნ. აშშ. დოლარი, ზრდა 143.2%), უკრაინა (182.2 მლნ. აშშ. დოლარი, ზრდა 46.9%), სომხეთი (129.2 მლნ. აშშ. დოლარი, ზრდა 48.5%), აზერბაიჯანი (109.5 მლნ. აშშ. დოლარი, ზრდა 37.9%), ესპანეთი (88.5 მლნ. აშშ. დოლარი, ზრდა 8.5%-ით) და სხვ.

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები იმპორტის მიხედვით, ექსპორტიორი ქვეყნებისაგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდება. უმსხვილეს იმპორტიორ ქვეყნების ათეულში არ გვხდება სამი ექსპორტიორი ქვეყანა: ბულგარეთი, ყაზახეთი და ესპანეთი.

2022 წელს საქართველოს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა ქვეყნის მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 68.7 პროცენტი შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებია: თურქეთი (2 806.4 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (2 487.0 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (1 862.8 მლნ. აშშ დოლარი).

უმსხვილესი საექსპორტო სამეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: ჩინეთი (736.8 მლნ. აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (672.6 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (651.6 მლნ. აშშ დოლარი).

2022 წელს სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა 1 024.3 მლნ. აშშ დოლარით, რაც მთელი ექსპორტის 18.3 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილს იკავებს მსუბუქი ავტომობილები 903.8 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 16.2 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა ფეროშენადნობები 459.8 მლნ. აშშ დოლარით (8.2 პროცენტი). (იხ. ცხრილი N2).

ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 2021 წელს 67.1 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი იმპორტიორ ქვეყანას თურქეთი წარმოადგენს (1829 მლნ აშშ დოლარი, იმპორტის 18,1%). მეორე უმსხვილესი საიმპორტო ქვეყანა რუსეთია, საიდანაც 1023.2 მლნ აშშ დოლარი იმპორტი განხორციელდა, მნიშვნელოვნად გაზრდილია იმპორტის მოცულობა რუსეთიდან. 2020 წელს რუსეთიდან იმპორტმა 888.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ჩინეთიდან, რომელიც ქვეყნის მესამე უმსხვილესი საქონლის საიმპორტო

**ცხრილი N2 საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები, 2022 წელი**

ექსპორტის მიხედვით

| N | ქვეყანა | მლნ აშშ დოლარი | % |
|---|---|---|---|
| | *სულ* | *5 583.4* | *100* |
| 1 | ევროკავშირი | 862.5 | |
| 1 | ჩინეთი | 736.8 | 13.2 |
| 2 | აზერბაიჯანი | 672.7 | 12 |
| 3 | რუსეთი | 642.4 | 11.5 |
| 4 | სომხეთი | 584.2 | 10.5 |
| 5 | თურქეთი | 434.6 | 7.8 |
| 6 | ბულგარეთი | 423.6 | 7.6 |
| 7 | აშშ | 265.1 | 4.7 |
| 8 | უკრაინა | 232.8 | 4.2 |
| 9 | გერმანია | 67.7 | 1.2 |
| 10 | იტალია | 61.4 | 1.1 |

იმპორტის მიხედვით

| N | ქვეყანა | მლნ აშშ დოლარი | % |
|---|---|---|---|
| | *სულ* | 13 547.7 | *100* |
| 1 | ევროკავშირი | 3060.4 | |
| 1 | თურქეთი | 2808.7 | 14.7 |
| 2 | რუსეთი | 2478.1 | 13.0 |
| 3 | ჩინეთი | 1863.1 | 9.7 |
| 4 | აზერბაიჯანი | 1313.1 | 6.9 |
| 5 | აშშ | 1277.6 | 6.7 |
| 6 | სომხეთი | 1197.9 | 6.3 |
| 7 | გერმანია | 731.9 | 3.8 |
| 8 | ბულგარეთი | 626.8 | 3.3 |
| 9 | უკრაინა | 518.7 | 2.7 |
| 10 | იტალია | 349.5 | 1.8 |

**წყარო:** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

ქვეყანაა 2021 წელს 865 მლნ აშშ დოლარის იმპორტი განხორციელდა. შემდეგი ადგილი აშშ-ს უკავია, იმპორტი 648.2 მლნ აშშ დოლარი. აზერბაიჯანიდან 598.4 მლნ აშშ დოლარის იმპორტი განხორციელდა, რაც შეეხება 2020 წელს - 513.2 მლნ აშშ დოლარი. ევროკავშირის წევრი ქვეყანა, გერმანიდან იმპორტმა 482 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. იმპორტიორი ქვეყნების ათეულშია: უკრაინა - 451.8, სომხეთი - 418.4, იტალია - 248.4 და თურქმენეთი - 205.5 მლნ აშშ დოლარი.

ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 69.5% შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები არიან: თურქეთი (2145.9 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (1 38.6 მლნ. აშშ დოლარი), ჩინეთი (1480.5 მლნ. აშშ დოლარი). აზერბაიჯანი (1130 მლნ. აშშ დოლარი), აშშ (843 მლნ. აშშ დოლარი), უკრაინა (759.3 მლნ. აშშ დოლარი), სომხეთი (674.5 მლნ. აშშ

დოლარი), გერმანია (550 მლნ. აშშ დოლარი), ბულგარეთი (433 მლნ. აშშ დოლარი) და იტალია (306.7 მლნ. აშშ დოლარი).

აღსანიშნავია, რომ თურქეთთან სავაჭრო ბრუნვამ 2021 წელს 2 მლრდ აშშ დოლარს გადაჭარბა. უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები, რომელთანაც სავაჭრო ბრუნვა 1-დან 2 მლრდ აშშ დოლარამდეა: რუსეთი, ჩინეთი და აზერბაიჯანი. ქვეყნები, რომელთანაც სავაჭრო ბრუნვა 500 მლნ აშშ დოლარიდან 1 მლრდ აშშ დოლარამდეა: აშშ, უკრაინა, სომხეთი და გერმანია. ათეულში წარმოდგენილია ბულგარეთი და რუმინეთი.

საერთაშორისო ეკონომიკაში ცნობილი გრავიტაციის მოდელის თანახმად: სხვა თანაბარ პირობებში, ნებისმიერ ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის მოცულობა ამ ორი ქვეყნის მსპ-ის (GDP) პროპორციული და ამ ორ ქვეყანას შორის მანძილის უკუპროპორციულია. (კრუგმანი პ. 2012). საქართველოს საგარეო ვაჭრობა, ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები შესაბამისობაშია გრავიტაციის მოდელთან.

2013 წელს საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებს შორის ბრუნვის მიხედვით რუსეთი მე-4 ადგილზე (774 მლნ აშშ დოლარი) ხოლო უკრაინა მე-3 ადგილზე იმყოფებოდა (794.1 მლნ აშშ დოლარი). უკრაინაში განხორციელებული ექსპორტი (192.8 მლნ აშშ დოლარი) კი აღემატებოდა რუსეთში განხორციელებულ ექსპორტს (190.9მლნ აშშ დოლარი), ანალოგიურად უკრაინიდან იმპორტიც (601.4 მლნ აშშ დოლარი) აღემატებოდა რუსეთიდან შემოტანილ იმპორტს (583.6 მლნ აშშ დოლარი). 2014 წელს რუსეთი ნომერ მე-3 უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორი ქვეყანაა. 2015 წლიდან რუსეთი ნომერ მეორე უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ხდება ბრუნვის მიხედვით.

## უმსხვილესი საექსპორტო და საიმპორტო სასაქონლო ჯგუფები

2021 წელს სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების ექსპორტმა 815.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (იხ. ცხრილი 6), რაც აღემატება წინა წლის მაჩვენებელს, რომელიც 781 მლნ აშს დოლარი იყო. ქვეყნის უმსხვილეს საექსპორტო სასაქონლო ჯგუფებში წარმოდგენილია: ფეროშენადნობები – 477.4 მლნ აშშ დოლარი; მსუბუქი ავტომობილები – 456.6 მლნ აშშ დოლარი; ყურძნის ნატურალური ღვინოები – 239.3 მლნ აშშ

დოლარი; სპირტიანი სასმელები – 155.7 მლნ აშშ დოლარი; მინერალური და მტკნარი წყლები – 141.8 მლნ აშშ დოლარი; აზოტოვანი სასუქები – 119.5 მლნ აშშ დოლარი; თხილი და სხვა კაკალი – 118.3 მლნ აშშ დოლარი; სამკურნალო საშუალებები დაფასოებული – 99.1 მლნ აშშ დოლარი; ოქრო – 64.2 მლნ აშშ დოლარი; ხოლო დანარჩენი საქონელი – 1.6 მლრდ აშშ დოლარი.

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი, წარმოდგენილი იყო მსუბუქი ავტომობილების სახით, რომლის იმპორტმა 935.5 მლნ. აშშ დოლარი (ცხრილი 6) და მთელი იმპორტის 9.26 პროცენტი შეადგინა. მეორე ადგილს იკავებდა ნავთობი და ნავთობპროდუქტები 823 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 8.15 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა სპილენძის მადნები და კონცენტრატები 736.1 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 7.3 პროცენტი). ქვეყნის უმსხვილეს საიმპორტო სასაქონლო ჯგუფების ათეულში ასევე წარმოდგენილია: სამკურნალო საშუალებები – 382.2 მლნ აშშ დოლარი; ნავთობის აირები და სხვა აირისებრი ნახშირწყალბადები – 342.4 მლნ აშშ დოლარი; სატელეფონო აპარატები – 226 მლნ აშშ დოლარი; გამომთვლელი მანქანები და მათი ბლოკები – 147.7 მლნ აშშ დოლარი; ვაქცინები, სისხლი და იმუნური პროდუქტები – 120 მლნ აშშ დოლარი; სატვირთო ავტომობილები – 105.4 მლნ აშშ დოლარი; სიგარები, სიგარილები და სიგარეტები – 101.8 მლნ აშშ დოლარი; დანარჩენ საქონელზე კი მოდის – 6.2 მლრდ აშშ დოლარი.

საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2023 წლის იანვარი-სექტემბერი. საქსტატის მონაცემებით 2023 წლის იანვარ-სექტემბერში (წინასწარი მონაცემები) საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 15 910.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის პერიოდთან შედარებით 16.5%-ით გაზრდილია. მათ შორის ექსპორტი 12.7%-ით გაიზარდა და 4 607.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო იმპორტი 18.2%-ით გაიზარდა და 11 303.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 2023 წლის იანვარ-სექტემბერში, 6 696 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მაღალია და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 42.1% შეადგენს.

აღნიშნულ პერიოდში ადგილობრივი ექსპორტი (ექსპორტი რეექსპორტის გარეშე) წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 22.5% -ით შემცირდა, 2 172.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს მთლიანი ექსპორტის 47.1% შეადგინა (2022/9-68.6%). აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 9 თვეში ადგილობრივი ექსპორტის შემცირება ძირითა-

დად განხორციელდა შემდეგი პროდუქციის ხარჯზე: ფეროშენადნობი - 140 მლნ. აშშ დოლარი (კლება 67.1%) სპილენძის მადნები და კონცენტრატები - 433 მლნ. აშშ დოლარი (კლება 42.5%) აზოტოვანი სასუქები - 123 მლნ. აშშ დოლარი (კლება 40.7%).

საქართველოს მთლიანი ექსპორტის ზრდა ძირითადად ქვეყნის რეექსპორტის ზრდაზე მოდის. ასე მაგალითად, 2023 წლის იანვარ-სექტემბერში ქვეყნის რეექსპორტი 89.4%-ით გაიზარდა, 2 434.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი ექსპორტის 52.9% დაიკავა (2022/9-31.4%). რეექსპორტის ზრდა ძირითადად შემდეგი პოზიციების ხარჯზე განხორციელდა: სატვირთო ავტომობილები - 35.8 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 197%), მსუბუქი ავტომობილები - 1 566.1 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 164.4%), სიგარეტები - 71.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 155%), სამედიცინო ხელსაწყოები - 33.4მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 59%), სამკურნალო საშუალებები - 65.1 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 6%), გამომთვლელი მანქანები - 22.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 300%), მიკროავტობუსები - 20.7 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 1100%) და სხვ.

ბოლო წლებში ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბრუნვა, ექსპორტი, იმპორტი ზრდის ტემპით ხასიათდება და ამ ტენდენცია 2023 წლის იანვარ-სექტემბრის ჩათვლით გრძელდება. 2023 წლის იანვარ-სექტემბერში ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი (2 195.8 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (1 876.0 მლნ. აშშ დოლარი) და აშშ (1 471.8 მლნ. აშშ დოლარი). ქვეყნის უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნებია: აზერბაიჯანი (632.7 მლნ. აშშ დოლარი), სომხეთი (601.5 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (511.8 მლნ. აშშ დოლარი).

2023 წლის იანვარ-სექტემბერში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი მსუბუქმა ავტომობილებმა დაიკავა 1 566.1 მლნ. აშშ დოლარით, რაც მთელი ექსპორტის 34.0%-ს შეადგენს. მეორე ადგილს იკავებს სპილენძის მადნები და კონცენტრატები 438.1 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 9.5%), ხოლო მესამე ადგილზეა ყურძნის ნატურალური ღვინოები 193.5 მლნ. აშშ დოლარით (4.2 %).

2023 წლის იანვარ-სექტემბერში ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 70.8 % შეადგინა. პირველ სამეულში შედის: თურქეთი (1 861.2 მლნ. აშშ დოლარი), აშშ (1 399.4 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (1 364.3 მლნ. აშშ დოლარი). 2023 წლის იანვარ-სექტემბერში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი მსუბუქმა ავტომობილებმა დაიკავა

1 566.1 მლნ. აშშ დოლარით, რაც მთელი ექსპორტის 34.0%-ს შეადგენს. მეორე ადგილს იკავებს სპილენძის მადნები და კონცენტრატები 438.1 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 9.5%), ხოლო მესამე ადგილზეა ყურძნის ნატურალური ღვინოები 193.5 მლნ. აშშ დოლარით (4.2%).

ევროკავშირთან ბრუნვა 20%-ით გაიზარდა, 3 286 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს მთლიანი ბრუნვის 21% დაიკავა (2022/9-20%). ექსპორტი შემცირდა 7%-ით, 565.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს მთლიანი ექსპორტის 12.3% შეადგინა (2022/9-15%). იმპორტი 28%-ით გაიზარდა და 2 720.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, საქართველოს მთლიანი იმპორტის 24% დაიკავა (2022/9– 22%).

2023 წლის იანვარ-სექტემბერში დსთ-ს ქვეყნებთან სავაჭრო ბრუნვა 22%-ით გაიზარდა, 5 471 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს მთლიანი ბრუნვის 34% დაიკავა (2022/9 - 33%). ექსპორტი გაიზარდა 59%-ით, 2 969.2 მლნ. აშშ დოლარი და საქართველოს მთლიანი ექსპორტის 64.4% შეადგინა (2022/9-46%). იმპორტი 4%-ით შემცირდა, 2 501.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, საქართველოს მთლიანი იმპორტის 22% დაიკავა (2022/9–27%).

## დასკვნა

2022 წელს რეკორდულად გაიზარდა საქართველოს საგარეო ვაჭრობა. საგარეო სავაჭრო ბრუნვამ წინა წელთან შედარებით 33.4%-ით გაიზარდა და 19.1 მლრდ აშშ დოლარი გახდა. ქვეყნის ექსპორტი 5.58 მლრდ აშშ დოლარი, ხოლო იმპორტი 13.55 მლრდ აშშ დოლარია. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის საქონლის ექსპორტის მოცულობა უფრო მაღალი პროცენტით იზრდება, იმპორტთან შედარებით. პირველად ადგილობრივმა ექსპორტის მოცულობამ გადააჭარბა 3.7 მლრდ აშშ დოლარს.

მნიშვნელოვნად იზრდება ვაჭრობა რუსეთთან, განსაკუთრების საქართველოს ექსპორტი, რაც საფრთხეებთან და გამოწვევებთან არის დაკავშირებული. ხელისუფლება მუდმივად უნდა ცდილობდეს უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობა და განვითარება ისე, რომ ზიანი არ მიადგეს დასავლელ პარტნიორებთან არსებულ სავაჭრო და პოლიტიკურ კავშირებს, ეს ყველაფერი კი მთელ რიგ პრობლემებთანაა დაკავშირებული, რომელთაგან რუსეთთან სავაჭრო ურთიე-

რთობები მნიშვნელოვნად იზრდება. ასე მაგალითად 2021 და 2022 წლებში რუსეთი საქართველოს მე-2 უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანაა ექსპორტის, იმპორტის და სავაჭრო ბრუნვის მიხედვით.

მსოფლიოში ნავთობპროდუქტებზე გაზრდილ ფასებზე პასუხი მხოლოდ რუსეთიდან იმპორტის გაზრდა არ უნდა იყოს და ევროკავშირის ქვეყნების მსგავსად აუცილებელია ალტერნატიული ბაზრების მოძება.

ხელისუფლების მხრიდან გონივრული ნაბიჯები უნდა იქნას გადადგმული საიმპორტო და საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციისა და გაფართოებისთვის. აუცილებელია ქვეყნის ექსპორტის გაზრდა და განსაკუთრებით ადგილობრივი ექსპორტის გაზრდა, ასევე ქვეყნის უარყოფითი სავაჭრო სალდოს (5.86 მლრდ აშშ დოლარი) შემცირება.

აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან სწორი ნაბიჯების გადადგმა ევროკავშირთან ექსპორტის გაზრდისა და შემდგომი ინტეგრაციის მიმართულებით. მიუხედავად იმისა, რომ ასოცირების ხელშეკრულების შემდეგ ევროკავშირთან გაიზარდა ვაჭრობა, მაგრამ იგი უფრო დაბალი პროცენტით ვიდრე საქართველოს ექსპორტი.

უკრაინის კონფლიქტმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონა მხარეებს შორის ვაჭრობაზე. ასევე, Covid 19 პანდემიამ ნეგატიური გავლენა იქონია მსოფლიო და საქართველოს ვაჭრობაზე. 2020 წელს შემცირდა საქართველოს ექსპორტი (-12%), იმპორტი (-15.5%), სავაჭრო სალდო (-17.7%) და სავაჭრო ბრუნვა (-14.4%).

დაბოლოს, სასურველია ყურადღება დაეთმოს მარცვლეულით ვაჭრობის საკითხებს, განსაკუთრებით ხორბლის, ზეთის, ფქვილის, შაქარის და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის სასურსათო პროდუქტების საჭირო ოდენობის მარაგების შევსებასა და სამართლიან, ხელმისაწვდომ ფასებში რეალიზაციის საკითხებს.

# თავი 3. საქართველოს საგარეო ვაჭრობის რეგულირების თავისებურებები

საქართველოს საგარეო ვაჭრობის გაუმჯობესება ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი საფუძველია. საგარეო ვაჭრობის ეფექტიანობის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელი კი ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბალანსია. ამ თვალსაზრისით საგარეო ეკონომიკური პოლი-ტიკის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ექსპორტის ისეთი ზრდა, რომელიც უზრუნველყოფს მის მიახლოებას მაინც იმპორტთან. საქა-რთველოს საგარეო ვაჭრობა 2022 წლის იანვარი-ოქტომბერი (წინა-სწარი) საგარეო ვაჭრობის ზოგადი მაჩვენებლები 2017-2022 წლების იანვარ-ოქტომბერში (მლნ. აშშ დოლარი) 2022 წლის იანვარ-ოქტომბე-რში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკ-ლარირებული ვაჭრობის გარეშე) 15 228.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 33.5 პროცენტით მე-ტია. აქედან ექსპორტი 4 546.0 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (34.0 პრო-ცენტით გაიზარდა), ხოლო იმპორტი 10 682.4 მლნ. აშშ დოლარს (33.3 პროცენტით მეტია). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 2022 წლის იანვაროქტომბერში, 6 136.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 40.3 პროცენტია. (**წყარო:** geostat.ge)

საექსპორტო პოტენციალის ეფექტური გამოყენების სტიმულირე-ბის აუცილებელი პირობაა, არსებული ბუნებრივი, მატერიალური და შრომითი რესურსების რაციონალური და გეგმაზომიერი გამოყენება, პროდუქციის ხარისხის ამაღლება, თანამედროვე ტექნოლოგიების და-ნერგვა, ახალი სავაჭრო კავშირების დამყარება, ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა. საიმპო-რტო საქმიანობაში უნდა გამოიკვეთოს პრიორიტეტული მიმართულე-ბები და მათთვის შეიქმნას ხელშემწყობი პირობები.

საგარეო ვაჭრობის განვითარება და საქონელბრუნვის ზრდა, საქა-რთველოს ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის ერთ-ერთი უმნიშ-ვნელოვანესი პირობაა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს:

- ქვეყნის სავალუტო შემოსავლების შევსება;
- ხელი შეუწყოს ადგილობრივი წარმოების გაფართოებას და მო-სახლეობის დასაქმების ზრდას;
- მოახდინოს აუცილებელ, ანუ კრიტიკულ იმპორტზე შიდა ბაზ-რის მოთხოვნილების დაკმაყოფილება;

❖ ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ფორმირება და ეკონომიკის სტრუქტურული სრულყოფა;

❖ დააჩქაროს მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ქვეყნის სრულფასოვანი ინტეგრირების პროცესი.

უკვე მრავალი წელია, რაც საქართველოს გააჩნია უარყოფითი საგარეო სავაჭრო სალდო. სავაჭრო ბალანსის ზრდა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების დამახასიათებელი ნიშანია. მაგრამ იმპორტისა და სავაჭრო დეფიციტის ზრდაც ეკონომიკის რეალიზაციის ამ ეტაპზე მოსალოდნელი იყო. ამის საფუძვლად შემდეგი გარემოებები შეიძლება მივიჩნიოთ:

❖ დონორი ქვეყნების და საერთაშორისო საკრედიტო დაწესებულებების ფინასური დახმარება (გრანტები და შეღავათიანი კრედიტები). მართალია საქართველოსთვის გაწეული დახმარება 1995 წლიდან მცირდება, მაგრამ ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილიზაციის ფონზე მნიშვნელოვნად გაიზარდა წმინდა უცხოური ინვესტიციების მოცულობა რამაც განაპირობა იმპორტის ზრდის ტენდენციის შენარჩუნება;

❖ მზარდი ადგილობრივი შემოსავლები და აქედან გამომდინარე, შიდა მოთხოვნილებების სწრაფი ზრდა;

❖ სამამულო წარმოების ზრდის შედარებით დაბალი ტემპები. ქართული საექსპორტო პროდუქციის დაბალი კონკურენტუნარიანობა, რაც მოძველებული ტექნოლოგიების გამოყენებით, ერთეულ პროდუქციაზე მუშახელის სიჭარბით და ძირითადი ფონდების მაღალი ღირებულებით არის განპირობებული. საქართველოს ეკონომიკის მთელი რიგი დარგები, რომელთა მუშაობაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საექსპორტო და იმპორტშემცვლელი პროდუქციის წარმოება, ჯერ კიდევ არასტაბილურად მუშაობს. ბევრ ისეთ სექტორში, სადაც ქვეყანას გააჩნია მნიშვნელოვანი საწარმოო პოტენციალი, პროდუქციის იმპორტი სჭარბობს შიდა პროდუქციას. ეს იმ დროს, როდესაც შიდა ბაზრის გაჯერება ადგილობრივი საქონლით და იმპორტით შემცირება უშუალოდ არის დამოკიდებული იმპორტშემცვლელი პროდუქციის წარმოების მოცულობასა და ხარისხზე.

საქართველოს აქვს პერსპექტივა, რათა ევროკავშირისა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში განახორციელოს აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი. თანამედროვე ეტაპზე საქართველო ახორციელებს ძირითადად შემდეგი სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ექსპორტს:

ღვინო, თხილი, კაკალი, ნუში, ხილის ჩირი მოცვი, კივი, ბროწეული, კურკოვანი კულტურები, ვარდის ზეთი, სტაფილოს თესლის ზეთი, ჩაი, მწვანილი, დაფნა, მატყლი, თაფლი. მაგრამ მათი მოცულობების ზრდა ღვინისა და თხილის გარდა მიმდინარეობს დაბალი ტემპებით რასაც მრავალი შემაფერხებელი ფაქტორი განაპირობებს.

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა. საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულ იქნა როგორც სატარიფო პოლიტიკისა, ასევე ტექნიკური რეგულირების სფეროს რეფორმა, რის შედეგადაც საქართველოს დღეისათვის გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, რაც გულისხმობს გამარტივებულ საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს, დაბალ საიმპორტო ტარიფებსა და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებას.

თანამედროვე ეკონომიკა, როგორც საბაზრო კავშირებისა და მათი ურთიერთგანპირობებულობის რთული სისტემა, წარმოუდგენელია სახელმწიფოებრივი რეგულირების გარეშე. მრავალწლიანი მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს მაკროეკონომიკური რეგულირების ობიექტურ აუცილებლობას. დაწყებული დიდი დეპრესიის პერიოდიდან, ეკონომისტები და პოლიტიკოსები დარწმუნდნენ, რომ საბაზრო ეკონომიკას არ შეუძლია გადაწყვიტოს ქვეყნის ნორმალურ ფუნქციონირებასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემა. მართალია, საბაზრო ეკონომიკა თავისი არსით თვითრეგულირებადი სისტემაა, მაგრამ „უხილავი ხელის" მოქმედებას აქვს გარკვეული საზღვრები, რომლის იქითაც იგი უძლურია და არ შესწევს უნარი დაძლიოს ქვეყნის შიგნით თუ მის გარეთ არსებული წინააღმდეგობები. ბაზარს ახასიათებს უამრავი დეფექტი და ნაკლოვანება, რომელიც სახელმწიფოს ჩარევას მოითხოვს.

ზოგადად, ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო რეგულირება გულისხმობს, ცივილიზებული ბაზრის ფორმირების დროს, ეკონომიკის მყარი განვითარების მიზნით დიდი რაოდენობის მეთოდებისა და ხერხების ერთობლიობის გამოყენებას. მყარი ეკონომიკური განვითარება უნდა იყოს მთელი საზოგადოების ინტერესში, ხოლო მისი რეგულირება მოიცავდეს საზოგადოებრივი კვლავწარმოების ყველა მხარეს. აქ სახელმწიფოს უნდა ეკავოს წამყვანი ადგილი. დღეს უკვე დამტკიცებულია, რომ ბაზარს არ შეუძლია დაარეგულიროს ეროვნული და რეგიონალური ეკონომიკური პროგრამების რეალიზაცია, გა-

დაწყვიტოს უმუშევრობის პრობლემები, უზრუნველყოს ვალუტის კონვერტირებადობა და ფულადი მიმოქცევის აწყობა, ფუნდამენტალური კვლევების ჩატარება და სხვა. ნებისმიერი სამეურნეო ობიექტის უფრო ზუსტი პროგნოზირებისათვის აუცილებელია გვქონდეს არა მხოლოდ სამეურნეო სუბიექტების, არამედ მთელი ეროვნული ეკონომიკის, მისი ცალკეული ქვესისტემის, კომპონენტებისა და ელემენტების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. ამასთან აუცილებელია უწყვეტლივ დაიხვეწოს თვით პროგნოზირების მეთოდოლოგია, მის პრაქტიკულ გამოყენებასთან კავშირში.

ეკონომიკურ პოლიტიკას დღევანდელ სამყაროში დიდი ხანია სჭირდება ცვლილებები. ეს ეხება როგორც შეერთებულ შტატებში, ასევე ზოგადად დასავლეთს. იდეები, რომლებიც დომინირებდნენ 1980-იანი წლებიდან (მათ სხვაგვარად უწოდებენ: ვაშინგტონის კონსენსუსი, საბაზრო ფუნდამენტალიზმი, ნეოლიბერალიზმი) თავდაპირველად პოპულარული გახდა, რადგან კეინზიანიზმი აღიქმებოდა როგორც რაღაც არასწორი, ასევე გადაჭარბებული სახელმწიფო რეგულირების გამო. მაგრამ ამ იდეებმა მიიღო საკუთარი სიცოცხლე და წარმოშვა უაღრესად ფინანსიალიზირებული, უთანასწორო და არასტაბილური ეკონომიკა, რომელიც ცუდად არის მომზადებული ჩვენი დროის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევების გადასაჭრელად: კლიმატის ცვლილება, სოციალური ინკლოზია (ჩართულობა),რევოლუციური ახალი ტექნოლოგიები.

სასარგებლო იქნებოდა პარადიგმის აუცილებელი ცვლის დაწყება იმის მიხედვით, თუ როგორ ვასწავლით ეკონომიკას. ეკონომისტები აფასებენ ბაზრის ძალას საერთო ეკონომიკური აღმავლობისთვის. ადამ სმიტის “უხილავი ხელი” (ეს არის იდეა, რომ ეგოისტი ადამიანები, რომლებიც პირადი გამდიდრების გარდა არაფერს ეძებენ, შეიძლება შექმნან კოლექტიური კეთილდღეობა და არა სოციალური ქაოსი) ეკონომისტების ერთ-ერთი გვირგვინოვანი ძვრფასეულობაა. მაგრამ ამავე დროს, ეს ღრმად ალოგიკური რჩება და, ალბათ, ამიტომაც არის, რომ ეკონომისტები დიდ დროს უთმობენ ქადაგებას ბაზრების ჯადოსნური ძალის შესახებ.

ამასთან, ეკონომიკა არ არის თავისუფალი ბაზრების საქებარი სიმღერა. უფრო მეტიც, ეკონომიკური განათლების უმეტესი ნაწილი ყურადღებას ამახვილებს (კონცენტრირებულია) იმაზე, თუ როგორ შეიძლება გამოიწვიოს ბაზრებმა ჭარბი უთანასწორობა და მათ უუნარო-

ბაზე ეფექტურად გაანაწილონ რესურსები. იდეალური კონკურენტული ბაზრები, რომლებიც ჰარმონიულად ქმნიან სტაბილურ წონასწორობას, მრავალი სხვადასხვა შესაძლებლობიდან მხოლოდ ერთერთია. სმითის მოდელი არ არის ერთადერთი. ამის მიუხედავად, ბევრ ეკონომისტს აქვს მუხლის პოზირების რეფლექსი: ისინი ყოველთვის ხედავენ კარგად ფუნქციონირებულ, კონკურენტუნარიან ბაზრებს, როგორც მთავარ ორიენტირს, როდესაც ლესე-ფერ პოლიტიკის სავარაუდო უარის თქმის ნებისმიერ შემოთავაზებას (სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩაურევლობა) განიხილავენ.

საბედნიეროდ, უკვე არსებობს ეკონომიკის სწავლების ახალი პარადიგმა. პროექტი CORE არის სწავლების ონლაინ საშუალება და ღია წვდომისთვის უფასო სახელმძღვანელო. ამ პროექტის უკან დგას ორი შორსმხედველი სტრატეგი, ცნობილი ეკონომისტები, სამუელ ბოულზი სანტა-ფეს ინსტიტუტიდან და ვენდი კარლინი, ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯიდან. ამასთან, მის განვითარებაში ასევე მონაწილეობს მთელი მსოფლიოს ეკონომისტების დიდი ჯგუფი. ამ პროგრამას დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტების ეკონომიკის ფაკულტეტების უმეტესობა უკვე იყენებს.

CORE-ს მიდგომის მთავარი უპირატესობა ის არის, რომ იგი დაუყოვნებლივ განიხილავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა უთანასწორობა და კლიმატის ცვლილებები. პედაგოგიური თვალსაზრისით, აქ უფრო საინტერესო სიახლეა სხვაგან: ეკონომიკის სტანდარტული ორიენტირები იცვლება უფრო რეალისტური და სასარგებლო ალტერნატიული ორიენტირებით. მაგალითად, ტრადიციული ეკონომიკისგან განსხვავებით, CORE თვლის, რომ ადამიანები არიან პროსოციალურები და ახლომხედველები არიან და არა ეგოისტები და შორსმხედველები. კონკურენცია უფრო არასრულყოფილია ვიდრე სრულყოფილი, მას ახასიათებს პრინციპი “გამარჯვებული იღებს ყველაფერს”. ძალა ყოველთვის არის კლიენტ-აგენტის ურთიერთობაში შრომისა და საკრედიტო ბაზრებზე და არ აღიქმება როგორც რაღაც ბუნდოვანი ან ეგზოგენური. ეკონომიკური რენტა საყოველთაოა და კარგად ფუნქციონირებად ეკონომიკაში ყველგან საჭიროა, ის იშვიათობა ან პოლიტიკური შეცდომის შედეგი არაა.

ეს ახალი პარადიგმა ეკონომიკის სწავლებაში და თავად ეკონომიკაში ხელს უწყობს მისი სოციალური შედეგების უკეთ გაგებას. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ეს არ ქმნის ეკონომიკური პოლიტიკის ახალ პარადიგმას. და ასეც უნდა იყოს.

ჩვენს ყველა წინა პოლიტიკურ პარადიგმებს - მერკანტილისტური, კლასიკურ ლიბერალური, კეინზიანური, სოციალ-დემოკრატიული, ორდოლიბერალური (დასავლეთ გერმანული) ან ნეოლიბერალული - მნიშვნელოვან ნაკლოვანებები ჰქონდა, რადგან ისინი განიხილებოდა როგორც უნივერსალური პროგრამები, რომლებიც ყველგან და ნებისმიერ დროს იყო გამოყენებადი. მაგრამ თითოეული ამ პარადიგმის ნაკლოვანებამ გარდუვალად დაჩრდილა მათი ინოვაციური მიდგომები ეკონომიკური მმართველობის ჩვენეულ გაგებაში. შედეგი იყო გადახრები და რხევები გადაჭარბებულ ოპტიმიზმსა და პესიმიზმს შორის სახელმწიფოს როლის შესახებ ეკონომიკაში.

ამა თუ იმ ეკონომიკურ პოლიტიკასთან დაკავშირებით ნებისმიერ კითხვაზე სწორი პასუხი იქნება: "გარემოებებიდან გამომდინარე". ჩვენ გვჭირდება ეკონომიკური ფაქტები და ანალიზი იმის მისაღებად, თუ რა დეტალებზეა დამოკიდებული სასურველი შედეგი. ჭეშმარიტად სასარგებლო საკვანძო სიტყვები ეკონომიკურ მეცნიერებაში არის - არა წინასწარ განჭვრეტადი გარემოებები, კონტექსტუალურობა და არა უნივერსალურობა. ეკონომიკა გვასწავლის, რომ არის საბიუჯეტო ექსპანსიის დრო და საბიუჯეტო შეზღუდვის დრო.არის პერიოდები, როდესაც მთავრობა უნდა ჩაერიოს ღირებულების ჯაჭვში და დრო, როდესაც მან მარტო უნდა დატოვოს ბაზრები. ზოგჯერ გადასახადები უნდა იყოს მაღალი და ზოგჯერ დაბალი. ვაჭრობა ზოგიერთი მიმართულებით უნდა იყოს უფრო თავისუფალი და სხვაგან დარეგულირებული. კავშირების დამყარება რეალური სამყაროს გარემოებებსა და მთავრობის გარკვეული ტიპის ინტერვენციის მიზანშეწონილობას შორის - აი, რითაა ნამდვილად კარგი ეკონომიკა. (Beware Economists Bearing Policy Paradigms, May 11, 2021; DANI RODRIK. https://www.project-syndicate.org/commentary/economic-policy-must-abandon-universal-paradigms-by-dani-rodrik-2021-05; Nobel prize-winning economist Paul Krugman explains why he's more left-wing than the Modern Monetary Theory crowd. HTTPS://WWW.BUSINESSINSIDER.COM/PAUL-KRUGMAN-MODERN-MONETARY-THEORY-INFLATION-STIMULUS-FEDERAL-RESERVE-POLICY-2021-5 ).

ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის, როგორც ფორმები ასევე მასშტაბები არ წარმოადგენს ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ დოგმას და იცვლებიან ქვეყნის კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე. ნორმალურ პირობებში ყველა ქვეყანაში ყალიბდება კონკრეტული პირო-

ბებისადმი ოპტიმალური სახელმწიფო რეგულირების ზომა. კრიტიკულ პირობებში შესაძლებელია გამოვიყენოთ დამატებითი ბერკეტები, არასტანდარტული გადაწყვეტილებები. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო რეგულირების ზომის სწორად და დროულად შერჩევას. ამჟამად საქართველოში საბაზრო სისტემის ფორმირების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ფორმების და მეთოდების შესწავლას, ჩვენი ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით მისადმი მისადაგებასა და პრაქტიკაში დანერგვას.

**საქართველოს საგარეო ვაჭრობა რეგულირდება შემდეგი კანონებით:**

❖ **საქართველოს საგადასახადო კოდექსის 27-ე თავი** - განსაზღვრავს სააქციზო კონტროლს დაქვემდებარებულ პროდუქციის ჩამონათვალს და სააქციზო განაკვეთებს.

❖ **საქართველოს საგადასახადო კოდექსის 28-ე თავი -** განსაზღვრავს იმპორტის დაბეგვრის ობიექტებს, საქონლის საიმპორტო გადასახადების განაკვეთებს, ასევე ზოგიერთი სახის პროდუქციის საიმპორტო გადასახადისაგან გათავისუფლებას და იმპორტთან დაკავშირებულ სხვა რეგულაციებს.

❖ **საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ;**

❖ **შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის შესახებ კანონი; პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი.**

❖ საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულ იქნა როგორც სატარიფო პოლიტიკისა, ასევე ტექნიკური რეგულირების სფეროს რეფორმა, რის შედეგადაც საქართველოს დღეისათვის გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, რაც გულისხმობს გამარტივებულ საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს, დაბალ საიმპორტო ტარიფებსა და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებას.

საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური და კონკურენტული სავაჭრო რეჟიმი აქვს. საკანონმდებლო ცვლილების შესაბამისად, 2006 წლის 1 სექტემბრიდან საიმპორტო ტარიფების 16 სატარიფო განაკვეთი შემცირდა 3 განაკვეთამდე (0, 5 და 12%). საიმპორტო ტარიფები გაუქმდა პროდუქციის დაახლოებით 85%-ზე. აღარ

არსებობს სეზონური ტარიფები. იმპორტირებულ საქონელზე ტარიფი დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის XXVIII-ე თავის შესაბამისად.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ექსპორტი ან რეექსპორტი საქართველოდან განთავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან. გამომდინარე იქიდან, რომ 1997 წლის 1 სექტემბრიდან საქართველო იყენებს საქონლის დამატებული ღირებულების დაბეგვრას დანიშნულების ქვეყნის პრინციპით, ექსპორტი საქართველოდან დღგ-თი არ იბეგრება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, დამატებული ღირებულების გადასახადის და სააქციზო გადასახადის განაკვეთები ადგილობრივ და იმპორტირებულ პროდუქციაზე თანაბარია.

ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად კანონმდებლობით საგარეო ვაჭრობაში არ არის გათვალისწინებული რაიმე არასატარიფო შეზღუდვები (ლიცენზირება, კვოტირება, აკრძალვები და სხვა) გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვისათვის.

აკრძალულია კულტურულ ფასეულობათა საქონლის საქართველოდან ექსპორტი კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ განსაზღვრული ნუსხის მიხედვით.

**საქართველოს საგარეო ვაჭრობის რეჟიმები, საერთაშორისო ხელშეკრულებები, შეთანხმებები, კონვენციები:**

**უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (Most-Favored-Nation).** საქართველოს სავაჭრო პარტნიორების უმეტესობა არის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) წევრი და შესაბამისად, ვმო-ს წევრ ქვეყნებთან (164 ქვეყანა) სავაჭრო ურთიერთობები ხორციელდება "უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის" (MFN) საფუძველზე.

**პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა (Generalized System of Preferences - GSP).** პრეფერენციების განზოგადებული სისტემის (GSP) ძირითადი არსია ბენეფიციარი ქვეყნებიდან იმპორტირებულ საქონელზე საბაზო საიმპორტო ტარიფის შემცირებული განაკვეთების დაწესება, რაც აადვილებს განვითარებადი ქვეყნების საქონლის შეღწევას განვითარებული ქვეყნების ბაზარზე. საქართველო არის შემდეგი ქვეყნების პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის რეჟიმის ბენეფიციარი: **აშშ**, **იაპონია**, და **კანადა** .

**თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი** გულისხმობს შეთანხმების მონაწილე მხარეებს შორის ვაჭრობის გათავისუფლებას საბაჟო-საიმპორტო გადასახადისაგან, გარდა ურთიერთშეთანხმებული გამონაკლისებისა. საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი აქვს დსთ-ს ყველა ქვეყანასთან, თურქეთთან და ევროკავშირთან. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან (EFTA).

## მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) წევრ ქვეყნებთან, გარდა რუსეთის ფედერაციისა, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი რეგულირდება "თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ" დსთ-ს 1994 წლის მრავალმხრივი შეთანხმებით, და ასევე ორმხრივ ფორმატში იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც საქართველოს გაფორმებული აქვს ასეთი სახის ორმხრივი შეთანხმება.

საქართველო ასევე არის დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია სუამ-ის ფარგლებში მოქმედი "თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ" 2002 წლის მრავალმხრივი შეთანხმების მონაწილე ქვეყნა.

**2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ (DCFTA) შეთანხმება.**

2018 წლის 20 მარტს, ქ. ბრიუსელში (ბელგიის სამეფო) გაიმართა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული საბაჟო ქვეკომიტეტის შეხვედრა. შეხვედრის ფარგლებში ხელი მოეწერა ქვეკომიტეტის გადაწყვეტილებას, რომლის საფუძველზეც მოხდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების „საქონლის წარმოშობის" ცნების განსაზღვრისა და ადმინისტრაციული თანამშრომლობის მეთოდების წესების შესახებ ოქმი I-ის ჩანაცვლება პან-ევრო-ხმელთაშუა ზღვის პრეფერენციული წარმოშობის წესების რეგიონალური კონვენციის შესაბამისი დანართით.

აღნიშნული ცვლილება იძლევა საშუალებას ამოქმედდეს დიაგონა-

ლური კუმულაცია ევროკავშირს, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის მას შემდეგ, რაც თურქეთის მხარე მოახდენს საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების შესაბამისი ცვლილების რატიფიცირებას. საქართველომ უკვე დაასრულა აღნიშნული ცვლილების რატიფიცირების პროცედურები.

**პან-ევრო-ხმელთაშუა ზღვის პრეფერენციული წარმოშობის შესახებ რეგიონული კონვენცია.** 2019 წლის 21 ოქტომბერს, მიღებულ იქნა „საქართველოსა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოს შორის სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება," რომელიც ძალაშია 2020 წლის 31 დეკემბრიდან.

**საქართველოსა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოს შორის სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება.**

საქართველოს **ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები** გაფორმებული აქვს შემდეგ ქვეყნებთან: რუსეთის ფედერაცია, აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა, მოლდოვა, ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი თურქეთი.

❖ **„თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის".**

❖ **2016 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციას (EFTA) შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას. 2017 წლის სექტემბრიდან შეთანხმება ძალაში შევიდა ნორვეგიისთვის და ისლანდიისთვის, ხოლო შვეიცარიასა და ლიხტენშტეინთან 2018 წლის პირველი მაისიდან.**

**ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო-ს) შეთანხმებები:**

**გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ (GATT)** - შეთანხმების ძირითადი მიზანია ვაჭრობის ლიბერალიზაცია, სავაჭრო ბარიერების შემცირების, მათ შორისპროტექციონისტული ტარიფების დონის დაწევის გ ზით.

**გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობის შესახებ (GATS)** - წარმოადგენს მრავალმხრივ დონეზე შეთანხმებულ იმ სავაჭრო წესებისა და ნორმების კრებულს, რომელიც არეგულირებს მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობას.

**ინტელექტურალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან და-**

**კავშირებული ასპექტების შესახებ (TRIPS)** - შეთანხმება ძირითადად სახელმწიფოთა წინაშე აყენებს მოთხოვნებს, რომლებიც ეხება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევის საკითხებს.

**ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ (TBT)** - შესაბამისად თითოეული წევრის მიერ შემოღებული უნდა იყოს ტექნიკური რეგულაციები იმგვარად, რომ მათ არ შექმნან საერთაშორისო ვაჭრობაში ზედმეტი დაბრკოლებები.

**სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების გამოყენების შესახებ (SPS)**- შეთანხმებით არ არის განსაზღვრული საქონლის იმპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტისათვის რაიმე აკრძალვითი ან ლიცენზირებადი ღონისძიებები, გარდა იმ ღონისძიებებისა, რომლებიც მიზნად ისახავს ადამიანის ჯანმრთელობის, ცხოველებისა და მცენარეების დაცვას.

სახელმწიფოს როლი მრავალ ღონისძიებებში გამოიხატება, მას შეუძლია შექმნას თანაბარი პირობები ყველა ინდივიდისათვის, რაც დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების საწინდარია. სახელმწიფო ვალდებულია განახორციელოს საზოგადოებისათვის აუცილებელი და სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმიანობა, რისთვისაც ასრულებს სხვადასხვა ფუნქციებს. შეიძლება გამოვყოთ კანონშემოქმედებითი, მეწარმეობრივი და საერთაშორისო ფუნქციები.

სახელმწიფოს საკანონმდებლო ფუნქცია გულისმობს ისეთი კანონების შემუშავებას და ამოქმედებას, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოების ნორმალურ არსებობას და განვითარებას. სამეწარმეო საქმიანობის მასტიმულირებელი კანონმდებლობა არის ნამდვილი რეგულატორი საბაზრო მექანიზმისა, რადგან საკანონმდებლო ბაზა სახელმწიფოს ხელშია, სწორედ მას შეუძლია „თამაშის წესების" დადგენა. სახელმწიფოს სამეწარმეო ფუნქცია მოიცავს ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა ფორმებს, რასაც საფუძვლად უდევს სახელმწიფო საკუთრება. სახელმწიფო საკუთრებაში შესაძლებელია დარჩეს ეკონომიკის საერთო ეროვნული მნიშვნელობის დარგები. სერიოზულ მხარდაჭერას საჭიროებს სახელმწიფოსაგან უცხოური ინვესტიციები. ამ სახსრების მოზიდვა შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით. ეს პროცესი ჩვენი ეკონომიკისათვის ძალზედ მომგებიანია. ჯერ ერთი, კაპიტალის ნაკლებობისა და მოძველებული ტექნოლოგიის პირობებში ეს ინვესტიციები დაეხმარება ქვეყანას სამრეწველო ბაზის მოდერნიზაციაში, გაიზრდება ქვეყნის სამრეწველო პოტენციალი, დაინერგება

შრომითი გამოცდილებები. ეს პროცესები მოითხოვს უცხოელ ინვესტორთა მოგების კონცენტრაციას და უცხოური კაპიტალის უსაფრთხოების უზრუნველყოფას. თუმცა სახელმწიფომ არ უნდა მიანიჭოს გადაჭარბებული მნიშვნელობა უხოურ ინვესტიციებს, რადგან მთავარი ფაქტორი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა არის ეროვნული ეკონომიკის აღორძინება. ამრიგად, უცხოურ ინვესტიციებთან ერთად მნიშვნელოვანი როლი უნდა მიენიჭოს ადგილობრივი რესურსების ეფექტურ გამოყენებას. დღეს, საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს აგრარული ურთიერთობები თამაშობს. მაგრამ ბოლო პერიოდში ქვეყნის აგრარული სექტორის მდგომარეობა არასტაბილურია. ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი ჯ.კეინზი აღნიშნავდა, რომ რაც უფრო სუსტია ქვეყნის ეკონომიკა, მით უფრო საჭიროა სახელმწიფო ჩარევა. ამიტომ ქვეყნის სოფლის მეურნეობაში მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლისათვის და მისი თანამედროვე ინდუსტრიულ-აგრარულ სახელმწიფოდ გადაქცევისათვის აუცილებელია სტრატეგიული ამოცანების დასმა, რომლის გადაწყვეტის ფუნქცია სახელმწიფომ უნდა შეასრულოს. საჭიროა ხელისუფლების მიერ აგროსექტორისადმი მხარდაჭერის პოლიტიკის გააქტიურება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სასურსათო კომპლექსის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი პირობები. პირველ რიგში ეს ეხება სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალიზაციას, მისი სტრუქტურის თვისობრივად შეცვლას. ეს კი მომავალში ისეთი მიმართულებით უნდა განვითარდეს, რომ საფუძველი შეუქმნას სასურსათო პროდუქტების ადგილზე წარმოების განვითარებას დაჩქარებული ტემპებით და ძირითადად დააკმაყოფილოს ქვეყნის მოთხოვნილებები სასურსათო პროდუქტზე. საჭიროა შეიქმნას მტკიცე საკანონმდებლო ბაზა, განსაკუთრებით საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, რადგან ეკონომიკური პოლიტიკა სათანადოდ არ ითვალისწინებს ადგილობრივი მწარმოებლების ინტერესებს უცხოური ფირმების საქართველოში შემოსვლის დროს.

დღეს ყველაზე აქტიურად გამოიყენება შერეული მეთოდები, წესები და რეგულაციები რომელიც ექსპორტის წახალისებაზეა მიმართული, თუმცა არა ეკონომიკაში ჩარევის პრინციპით, არამედ წახალისების გზით:

- იაფი კრედიტის უზრუნველყოფით;
- ინვესტიციების მიმზიდველი პოლიტიკის განხორციელებით;
- ინფრასტრუქტურის განვითარებით.

როგორც დასაწყისში უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში იმპორტი თითქმის ოთხჯერ აღემატება ექსპორტს. ვითარების მოგვარება შეიძლება მხოლოდ **იმპორტის ჩანაცვლებითი და ექსპორტზეორიენტირებული წარმოებების შექმნით** ეკონომიკის პრიორიტეტულად აღიარებულ (მიჩნეულ) სექტორებსა და ქვესექტორებში. წარმოების ზრდის რეგულაციებით ეტაპობრივად უნდა ჩავანაცვლოთ იმპორტირებული საქონელი და ადგილზე შევქმნათ რეალური ინდუსტრია თითოეული რეგიონის მიხედვით უნდა შევიმუშაოთ კონკრეტული გეგმები, შევისწავლოთ პოტენციალი თითოეულ რეგიონის ეფექტიანად გამოვიყენოთ საქართველოს შესაძლებლობები.მნიშვნელოვანია, რომ გამოიძებნოს ამისთვის საჭირო დაფინანსდება. მაქსიმალურად უნდა ავითვისოთ ყველა ის მიწის ფართობი. იქნება ეს თხილის, ჩაის პლანტაციები, მოცვის თუ სხვა კულტურების გაშენება სამეგრელოში, გურიაში და სხვაგან. ყველა რეგიონის თავისებურებების გათვალისწინებით, თავისი გადამამუშავებელი საწარმოების, სამაცივრე და შესანახი მეურნეობის განვითარებით. ქვეყანას სჭირდება გზები, ხიდები, ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების ურბანული განახლება, რაც გათვალისწინებულია საქართველოს პროექტით - „განახლებული რეგიონები". აღნიშნული პროექტი, გულისხმობს თანამედროვე ევროპული ტიპის ცენტრების შექმნას, რათა ყველა ქალაქი, ყველა მუნიციპალიტეტი ვაქციოთ რეალურად ევროპული ტიპის ქალაქებად და მუნიციპალიტეტებად, ვიზუალით, განვითარების დონითა და სტანდარტებით.

# თავი 4. საქართველოს ეკონომიკაზე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მონაწილეობის ზეგავლენა

**„ქვეყნისთვის, ყველასათვის, ერთნაირად ღია ბაზარი უმჯობესია, იმიტომ რომ ყოველის კაცისათვის ისა სჯობია, საშუალება ჰქონდეს, საჭირო საქონელი იქ და იმისგან იყიდოს, საცა და ვისაც უფრო კარგი საქონელი აქვს და უფრო იეფი ჩემ-შინაობის განურჩევლად".**

ილია ჭავჭავაძე

ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ეკონომიკების განვითარებას და წარმატებულ ფუნქციონირებას ხელს უწყობს საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის მნიშვნელოვანია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (WTO, ვმო). ცნობილია, რომ 164 წევრი ქვეყნისგან შემდგარი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია მოწოდებულია გაამარტივოს სავაჭრო ურთიერთობები ქვეყნებს შორის და იმოქმედოს, როგორც სავაჭრო დავების მოგვარების ინსტიტუტმა. საქართველო 2000 წლის 14 ივლისიდან ამ ორგანიზაციის წევრია.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია შეიქმნა 1995 წლის 1 იანვრს ურუგვაის რაუნდის შეთანხმების საფუძველზე. მის შექმნას წინ უძღვოდა ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმება (GATT), რომელიც დაიდო 1947 წელს, ხოლო ძალაში შევიდა 1948 წელს. მისი მიზანი იყო წევრ ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობა, რაც გამოიხატა ტარიფების რეგულირებისა და შემცირების შესახებ მოლაპარაკებების წარმოებაში. მისი მიზანია შეამციროს საერთაშორისო ვაჭრობაში სატარიფო და არასატარიფო ბარიერები. ტარიფების შემცირება ნაბიჯ-ნაბიჯ, 8 რაუნდად მიმდინარეობდა. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია მოქმედებს, როგორც ყოვლისმომცველი ორგანიზაცია, რომელიც მოიცავს ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმების და მისი ტიპის კიდევ ორ ორგანოს(მომსახურებასა და ინტელექტუალურ საკუთრევაზე). მსო-ს გენერალურმა შეთანხმებამ მომსახურებით ვაჭრობაზე აილო ინიციატივა, რომ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები გავრცელებულიყო მომსახურებაზე. მსო-ს შეთანხმება ვაჭრობასთან დაკავშირებულ ინტელექტუალურ საკუთრებათა უფლებებზე არის

იმის მცდელობა, რომ აღმოიფხვრას დარღვევები ინტელექტუალურ საკუთრებათა უფლებების დაცვის სფეროში და მოექცეს საერთაშორისო წესების ქვეშ. ვმს დღესდღეობით იგი 164 წევრ ქვეყანას ითვლის, რომელთა წილად მოდის საერთაშორისო ვაჭრობის 95 პროცენტზე მეტი. ვმო წარმოადგენს საერთაშორისო ფორუმს ქვეყანთა შორის სავაჭრო ბარიერების გაუქმების შესახებ მოლაპარაკებებისათვის.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობის და გლობალიზაციის ხელშემწყობ საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს გლობალური ეკონომიკური პროცესების შემდგომ ხელშეწყობაში.

ცნობილია, რომ ეკონომიკის გლობალიზაციის ზრდას განაპირობებს შემდეგი ფაქტორები, ვაჭრობაში ქვეყნებს შორის ბარიერების შემცირება, რაც ხელს უწყობს საქონლის, მომსახურებისა ვაჭრობის ზრდას და სამეცნიერო ტექნიკური პროგრესი, განსაკუთრებით კომუნიკაციის სფეროში და სატრანსპორტო ტექნოლოგიებში. შემცირებული სატრანსპორტო დანახარჯები ვაჭრობას კიდევ უფრო მომგებიანს ხდის. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია სავაჭრო ბარიერების შემცირებას უწყობს ხელს მსო-ს ძირითადი მიზანებია: თავისუფალი ვაჭრობის განვითარება, ბაზრების გახსნის შესახებ მოლაპარაკებების წარმოება, სავაჭრო დავების გადაწყვეტის მექანიზმის შემუშავება.

ცნობილია, რომ 1920-1930-იან წლებში მსოფლიოს განვითარებულმა სახელმწიფოებმა დააწესა მაღალი ბარიერები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო ვაჭრობას. დაწესდა მაღალი სავაჭრო ბარიერები მაღალი ტარიფების სახით იმპორტირებულ საქონელზე. ასეთი ტარიფების მიზანი იყო ადგილობრივი მწარმოებლების დაცვა უცხოელი კონკურენტებისაგან. თუმცა ამ პოლიტიკის ერთ-ერთი შედეგი ის იყო, რომ მან სხვადასხვა ქვეყნების მხრიდან ადეკვატური იმავე სახეობის ბარიერების შექმნა გამოიწვია. აღნიშნულს შედეგად 1930 წლის ე.წ „დიდი დეპრესია" მოჰყვა. ასეთი მწვავე გამოცდილების შედეგად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთის განვითარებული ქვეყნები დათანხმდნენ ბარიერების შემცირებას, რათა მომხდარიყო საქონლისა და მომსახურების თავისუფალი მიმოქცევა მსოფლიო ბაზარზე. ამ შეთანხმებას ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმება ეწოდა. მის საფუძველზე ქვეყნებმა დაიწყეს მუშაობა არსებული ბარიერების გაუქმებაზე. ამ მიზნით ჩატარებული ერთ-ერთი მოლაპარაკება, რომელსაც ურუგვაის რაუნდი ეწოდება, გაიმართა

1993 წლის დეკემბერში. სავაჭრო ბარიერების გაუქმებამ დააჩქარა ეკონომიკის გლობალიზაცია. მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიო ვაჭრობის მოცულობამ სწრაფი ზრდა დაიწყო, ის იმაზე მეტად იზრდებოდა, ვიდრე მსოფლიოს ეკონომიკა 1950 წლიდან. 1970 წლიდან 2010 წლამდე მსოფლიო ვაჭრობის მოცულობა ოცდათხუთმეტჯერ გაიზარდა, მსოფლიო წარმოების მაჩვენებელს 8-ჯერ გადააჭარბა. სავაჭრო ბარიერების შემცირებამ მსოფლიო ეკონომიკის ზრდის ტენდენცია გამოიწვია 1980 წლიდან.

სავაჭრო ბარიერების შემცირებამ გამოიწვია შემდეგი ტენდენციები: პირველი, მსოფლიო ბაზრების ეფექტიანად დასაუფლებლად მსხვილი კომპანიების უმეტესობა საკუთარ ფილიალებს ქვეყნის გარეთ ანთავსებს; მეორე, მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკები ისეთ ხასიათს იძენს, რომ თანდათან ნათელი გახდა მათ შორის მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულების აუცილებლობა; მესამე, მსოფლიოს საერთო სიმდიდრე 1950 წლიდან დღემდე მნიშვნელვნად გაიზარდა, ამ ფაქტის გამომწვევი მიზეზი კი მსოფლიო ვაჭრობის მნიშვნელოვანი და ინტენსიური ზრდაა. 1980-იანი წლებიდან საერთაშორისო ვაჭრობა მნიშვნელოვნად იზრდება მომსახურების სფეროს ხარჯზე. მეოცე საუკუნის ბოლოს და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში წინა პერიოდთან შედარებით მომსახურების ვაჭრობა გაიზარდა 4.5-ჯერ, ხოლო საქონლით საერთაშორისო ვაჭრობა ამავე პერიოდში 3.5-ჯერ. ამ დროისათვის მომსახურების წილი მსოფლიო ბაზარზე შეადგენს 20%-ს. სწორედ ამ მაჩვენებლის შესაბამისად უამრავი კომპანია ეწევა მომსახურების სფეროში საქმიანობას საერთაშორისო დონეზე.

სავაჭრო ბარიერების შემცირება, ტარიფებიდა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმების გაფართოება, პატენტების, სავაჭრო ნიშნებისა და საავტორო უფლებების დაცვა, ასევე მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციისთვის საზედამხედველო სტატუსის მინიჭება - ხელს უწყობს ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობებს.

2001 წლის ბოლოს მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციამ დაიწყო მოლაპარაკებების ახალი რაუნდი, რომლის მიზანი იყო მსოფლიო ვაჭრობისა და ინვესტიციების უფრო მაღალი თავისუფლების ხარისხის უზრუნველყოფა. ამ მოლაპარაკებების ჩასატარებლად მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციამ კატარი აირჩია. მოლაპარაკებები გაგრძელდა სამი წელიწადი. დღის წესრიგში იდგა ტარიფების შემცირება საქონელზე, მომსახურებასა და სასაქონლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტებზე,

ასევე საერთაშორისო ინვესტიციებისათვის ბარიერების შემცირების საკითხი. დღეისათვის საშუალო სატარიფო ნორმა სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქციაზე შემცირებულია. განვითარებული ქვეყნები ხარჯავენ დაახლოებით 300 მილიარდ დოლარს სუბსიდიების სახით ფერმერული მეურნეობის ხელშეწყობისათვის. განვითარებადმა ქვეყნებმა კი ყველაფერი უნდა გააკეთონ სატარიფო ნორმების შესამცირებლად, რაც საშუალებას მისცემთ მათ, შევიდნენ საერთაშორისო ბაზარზე. სავაჭრო ბარიერების შემცირებასთან ერთად, მრავალმა ქვეყანამ პროგრესულად გააუქმა ბარიერებიც, რომლებიც ხელს უშლიდა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს. ეს გადაწყვეტილებები აიოლებს როგორც ბაზრების, ასევე წარმოების გლობალიზაციის პროცესს. ბარიერების შემცირება კომპანიას საშუალებას აძლევს არ შემოიფარგლოს მხოლოდ ერთი ქვეყნით და გავიდეს საერთაშორისო ბაზარზე.

საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების ხელის შემშლელი ბარიერების შესუსტება არ შეიძლება ჩაითვალოს მუდმივ პროცესად, რადგან პროტექციონიზმის მოთხოვნა ქვეყნის მიერ, კონკურენტების წინააღმდეგ, ჯერ მსოფლიოში კიდევ ხშირია.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სამი ძირითადი მიზანია: თავისუფალი ვაჭრობის განვითარება, ბაზრების შემდგომი გახსნის შესახებ მოლაპარაკებების წარმოება, სავაჭრო დავების გადაწყვეტის მექანიზმის შემუშავება. მსო-მ თავის თავზე აიღო სავაჭრო დავების და სავაჭრო პოლიტიკის კონტროლი წევრ ქვეყნებში. მსო-ს მთავარი ამოცანაა შექმნას ნორმალური სავაჭრო ურთიერთობები წევრ სახელმწიფოებს შორის. წევრი სახელმწიფოები ერთმანეთთან ვაჭრობაში იყენებენ ერთიან უპირატესი ხელშეწყობის სავაჭრო რეჟიმს (MFN). ასევე მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული არაკეთილსიდისიერი სავაჭრო პრაქტიკის აღმოხვრა. ასეთ პრაქტიკად მიჩნეული იქნა პროდუქციის გაყიდვა დემპინგურ ფასებში. დემპინგი არის პროდუქციის გაყიდვა იმ ფასად, რომელიც ნაკლებია შიდა ბაზარის ფასზე ან ხარჯებზე. ანტი-დემპინგური გადასახადი კი დამატებითი გადასახადია იმპორტზე დემპინგის ფაქტის დადგენის შემთხვევაში.

ასევე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია წევრ სახელმწიფოებს სთავაზობს სპეციალურ სტრუქტურას დავების განხილვის საბჭოს, სადაც საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული დავები განიხილება ამ ორგანიზაციის დებულების მიხედვით. იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც დაარღვევენ მსო-ს წესებს, გატარდება შესაბამისი ღონისძიებები, რაც

შეიძლება იყოს კომპენსაცია სავაჭრო პარტნიორების მიმართ ან უკიდურეს შემთხვევაში იძულებითი (შესაბამისი) სავაჭრო სანქციები.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, რომელიც ერთის მხრივ სავაჭრო ბარიერების მოხსნის მოწოდებით გამოდის, თუმცა მეორეს მხრივ ვერ ახერხებს ყველაზე დიდი „მოვაჭრეების" – ევროკავ შირის (რომელი ერთიან ბაზრადაა წარმოდგენილი), აშშ-ს, კანადისა და იაპონიის იძულებას ბოლომდე გახსნან საკუთარი ბაზრები სხვა ქვეყნებისთვის. პირიქით, ცნობილია ფაქტები, როდესაც ეს ქვეყნები აქტიურად იცავდნენ თავს ახალი კონკურენტების „თავდასხმებისგან". თუმცა მათ გასამართლებელ არგუმენტად ისიც შეიძლება მოვიყვანოთ, რომ არ სურთ უხარისხო პროდუქცია, რომელიც ხშირად განვითარებად ქვეყნებში იწარმოება, შევიდეს მათ ბაზარზე. ნებისმიერ შემთხვევაში უმჯობესია „ჩამორჩენილმა" ქვეყნებმა ისევ საკუთარი განვითარებისთვის, იზრუნონ ვიდრე სხვათა იძულებისთვის.

ცნობილია, რომ ვმო-ს ძირითად პრონციპებს წარმოადგენს: ვაჭრობა დისკრიმინაციის გარეშე, რაც გულისხმობს ერთის მხრივ წევრი ქვეყნების მიერ ერთმანეთისთვის უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის მინიჭებას, ხოლო მეორე მხრივ თანაბარი უფლებებისა და პირობების უზრუნველყოფას იმპორტული და ადგილობრივად წარმოებული საქონლისთვის. ქვეყნების ინტეგრაცია საერთაშორისო და საგარეო სავაჭრო პოლიტიკის განვითარების ერთობრივი დაგეგმვა მრავალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულების ბაზაზე; კეთილსინდისიერი დათმობების წახალისება ურთიერთდათმობების განხორციელებით; დავების გადაწყვეტა კონსულტაციებითა და მოლაპარაკებების გზით, ხოლო აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში ვმო-ის სპეციალური ორგანოების გადაწყვეტილებებზე დაყრდობა; შიდა ბაზრის დასაცავად უპირატესად ტარიფების მეთოდების გამოყენება და არა რაოდენობრივი შეზღუდვების და სხვა ტექნიკური ბარიერების დაწესება; თითოეულ ქვეყანაში პროგნოზირებადი სავაჭრო პოლიტიკის უზრუნველყოფა; დაიხვეწა წესები ისეთ სფეროებში, როგორიცაა სუბსიდიები, ანტიდემპინგი, ვაჭრობაზე მოქმედი ტექნიკური ბარიერები, ბაზრის დაცვის ღონისძიებები, დავების გადაწყვეტის მექანიზმი და სხვა;

ვმო-ის ძირითადი ფუნქციებია: სამართლებრივი ბაზის შემუშავება ვაჭრობაზე მოქმედი ბარიერების მართვისა და საერთაშორისო ვაჭრობაში დისკრიმინაციის ალკვეთის უზრუნველყოფის მიზნით; მრავალმხ-

რივი სავაჭრო მოლაპარაკებების პროცესის წარმართვა; ვაჭრობასთან დაკავშირებული საერთაშორისო დავების მოგვარება; ვმო-ის წევრი ქვეყნების სავაჭრო პოლიტიკის ზედამხედველობა; მსოფლიო ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაცია ბევრ სხვადასხვა სფეროს მოიცავს: სოფლის მეურნეობა; სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ღონისძიებები; საფეიქრო ტანსაცმლის წარმოება; ვაჭრობაზე მოქმედი ტექნიკური ბარიერები; ვაჭრობასთან დაკავშირებული საინვესტიციო ზომები (TRIMS); ანტიდემპინგი; საბაჟო შეფასება; გადაზიდვაზე ინსპექტირება; საქონლის წარმოშობის წესები; იმპორტის ლიცენზირების პროცედურები;

სუბსიდიებისა და საკომპენსაციო ზომები; დაცვითი ზომები; მომსახურებით ვაჭრობა (GATS); ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებები (TRIPS); დავების გადაწყვეტა; სავაჭრო პოლიტიკის განხილვის მექანიზმი; სამოქალაქო თვითმფრინავებით ვაჭრობა; სახელმწიფო შესყიდვები.

ცნობილია, რომ 1996 წელს საქართველომ გაწევრიანების თხოვნით მიმართა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციას. გაერთიანების ოქმს ხელი მოეწერა 1999 წლის 6 ოქტომბერს, ხოლო პარლამენტის მიერ ამ აქტის რატიფიკაციის შემდეგ 2000 წლის 14 ივნისიდან საქართველო გახდა ვმო-ის სრულფასოვანი 137-ე წევრი (https://www.wto.org, 2022)

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია-ში გაწევრიანების შედეგად:

- გაძლიერდა საქართველოს ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში;
- ვმო-ის შეთანხმებებთან მიერთებით, საქართველოს საკანონმდებლო ბაზა უფრო ჰარმონიზებული გახდა ევროპულთან, რაც აუცილებელი პირობაა ევროკავშირში ინტეგრირების სტრატეგიული მიზნის მისაღწევად;
- საერთაშორისო ბაზარზე გაუმჯობესდა პირობები საქართველოს საექსპორტო პრიდუქციისთვის. ქართველი მეწარმეები დაცულნი გახდნენ ამ ბაზრებზე დისკრიმინაციისგან ვმო-ის მრავალმხრივი შეთანხმებებით;
- საქართველომ მიიღო სრულფასოვანი წევრის ხმა ვმო-ის ორმხრივ და მრავალმხრივ მოლაპარაკებებში მონაწილეობისთვის;
- საქართველომ მიიღო საქონლითა და მომსახურებით ვაჭრო-

ბის სფეროში წამოჭრილი სადავო საკითხების სამართლიანი და ობიექტური გადაჭრის საშუალება;

- გაუმჯობესდა გარემო უცხოური ინვესტიციების მოზიდვისთვის, რადგან ინვესტორს გრძელ ვადაზე პროგნოზირებადი სავაჭრო პოლიტიკის გარანტია გაუჩნდა, ხოლო ქართულ პროდუქციას გაეხსნა საგარეო ბაზრები და სხვ.

მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში სრულფასოვნად ინტეგრაცია საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს, რომლის გადასაჭრელად აუცილებელია საბაზრო პრინციპებზე დამყარებული ურთიერთობების განვითარება და მათი ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან. ამ მიმართულებით ვმო-ში გაწევრიანება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა.

1994 წელს საქართველოს სახელმწიფო მეთაურის დავალებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ტარიფებსა და ვაჭრობაზე გენერალურ შეთანხმებაზე (GATT) საქართველოს მიერთების მიზნით. საქართველომ იმავე წელს მიიღო დამკვირვებლის სტატუსი ამ ორაგანიზაციაში, მაგრამ 1995 წლის 1 იანვრიდან GATT-ის ვმო-დ გარდაქმნასთან დაკავშირებით აუცილებელი გახდა ამ ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად მოლაპარაკებათა პროცესის თავიდან დაწყება.

1996 წლის 26 ივნისს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური საბჭოს სხდომაზე საქართველოს მიენიჭა ვმო-ს დამკვირვებლის სტატუსი. 1996 წლის ივლისში საქართველოს მხარემ ოფიციალურად განაცხადა აღნიშნული ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრის სტატუსის მიღების სურვილი, რის შედეგადაც ვმო-ს გენერალურმა საბჭომ ჩამოაყალიბა წევრი ქვეყნების სამუშაო ჯგუფი საქართველოს გაწევრიანების საკითხზე სამუშაოდ. სრულუფლებიანი წევრის სტატუსის მიღებისთვის დაწესებული პროცედურის შესაბამისად 1997 წლის მარტში WTO-ს სამდივნოს ოფიციალურად გადაეგზავნა მემორანდუმი საქართველოს საგარეო ვაჭრობის რეჟიმის შესახებ.

გაწევრიანების პროცესში, რომელიც დაახლოებით სამ წელიწადს გრძელდებოდა გაიმართა 5 ოფიციალური მრავალმხრივი, აგრეთვე ორმხრივ მოლაპარაკებათა რამდენიმე რაუნდი 30-მდე წევრ ქვეყანასთან, სულ 120-მდე შეხვედრა. აღნიშნულ შეხვედრებზე წევრ ქვეყნებთან შეთანხმდა ბმული სატარიფო განაკვეთები საქონლის იმპორტზე, საქონლით ვაჭრობის ბაზარზე დაშვების პირობები და ვალდებულებები მომსახურებით ვაჭრობის სფეროში. გაწევრიანების მუშა ჯგუ-

ფის ანგარიშში დაფიქსირდა, ასევე ის ვალდებულებები, რომლებსაც საქართველო შეასრულებს თანმიმდევრულად 5 წლიანი გარდამავალი პერიოდის განმავლობაში საკანონმდებლო-ნორმატიულ ბაზაში სათანადო ცვლილებათა გზით.

გაწევრიანების პროცესს ხელმძღვანელობდა საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 16 ივლისის განკარგულებით შექმნილი კომისია (თამარ ბერუჩაშვილი, კომისიის თავმჯდომარე), რომლის მუშაობაშიც მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს პარლამენტის, სახელმწიფო კანცელარიის, ქვეყნის სამინისტროების, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოს ვმო-ში გაწევრიანების მიზნით უწევდნენ მას ტექნიკურ დახმარებას (ევროკავშირი - ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის (GEPLAC) პროექტის სახით, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) - საინსტიტუციო რეფორმებისა და არაფორმალური სექტორის (IRIS) კავკასიური ცენტრის სახით და მსოფლიო ბანკი).

ცნობილია, რომ 1999 წლის 6 ოქტომბერს ვმო-ს გენერალურმა საბჭომ მოიწონა სამუშაო ჯგუფის მოხსენება და ხელი მოეწერა ვმო-ს დაფუძნებულ მარაკეშის შეთანხმებაზე საქართველოს მთავრობის ოქმს. 2000 წლის 20 აპრილს საქართველოს პარლამენტმა რატიფიკაცია გაუკეთა ვმო-ში საქართველოს გაწევრიანების ოქმს და საქართველო გახდა ვმო-ის სრულუფლებიანი წევრი.

„ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან საქართველოს, როგორც ამ ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრის ურთიერთობათა წარმართვის შესახებ“ საქართველო პრეზიდენტის 2001 წლის 26 მარტის №113 ბრძანებულებით ჩამოყალიბდა ვმო-თან თანამშრომლობის სამთავრობო კომისია, საგარეო საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით, რომელიც კოორდინაციას უწევს ვმო-თან ურთიერთობებს.

WTO-ს დამფუძნებელ მარაკეშის შეთანხმებაზე მიერთების ოქმის ხელმოწერით, საქართველო მიუერთდა ამ ორგანიზაციის შეთანხმებათა მთლიან პაკეტს, აგრეთვე იკისრა ვალდებულებები, რომელიც დაფიქსირებულია ოქმის დანართ დოკუმენტებში. ესენია: საქართველოს ბმული ტარიფების ცხრილები; მომსახურებით ვაჭრობის სფეროში სფეციფიკურ ვალდებულებათა ცხრილები; მიერთების მუშა ჯგუფის ანგარიში.

ბმული ტარიფების ცხრილები წარმოადგენენ საქონლის იმპორტზე

საბაჟო ტარიფის მაქსიმალური განაკვეთების ჩამონათვალს, რომელთა გამოყენების უფლება გააჩნია საქართველოს, ვმო-ის წევრების დამატებითი თანხმობის გარეშე. იმ სასაქონლო პოზიციებზე, სადაც ბმული ტარიფები დაფიქსირდა უფრო დაბალ დონეზე, ვიდრე მოქმედი ტარიფი (საინფორმაციო ტექნოლოგიები, ფარმაცევტული პროდუქცია, მანქანა-დანადგარები, ზოგიერთი ნედლეული და ა.შ.), საქართველო გაწევრიანების დღიდან ვალდებული იყო მოქმედი ტარიფი მოეყვანა „ბმულის" მოთხოვნებთან შესაბამისობაში (დაეწესებინა მის დონეზე ან უფრო დაბალი ტარიფი).

სასაქონლო პოზიციებზე, სადაც ბმული ტარიფის დონე მოქმედზე მაღალია, საქართველოს აქვს უფლება აწიოს საიმპორტო ტარიფი ბმულის დონემდე, თუ ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს. მაღალი დონეები გაწევრიანებისას შეთანხმდა ძირითადად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე (ალკოჰოლი, ხილის წვენები, გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია, თამბაქო და ა.შ.), აგრეთევ მცირე რაოდენობის სამრეწველო პროდუქციაზე (სამშენებლო მასალები, მსუბუქი მრეწველობის ნაწარმი და ა.შ.).

ზოგიერთ პროდუქციაზე ბმული ტარიფი გარდამავალი პერიოდის განმავლობაში (5-6 წელი) განიცდიან თანდათანობით დაკლებას. სატარიფო დაცვის დონის დახასიათებისთვის, ჩვეულებრივ იყენებენ ე.წ. საშუალო შეწონილი ტარიფის მაჩვენებელს, რომელიც ცალკეული სატარიფო დონის სიდიდესთან ერთად ითვალისწინებს, შესაბამისი სასაქონლო პოზიციის იმპორტის მოცულობას ქვეყნის საერთო იმპორტში.

გაწევრიანების შემდგომ გამოიკვეთა აზრთა სხვადასხვაობა მოქმედ ტარიფში შესატან ცვლილებათა თაობაზე. საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციით სუსტი საბაჟო ადმინისტრირების პირობებში საქართველოს მთავრობას თავი უნდა შეეკავებინა საბაჟო ტარიფის განაკვეთების ყოველგვარი მომატებისაგან. საკითხის განხილვამ და შესაბამისი კანონპროექტის ირგვლივ გამართულმა კონსულტაციებმა გამოიწვია მისი პარლამენტში წარდგენის ხანგრძლივი პერიოდით დაგვიანება. დღეისთვის, საქართველოს პარლამენტმა მიიღო ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული კანონი „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე", რომლის ამოქმედებით შესრულდება საქართველოს ვალდებულებები სატარიფო სფეროში.

ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტროს მიერ 2001

წლის იმპორტის ბაზაზე ჩატარებული გათვლების თანახმად იმ შემთხვევაში, თუ საქართველო დააწესებს საიმპორტო-საბაჟო გადასახადს „ბმულის“ დონეზე საშუალო შეწონილი ტარიფი (თავისუფალი ვაჭრობის წილის გათვალისწინებით) შეადგენს 7,2 დოლარს. მომსახურებით ვაჭრობაში სპეციფიკურ ვალდებულებათა ცხრილებით განსაზღვრულია ის შეზღუდვები, რომელიც ეხება მომსახურების ადგილობრივ და უცხოურ მომწოდებლებს. შეზღუდვები 2 ტიპისაა: „ჰორიზონტალური“, რომელიც ეხება მომსახურების ყველა სექტორს; „ვერტიკალური“, რომელიც სფეციფიკურია კონკრეტული სექტორის მიმართ;

უნდა აღინიშნოს, რომ მომსახურებით ვაჭრობის რეგულირება საქართველოს ფრიად ლიბერალიზებული აქვს, ე.ი. უცხოელ მომწოდებლებს ადგილობრივთან შედარებით, დაუწესდათ მეტად მცირერიცხოვანი შეზღუდვები (საბანკო საფინანსო, სადაზღვეო, სამშენებლო და ზოგიერთ სხვა სექტორებში).

გაწევრიანების პროცესში, მუშა ჯგუფის მიერ დეტალურად იყო განხილული საქართველოს ეკონომიკური სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმატიული და სახელშეკრულებო ბაზა, რათა ვმო-ის წევრი ქვეყნები დარწმუნებული იყვენენ ვმო-ის ნორმებთან მის შესაბამისობაში.

გაწევრიანების მსვლელობაში გატარდა მრავალი საკანონმდებლო ცვლილება, რათა მომხდარიყო საქართველოს კონონმდებლობის რაც შეიძლება სრული ჰარმონიზაცია ვმო-ის მოთხოვნებთან, ხოლო აუცილებელი სამომავლო ცვლილებები, აგრეთვე ვმო-ის სხვადასხვა შეთანხმებების დაცვის პირობები დაფიქსირდა გაწევრიანების მუშა ჯგუფის ანგარიშში, ვალდებულებათა სახით. ეს ვალდებულებები შეეხება საკმაოდ ფართო სპექტრის საკითხებს, ისეთს როგოროც არის სამეწარმეო საქმიანობის ექსპორტიმპორტის ლიცენზირება, საგადასახადო სისტემა, სტანდარტიზაცია, სერტიფიკაცია, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები, სუბსიდიები, ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტები და სხვ.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობა არის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა ქვეყნის ეკონომიკისა და მისი საექსპორტო პოტენციალის განვითარებისთვის. ამ ორგანიზაციის წევრი ვართ, მაგრამ ეს არ გამხდარა საქართველოში საექსპორო პოტენციალის ზრდის საფუძველი... პრობლემა გახლავთ ის, რომ ქვეყანას უნდა ჰქონდეს ექსპორტის სტიმულირებაზე ორიენტირებული ეკონომი-

კური პოლიტიკა. სამწუხაროდ, ასეთი რამ ჩვენს ქვეყანას არ გააჩნია. ამდენად, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ საექსპორტო კუთხით, ჩვენ ვართ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის პასიური წევრი. (პაპავა, 2012)

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაცია ვმო-ის წევრია 2012 წლის 22 აგვისტოდან. ხშირია შემთხვევები, როცა რუსეთი არღვევს ვმო-ის წესებს და სხვა საერთაშორისო სამართლის პრინციპებს. რუსეთის ფედერაციას ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად 18 წლიანი მოლაპარაკებები დასჭირდა. რუსეთმა ჯერ კიდევ 1993 წელს მიმართა GATT-ს ოფიციალური განცხადებით, რომ მას მიერთებოდა. 1995 წლიდან დაიწყო გაწევრიანებისთვის მოლაპარაკებები, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ საქართველო გახდებოდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი, თუმცა რუსეთის ორგანიზაციაში მიღებას სრულიად სხვა ფაქტორები აფერხებდა. საქართველოს გარდა, რუსეთი ურთიერთობებს აშშ-ისა და ევროკავშირის ქვეყნებთანაც არკვევდა. 2009 წელს დავოსში რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ეჭვი გამოთქვა, რომ ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების საკითხი პოლიტიკური ნიშნით ფერხდებოდა. ანალიტიკოსები საკითხის გაჭიანურების მიზეზად ასახელებენ რუსეთის ფედერაციის მმართველობის ავტორიტარულ ფორმას, ასევე იმ საერთაშორისო სტატისტიკას, რომლის მიხედვითაც, ქვეყანაში კორუფციის მაღალი დონეა, ჩრდილოვანი ეკონომიკა და მთავრობის მიერ კონტროლირებადი ბიზნესი. მიუხედავად ამისა, ამერიკა და ევროკავშირის ქვეყნები ვერ გაექცნენ იმ ფაქტს, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის წევრობა მათთვის ხელსაყრელი იქნებოდა.

საქართველოსა და რუსეთს შორის მოლაპარაკებები შვეიცარიაში დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო თანხმობის მაღალ ფასად „გაყიდვას" აპირებდა, აშშ-ისა და ევროკავშირის მხარდაჭერის გარეშე, ვეტო არცთუ რეალური აღმოჩნდა. ანალიტიკოსები ფიქრობდნენ, რომ პოლიტიკური ვაჭრობის გვერდზე გადადების გარეშეც საქართველოსთვის მომგებიანი იქნებოდა თუნდაც ქართული პროდუქციისთვის რუსული ბაზრის უპირობო გახსნა და 2006 წლიდან დაწესებული ემბარგოს გაუქმება.

რაც შეეხება რუსეთის მხრიდან ემბარგოს მოხსნას. ეს არც სავაჭრო საგანი უნდა ყოფილიყო და არც რომელიმე მხარის გადასაწყვეტი, რადგან რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება ისედაც გულისხმობს ამ ქვეყნის მოქცევას ცივილიზებულ ჩარჩოებში და მის მიერ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესების გათვალისწინე-

ბას. ეს კი იქამდე მიდის, რომ რუსეთს არა უპირობოდ, მაგრამ ადრე თუ გვიან მოუწევს ემბარგოს მოხსნა – ასეთია ექსპერტთა ნაწილის აზრი. გასათვალისწინებელია მიზეზი, რის გამოც რუსეთის მხარემ ემბარგო დააწესა. ეს პროდუქციის უხარისხობით იყო ახსნილი (რასაც არ ვეთანხმებით, ეს უფრო პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო). მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია კი ბაზარზე სწორედ ხარისხიანი პროდუქციის ექსპორტს გულისხმობს.

აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში იმპორტის ჩანაცვლება არ გულისხმობს სატარიფო ან არასატარიფო ბარიერების შემოღებას. ქვეყანაში აუცილებელი იყო ადგილობრივი ბაზრის უხარისხო საქონლისა და დემპინგური ფასებისაგან დაცვის ღონისძიებების გატარება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წესდების შესაბამისად.

2021 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი: “ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ”. კანონის მიხედვით დემპინგი გულისხმობს პროდუქტის ადგილობრივ ბაზარზე განთავსებას მის ნორმალურ ღირებულებაზე დაბალ ფასად. ასეთ შემთხვევაში, პროდუქტის საექსპორტო ფასი, ვაჭრობის ჩვეულებრივ პირობებში, ნაკლებია ექსპორტიორი ქვეყნის ადგილობრივი ბაზრისათვის განკუთვნილი მსგავსი პროდუქტის შესადარ ფასზე.

დემპინგისგან ადგილობრივი ინდუსტრიისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად, კანონით განსაზღვრულია ანტიდემპინგური ღონისძიებები - წინასწარი ან/და სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფების შემოღება; ანტიდემპინგური ტარიფის შემოღებამდე, კონკურენციის სააგენტო ახორციელებს შესწავლას და შესწავლის შედეგების შესაბამისად, მთავრობას წარუდგენს დასკვნას სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფის შემოღების საჭიროებაზე.

კონკრეტული ობიექტის შესწავლა იწყება ადგილობრივი ინდუსტრიის წერილობითი განცხადებით. სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფი შემოიღება არაუმეტეს ხუთი წლის ვადით, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით.

ახალი კანონის მიზანია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე (გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისა) დემპინგური იმპორტისგან ადგილობრივი ინდუსტრიის დაცვა. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრინციპებისა და დებულებების შესაბამისად, ეს კანონი ადგენს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დემპინგური იმპორტის დროს ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების ძირითად პირობებსა და წესებს.

კანონით დადგენილია ანტიდემპინგური ღონისძიებები. წინასწარი ანტიდემპინგური ღონისძიება – საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დემპინგური იმპორტის შეზღუდვის ისეთი ანტიდემპინგური ღონისძიება, რომელიც შემოიღება წინასწარი ანტიდემპინგური ტარიფის ან/და უზრუნველყოფის ფორმის სახით, შესწავლის პერიოდში ადგილობრივი ინდუსტრიის დემპინგური იმპორტით მისაყენებელი ზიანისგან დაცვის მიზნით; სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფი – საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დემპინგური იმპორტის შეზღუდვის ისეთი ანტიდემპინგური ღონისძიება, რომელიც შემოღებულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ განხორციელებული შესწავლის საფუძველზე;

პროდუქტის დემპინგური იმპორტის არსებობის შემთხვევაში სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფის შემოღებას წინ უნდა უძღოდეს შესწავლა. შესწავლა უნდა განხორციელდეს აღნიშნული კანონისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად. (მუხლი 3). შესწავლას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – კონკურენციის სააგენტო.

შესწავლის ობიექტის მიმართ ანტიდემპინგური ღონისძიება საქართველოს მთავრობამ შეიძლება შემოიღოს იმ შემთხვევაში, თუ შესწავლის ორგანომ შესწავლის საფუძველზე დაადგინა, რომ ხორციელდება შესწავლის ობიექტის დემპინგური იმპორტი, ადგილობრივ ინდუსტრიას ზიანი მიადგა ან არსებობს მისთვის ზიანის მიყენების საფრთხე, ამასთანავე, მიყენებულ ზიანსა და დემპინგურ იმპორტს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი არსებობს (მუხლი 6).

შესწავლის ორგანოს მიერ წარდგენილი დასკვნის საფუძველზე საქართველოს მთავრობა შემოიღებს სპეციალურ ანტიდემპინგურ ტარიფს იმ შესწავლის ობიექტზე, რომელიც ადგილობრივ ინდუსტრიას ზიანს აყენებს. საქართველოს მთავრობა პირის მიერ ექსპორტირებულ ან/და წარმოებულ პროდუქტზე სპეციალურ ანტიდემპინგურ ტარიფს ინდივიდუალურად, არადისკრიმინაციულობის საფუძველზე შემოიღებს.

ქვეყანაში სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფის შემოღება ხდება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, იმ ოდენობითა და ვადით, რომლებიც აუცილებელია შესწავლის ობიექტის მიერ ადგილობრივი ინდუსტრიისთვის მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად. სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფის შემოღება ხდება არაუმეტეს 5 წლით.

თავის მხრივ საქართველოს მთავრობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ანტიდემპინგური ღონისძიების კომიტეტს მის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად: უგზავნის შეტყობინებას (ახდენს ნოტიფიკაციას) ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების მიზნით შესწავლის დაწყებისა და განხორციელების პროცედურების შესახებ; უგზავნის შეტყობინებას (ახდენს ნოტიფიკაციას) ყველა განხორციელებული წინასწარი ანტიდემპინგური ღონისძიების ან სპეციალური ანტიდემპინგური ღონისძიების შესახებ; წელიწადში 2-ჯერ, წარუდგენს დასკვნას გასული 6 თვის განმავლობაში განხორციელებული ანტიდემპინგური ღონისძიებების შესახებ.

მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის ამ ორგანიზაციაში გაწევრიანება მომგებიანად ითვლება, რადგან უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი, დისკრიმინაციისგან დაცვა და ეროვნულ თუ იმპორტირებულ საქონელზე თანაბარი გადასახადების დაწესება ხელს უწყობს როგორც ამ ქვეყნის მომხმარებლის მსყიდველობითუნარიანობას, ასევე ადგილობრივ მეწარმეებს, რომლებსაც შანსი ეძლევათ თავისი პროდუქცია ქვეყნის გარეთაც გაიტანონ. შემცირებული ტარიფების სანაცვლოდ მოგებას ქვეყნები გაზრდილი ვაჭრობით იღებენ.

გლობალური მასშტაბით ვმო-ს შეუძლია: შეამციროს ცხოვრების ხარჯები და გაზარდოს ცხოვრების სტანდარტები. მოაგვაროს უთანხმოება და შეამციროს სავაჭრო დაძაბულობა. შეამციროს საერთაშორისო ბიზნესის კეთების ხარჯები. ხელი მოაწეროს ეკონომიკურ ზრდას და დასაქმებას. ხელი შეუწყოს ქვეყნის განვითარებას..ხელი შეუწყოს მშვიდობასა და სტაბილურობას და სხვ.

დაბოლოს, საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების უმეტესობა (აზრებაიჯანი არაა ვმო-ის წევრი) არის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი და შესაბამისად, ვმო-ს წევრ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობები ხორციელდება „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის" (MFN) საფუძველზე. ამასთან, საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს: ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან (EFTA), დსთ-ს წევრ ქვეყანასთან, თურქეთთან და ჩინეთთან. საქართველოს უნდა გააგრძელოს ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების გაფორმება საერთაშორისო თანამეგობრობის წევრ ქვეყნებთან.

# დასკვნა

საგარეო ვაჭრობის სფეროში საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის *(WTO)* წინაშე აღებული ვალდებულებების შესაბამისად ხორციელდება. ქვეყანამ უნდა გააგრძელოს ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, რაც საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს.

გლობალიზაციის ხელშემწყობი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ორგანიზაციაა. საქართველოს გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, რაც გულისხმობს გამარტივებულ საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს, დაბალ საიმპორტო ტარიფებსა და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებას.

მცირე ეკონომიკის ქვეყნებისათვის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობა აუცილებელია. საქართველოს უნდა გააგრძელოს ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების გაფორმება საერთაშორისო თანამეგობრობის წევრ ქვეყნებთან.

საქართველო მცირე ეკონომიკის ქვეყანაა, მას ვმო-ზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა არ შეუძლია. საქართველოს მხარდაჭერა რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებისათვის აუცილებელი პირობას წარმოადგენდა. შეიძლება შეფასდეს, რომ საქართველომ სანაცვლოდ მნიშვნელოვანი სარგებელი ვერ მიიღო.

თავისუფალ ვაჭრობას ალტერნატივა არ გააჩნია ამის მაგალითია მოწინავე განვითარებული ქვეყნები, ასე მაგალითად შვეიცარია, ნორვეგია და სხვ.

ვაჭრობისა და ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში გაიზრდება ვმო-ის წევრთა რაოდენობა და ამ ორგანიზაციის ზეგავლენა საერთაშორისო ვაჭრობაზე. საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა აზერბაიჯანი არაა ვმო-ის წევრი. ასევე, ევროკავშირის კანდიდატი ქვეყანა სერბეთი და ევროკავშირის პოტენციური კანდიდატი ქვეყანა ბოსნია-ჰერცოგოვინა არ არიან ვმო-ის წევრები.

# თავი 5. საქართველოს მონაწილეობა სატრანსპორტო-ლოჯისტიკური მომსახურების მსოფლიო ბაზარზე

მსოფლიო ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციის მიღწეულმა დონემ, მათ შორის გლობალური ღირებულების ჯაჭვების განვითარებაში, მნიშვნელოვნად შეცვალა ტვირთების მიწოდების პროცესი. საერთაშორისო ვაჭრობაში ტვირთის მიწოდების თანამედროვე პროცესი აღარ შემოიფარგლება ხაზოვანი გადაადგილებით (ანუ მარტივი ტრანსპორტირება საწყისიდან დანიშნულების ადგილამდე), არამედ მოიცავს დაკავშირებულ ტვირთის ოპერაციებს, როგორიცაა დატვირთვა და გადმოტვირთვა, შენახვა, კონსოლიდაცია, საბაჟო და სადაზღვევო კონსულტაცია, თვალთვალის სისტემებს, მართვის გადაწყვეტილებების ოპტიმიზაციას. და ა.შ.

ამასთან დაკავშირებით, საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში ტრანსპორტის როლისა და ადგილის გაანალიზებისას მიზანშეწონილია გამოვიყენოთ სამეცნიერო ლიტერატურასა და საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული ტერმინი „სატრანსპორტო და ლოგისტიკური მომსახურება GATS-ის (მთავარი შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობის შესახებ)  ფარგლებში მიღებულ სერვისების კლასიფიკაციაში, ტრანსპორტი და ლოგისტიკური მომსახურება გამოიყოფა მე-11 სექტორით - “სატრანსპორტო მომსახურება” - და მოიცავს ცხრა ქვესექტორს:

საზღვაო ტრანსპორტის მომსახურება”, მათ შორის მგზავრთა და ტვირთის ტრანსპორტირება, გემების დაქირავება ეკიპაჟით, გემების მოვლა და შეკეთება, ბუქსირება, მასთან დაკავშირებული მომსახურება (გემების გადარჩენის მომსახურება და ა.შ.);

სატრანსპორტო მომსახურება შიდა წყლის ტრანსპორტით, მათ შორის მგზავრებისა და ტვირთის გადაზიდვა, გემების დაქირავება ეკიპაჟით, გემების მოვლა და შეკეთება, ბუქსირება, მასთან დაკავშირებული მომსახურება. საჰაერო ტრანსპორტის მომსახურება (ინგლისური, საჰაერო ტრანსპორტის მომსახურება), მგზავრთა და ტვირთის გადაზიდვის ჩათვლით, ეკიპაჟით თვითმფრინავების დაქირავება, თვითმფრინავების ტექნიკური მომსახურება და შეკეთება, მასთან დაკავშირებული მომსახურება.

**კოსმოსური ტრანსპორტირების მომსახურება.**

სარკინიგზო ტრანსპორტის მომსახურება, მათ შორის მგზავრთა და ტვირთის გადაზიდვა, შუნტირების მომსახურება, მოძრავი შემადგენლობის მოვლა და შეკეთება, მასთან დაკავშირებული მომსახურება.

საგზაო ტრანსპორტის მომსახურება, მათ შორის მგზავრთა და საქონლის ტრანსპორტირება, მანქანების დაქირავება, მოძრავი შემადგენლობის მოვლა და შეკეთება, მასთან დაკავშირებული მომსახურება.

მილსადენის ტრანსპორტირების მომსახურება, ნახშირწყალბადების და სხვა თხევადი ნივთიერებების ტრანსპორტირების ჩათვლით;

დაკავშირებული მომსახურება (ყველა სახის ტრანსპორტის დამხმარე მომსახურება), მათ შორის დატვირთვა-გადმოტვირთვა, საწყობი, გადაზიდვის მომსახურება, ტვირთის გადამოწმების მომსახურება, აწონვის მომსახურება და ა.შ.

**სხვა სატრანსპორტო მომსახურება.**

GATS-ის მიხედვით მომსახურების მიწოდების რეჟიმის (ინგლ., სერვისის მიწოდების რეჟიმი) შესაბამისად, საერთაშორისო ვაჭრობაში სატრანსპორტო და ლოგისტიკური მომსახურება, როგორც წესი, უზრუნველყოფილია საზღვრისპირა მიწოდების საფუძველზე (ინგლ. რეჟიმი 1: cross- სასაზღვრო მიწოდება) და კომერციული ყოფნა (რეჟიმი 3: კომერციული ყოფნა). ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია სატრანსპორტო და ლოგისტიკური სერვისების მიწოდება საზღვარგარეთ მოხმარების პრინციპით (ინგლ. რეჟიმი 2: მოხმარება საზღვარგარეთ), მაგალითად, როდესაც ერთი ქვეყნის გემი (მომსახურების მომხმარებელი) შედის უცხოურ პორტში სატვირთო ოპერაციების შესასრულებლად ან რემონტი.

მოწოდებული სერვისების სირთულის დონისა და ინტეგრაციის სიღრმის მიხედვით, ეს კომპანიები იყოფა PL-პროვაიდერებად. ამ ტიპოლოგიის მიხედვით, ლოჯისტიკის დარგის ექსპერტები და მეცნიერები განასხვავებენ:

❖ მოწოდებული სერვისების სირთულის დონისა და ინტეგრაციის სიღრმის მიხედვით, ეს კომპანიები იყოფა PL-პროვაიდერებად. **ამ ტიპოლოგიის მიხედვით, ლოჯისტიკის დარგის ექსპერტები და მეცნიერები განასხვავებენ:**

❖ **1PL-პროვაიდერი** - ავტონომიური ლოჯისტიკის მქონე კომპანიები, სადაც ყველა ოპერაციას ახორციელებს ტვირთის მფლობელი;

❖ **2PL-პროვაიდერი** – კომპანიები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტრადიციული ტრანსპორტირების ან საწყობის მართვის სერვისებს;

❖ **3PL-პროვაიდერი** - კომპანიები, რომლებიც ახორციელებენ მომსახურებას არა მხოლოდ საქონლის ტრანსპორტირებისა და გადაზიდვისთვის, არამედ ასევე შესანახად, გადატვირთვაზე, დამატებითი სერვისების მნიშვნელოვანი დამატებითი ღირებულებით, ხშირად ქვეკონტრაქტორების გამოყენებით;

❖ **4PL-პროვაიდერი** - კომპანიები, რომლებიც წყვეტენ ამოცანების ერთობლიობას მომხმარებლის ლოჯისტიკური პროცესის დაგეგმვის, მართვისა და კონტროლისთვის, გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნების გათვალისწინებით. სინამდვილეში, ეს არის ტვირთების მიწოდების ქსელში ჩართული ყველა კომპანიის ინტეგრაცია.

❖ **5PL-პროვაიდერი** - კომპანიები, რომლებიც მოქმედებენ ინტერნეტ ლოჯისტიკის ბაზაზე, ე.ი. ინტერნეტის გამოყენება, როგორც ერთიანი ვირტუალური პლატფორმა ელექტრონული მედიისთვის.

კაცობრიობის ისტორიაში არ ყოფილა ისეთი სწრაფი განვითარების ეტაპი, როგორც მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი. მისი მნიშვნელოვანი ფაქტორია, პირველ რიგში, ტრანსპორტირების ეფექტიანად, სწრაფად და შეუფერხებლად განხორციელების შესაძლებლობა. ტრანსპორტირების მართვის ამ კონცეფციას ეწოდა ლოჯისტიკა, რომლის მოწოდება ვიწრო გაგებით არის სწორი საქონლის მიწოდება დანიშნულების ადგილზე შეთანხმებულ დროს, სათანადო მდგომარეობაში და ხელმისაწვდომ ფასად. ეს მოტყუებით მარტივი ფუნქცია მალავს თანამედროვე ინტეგრირებული ლოჯისტიკის რთულ რეალობას მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური მენეჯმენტის ნაკადებში.

1990-იან წლებში გლობალური ლოჯისტიკა ხდება ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული ინსტრუმენტი პროდუქტის გაყიდვების გლობალურ ბაზარზე კონკურენტული უპირატესობების უზრუნველსაყოფად. წარმატება მიიღწევა ძირითადად სასაქონლო მწარმოებლების სწრაფი ადაპტაციით მუდმივად ცვალებად საბაზრო პირობებთან და პროდუქტებზე მოთხოვნასთან. ამავდროულად, მთავარი მოთხოვნა იყო პროდუქციის სასიცოცხლო (ლოჯისტიკური) ციკლის ყველა დროის საფეხურის მაქსიმალური შემცირება, კერძოდ: კვლევისა და განვითარების სამუშაოების, ნედლეულისა და მასალების მიწოდების დრო, წარმოების ციკლის ხანგრძლივობა, შეკვეთის დამუშავების, მიწოდების და პროდუქციის გაყიდვის დრო. [Bowersox, D. J., & Calantone, R. J., 1998]

საერთაშორისო ეკონომიკურმა სისტემამ ათასწლეულის მიჯნაზე დაიწყო თვისებრივად გარდამავალი ახალი ეტაპი. გლობალურ სატრანსპორტო კომპლექსში მიმდინარე ცვლილებები და სწრაფი განვითარება არსებითად განსაზღვრავს სტრუქტურულ ძვრებს, რომელიც ახასიათებს გლობალურ წარმოებასა და საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციებს. საერთაშორისო ვაჭრობის გლობალიზაცია და ეროვნული კორპორაციების ტრანსნაციონალიზაცია საჭიროებს რესურსებისა და პროდუქტების შეუფერხებელ ნაკადს, რაც ობიექტურად შეუძლებელია სატრანსპორტო კომპლექსის გარეშე.

ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრების ფორმირება დამოკიდებულია ტრანსპორტირებაზე, რაც უზრუნველყოფს სათანადო საბაზრო ეკონომიკის განვითარებას. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საერთაშორისო სატრანსპორტო ბაზარი COVID-19 კრიზისის ფონზე შეფასებულია 6.2 ტრილიონ აშშ დოლარად 2020 წელს, რაც წარმოადგენს გლობალური მშპ-ს 7.65%. პროგნოზირებულია, რომ საერთაშორისო სატრანსპორტო ბაზარი მიაღწევს შესწორებულ ზომას 7.8 ტრილიონ აშშ დოლარს 2027 წლისთვის და გაიზრდება CAGR 3.4%-ით. [Global Industry Analysts, 2021]

თანამედროვე სატრანსპორტო კომპლექსს ახასიათებს ორი საპირისპირო მიმართულება: როგორც ინფრასტრუქტურული ბიზნესი, ტრანსპორტი ეყრდნობა მატერიალური საქონლის წარმოების ინდუსტრიებს და როგორც ეკონომიკის სპეციფიკურ სექტორს, ტრანსპორტი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რეგიონზე. წარმოების სიმძლავრის განაწილება მონაწილეობს რეპროდუქციის პროცესში და წარმოადგენს ეკონომიკური ურთიერთქმედების არსებით მახასიათებელს.

გლობალური ეკონომიკის ამჟამინდელი მდგომარეობა, რომელიც განისაზღვრება ინტეგრაციული პროცესების სწრაფი ზრდით, ტერიტორიულ კონტექსტში ეკონომიკური გარემოს მრავალფეროვნებით, ეროვნული ეკონომიკების განვითარების ხარისხში განსხვავებულობით და მათში ჩართვის სურვილით, ერთი მხრივ, განაპირობებს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებში სასაქონლო ნაკადების გააქტიურებას ეკონომიკურ აგენტებს შორის ურთიერთქმედების სხვადასხვა დონეზე; მეორე მხრივ, ეკონომიკური და თეორიული ბაზის არასაკმარისი განვითარება და თანამედროვე მეთოდოლოგიური კვლევების არარსებობა. ტრანსპორტირების ინდუსტრიის, როგორც მნიშვნელოვანი ეკონომიკური კატეგორიის როლისა და მნიშვნელობის

აღწერის ობიექტური აუცილებლობა განისაზღვრება თანამედროვე მეცნიერებაში სატრანსპორტო კომპლექსის ფუნქციონირებით.

მსოფლიო განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე, გლობალიზაციის პროცესების გავლენის ქვეშ და იმ პირობებში, როდესაც განვითარებადი ქვეყნები ცდილობენ გააძლიერონ თავიანთი პოზიციები მსოფლიოში, ეკონომიკური გავლენის ფაქტორები მსოფლიო პოლიტიკაზე სახელმწიფოების გავლენის მთავარ ფაქტორებად არის წარმოდგენილი. ამავდროულად, სატრანსპორტო სისტემას და საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნებს უმთავრესი მნიშვნელობა აქვს გავლენის ეკონომიკურ რესურსებს შორის. [Ramírez, A.C., 2021]

სატრანსპორტო დერეფნები ქმნის ახალ შესაძლებლობებს სახელმწიფოების პოლიტიკური გავლენისთვის. სხვადასხვა ქვეყნების ტერიტორიის გავლით ITC-ების გასწვრივ ტრანსპორტის განვითარებით, გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფოები, გაერთიანებები და მსხვილი სატრანსპორტო კომპანიები სასტიკ კონკურენციაში არიან, სთავაზობენ თავიანთ MTC-ებს და ავითარებენ მათ კონკურენტულ უპირატესობებს. [Verzier, M.O. , 2019]

გასათვალისწინებელია, რომ კონტინენტური სატრანზიტო მოძრაობის განვითარება, საზღვაო ტრანსპორტისგან განსხვავებით, მოითხოვს სახელმწიფოთაშორის ნებართვას. ასეთი შეთანხმებები აღმოფხვრის საბაჟო ბარიერებს, უზრუნველყოფს ტრანსპორტირების უფრო მეტ უსაფრთხოებას, რაც ასტიმულირებს ქვეყნებს შორის ეკონომიკურ თანამშრომლობას და ქმნის ინტეგრაციის პროცესების განვითარების წინაპირობებს.[Owen, W., 1984] მსოფლიო მოწმეა რეგიონული სატრანსპორტო ქსელების ინტეგრაციის უფრო დიდ რეგიონთაშორისი მასშტაბის ქსელებში, რომლებიც აკავშირებს ძირითად ბაზრებსა და წარმოების ცენტრებს.

ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში, კარდინალური ცვლილებები მოხდა საერთაშორისო ვაჭრობაში, რაც დაკავშირებულია, ერთი მხრივ, სავაჭრო ბარიერების შემცირებასთან და სავაჭრო რეჟიმების ლიბერალიზაციასთან და, მეორე მხრივ, ექსპორტზე ორიენტირებული დინამიურ განვითარებასთან. წარმოების (მათ შორის დიდი სიმძლავრის) გადატანის ინტენსიური პროცესი დასავლეთ ევროპიდან და აშშ-დან სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში და მზა პროდუქციის საპირისპირო ნაკადის ფორმირება განვითარებულ ქვეყნებში მზარდი მოხმარების კონტექსტში გახდა ყველაზე მნიშვნელოვანი სტიმული.

**ნახ. 1. სატრანსპორტო მომსახურების გლობალური ბაზარი**




**წყარო:** [Statista, 2022]

[Cappelli, P., 2008] სატრანსპორტო და ლოჯისტიკური მომსახურების გლობალური ბაზრის განვითარებამ თავის მხრივ გავლენა მოახდინა მსოფლიო ბაზრის მოცულობაზე (ნახ. 1).

ინტეგრირებულ სატრანსპორტო და ლოჯისტიკურ სერვისებზე მოთხოვნა ყალიბდება ისეთი ძირითადი ფაქტორების გავლენის ქვეშ, როგორიცაა: საერთაშორისო ეკონომიკისა და საერთაშორისო ვაჭრობის დინამიკა, ტვირთების ნაკადების გლობალიზაცია და მიწოდების სქემების გართულება, ხარჯების ოპტიმიზაციის აუცილებლობა საქონლის ტრანსპორტირების, შენახვისა და განაწილებისთვის. [Barbier, C., Cuny, C., & Raimbault, N., 2019]

ნახაზზე წარმოდგენილი მონაცემების გაანალიზებისას, უნდა აღინიშნოს ტენდენციების შეცვლა სხვადასხვა გარემო ფაქტორების გავლენის გამო, რომელთაგან მთავარი, ჩვენი აზრით, შემდეგია: კრიზისული ფენომენები, ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება მსოფლიოში, ცვლილებები წარმოების სტრუქტურასა და ფაქტორებში, ცვლილებები მოხმარების სტრუქტურაში, ფინანსური სისტემების დესტაბილიზაცია, განვითარებული ქვეყნების სავალო პრობლემები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ვაჭრობის შედარებით სწრაფმა აღდგენამ, პირველ რიგში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების, ჩინეთისა და ინდოეთის გადამწყვეტი როლის წყალობით, განსაზღვრა ტვირთების ნაკადების მიმართულება, სტრუქტურა და დინა-

მიკა, ასევე მოთხოვნა ტრანსპორტისა და ლოჯისტიკურ მომსახურე-ბაზე არა მხოლოდ გარე, არამედ შიდა ბაზარზეც, შიდა მოთხოვნისა და მოხმარების სტიმულირებით, საკუთარი ბაზრების გაფართოებაზე ფოკუსირებით. [Christopher, M. & Holweg, M., 2011] აღმოსავლეთ აზია-აზე ორიენტირებული ტვირთების ნაკადების შვიდი ძირითადი მიმართულებიდან ექვსი დადებითი ზრდით ხასიათდება. ერთ-ერთი მიზეზი, რამაც დადებითად იმოქმედა ზრდის ტემპზე, არის ის ფაქტი, რომ მსოფლიოს 20 უდიდესი საკონტეინერო პორტიდან 13 მდებარეობს აზიაში, მათ შორის შვიდი ჩინეთში. [Global Industry Analysts, 2021]

ამასთან, აღსანიშნავია, რომ დღეს მსოფლიოში ლოჯისტიკური მომსახურების უდიდეს მიმწოდებლად რჩება შეერთებული შტატები (80-90 მილიარდი დოლარი), შემდეგ მოდის გერმანია, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები, ჰონგ კონგი, კორეა და სხვები.[Global Industry Analysts, 2021] მიმდინარე განაწილება განისაზღვრება სატრანსპორტო და ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარების დონით, წარმოებისა და მოხმარების მოცულობებით, მსოფლიო ვაჭრობის ფორმირებასა და განაწილებაში მონაწილეობით.

არსებული გლობალური ტენდენციები შესაბამისად აისახება სატრანსპორტო და ლოჯისტიკურ მომსახურებაზე მოთხოვნის გეოგრაფიულ სტრუქტურაში (ნახ. 2).

**ნახ. 2. სატრანსპორტო მომსახურებაზე მოთხოვნის სტრუქტურა**




**წყარო:** [Global Industry Analysts, 2021]

**ნახ. 3. სატრანსპორტო და ლოჯისტიკური მომსახურების მსოფლიო ბაზრის სტრუქტურა**




**წყარო:** [Global Industry Analysts, 2021]

ამრიგად, ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის წილი ოდნავ, მაგრამ აღემატება აზია-წყნარი ოკეანის რეგიონისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების წილს, ხოლო, ექსპერტების აზრით, მომავალში მთავარი მოთამაშეები სატრანსპორტო და ლოჯისტიკური სერვისების გლობალურ ბაზარზე იქნება აზია-წყნარი ოკეანის რეგიონისა და ლათინური ამერიკის ქვეყნები, რომლებიც აქტიურად განავითარებენ საგარეო ვაჭრობას, შიდა წარმოებასა და მოხმარებას, სატრანსპორტო და ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურას. [Kesavan, D. P., & Deif, A. M., 2021]

ამრიგად, ხელსაყრელ პირობებში მოსალოდნელია სატრანსპორტო და ლოჯისტიკური მომსახურების მსოფლიო ბაზრის მოცულობის შემდგომი ზრდა.

სატრანსპორტო და ლოჯისტიკური მომსახურების ბაზრის გლობალური სტრუქტურა დღეს სამი ძირითადი კომპონენტისგან შედგება (ნახ. 3): ტვირთის ტრანსპორტირება და ექსპედიცია (58%), კომპლექსური (25%) და მენეჯმენტის ლოჯისტიკა (17%).

ასეთი განაწილება განაწილება მიუთითებს იმაზე, რომ ბაზარზე

დომინირებს კომპანიები, რომლებიც უზრუნველყოფენ კომპლექსურ სერვისებს 2PL (Second Party Logistics), 3PL (Third Party Logistics) და 4PL (Forth Party Logistics) და მათი არსებობა ბაზარზე მნიშვნელოვანი წილით, განსაკუთრებით 3PL და 4PL, ახასიათებს ლოჯისტიკის განვითარების დონეს. [Verzier, M.O. , 2019]

ამრიგად, ზემოაღნიშნულის შეჯამებით, უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ვაჭრობის გაფართოების, ტვირთების ნაკადების გლობალიზაციისა და წარმოების სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში გადატანისა და მზა პროდუქციის ექსპორტის ორგანიზების კონტექსტში, ტრანსპორტირებისა და ლოჯისტიკური მომსახურების როლი სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვინაიდან სატრანსპორტო და ლოჯისტიკური ცენტრების ეფექტიანი განვითარება ხელს უწყობს შექმნილი პროდუქტის ღირებულების შემცირებას და მთლიან შიდა პროდუქტში დანახარჯების დონეს, რაც თავის მხრივ აისახება შემოსავლისა და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის დონეზე.

საქართველო იმ უძველეს სატრანსპორტო გზაჯვარედინზე მდებარეობს, რომელიც აკავშირებდა და აკავშირებს ჩრდილოეთისა და სამხრეთის, დასავლეთისა და აღმოასვლეთის ქვეყნებს. სწორედ მასზე გადიოდა ევროპა -აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო მაგისტრალი – ძველი აბრეშუმის გზა. ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ საქართველოს აქვს იდეალური მდებარეობა და ამის დასამტკიცებლად ამბობენ იმას, რომ საქართველოს აქვს ზღვაზე გასასვლელი და ის არის ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ქვეყანა. საქართველოს ხელსაყრელი სატრანსპორტო გეოგრაფიული მდებარეობის მნიშვნელობა კიდევ ერთხელ მას შემდეგ დადასტურდა და გაიზარდა, როცა საფუძველი ჩაეყარა ბაქო-სუფსისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენების მშენებლობას. 1998 წელს ბაქოში ხელი მოეწერა საერთაშორისო ხელშეკრულებას ევროპა–კავკასია–აზიის სატრანსპორტო დერეფნის შექმნის თაობაზე, რომელიც დასავლეთ ევროპასა და აღმოსავლეთ აზიას დააკავშირებს კავკასიისა და შუა აზიის გავლით. ამ დერეფანს შემოკლებით “ტრასეკას” უწოდებენ. მას ასევე იხსენებენ, როგორც ახალი “აბრეშუმის გზა”ქვეყნის გეოპოლიტიკურიმდებარეობა მეზობელ ქვეყნებში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარებით ფასდება. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა განისაზღვრება მისი ურთიერთობებით უშუალო მოსაზღვრე და არამოსაზღვრე ქვეყნებთან, აგრეთვე, ამ ქვეყნებში არსებული პოლიტიკური

და ეკონომიკური სიტუაციებით. საქართველოს მეზობელ ქვეყნებად ითვლება მისი უშუალო მოსაზღვრედა მეტნაკლებად დაშორებული სახელმწიფოები. მათი უმრავლესობა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებია, დანარჩენები კი – ყოფილი სოციალისტური და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები. მათ შორის მხოლოდ ერთადერთი სახელმწიფო – თურქეთია ნატოს წევრი ქვეყანა. ეკონომიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით, საქართველო ოდითგანვე დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციების დამაკავშირებელ ხიდს წარმოადგენდა, შავიზღვისპირა მდებარეობა კი მას დიდ უპირატესობას ანიჭებს სამხრეთ კავკასიის სხვა სახელმწიფოებთან შედარებით. საქართველოს სატრანსპორტო – გეოგრაფიული მდებარეობა ამჟამად მეტად ხელსაყრელია, რაც გამოიხატება შავი ზღვის სანაპიროზე მისი მდებარეობით, უმოკლესი სახმელეთო გზების არსებობით ევროპასა და აზიას შორის კავშირის დასამყარებლად. საბჭოთა კავშირში ყოფნისას იგი სატრანსპორტო ჩიხში იყო და მსოფლიოს ქვეყნებთან ურთიერთობა მხოლოდ მოსკოვის გავლით ხორციელდებოდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანამ პრაქტიკულად სატრანსპორტო გზაჯვარედინის ფუნქცია შეიძინა. სატრანსპორტო მაგისტრალები, რომლებიც რამდენიმე ქვეყნის ტერიტორიაზე გადის, საერთაშორისო მნიშვნელობას იძენს, სწორედ ამგვარი დერეფნები ასრულებს მთავარ როლს ქვეყნებს შორის კავშირის გაფართოებასა და სატრანპორტო სისტემის ჩამოყალიბებაში. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მეტად ხელსაყრელი მდებარეობა აქვს, რაც განაპირობებს მის ეკონომიკურ განვითარებას და საერთაშორისო ეკონომიკურ-პოლიტიკურ პროცესებში ჩართვას.

კლასიკური ეკონომიკური დოქტრინები გლობალური ეკონომიკის პირობებში ვერ ასახავს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ყველა ასპექტს, განსაკუთრებით სტრატეგიისა და ტაქტიკის კონტექსტში. მაგალითად, შედარებითი უპირატესობის თეორიისთვის ძალიან რთულია ახსნას ყველა ის მახასიათებელი, რომელიც ახასიათებს გლობალურ ეკონომიკურ ურთიერთობებს, რადგან კლასიკური ეკონომიკური დოქტრინები იძლევა გარკვეულ შეზღუდვებს თანამედროვე გლობალური ეკონომიკისთვის. ეკონომიკური სიძლიერის მისაღწევად, მხოლოდ საბაზრო ფაქტორების ცოდნა და მნიშვნელოვანი გეოგრაფიული სივრცის არსებობა არ იძლევა წარმატების გარანტიას, რადგან არასაბაზრო, ტექნოლოგიური და კომპლექსური ფაქტორებიც თანაბრად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ეკონომიკური მიზნების

მიღწევაში. ამ ვითარებაში უფრო აქტუალური ხდება საქართველოს ლოგისტიკურ ჰაბად ჩამოყალიბების პოტენციალის ანალიზი, რათა გამოიცნოს მსოფლიო მიწოდების ჯაჭვის რთული სისტემა და ამ სისტემაში თავის დამკვიდრების ინსტრუმენტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საერთაშორისო ლოგისტიკაში ისეთი მცირე ქვეყნის წარმატებას, როგორიც საქართველოა, მრავალი ურთიერთდაკავშირებული კომპონენტის მწყობრი განვითარება განაპირობებს და თანამედროვე ეტაპზე მხოლოდ გეოგრაფიულად სატრანზიტო მდებარეობა ვერ იძლევა ლოგისტიკურ ჰაბად ჩამოყალიბების გარდაუვალ შესაძლებლობას. სწორედ აქედან გამომდინარე, ამ საავტორო სვეტში თავს ავარიდებ იმაზე საუბარს, თუ რას გვაძლევს ჩვენი გეოგრაფიული განფენილობა, ისტორიული წარსული, პოლიტიკური კონიუნქტურა, ეკონომიკური და ინსტიტუციური ფონი, ან კიდევ, თუ ვინ გვყავს ჩრდილოეთით და სამხრეთით კონკურენტები, რა მოცულობის ტვირთი გადავზიდეთ კონკრეტულ წლებში ან კიდევ რამდენი შესაძლებლობა გავუშვით ხელიდან, რადგან ამაზე მკვლევრები აქტიურად ადარებენ ერთმანეთს ინდუსტრიის აბსოლუტურ მაჩვენებლებს. ამ სვეტში მინდა ვისაუბრო იმაზე, თუ რა იქნება კარგი იმისათვის, რომ საქართველო მსოფლიო ლოგისტიკური მიწოდების ჯაჭვში მიმდინარე პროცესებს აჰყვეს და მის ავანგარდში შექმნას ლოგისტიკური ჰაბის ფუნქცია.

გლობალური მიწოდების ჯაჭვში მიმდინარე მნიშვნელოვანი და სწრაფი ცვლილებები, რომლებიც პროვოცირებულ იქნა COVID-19-ის პანდემიის შედეგად, საქართველოსთვის შესაძლოა გახდეს დროული შესაძლებლობა, რაციონალურად იქნას ათვისებული ქვეყნის ხელსაყრელი გეოეკონომიკური ადგილმდებარეობა, როგორც ახალი აბრეშუმის გზის კორიდორის პირობებში ჩინეთ-ევროპას შორის ტვირთზიდვის პროცესში, ისე სხვა, აქამდე ნაკლებად ცნობილი კორიდორების ათვისებისთვის, მაგალითად, როგორიცაა ე.წ. ვიკინგის სატრანზიტო კორიდორი.

2020 წლის დასაწყისიდან მოყოლებული დღემდე პანდემიურმა ტალღებმა მნიშვნელოვანი დაღი დაასვა მსოფლიო მიწოდების ჯაჭვის შეუფერხებელ პროცესს და გამოიწვია დიდი შოკები, რამაც საბოლოო ჯამში საზღვაო გადაზიდვების ფასი მკვეთრად გაზარდა – დაახლოებით 300-400 პროცენტული პუნქტით, თუმცა საკონტეინერო წესით გადაზიდვაზე მკვეთრად მზარდი მოთხოვნისა და, შესაბამისად, ფასების

ზრდის მიუხედავად, მიწოდების ზრდა საზღვაო ინდუსტრიაში არ იგეგმება მომდევნო წლების განმავლობაში, რაც იმას ნიშნავს, რომ გაზრდილი მოთხოვნა ტვირთზიდვაზე უნდა გადანაწილდეს სხვა ტიპის სატრანსპორტო საშუალებებზე. როგორც წესი, პირველი ალტერნატივა სწორედ საკონტეინერო სარკინიგზო გადაზიდვებია, როცა საუბარი გვაქვს კონტინენტთაშორის ტვირთზიდვაზე, რომელსაც მოსდევს სამანქანო გადაზიდვები შედარებით მოკლე მანძილებზე ანუ რეგიონულ დონეზე. ამდენად, ვინაიდან ჩვენს ქვეყანას აქვს ბუნებრივი გეოგრაფიული განფენილობა დასავლეთ-აღმოსავლეთს შორის და დიდი ხანია, ვცდილობთ ავამუშაოთ ე.წ. შუა კორიდორი, ეს ის დროა, როცა შესაძლებელია, რომ ამ სატრანზიტო ფუნქციის სრული დატვირთვით ამუშავება რეალური გახდეს. 2020 წლის პანდემიურ პერიოდში მკვეთრად გააქტიურდა ჩინეთიდან ევროპაში და უკუმიმართულებით ტვირთბრუნვა და მიაღწია დაახლოებით 1.3 მლნ TEU-ს, რომელიც გასულ 2019 წელთან შედარებით 50%-ით გაიზარდა. ცხადია, ჩინეთ-ევროპას შორის ტვირთზიდვაში კონკურენტებიც აქტიურდებიან, თუმცა მოთხოვნა იმდენად მზარდია, რომ მათი რესურსიც არაა საკმარისი და დიდი ძალისხმევის გარეშე ტვირთის გადმოსროლა შესაძლებელი ხდება ჩვენს კორიდორშიც, მაგრამ ამისათვის საჭიროა გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილება, რაც რეალურს გახდის საქართველოს ლოგისტიკურ ჰაბად ქცევის შესაძლებლობებს.

დღეის მდგომარეობით იმისათვის, რომ შუა კორიდორში საკონტეინერო გადაზიდვები ინტენსიური და რეგულარული გახდეს, მნიშვნელოვანია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და გამტარუნარიანობის ზრდა როგორც საზღვაო, ისე სარკინიგზო მიმართულებით, საზღვრის კვეთის პროცედურის გამარტივება აზერბაიჯანისა და თურქეთის მიმართულებით, კონკურენტუნარიანი გამჭოლი ტარიფების მიღწევა სარკინიგზო სახელმწიფო ოპერატორებს შორის ჩინეთის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის მხარეებს შორის, ხარისხიანი ლოგისტიკური მომსახურების შექმნის ხელშეწყობა 3PL და 4PL მომსახურების დანერგვით, რაც საერთაშორისო ინვესტორების მოზიდვითაა შესაძლებელი და სატრანზიტო კორიდორში მიკვლევადობის უზრუნველყოფა არის ის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტი, რომელიც განსაზღვრავს კორიდორის კონკურენტუნარიანობას და საბოლოოდ სატრანზიტო დროის შემცირებას.

პანდემიური სიტუაციის პირობებში და მიწოდებათა ჯაჭვის გლო-

ბალურ სისტემებში შეფერხებების ფონზე მნიშვნელოვანი ხდება შიდა და გარე რეგიონალურ მიწოდებათა დივერსიფიკაცია და, შესაბამისად, ახალ ტრანზიტულ კორიდორებში მიზიდულობის ნიშის დამკვიდრება. ამდენად, ზემოთ ნახსენები ახალი აბრეშუმის გზის ანუ შუა კორიდორის პარალელურად მნიშვნელოვანია ე.წ. ვიკინგის სატრანზიტო კორიდორში (სკანდინავიური ქვეყნები-ლიეტუვა-ბელარუსი-უკრაინა-საქართველო-კავკასია და ცენტრალური აზია) ჩვენი სატრანზიტო ფუნქციის მნიშვნელობის წამოწევა, რომელიც საქართველოს ლოგისტიკური ჰაბის პოტენციალს კიდევ უფრო გაამყარებს.

ზემოაღნიშნული კომპონენტებიდან ყველაზე მნიშვნელოვნად გამოვყოფდი, ერთი მხრივ, ლოგისტიკური ინფრასტრუქტურისა და გამტარუნარიანობის საკითხს. მნიშვნელოვანია სერვისების განვითარება და მულტიმოდალური სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის დანერგვა. აუცილებელია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და თანამედროვე სასაწყობო ინფრასტრუქტურის განვითარება. ვინაიდან ორივე სატრანზიტო კორიდორი – როგორც შუა კორიდორი, ისე ვიკინგის სატრანზიტო დერეფანი – მულტიმოდალური ხასიათისაა და მოითხოვს როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო წესით ტრანსპორტირებას კომბინირებულად, მნიშვნელოვანია ე.წ. წინარე ლოგისტიკური ცენტრების არსებობა, სადაც მოხდება სხვადასხვა ტიპის ტვირთების დახარისხება, დასაწყობება და მიზნობრიობის შესაბამისად გადამისამართება საბოლოო დანიშნულების ქვეყნებში. აღნიშნული მომსახურებების დანერგვა დამატებით ღირებულებას შექმნის ქვეყანაში, რაც მის სამომავლო ჰაბად ფორმირებას გაამართლებს.

მეორე მხრივ, უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს კორიდორში ტვირთზიდვის მიკვლევადობა, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული სატრანზიტო დერეფნის დიგიტალიზაციასთან, რომელიც გაზრდის ხილვადობას საკონტეინერო გადაზიდვების კორიდორის ნებისმიერ ქვეყანაში, სატრანსპორტო საშუალებებსა და სახელმწიფო საბაჟო დაწესებულებებს შორის და, რაც მთავარია, ტვირთის გამგზავნსა და მიმღებ მხარეებს შორის.

მსოფლიოს წამყვანი საზღვაო ხაზები და ლოგისტიკური კომპანიები აქტიურად მუშაობენ TradeLens-ის იმპლემენტაციაზე, რომელიც წარმოადგენს უნიფიცირებულ ელექტრონულ პლატფორმას და განკუთვნილია საერთაშორისო გადაზიდვებში მონაწილე ყველა ჩართული მხარისათვის, როგორც სახელმწიფო უწყების (საბაჟო ინსტიტუცი-

ები), ასევე საზღვაო პორტების, რკინიგზის, სატრანსპორტო და ლოგისტიკური კომპანიებისა და ამასთანავე თავად ტვირთმფლობელებისათვის, რათა მათ მოახდინონ საკუთარი გადაზიდვებისა და მასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული, ოპერაციული, მიკვლევადობასთან დაკავშირებული ინფორმაციების ავტომატურად კონტროლი. მიგვაჩნია, რომ პლატფორმის დანერგვა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის ლოგისტიკური უზრუნველყოფის დონის ამაღლებას, სატრანზიტო ფუნქციის მეტად სწრაფი ტემპით განვითარებას და ე.წ. შუა კორიდორის კონკურენტუნარიანობის ზრდას, ვინაიდან სატრანზიტო კორიდორის გაციფროვნება/დიგიტალიზაცია წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს ჩვენი კორიდორის უფრო მეტად გააქტიურებისათვის კონკურენტ სატრანზიტო მარშრუტებთან მიმართებით. ამა წლის ოქტომბერს გაეროს გლობალურ სატრანსპორტო კონფერენციის ფარგლებში აღნიშნული პლატფორმის წარდგენა მოხდა წევრ სახელმწიფოთა მაღალი დონის წარმომადგენლობებისათვისაც. ამდენად, თუკი მოხდება TRACECA-ს წევრი ქვეყნების ფარგლებში გლობალური ელექტრონული პლატფორმის ადაპტაცია, ეს ნამდვილად ხელს შეუწყობს კორიდორის კონკურენტუნარიანობის ზრდას და პირველ რიგში საქართველოს, როგორც ლოგისტიკური ჰაბის ფორმირების დაჩქარებას.

2015 წლის 13 დეკემბერს ჩინეთის პორტ ლიანიუნგანის ტერმინალიდან სატრანზიტო მატარებელი ყაზახეთისა და აზერბაიჯანის გავლით საქართველოში შემოვიდა. პროექტის განხორციელებაში რამდენიმე ქვეყნის სარკინიგზო სისტემა და რამდენიმე საერთაშორისო სატრანსპორტო და საექსპედიტორო კომპანია მონაწილეობდა. საქართველოს გავლით საქონელი თურქეთში ჩავა. აღნიშნული სატრანზიტო მარშრუტის განვითარების შემთხვევაში, რაც თანამედროვე აბრეშუმის გზის პროექტის ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენს, ჩინეთის აღმოსავლეთ ნაწილიდან ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის გავლით სტამბულში მატარებელი დაახლოებით 12 დღეში ჩავა, საიდანაც მარმარის გვირაბის გავლით ევროპაში მოხვდება. ეს სატრანზიტო მარშრუტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ჩინეთსა და ევროპულ ქვეყნებს შორის არსებული ვაჭრობის მასშტაბის ფონზე, რაც, 2014 წლის მონაცემებით, 615 მილიარდ აშშ დოლარს აღწევდა, ხოლო 2020 წელს 800 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზრდა.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, უდავოდ, პოზიტიურ როლს

თამაშობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში და ახალისებს მდგრად ეკონომიკურ ზრდას, ურბანიზაციას, ინდუსტრიალიზაციას და საერთაშორისო ვაჭრობას. სწორედ აღნიშნული განაპირობებს საქართველოს ინტერესს, ჩაერთოს აბრეშუმის გზის პროექტში.

ევროპისა და აზიის ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობები ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჩამოყალიბდა. თავდაპირველად სახმელეთო ტრანსპორტი ჩინეთსა და ხმელთაშუაზღვისპირეთს აკავშირებდა. სავაჭრო ქარავნები კვეთდნენ ათასობით კილომეტრს, რათა პროდუქცია გაეცნოთ და მიეწოდებინათ განსხვავებული ცივილიზაციისათვის. აღნიშნულ გზას აბრეშუმის გზა უწოდეს, რადგან პირველ ეტაპზე ძირითადი სავაჭრო პროდუქტი სწორედ აღმოსავლური აბრეშუმი გახლდათ. შუა საუკუნეებში სახმელეთო მარშრუტმა ნელ-ნელა დაკარგა არსებული ფუნქცია, რადგან სახელმწიფოთა შორის არსებული არაერთი დაპირისპირების ფონზე გზებზე მოძრაობა უფრო და უფრო სახიფათო გახდა და იგი წარმატებით ჩაანაცვლა საზღვაო ტრანსპორტმა. საზღვაო ტრანსპორტი დღემდე ლიდერობს საერთაშორისო გადაზიდვებში და ევროპასა და აზიას შორის საერთაშორისო ვაჭრობა ყველაზე ხშირად სწორედ საზღვაო გადაზიდვების მეშვეობით ხდება.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან – საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ – ისტორიული აბრეშუმის გზის აღდგენის არაერთი ინიციატივა გამოიკვეთა. აღსანიშნავია, რომ ეს ტერმინი საკმაოდ ფართო მნიშვნელობით გამოიყენება და მის ქვეშ მოიაზრებენ თითქმის ყველა პროექტს, რომლებიც ევრაზიის კონტინენტის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებს აკავშირებს. ევროკავშირის ინიციატივით შეიქმნა პროექტი TRACECA, რომელიც 14 ქვეყანას აერთიანებს და ევროპისა და ცენტრალურის აზიის ქვეყნებს შორის სატრანსპორტო სისტემისა და ვაჭრობის განვითარებას ისახავს მიზნად რუსეთსა და ირანზე გამავალი მარშრუტების გვერდის ავლით. 2011 წელს ამერიკის შეერთებული შტატები ასევე გამოვიდა ინიციატივით, აღედგინა სავაჭრო ურთიერთობები აბრეშუმის გზის გასწვრივ, რომელიც მიზნად ისახავდა ავღანეთის როლის გაზრდას რეგიონალურ ურთიერთობებში. აღნიშნული პროექტების არსებობისა და ერთი შეხედვით არსებული საერთაშორისო მხარდაჭერის მიუხედავად, აბრეშუმის გზის როლი დღემდე არც ისე დიდია.

2013 წლის 7 სექტემბერს ჩინეთის პრეზიდენტმა სი ძინ პინმა ყაზახეთში ვიზიტისას პირველად გაახმოვანა აბრეშუმის გზის ეკონომი-

კური სარტყელის (Silk Road Economic Belt) კონცეფცია, რომელიც ით-ვალისწინებს ჩინეთის ცენტრალური და დასავლეთის რეგიონების სახ-მელეთო ტრანსპორტით დაკავშირებას ცენტრალურ აზიასთან, ახლო აღმოსავლეთთან და ევროპის ქვეყნებთან. აღნიშნული პროექტით ჩი-ნეთის დაინტერესება რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული. ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ჩინეთის ეკონომიკური ზრდა ძირითადად მის აღმოსავლეთ და სამხრეთ პროვინციებზე აი-სახა, რადგან აღნიშნულ რეგიონში წარმოებული საქონლის გადაზიდვა საზღვაო ტრანსპორტით ევროპისა და ამერიკის მიმართულებით გა-ცილებით მარტივია. შესაბამისად, ჩინეთი ნაკლებად განვითარებული დასავლეთ პროვინციების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე ზრუნავს და ახალი სავაჭრო კავშირების შექმნა სურს, რაც, თავის მხრივ, აღნიშნულ პროვინციებს გამოაცოცხლებს. ასევე, საზღვაო გა-დაზიდვისთვის საჭირო შედარებით დიდი დრო ჩინურ პროდუქციას რიგ შემთხვევაში ნაკლებად კონკურენტულს ხდის ევროპულ ბაზარზე. ამასთან, სამხრეთ ჩინეთის ზღვაში არსებული დავა და პოტენციური დაპირისპირება ჩინური პროდუქციის უსაფრთხო ექსპორტს უქმნის საფრთხეს

აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის კონცეფციამ შესაძლოა მიმდინარე საუკუნეში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ითა-მაშოს ევრაზიის კონტინენტის განვითარებაზე. ჩინეთი უკვე წარმოა-დგენს გლობალურ მოთამაშეს უდიდესი ეკონომიკური რესურსით და ყოველდღიურად მზარდი გავლენით. აბრეშუმის გზის განვითარების ჩინურ პროექტს მხარს უჭერს არაერთი სახელმწიფო, რომელთაც სურთ, თვითონაც გახდნენ აღნიშნული პროექტის ბენეფიციარი.

აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის პროექტი, რომელსაც ასევე სახმელეთო აბრეშუმის გზასაც უწოდებენ, შეესაბამება ისტო-რიულ აბრეშუმის გზას, რომელიც საუკუნეების წინ გამოიყენებოდა და ის რამდენიმე ალტერნატიულ ვარიანტს მოიაზრებს.

როგორც უკვე აღვნიშნე, საქართველოს სატრანზიტო დერეფანი „ევროპა-აზიის“ სატრანსპორტო დერეფნის ერთ-ერთი მთავარი შემა-დგენელი ნაწილია. აღნიშნული დერეფანი ორ ძირითად კომპონენტად შეიძლება დავყოთ. ესენია:

- „აღმოსავლეთ-დასავლეთის“ ენერგეტიკული დერეფანი;
- TRACECA-ს დერეფანი

„აღმოსავლეთ-დასავლეთის“ ენერგრტიკული დერეფანი დღეის

მდგომარეობით, მხოლოდ მცირე ნაკადის (6-7 მლნ. ტონა) გატარებას ახერხებს, რომელიც კასპიის აუზის მეშეობით მარაგდება.

რაც შეეხება TRACECA-ს დერეფანს, „აღმოსავლეთ-დასავლეთის“ დერეფნისგან განსხვავებით, ტრადიციული ტვირთების გადამზიდ მონაკვეთს წარმოადგენს. აღნიშნულ დერეფანზე გატარებული ტვირთების მოცულობა მზარდი ხასიათისაა და 2005 წელს 13 მლნ. ტონაზე მეტი შეადგინა.

სატრანზიტო გადაზიდვების მაგისტრალის ტრანსკავკასიური არეალის მონაცემთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოზე გამავალი ტვირთების უდიდესი ნაწილი მის სამხრეთელ მეზობლებს ეკუთვნის. საქართველოზე მოდის დაახლოებით - 13% გადაზიდული ტივრთებისა; აზერბაიჯანზე - 74%; სომხეთზე - 9 %-ზე მეტი; თურქმენეთსა და უზბეკეთზე - 1.5 – 1.5 %.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში მომსახურების სფეროს მუდმივად მზარდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემების არსებობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. აღნიშნულ სტატისტიკას იყენებს როგორც ხელისუფლება, ისე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მონიტორინგის, კონკურენტუნარიანობის შეფასების და ეკონომიკის განვითარებისკენ მიმართული პოლიტიკის შემუშავებისათვის. გარდა ამისა, აღნიშნული მონაცემები აუცილებელია საგადასახდელო ბალანსის და ეროვნულ ანგარიშთა სისტემის კომპილაციისთვის. მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოება წარმოადგენს საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების 2020-2023 წლების სტრატეგიის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას. ის ასევე განსაზღვრულია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმით.

მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის მაჩვენებლებს ასახავს ქვემოთ მოცემული გრაფიკული გამოსახულება (ნახ. 4).

ზემოაღნიშნულ წყაროს თანახმად, მომსახურების ექსპორტი მომსახურების სახეების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა. 2021 წელს, საქართველოს მომსახურების ექსპორტში პირველი ადგილი მოგზაურობამ დაიკავა 1 244.9 მლნ. აშშ დოლარით, რაც მომსახურების მთლიანი ექსპორტის 48.9 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილს იკავებს სატ-

**ნახ. 4. მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის მაჩვენებლები 2020-2021 წლებში (მლნ. აშშ დოლარი)**




**წყარო:** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რანსპორტო მომსახურება 822.6 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 32.3 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა სატელეკომუნიკაციო, კომპიუტერული და საინფორმაციო მომსახურება 215.9 მლნ. აშშ დოლარით (შესაბამისად 8.5 პროცენტი.

უმსხვილესი მომსახურების სახეები მომსახურების ექსპორტში პირველ ადგილზე 48,9 %-ით მოგზაურობაა, რაც პირდაპირ კავშირშია სატრანსპორტო სექტორის განვითარებასთან, ხოლო მეორე ადგილს 32,3 %-ით სატრანსპორტო მომსახურება იკავებს, ეს კიდევ ერთხელ ნათლად გვიჩვენებს თუ რა მნიშვნელობა აქვს სატრანსპორტო სფეროს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვის.

მომსახურების იმპორტი მომსახურების სახეების მიხედვით, 2021 წლის მომსახურების იმპორტში უმსხვილესი მომსახურება წარმოდგენილია სატრანსპორტო მომსახურების სახით, რომლის იმპორტმა 1 086.4 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 59.6 პროცენტი შეადგინა. მეორე ადგილს მოგზაურობა იკავებს 184.1 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 10.1 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა სადაზღვევო მომსახურება 119.3 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 6.5 პროცენტი).

## ანტირუსული სანქციები და საქართველოს სატრანზიტო როლი

რუსეთმა, 2022 წლის 24 თებერვალს, უკრაინის წინააღმდეგ სამხედრო აგრესიის განხორციელება დაიწყო, რასაც დასავლეთის მხრიდან არაერთი სანქცია მოჰყვა. ერთ-ერთი სანქცია მოიცავს რუსეთის ტერიტორიაზე სახმელეთო ტვირთების ტრანზიტის აკრძალვას. აღნიშნულმა საქართველოსთვის როგორც სატრანზიტო ქვეყნისთვის ახალიპ ერსპექტივები გააჩინა. საქართველო, როგორც სატრანზიტო დერეფანი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მის გარეშე ევროპის წვდომა ცენტრალური აზიის ბუნებრივ რესურსებსა და პროდუქტებზე ბევრად შემცირდება.

ბოლო დროს გაცოცხლდა საქართველოზე გამავალი ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტის გააქტიურების იდეა. მიმდინარე წელს საქართველომ, თურქეთმა და აზერბაიჯანმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას მონაცემთა წინასწარი გაცვლის შესახებ საბაჟო ტრანზიტის პროცედურების გამარტივებისთვის, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო ტვირთების „გამართულ მიწოდებას" კავკასიის რეგიონში და გაზრდილი ტვირთების ერთობლივ მართვას. დიდი პერსპექტივა აქვს საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის სატრანსპორტო დერეფნების განვითარება და კონკურენტუნარიანობის, განსაკუთრებით, **ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტის (TITR),** პოტენციალის ზრდას. რეგიონში არსებული შეცვლილი რეალობის ფონზე, საქართველოს დერეფანში ტვირთბრუნვა გაიზარდა 1 მილიონი ტონით, მათ შორის გაიზარდა როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო, ასევე საკონტეინერო ტვირთბრუნვა.(https://bm.ge/ka/article/saqartvelo-azerbaijani-turqetis-sabajo-administraciebma-monacemta-winaswari-gacvlis-shetanxmeba-gaaformes/115080/).

მართალია ჩვენთვის ეს ყველაფერი ახალი შესაძლებლობებია, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას მნიშვნელოვნად ჭირდება გაუმჯობესება, რათა ყველა მის წინაშე დასახული ამოცანა შეასრულოს და ზემოთხსენებული ყველა შესაძლებლობა მაქსიმალურად გამოიყენოს. როგორც ექსპერტები ამბობენ, საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკლებობას განიცდის. ასევე აღსანიშნავია ანაკლიის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პორტის შეჩერებული მშენებლობა, რომელიც დაპირისპირების საბაბიც გახდა.

მართალია დასავლეთის სანქციებმა რუსეთის მნიშვნელოვანი საერთაშორისო სატრანზიტო დერეფნები ფაქტობრივად შემოფარგლა და გარკვეულ ჩარჩოებში მოაქცია, თუმცა საქართველოს სეპარატისტული რეგიონის, აფხაზეთის ხელისუფლება, შეეცდება მაქსიმალურად გამოიყენოს ტერიტორიის საკუთარი სატრანზიტო პოტენციალი, როგორც შემოსავლის ძირითადი წყარო.

უპირველეს ყოვლისა, აფხაზური ისტებლიშმენტი თვალს აქცევს თურქეთს, როგორც რეგიონის ერთ-ერთ მთავარ სატრანსპორტო კვანძს, უკვე ჩამოყალიბებული არაფორმალური სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების გათვალისწინებით.

აფხაზეთის მთავრობა ასევე განიხილავს სხვადასხვა შესაძლო სატრანზიტო გარიგებებს როგორც საქართველოს ისევე სომხეთის მთავრობებთან. თუმცა აღსანიშნავია, რომ რაიმე სახის კონსულტანცია მათ შორის ჯერჯერობით არ ყოფილა.

მართალია რუსეთიდან საქართველოს ტერიტორიაზე სატრანსპორტო და ენერგეტიკული დერეფნების გადაადგილება მნიშვნელოვან შესაძლებლობებს შეიცავს როგორც გეოპოლიტიკური ისე ეკონომიკური თვალსაზრისით, თუმცა ეს გარკვეულ რისკებს შეიცავს და ამ რისკების დონე არცთუისე დაბალია. რუსეთს საქართველოს 22 პროცენტი აქვს ოკუპირებული (მათ შორის სტრატეგიული ბაქო-სუფსის ნავთობსადენის 600 მეტრზე მეტი მონაკვეთი), მცოცავი ოკუპაცია კი სამწუხაროდ დღესაც გრძელდება. შესაბამისად არსებული რეალობის გათვალისწინებით დიდია საშიშროება იმისა, რომ მილსადენი საოკუპაციო ზონაში აღმოჩნდება.

სატრანსპორტო დერეფნები უნდა განვიხილოთ არა მარტო საერთაშორისო ეკონომიკური და სატრანსპორტო დერეფნებში ინტეგრაციის პოზიციიდან, არამედ როგორც მსოფლიო ლოჯისტიკური სისტემის უმნიშვნელოვანესი ელემენტი. ლოჯისტიკური სისტემის ინფრასტრუქტურულ შემადგენლობას წარმოადგენენ გამანაწილებელი ცენტრები, მულტიმოდალურ/ინტერმოდალურ სატრანსპორტო ქსელთა ურთიერთმოქმედი მულტიმოდალურ-ტერმინალური კომპლექსები, რომლებიც ერთ სისტემად არიან შეკრულები, მუშაობენ ერთიანი სტანდარტებით, ნორმებით და წესებით „კარიდან კარამდე“ და „ზუსტად დროში“ ტექნოლოგიებით მაღალეფექტიან შედეგებს აღწევენ.

მსოფლიო ბანკის საერთაშორისო ლოგისტიკის ეფექტიანობის ინდექსი წარმოადგენს შეფასების ინსტრუმენტს, რომელიც ეხმარება

ქვეყნებს იმ შესაძლებლობების და გამოწვევების იდენტიფიცირებაში, რომელსაც ისინი აწყდებიან ლოგისტიკურ პროცესებში და ასევე მათი ეფექტიანობის გაუმჯობესების საშუალებაა.

ICT (საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები) განვითარების ინდექსი ქვეყნდება 2009 წლიდან და აერთიანებს 11 ინდიკატორს. მოცემული ინდექსი გამოიყენება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების მონიტორინგისა და ქვეყნების შედარებისთვის.

2017 წლის ICT განვითარების ინდექსის რანგირებაში საქართველო 74-ე ადგილზეა, რაც 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე (73-ე ადგილი) 1 ერთეულით არის შემცირებული, სომხეთი მოცემულ რანგირებაში 75-ე ადგილზეა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე (74-ე ადგილი) 1 ერთეულით არის შემცირებული. რაც შეეხება აზერბაიჯანს, 2017 წელს 65-ე ადგილზეა, ხოლო 2016 წელს კი მე-60 ადგილზე.

**ნახ. 5. ICT (საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები) განვითარების ინდექსი**




* რაც უფრო დაბალია რანგი, მით უფრო მაღალია გლობალური შესაძლებლობების ინდექსი

**წყარო:**https://www.itu.int/en/ITU=D/Statistics/Pages/publications/mis2016/methodology.aspx https://www.itu.int/net4/ITU-D/idi/2017/index.html

ჰენლის პასპორტის ინდექსი წარმოადგენს ერთადერთ მოცემული სახეობის ინდექსს 17 წლიანი ისტორიული მონაცემებით, რომელიც

ეფუძნება საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ხელმძღვანელობისგან (International Air Transport Authority - IATA) ექსკლუზიურ მონაცემებს. ინდექსი მოიცავს 199 სხვადასხვა პასპორტსა და 227 განსხვავებულ ტურისტულ მიმართულებას. მოცემული ინდექსი ახლდება ყოველ კვარტალურად და ჰენლის პასპორტის ინდექსი მიჩნეულია გლობალური მასშტაბით პასპორტის შეფასების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად.

**ცხრილი 3. ჰენლის პასპორტის ინდექსი (ადგილი)**

| ქვეყანა | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 |
|---|---|---|---|---|---|---|
| აზერბაიჯანი | 74 | 75 | 76 | 73 | 80 | 74 |
| საქართველო | 68 | 50 | 50 | 49 | 55 | 48 |
| სომხეთი | 78 | 80 | 81 | 77 | 84 | 78 |

**წყარო:** https://www.henleyglobal.com/passport-index/ranking

მსოფლიო ბანკის საერთაშორისო ლოგისტიკის ეფექტიანობის ინდექსი წარმოადგენს შეფასების ინსტრუმენტს, რომელიც ეხმარება ქვეყნებს იმ შესაძლებლობების და გამოწვევების იდენტიფიცირებაში, რომელსაც ისინი აწყდებიან ლოგისტიკურ პროცესებში და ასევე მათი ეფექტიანობის გაუმჯობესების საშუალებაა.

ლოგისტიკის ინდექსში შესულია 160 ქვეყანა და მოიცავს ექვს ძირითად ინდიკატორს:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ხარისხი;
- ტვირთის განრიგის მიხედვით დანიშნულების ადგილამდე დროულად მიწოდება;
- ტვირთის თრექინგის შესაძლებლობა;
- საბაჟო პროცედურებისა და საზღვრის მართვის ეფექტურობა;
- კონკურენტუნარიანი საერთაშორისო გადაზიდვების წარმოების შესაძლებლობა;
- ლოგისტიკური მომსახურების შესაძლებლობები და ხარისხი.

### ცხრილი 4. საერთაშორისო ლოგისტიკის ეფექტიანობის ინდექსი, 2018 წელი

| ქვეყნები | ადგილი | კოეფიციენტი |
|---|---|---|
| აზერბაიჯანი* | 125 | 2.45 |
| საქართველო | 119 | 2.44 |
| სომხეთი | 92 | 2.61 |

*აზერბაიჯანის შესახებ ბოლო მონაცემები გამოქვეყნდა 2014 წლის ინდექსით რაც უფრო მაღალია ქულა და დაბალია რანგი, მით მაღალია მოცემული მაჩვენებელი.

**წყარო:** https://lpi.worldbank.org/

პორტულანსის ინსტიტუტის (The Portulans Institute) ქსელური მზადყოფნის ინდექსი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გამოყენებისა და გავლენის შეფასების ერთ-ერთი წამყვანი გლობალური ინდექსია. 2021 წლის ქსელური მზადყოფნის ინდექსის ანგარიში აფასებს 130 ქვეყნის შემდეგ მაჩვენებლებს: ტექნოლოგია, მოსახლეობა, მმართველობა და გავლენა.

### ნახ. 6. პორტულანსის ინსტიტუტის ქსელური მზადყოფნის ინდექსი




*რაც უფრო დაბალია ადგილი, მით მაღალია მოცემული მაჩვენებელი. წყარო: https://networkreadinessindex.org/countries/

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (World Economic Forum) მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსი პირველად გამოქვეყნდა 2007 წელს. ინდექსი ზომავს იმ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობენ ბიზნესის განვითარებას ქვეყნების ტურისტულ ინდუსტრიაში. ანგარიშში შესული 140 ქვეყნის რანგირება სამი ძირითადი ქვეინდექსის მიხედვით: 1. მარეგულირებელი ჩარჩო; 2. ბიზნეს გარემო და ინფრასტრუქტურა; 3. ადამიანური, კულტურული და ბუნებრივი რესურსები. ანგარიში ასევე მოიცავს თითოეული კონკრეტული ქვეყნის პროფილს, ასევე ძირითად ეკონომიკურ ინდიკატორებს მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით და ასევე გაერო-ს ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის ტურისტულ მონაცემებს.

**ცხრილი 4. მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსი**

| ქვეყნები | 2017 | | 2019 | |
|---|---|---|---|---|
| | ადგილი | ქულა | ადგილი | ქულა |
| აზერბაიჯანის რესპუბლიკა | 71 | 3,7 | 71 | 3,8 |
| საქართველო | 70 | 3,7 | 68 | 3,9 |
| სომხეთის რესპუბლიკა | 84 | 3,5 | 79 | 3,7 |

*რაც უფრო მაღალია ქულა, მით უფრო მაღალია ქვეყნის მაჩვენებელი. წყარო: https://reports.weforum.org/travel-and-tourism-competitiveness-report

უმსხვილესი ტურისტული საძიებო ინტერნეტ პორტალის Momondo-ს მიერ გამოქვეყნებულ სამუშაოდ და სამოგზაუროდ საუკეთესო ქვეყნების რეიტინგის მიხედვით ქვეყნების რანგირება ხდება შემდეგი ექვსი კატეგორიის მიხედვით: მოგზაურობა, ადგილობრივი ფასები, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, დისტანციური მუშაობა, სოციალური ცხოვრება და ამინდი. 2021 წელს საქართველოს, 111 ქვეყანას

შორის, უკავია მე-17 ადგილი, სომხეთს - 83 ადგილი (წყარო: https://www.momondo.com/travel-work/rank )

ინტერნეტის გლობალური თავისუფლების ინდექსს ამერიკული ორგანიზაცია „Freedom House" აქვეყნებს. ბოლო ინდექსი 70 ქვეყანას მოიცავს. თუმცა ქვეყნები, რომლებიც მოცემულ ინდექსში არ არიან შეტანილი, ძირითადად განვითარებადი, ღარიბი ქვეყნებია, სადაც ნაკლებად სავარაუდოა, რომ ინტერნეტის თავისუფლების დონე მაღალი იყოს. ინდექსის მონაცემები ყოველწლიურად ახლდება. 2022 წელს გამოქვეყნებული ინდექსი 2021 წლის რეალობას ასახავს.

**ცხრილი 5. ინტერნეტის გლობალური თავისუფლების რეიტინგი**

| **წლები** | **2017** | | **2018** | | **2019** | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქვეყნები | ადგილი | ქულა | ადგილი | ქულა | ადგილი | ქულა |
| აზერბაიჯანი | 44 | 58,0 | 45 | 60,0 | 45 | 39,0 |
| საქართველო | 8 | 24,0 | 10 | 25,0 | 10 | 75,0 |
| სომხეთი | 17 | 32,0 | 13 | 27,0 | 8 | 76,0 |
| **წლები** | **2020** | | **2021** | | | |
| ქვეყნები | ადგილი | ქულა | ადგილი | ქულა | | |
| აზერბაიჯანი | 45 | 38,0 | 52 | 35,0 | | |
| საქართველო | 8 | 76,0 | 9 | 77,0 | | |
| სომხეთი | 11 | 75,0 | 16 | 71,0 | | |

**წყარო:** https://freedomhouse.org/report/freedom-net

ქვეყანას მაქსიმუმ 100 ქულის დაგროვება შეუძლია, მეტი ქულა ინტერნეტის მეტ თავისუფლებას ნიშნავს. 100 ქულა შეფასების 3 კრიტერიუმზე ნაწილდება: მაქსიმუმ 70-100 ქულა მოდის ინტერნეტის ხელმისაწვდომობაზე, მაქსიმუმ 40-69 ქულა მოდის ინტერნეტის თემატურ შეზღუდვაზე და მაქსიმუმ 40 ქულა მოდის ინტერნეტის მომხმა-

რებლების უფლებების დარღვევაზე. ქვეყნებზე დაკვირვება ღია მონაცემებზე დაყრდნობით და გამოკითხვებით ხდება. ქულების მიხედვით ქვეყნები თავისუფალ, ნაწილობრივ თავისუფალ და არათავისუფალ ქვეყნებად იყოფიან.

საქართველოში ლოგისტიკაზე მოთხოვნა არსებობს, თუმცა პრობლემას ბაზრის სიმცირე წარმოადგენს, ასევე არის ინდუსტრიული კომპანიების ნაკლებობა და განვითარების დაბალი დონე. იმისთვის, რომ უცხოელები დავაინტერესოთ ლოჯისტიკური მიმართულებით, მაქსიმალურად გაიოლებული უნდა გვქონდეს კავკასიაში გავლა. ეს მხოლოდ ჩვენზე არ არის დამოკიდებული და სომხეთსა და აზერბაიჯანსაც ეხება. გარდა ამისა, ჩვენ ცენტრალური აზიისკენ ერთგვარი ჭიშკარის ფუნქციაც გვაქვს, რაც უნდა გამოვიყენოთ და ამ კუთხით შესაძლებელია უცხოური კომპანიების მოზიდვა.

საქართველოს ლოგისტიკური სისტემების ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკაში და სახელმწიფოს სატრანზიტო-ლოგისტიკური პოტენციალის ამაღლება გლობალურ არენაზე შესაძლებელია: ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის უპირატესობის რეალიზებით, არსებული სატრანსპორტო ქსელის რაციონალური გამოყენებით, ლოგისტიკური ცენტრების ოპტიმალური განლაგებით, ევროკავშირსა და აზიის ქვეყნებს შორის ტვირთების გადაადგილების მინიმალური დროისა და უმოკლესი გზის უზრუნველყოფით, ეფექტური საბაჟო-სასაზღვრო გაფორმების დანერგვით, ასევე მიწოდების საერთაშორისო ჯაჭვის კონტრაგენტებისთვის ლოგისტიკური მომსახურების ფართო ჩამონათვალის შეთავაზებით.

თანამედროვე პირობებში საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია მისი სავაჭრო და სატრანსპორტო კომპლექსების დაჩქარებული ინტეგრაცია გლობალურ ლოჯისტიკურ სივრცეში, ხელსაყრელი პირობების შექმნა საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და შრომის თავისუფალი გადაადგილებისთვის. საქართველოს ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი მთავარი რგოლია ქვეყნის სატრანსპორტო სისტემის გაუმჯობესება და მისი ძლიერი სატრანზიტო პოტენციალის რეალიზება ევრაზიული კავშირების უზრუნველსაყოფად.

# დასკვნა

მსოფლიოში ახალი ფორმატის აბრეშუმის გზა ყალიბდება. საქართველოსთვის ეს ნიშნავს ახალი ენერგომატარებლების, ელექტროსადენების, ბოჭკოვანი სადენების, ავტოსტრადების, ახალი პორტების და აეროპორტების ისტორიულ და ბუნებრივ კალაპოტს, ფინეთის ყურედან სპარსეთის ყურემდე, ბალტიის ზღვიდან არაბეთის ზღვამდე, ეგეოსის ზღვიდან კასპიის ზღვამდე, კასპიის ზღვიდან ყვითელ ზღვამდე.

ამ ახალ პორტებს, ახალ ციფრულ სადენებს და ახალ ქარვასლებს ახალი ტექნოლოგიები და ინფრასტრუქტურა სჭირდება, რომ ქვეყანამ შეასრულოს სატრანსპორტო, ლოგისტიკური, ენერგეტიკული, ინფორმაციული, ფინანსური ჰაბის ფუნქციები. იწყება აღმოსავლეთ ევროპის და კავკასიის კონტინენტური წესრიგი, როგორც კარგად დავიწყებული ძველი და ახალი აბრეშუმის გზა. მალე, საქართველოს წლიურად $35 ტრილიონის ტვირთები მოადგება, იწყება ანაკლიის ღრმაწყლიანი პორტის მშენებლობა, შავი ზღვის ფსკერზე ელექტრო და ინტერნეტკაბელების ჩადება და სხვა მრავალი იდეა პროექტების განხორციელება, სტრატეგიოლ პარტნიორებთან ერთად.

# თავი 6. საქართველოს მონაწილეობა კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობაში

კაპიტალი შეგვიძლია გავიგოთ, როგორც მოგების მიღების მიზნით ეკონომიკური საქმიანობისთვის მიმართული სახსრების მთლიანი ღირებულება. კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ერთ-ერთი წამყვანი ფორმაა. გლობალიზაცია – თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე ღრმა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული პროცესების ერთობლიობა. გლობალოზაცია შეეხო ყველა დარგს თუ სფეროს და მათ შორის ეკონომიკასაც. კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა ეკონომიკური გლობალიზაციის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალაა.

გლობალურ ეკონომიკაში კაპიტალის მოძრაობამ შეიძინა მნიშვნელოვანი როლი, ეს კი გამოწვეულია კაპიტალის უცხოეთში გატანის აუცილებლობით. ამის მიეზეზებია: ის, რომ კაპიტალზე არსებული მოთხოვნისა და მიწოდების დონეები არატანაბარია, ასევეე ის, რომ ხდება უცხოეთის ბაზრის მონოპოლიზაციაა, კაპიტალისს იმპორტირებად ქვეყანაში, უფრო იაფი სამუშაო ძალა და ნედლეულიი და მიმზიდველი საინვესტიციო პირობები.

კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის განვითარების განმსაზღვრელია. ეს არის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვანიი განსაზღვრელი.

იმის ძირითადი მიზეზი თუ რატო ხდება კაპიტალის საერთაშორისო გადაადგილება ესაა მისი სიჭარბე და ნაკლებმომგებიანობა ეროვნულ ქვეყანაში.ამიტომ, მეტი მოგების მისაღებად, იგი უცხოეთში „მოგზაურობს“. ასევე ალსანიშნავია ისიც რომ კაპიტალის ექსპორტი შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაშიც თუ ქვეყანა განიცდის ინვესტიციების უკმარისობას.

## კაპიტალის უცხოეთში გატანის ეკონომიკური ფაქტორები და შედეგები

კაპიტალის უცხოეთში გატანაზე დადებითად მოქმედებს:

ეროვნულ ეკონომიკათა ურთიერთკავშირებულობაა და ურთიერთგადაჯაჭვულობა. კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის დაჩქარე-

ბაზე ძალიან დიდ ზეგავლენას ახდენს წარმოების ინტერნაციონალიზაციაა. კაპიტალის ექსპორტი, განსაკუთრებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციის სახით (პუი), პროდუქციის საერთაშორისო ხასიათის მინიჭების მთავარი ფაქტორია. იგი უნიფიცირებულია და გეოგრაფიული, ეროვნული ან სხვა თავისებურების გარეშე რეალიზდება, მაგ., ავტომობილი, თვითმფრინავი, რადიოელექტრონიკა, კომპიუტერი.

ხშირად, მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნები ხასიათდება კაპიტალის დეფიციტით, არასაკმარისი შიდა დანაზოგი ვერ აფინანსებს შიდასაინვესტიციო მოთხოვნას, რაც შესაბამისად უარყოფით აისახვას ჰპოვებს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ინვესტიციებზე. გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. დღესდღეობით საქართველოსს ეკონომიკის პრიორიტეტს წარმოადგენს უცხოური ინვესტიციებისს მოზიდვა. რამაც ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში მდგრად ეკონომიკურ განვითარებას, განაპირობოს ისეთი პრობლემების გადაჭრა, როგორიცაა დასაქმება და შემოსავლების ზრდა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, საექსპორტო პოტენციალისა და ქვეყანაში სავალუტო-შემოსავლებისს ზრდაა, საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ქვეყნის ინტეგრაციაა და სხვა.

## პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

თანამედროვე მსოფლიოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი) უდიდეს როლს თამაშობენ ქვეყნების ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაში. პუი ასოცირდება ქვეყანაში ახალი ტექნოლოგიების, დარგთან დაკავშირებული ცოდნის, ინოვაციების, მმართველობითი უნარების და სხვა აქტივების შემოდინებასთან. თუმცა, მრავალი კვლევა მოწმობს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა არ არის ცალსახად პოზიტიური მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, რომლებსაც, პუი-სგან სარგებლის შთანთქმის განსხვავებული შესაძლებლობები აქვთ (იხ. ცხრილი 6).

აღნიშნულ ცხრილში წარმოდგენილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკა საქართველოში 2013 წლიდან დღეის 2023 წლის მიმდინარე მონაცემებამდე. აქ ყურადღება უნდა გავამახვილოთ 2019 წლის და 2020 წლის მაჩვენებლებთან, თუ 2019 წელს პუი-ს მოცულობა 1. 352 მილიარდი იყო 2020 წელს ეს მაჩვენებელი 589 მილიონა-

**ცხრილი 6. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2013-2023 წლებში**

| წელი | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულ | 1 039.2 | 1 837.0 | 1 728.8 | 1 654.0 | 1 990.5 | 1 350.6 |
| I კვ | 291.8 | 331.9 | 343.4 | 392.4 | 415.3 | 337.5 |
| II კვ | 224.1 | 217.6 | 493.2 | 453.2 | 397.8 | 423.6 |
| III კვ | 271.6 | 749.5 | 531.1 | 509.0 | 637.2 | 371.5 |
| IV კვ | 251.6 | 538.0 | 361.0 | 299.4 | 540.1 | 218.0 |
| **წელი** | **2019** | **2020** | **2021** | **2022** | **2023*** | |
| სულ | 1 354.1 | 595.3 | 1 252.7 | 2 097.9 | 1388.2 | |
| I კვ | 318.4 | 175.8 | 145.6 | 577.9 | 566.4 | |
| II კვ | 249.7 | 247.4 | 320.6 | 389.2 | 505.7 | |
| III კვ | 406.4 | 295.8 | 376.1 | 820.3 | 316.0 | |
| IV კვ | 379.5 | -123.7 | 410.4 | 310.5 | | |

* წინასწარი მონაცემები

**წყარო:** https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi

მდე დაეცა, რაც კოვიდ-19 პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვებით აიხსნება.

როგორც სტატისტიკიდანაც ნათლად ჩანს პრობლემა არის ის, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უდიდესი ნაწილი თბილისზე მოდის და ის ძალიან დიდი ციფრებით უსწრებს ყველა სხვა რეგიონს. თბილისი ქვეყნის დედაქალაქია და ლოგიკურიც არის რომ ამ სტატისტიკაში დომინანტი იქნება, თუმცა მისი უპირატესობა მაინც ზედმეტად დიდია და სხვა რეგიონები ამით ბევრ რამეს კარგავენ. ქვეყნის განვითარებისთვის ასევე ქვეყანაში დემოგრაფიული სოციალური თუ სხვა პრობლემების მოგვარებისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის ყველა რეგიონი მიახლოებით ერთ დონეზე იყოს განვითარებული. ამიტომ აუცილებელია სახელმწიფომ შექმნას დანარჩენ რეგიონებში ისეთი ინფრასტრუქტურული პოლიტიკური თუ ეკონომიკური გარემო, რომელიც ინვესტორებისთვის ძალზედ მიმზიდველი იქნება და ეს მნიშ-

**ცხრილი 7. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება რეგიონების მიხედვით:**

| რეგიონები/წლები | 2021 | 2022* | I კვ. 2023 | II კვ. 2023* |
|---|---|---|---|---|
| ქ. თბილისი | 1,043,821.7 | 1,883,584.2 | 250,715.4 | 433,983.8 |
| აჭარა | 84,938.2 | 58,744.7 | 32,850.7 | 33,127.6 |
| კახეთი | 1,145.4 | 867.9 | -281.6 | 4,907.4 |
| სამცხე-ჯავახეთი | 45,540.0 | 19,917.5 | 7,975.8 | 5,172.0 |
| ქვემო ქართლი | 21,343.2 | 32,928.9 | 221,292.4 | 15,495.2 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | -4,455.1 | 32,880.5 | 23,480.5 | 4,886.6 |
| გურია | 900.4 | 17.3 | -403.3 | -178.7 |
| იმერეთი | 2,415.8 | 20,702.1 | 15,058.2 | -13,274.6 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 846.0 | 767.9 | 156.3 | 61.0 |
| შიდა ქართლი | 19,639.3 | 35, 607.1 | 2,385.4 | 13,461.2 |
| მცხეთა-მთიანეთი | 26,071.5 | 12, 648.0 | 13,202.8 | 8,105.7 |
| სულ: | 1,241,821.7 | 2,097,898.1 | 566,432.6 | 505,747.2 |

* წინასწარი მონაცემები

**წყარო:** https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi

ვნელოვნად შეუწყოფს ხელს ქვეყნის სხვა რეგიონების განვითარებას, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება ამ რეგიონებში მცხოვრებ საზოგადოებაზე.

## სახელმწიფო საგარეო ვალი

სახელმწიფოს საგარეო ვალი – მოცემული ქვეყნის მთავრობის მიერ სხვა ქვეყნებისა და ორგანიზაციებისგან აღებული სესხია და გულისხმობს მსესხებელი ქვეყნის სავალო ვალდებულებას გამსესხებელი ქვეყნის წინაშე. საგარეო ვალს სამართლიანად მიიჩნევენ ტვირთად,

რომელიც ართულებს ეკონომიკის ნორმალურ ფუნქციონირებას და წარმოადგენს ეკონომიკური ტვირთის სიმძიმის ერთი თაობიდან მეორეზე გადაკისრების საშუალებას.

სახელმწიფოები საგარეო ვალს მიმართავენ, როდესაც შიდა ვალის აღებით სასურველი შედეგი ვერ მიიღწევა. უცხოური კრეტიდები ქვეყანას საშუალებას აძლევს მოიხმაროს ან დააბანდოს მასზე მეტი თანხა, ვიდრე მას გააჩნია. აქედან გამომდინარე, საგარეო ვალი, მისი მიზნობრივად და ეფექტიანად გამოყენების შემთხვევაში, საშუალებას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული ქვეყნის ეკონომიკაზე არასასურველი შედეგები.

საგარეო ვალის აღება გამართლებულია იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ეკონომიკურ ზრდას და ასევე, სწრაფად იზრდება ექპორტიდან მიღებული შემოსავალი. ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოტანას, რის ხარჯზეც უნდა დაიფაროს მზარდი საგარეო ვალი. თუ ეს ასე არ ხდება და ვალის მომსახურებისთვის გადასახდელი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე შემოსავალი უცხოურ ვალუტაში, მაშინ წარმოიქმნება საგადასახდელო ბალანსისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პრობლემები.

[ხადური ნ. „მაკროეკონომიკური პოლიტიკა“ (ლექციების კურსი, თსუ, 2016)] *მთლიანი საგარეო ვალის სტატისტიკა ჰარმონიზებულია საგადასახდელო ბალანსთან. იგი მოიცავს სახელმწიფო (სამთავრობო სექტორი, სახელმწიფო საწარმოები და ეროვნული ბანკი) და კერძო სექტორის (საბანკო და სხვა სექტორები) საგარეო ვალს. საგარეო ვალის სტატისტიკა წარმოებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის, „საგარეო ვალის სტატისტიკა, სახელმძღვანელო შემდგენელთათვის და მომხმარებლებისათვის“ – 2003, შესაბამისად.*

საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა, 2022 წლის 31 მარტის მდგომარეობით 22.1 მლრდ აშშ დოლარი (68.4 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც ბოლო ოთხი კვარტლის მშპ-ს 110.8 პროცენტია. 2022 წლის პირველ კვარტალში საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი 6.1 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. აქედან, ოპერაციული ცვლილების გამო ვალი 384.6 მლნ. აშშ დოლარით გაიზარდა, ხოლო ფასის, საკურსო და სხვა ცვლილებების გამო ვალი შესაბამისად - 207.0 მლნ. აშშ დოლარით, 144.1 მლნ. აშშ დოლარით და 27.4 მლნ. აშშ დოლარით შემცირდა.

სახელმწიფო საგარეო ვალმა შეადგინა 10.4 მლრდ აშშ დოლარი (32.2

მლრდ ლარი), რაც მშპ-ს 52.1 პროცენტია. აქედან სამთავრობო სექტორის ვალია 7.8 მლრდ აშშ დოლარი (24.0 მლრდ ლარი; მშპ-ს 38.9 პროცენტი), ეროვნული ბანკის ვალდებულებები - 942.6 მლნ აშშ დოლარი (2.9 მლრდ ლარი; მშპ-ს 4.7 პროცენტი), ხოლო სახელმწიფო საწარმოების ობლიგაციები და სესხები, შესაბამისად, 438.5 მლნ აშშ დოლარი (1.4 მლრდ ლარი; მშპ-ს 2.2 პროცენტი) და 1.2 მლრდ აშშ დოლარი (3.9 მლრდ ლარი; მშპ-ს 6.3 პროცენტი).

საბანკო სექტორის საგარეო ვალმა შეადგინა 5.0 მლრდ აშშ დოლარი (15.4 მლრდ ლარი; მშპ-ს 25.0 პროცენტი), სხვა სექტორების საგარეო ვალმა - 4.9 მლრდ აშშ დოლარი (15.3 მლრდ ლარი; მშპ-ს 24.8 პროცენტი) და კომპანიათაშორისო ვალმა - 3.5 მლრდ აშშ დოლარი (10.7 მლრდ ლარი; მშპ-ს 17.3 პროცენტი). მთლიანი საგარეო ვალის 90.9 პროცენტი დენომინირებულია უცხოური ვალუტით.

საქართველოს წმინდა საგარეო ვალმა, 2022 წლის 31 მარტის მდგომარეობით, 13.3 მლრდ აშშ დოლარი (41.4 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც ბოლო ოთხი კვარტლის მშპ–ს 67.0 პროცენტია. აქედან, სახელმწიფო სექტორის წმინდა საგარეო ვალი 6.3 მლრდ აშშ დოლარია (19.6 მლრდ ლარი), რაც მშპ-ს 31.7 პროცენტია.

2022 წლის პირველ კვარტალში საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალი 11.6 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. აქედან, ოპერაციული ცვლილებების გამო ვალი 130.6 ათასი აშშ დოლარით გაიზარდა, ხოლო საკურსო ცვლილების გამო ეროვნული ბანკის საგარეო ვალდებულებები 11.7 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. 2022 წლის პირველი კვარტალის ბოლოს ეროვნული ბანკის მთლიანმა საგარეო ვალდებულებებმა 942.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აქედან, 477.9 მლნ აშშ დოლარი განაწილებული ნასესხობის სპეციალური უფლებაა (ნსუ)[1], რომელსაც არ აქვს დაფარვის ვადა და პრაქტიკულად, მისი გადახდის ვალდებულება არ დადგება, სანამ საქართველო არის საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი. [საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი (nbg.gov.ge)]

საქართველოს მთავრობამ 2022 წლის ზაფხულში უარი თქვა ევროკავშირის მიკროფინანსურ დახმარებაზე, რომელიც სესხის სახით უნდა გაცემულიყო საუბარია ევროკავშირის 75 მლნ ევროიანი სესხზე რომლის მიღებაც სასამართლო სისტემის რეფორმის განხორციელებასა და 19 აპრილის შეთანხმების პირობების შესრულებაზეა დამოკიდებული. საქართველოს პრემიერის ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის

## ცხრილი 8. სახელმწიფო ვალის მდგომარეობა საანგარიშგებო პერიოდი 2023 წლის ოქტომბერი

| ათასი ლარი | ნაშთი პერიოდის დასაწყისში | ნაშთი პერიოდის ბოლოს | ნაშთის გადახრა წინა თვესთან | ათვისებული/ შემოსული თანხა პერიოდში | ძირითადი თანხის დაფარვა პერიოდში | გადახდილი საპროცენტო ხარჯი პერიოდში **** |
|---|---|---|---|---|---|---|
| **სახელმწიფო საგარეო ვალი *** | **22,830,478.5** | **23,455,884.1** | **625,405.7** | **126,342.5** | **121,748.7** | **77,140.3** |
| **მ.შ. მთავრობის ვალი *** | **21,721,481.9** | **22,336,401.1** | **614,919.2** | **126,342.5** | **112,796.7** | **61,956.6** |
| სახელმწიფო საგარეო ვალი USD | $8,440,727.0 | $8,646,055.6 | $205,328.5 | $46,685.4 | $45,015.1 | $28,470.7 |
| მ.შ. მთავრობის ვალი USD | $8,030,716.5 | $8,233,403.8 | $202,687.3 | $46,685.4 | $41,697.7 | $22,875.8 |
| **სახელმწიფო საშინაო ვალი ** ** | **8,206,358.7** | **8,351,248.7** | **144,890.1** | **225,140.8** | **80,250.7** | **60,122.5** |
| მ.შ. მთავრობის ვალი*** | 8,290,447.8 | 8,435,491.2 | 145,043.3 | 225,140.8 | 80,349.3 | 60,216.1 |
| **სულ სახელმწიფო ვალი** | **31,036,837.1** | **31,807,132.9** | **770,295.8** | **351,483.3** | **201,999.4** | **137,262.8** |
| **მ.შ. მთავრობის ვალი** | 30,011,929.7 | 30,771,892.2 | 759,962.5 | 351,483.3 | 193,146.1 | 122,172.7 |

**წყარო:** https://mof.ge/4410

## ცხრილი 9. საქართველოს საგადასახდელო ბალანსი 2016-2020 წლებში:

| ეკონომიკური მაჩვენებელი | ზომის ერთეული | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიმდინარე ანგარიში/მშპ | % | -12.5 | -8.0 | -6.8 | -5.5 | -12.4 |
| საქონლისა და მომსახურების ბალანსი/მშპ | % | -15.3 | -11.0 | -10.6 | -8.9 | -19.2 |
| საქონლისა და მომსახურების ექსპორტი/მშპ | % | 40.8 | 46.5 | 50.6 | 54.6 | 37.4 |
| მეორადი შემოსავალი წმინდა/ მშპ | % | 7.4 | 7.8 | 7.8 | 7.9 | 11.4 |
| საქონლისა და მომსახურების ექსპორტი/ საქონლისა და მომსახურების იმპორტთან | % | 72.8 | 80.9 | 82.6 | 85.9 | 66.1 |
| საქონლისა და მომსახურების იმპორტი/მშპ | % | 56.1 | 57.5 | 61.2 | 63.6 | 56.6 |
| საერთაშორისო რეზერვები | მლნ აშშ დოლარი | 2,756.5 | 3,039.3 | 3,288.8 | 3,505.8 | 3,910.6 |
| საერთაშორისო რეზერვები/ საქონლისა და მომსახურების იმპორტთან | თვე | 3.9 | 3.9 | 3.7 | 3.8 | 5.2 |
| სახელმწიფო საგარეო ვალი[1]/მშპ | % | 43.7 | 45.1 | 42.2 | 45.1 | 61.5 |

**წყარო:** https://nbg.gov.ge/statistics/statistics-data

თქმით, მთავრობამ პოლიტიკური ინსინიუაციების თავიდან აცილების მიზნით, საგარეო ვალის შემცირება დაიწყო.

ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილის, გიორგი კაკაურიძის განცხადებით ხელისუფლებამ ეს ნაბიჯი მხოლოდ და მხოლოდ საგარეო ვალის შემცირების გამო გადადგა. ფინანსთა მინისტრის პირველმა

მოადგილემ საგარეო ვალის მოცულობაზეც ისაუბრა და თქვა, რომ მთლიან ვალში საგარეო სესხების წილი დიდია და მთავრობა ცდილობს, ვალის მოცულობა შეამციროს.

“მთლიან ვალში საგარეო ვალის წილი არის 80%. საგარეო ვალის მაჩვენებელი დღეს ჩვენი ეკონომიკისთვის არის საკმაოდ მაღალი და ჩვენი ყველა მცდელობა უნდა იყოს იქით, რომ ეს ვალი შევამციროთ“ -განაცხადა მან. (წყარო: https://on.ge/story/91239 )

ხელისუფლებამ ეს მიდგომა სხვა ქმედებაშიც გამოავლინა. კერძოდ, საქართველოს მთავრობამ პარლამენტს 2022 წლის ბიუჯეტის კორექტირების პროექტი წარუდგინა. დოკუმენტის თანახმად, 711 მილიონი ლარით მცირდება ახალი საგარეო ვალების აღების მაჩვენებელი და ის თავდაპირველად დაგეგმილი 3.05 მილიარდის ნაცვლად, 2.34 მილიარდი ლარი იქნება.

BMG-ის კითხვაზე თუ რა საინვესტიციო პროექტების დაფინანსება შემცირდება განახლებული ბიუჯეტით, ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი კაკაურიძე პასუხობს, რომ საუბარია ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების 400, ხოლო საინვესტიციო კრედიტების 300 მილიონი ლარით შემცირებაზე.

უმსხვილესი სასესხო პროექტები, რომელთა ბიუჯეტები იცვლება, თბილისის მერიას უკავშირდება. საუბარია EBRD-ის 100 მილიონი ლარის ოდენობის სესხზე, რომელიც თბილისის მეტროს მოდერნიზებისთვის უნდა დახარჯულიყო, ასევე EBRD-ის 60-მილიონიანი პროექტი, რომლითაც თბილისის საავტობუსე პარკის განახლება იგეგმებოდა.

ფინანსთა მინისტრის მოადგილის განცხადებით, მომავალში მთავრობა უფრო მეტად შეიკავებს ახალი ვალების აღებისგან თავს და უცხოელ დონორებს მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტების დასაფინანსებლად მიმართავს. (წყარო: https://bm.ge/ka/article/axali-valis-ageba-711-milionit-mcirdeba---ra-proeqtebze-tqva-mtavrobam-uari-wels/116497/ )

არსებობს არაერთი მსოფლიოს სხვადასხვა რეიტინგები, რაც ნათლად დაგვანახებს ჩვენი ქვეყნის მონაწილეობას კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობაში და ზოგადად გლობალური ეკონომიკის სისტემის ფუნქციონირებაში.

მაგალითად, მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების“ რეიტინგში საქართველომ 2020 წელს კვლავ ლიდერთა ათეულში და მსოფლიოს 190

ქვეყანას შორის მე-7 ადგილი დაიკავა, ქვეყნის ქულამ კი ისტორიული მაქსიმუმი - 83.73 ქულა შეადგინა.

Fraser institute 2020 წლის ანგარიშის თანახმად „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლება“, საქართველომ მსოფლიოს 162 ქვეყანას შორის 8.18 ქულით მე-8 ადგილი დაიკავა.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2019 წლის ანგარიშის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის“ თანახმად, საქართველო 140 ქვეყანას შორის 60.60 ქულით 74-ე ადგილს იკავებს.

მსოფლიო ბანკის „ადამიანისეული კაპიტალის ინდექსში“ 2020 წელს საქართველომ მსოფლიოს 174 ქვეყანას შორის 0.57 ქულით 85-ე ადგილი დაიკავა. [www.economy.ge/uploads/publications/economy_6079862260fa6b33358960.32473667.pdf გვ. 3-4]

რაც შეეხება 2023 წელს, 2023 წლის პირველ კვარტალში მიმინარე ანგარიშის დეფიციტმა 201.4 მლნ აშშ დოლარი (531.0 მლნ ლარი) შეადგინა. მიმდინარე ანგარიშის ფორმირებაში საქონლით ვაჭრობისა და შემოსავლების ანგარიშებს უარყოფითი წვლილი შეაქვს, ხოლო მომსახურებით ვაჭრობასა და მიმდინარე ტრანსფერებს - დადებითი. აღსანიშნავია, რომ 2023 წლის პირველ კვარტალში, მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი სალდო წლიურად 67.1 პროცენტით, ხოლო მშპ-სთან ფარდობა -13.3 პროცენტიდან -3.2 პროცენტამდე შემცირდა. (წყარო: საქართველოს საგადასახდელო ბალანსი (2023 წელი, პირველი კვარტალი) (nbg.gov.ge)

მიმდინარე ანგარიშის ყველაზე დიდი კომპონენტი, კვლავ საქონლით ვაჭრობა იყო, რომლის უარყოფითი სალდო წლიურად 25.2 პროცენტით გაიზარდა და 1.3 მლრდ აშშ დოლარი (3.4 მლრდ ლარი) შეადგინა. ამავდროულად, საქონლის ექსპორტი წლიურად 24.2 პროცენტით, ხოლო იმპორტი 24.6 პროცენტით გაიზარდა.

მოგზაურთა მომსახურების ექსპორტი, რომლის აღდგენა 2021 წლის მეორე კვარტალიდან დაიწყო, 2023 წლის პირველ კვარტალში 795.4 მლნ აშშ დოლარს (2.1 მლრდ ლარი) გაუტოლდა, რაც 2019 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 37.5 პროცენტით აღემატება.

2023 წლის პირველ კვარტალში წმინდა შემოსავლის ანგარიში -332.6 მლნ აშშ დოლარი (-876.8 მლნ ლარი) იყო. დადებითი წმინდა შრომის ანაზღაურება 50.2 პროცენტით, ხოლო უარყოფითი წმინდა საინვესტიციო შემოსავალი 9.0 პროცენტით გაიზარდა.

მიმდინარე ანგარიშის ტრადიციულად დადებითი კომპონენტია მი-

**ცხრილი 10. საქართველოს საგადასახდელო ბალანსი 2021-2023 (II კვარტლის ჩათვლით)**

| | 2021 წელი | 2022 წელი | 2023 წელი I კვ. | 2023 წელი II კვ. |
|---|---|---|---|---|
| მიმდინარე ანგარიში | -1,942.56 | -1,120.17 | -368.03 | -363.19 |
| საქონელი და მომსახურება | -3,064.98 | 19,073.95 | -723.59 | -426.04 |
| პირველადი შემოსავალი | -1,181.29 | -1,747.76 | -371.91 | -663.73 |
| მეორადი შემოსავალი | 2,303.71 | 3,053.20 | 727.47 | 726.58 |
| კაპიტალის ანგარიში | 38.22 | 40.89 | 6.87 | 10.19 |
| წმინდა დაკრედიტება (+)/ წმინდა სესხება (-) | -1,904.34 | -1,079.28 | -361.16 | -353.00 |
| ფინანსური ანგარიში | -1,936.93 | -1,103.77 | -343.91 | -377.04 |
| სარეზერვო აქტივები | 452.62 | 765.26 | 55.49 | 117.29 |

**წყარო:** https://nbg.gov.ge/statistics/statistics-data

მდინარე ტრანსფერები, რომლის კრედიტი წლიურად 37.0 პროცენტით გაიზარდა და 2023 წლის პირველ კვარტალში 781.5 მლნ აშშ დოლარს (2.1 მლრდ ლარი) გაუტოლდა. ამ პერიოდში კერძო სექტორის წმინდა ტრანსფერები 36.6 პროცენტით გაიზარდა 728.0 მლნ აშშ დოლარამდე (1.9 მლრდ ლარი).

წმინდა უცხოურმა პირდაპირმა ინვესტიციებმა, პირველ კვარტალში 383.4 მლნ აშშ დოლარი (1.0 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც კვარტალური მშპ-ს 6.1 პროცენტია. (წყარო: საქართველოს საგადასახდელო ბალანსი (2023 წელი, პირველი კვარტალი) (nbg.gov.ge)

# დასკვნა

დღეს ჩვენ გლობალიზაციის პროცესში გვიწევს ცხოვრება. გლობალიზაცია მეტ-ნაკლებად ყველა ქვეყანას შეეხო და ასევე ყველა დარგსა თუ სფეროს . გამონაკლისი არც ეკონომიკაა . ეკონომიკის სფეროში გლობალიზაცია მსოფლიო ეკონომიკის მზარდ ურთიერთდამოკიდებულებას სასაქონლო და მომსახურების სასაზღვრო ვაჭრობაზეა მიმართული,ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას საერთაშორისო კაპიტალის გაზრდით და ტექნოლოგიების გავრცელებით ახერხებს. საერთაშორისო ეკონომიკის უცვლელ ტენდენციას წარმოადგენს ეკონომიკური განვითარება, ეკონომიკისთვის კი გლობალიზაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს მისი მსოფლიო მასშტაბით წინსვლაში. გლობალიზაციამ შეიმუშავა ფართო საერთაშორისო ეკონომიკა, ბაზრების ინტეგრაცია და მსოფლიოში საინვესტიციო კაპიტალის შემოდინება. წლების განმავლობაში გლობალიზაციის მნივნელოვან ნაწილს წარმოადგენს ეკონომიკა. ტექნოლოგიაში გაუმჯობესება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სატრანსპორტო, საკომუნიკაციო და სასაქონლო ხარჯების შემცირებით, ასევე ამცირებს მონაცემთა დამუშავებისა და ინფორმაციის შენახვის ფასს.გლობალიზაცია ხდის სავაჭრო ან ეკონომიკურ ლიბერალიზაციას ხელმისაწვდომს რამაც გახადა მსოფლიო ეკონომიკური სისტემა უფრო ლიბერალური. ეკონომიკური გლობალიზაცია ნათლად ასახავს ზოგადად გლობალიზაციის არსს და მის სახეს. დღეს ქვეყანას ღია ეკონომიკა სჭირდება,რომ განვითარდეს. ზოგადად ეკონომიკის გლობალიზაციისა და მისი ღიაობის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელია კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა. კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის გარეშე დღევანდელი გლობალური ეკონომიკა წარმოუდგენელია. მითუმეტეს, ბოლო წლებში რაც უფრო ღრმავდება გლობალიზაციის პროცესი, კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის დინამიზმი ბევრად იზრდება.კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა ყოველთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობდა თანამედროვე მსოფლიოს უმეტეს ქვეყნების ეკონომიკური განვითარებაში. კაპიტალის საერთაშორისო მიგრაცია არის კაპიტალის გადაადგილება ქვეყნებს შორის, მათ შორის გადინების, კაპიტალის შემოდინება და მისი ფუნქციონირება საზღვარგარეთ. კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის და უცხოური ინვესტიციების დროს გასათვალისწინებელია ისიც,რომ ეროვნულ წარმოებას შეიძლება საფრთხე შეექმნას, რაც ისეთი მცირე ქვეყნისთვის როგორიც საქართველოა ძალზედ საყურადღეობოა. ხანდახან

ხდება ისეც,რომ როდესაც ფირმა უცხოეთში ოპერირებს, მან შეიძლება შეუქმნას პრობლემები ამ ქვეყნის ეროვნულ ფირმას.რომელიც იგივე საქონეკლსა თუ მომსახურებას აწარმოებს.უცხოურმა კომპანიამ შესაძლებელია მოახდინოს ბაზრის მონოპოლიზაცია და ეროვნული კომპანია გაჩნდევნოს ბაზრიდან. შესაბამისად არსებობს მომენტი, როდესაც ქვეყანამ ეროვნული ეკონომიკური ინტერესები და ამ ქვეყნის ეროვნული კომპანიები უნდა დაიცვას ,როდესაც იმპორტი ბევრად აღემატება ექსპორტს და ეროვნული წარმოება ძალიან შემცირებულია. კოვიდ 19ის პანდემიამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ აუცილებელია ეროვნული წარმოების დაცვა და ქვეყანა მხოლოდ იმპორტის იმედზე ვერ იქნება. საქართველომ უნდა მოახერხოს და გაზარდოს ექსპორტი.

ასევე საქართველოს შემთხვევაში აღსანიშნავია საგარეო ვალის მოცულობა, რომელიც საკმაოდ დიდია. ამ შემთხვევაში აუცილებელია საგარეო ვალის მშპ-სთან თანაფარდობის სიდიდის შემცირება. მთავრობის ვალის მშპ-თან ფარდობა 2020 წლის ბოლოსათვის 60.0 პროცენტს გასცდა. შესაბამისად, მთავრობის ვალის მართვის მთავარი მიზანი გახდა ვალის აღნიშნული მაჩვენებლის კრიზისამდელ დონეზე დაბრუნება. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, საქართველოსთვის მთავრობის ვალის უსაფრთხო დონედ მიჩნეულია მთავრობის წმინდა ვალის მშპ-თან ფარდობის 40.0 პროცენტი, რამაც 2020 წლის ბოლოს მდგომარეობით შეადგინა 52.8%. დღეის მონაცემებით კი ეს მაჩვენებელი 48 %-ს უტოლდება.

ასევე აღსანიშნავია საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა, იმპორტი აჭარბებს ექსპორტს თანაც მნიშვნელოვნად, შესაბამისად საგარეო ვაჭრობის სალდო უარყოფითია, რაზეც ზევითაც არის საუბარი. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია ერივნული წარმოების გაძლიერება და ექსპორტის გაზრდა.

ასევე არსობობს დადებითი ტენდენციებიც, მაგალითად ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის, ბიზნესის კეთების და საინვესტიციო მიმზიდველობის მსოფლიო სტატისტიკებში კარგი პოზიცია გვიკავია.

საბოლოო ჯამში ჩვენ გვაქვს ჩვენი ადგილი გლობალურ ეკონომიკაში და არცთუ ისე უმნიშვნელოდ ვიღებთ მონაწილეობას კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობაში, თუმცა არსებობს გამომწვევები რაზეც ზევითაც იყო საუბარი და აუცილებელია ყველა ამ გამოწვევას ღირსეულად ვუპასუხოთ, რათა გავამყაროთ ჩვენი ადგილი გლობალურ ეკონომიკაში და გავხდეთ უფრო მნიშვნელოვანი ქვეყანა.

# თავი 7. საქართველოს მონაწილეობის გამოწვევები შრომის საერთაშორისო მიგრაციაში

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის განმარტების თანახმად, მიგრაცია ეწოდება ქმედებას, როდესაც ადამიანი ტოვებს თავის ჩვეულ საცხოვრებელ ადგილს, ქვეყნის შიგნით თუ საერთაშორისო საზღვრებს მიღმა, დროებით ან სამუდამოდ და სხვადასხვა მიზეზის გამო. აღნიშნული ტერმინი მოიცავს ადამიანთა რიგ კარგად განსაზღვრულ იურიდიულ კატეგორიებს, როგორიცაა შრომითი მიგრანტი, ასევე მათ, ვისი სტატუსი ან გადაადგილების საშუალება არ არის კონკრეტულად განსაზღვრული საერთაშორისო კანონმდებლობით, როგორიცაა, მაგალითად, საერთაშორისო სტუდენტები. (მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონიhttps://migration.commission.ge/files/glosaary.pdf).

მოსახლეობის ტერიტორიული მობილობა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებში სხვადასხვა სახეს იძენდა, სხვადასხვა ფორმით გამოიხატებოდა, მაგრამ როგორც განვითარების აუცილებელი მომენტი, ყოველთვის იყო და დარჩება მომავალშიც. მიგრაციული პროცესები და ხალხთა მასების დიდმასშტაბიანი ტერიტორიული გადაადგილებები ჯერ კიდევ ადრეული პერიოდიდან დაიწყო, ყველაზე ადრეული მიგრანტები იყვნენ უძველესი ადამიანები, რომლებიც წამოვიდნენ აფრიკის კონტინენტიდან და გავრცელება ევრაზიაში დაიწყეს. მიგრაციული პროცესები ფართომასშტაბიან სახეს იღებს დღეისთვის და წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს, რომელზეც მსჯელობს საერთაშორისო ორგანიზაციები და ქვეყნები. მიგრაციის გამომწვევი მიზეზები საკმაოდ ბევრია, თუმცა ევროპის პარლამენტმა განაზოგადა და მიგრაციის გამომწვევი რამდენიმე ძირითადი მიზეზი ჩამოაყალიბა, ესენია: სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორები, დემოგრაფიული და ეკონომიკური ფაქტორები, გარემო ფაქტორები. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი სწორედ ეკონომიკური ფაქტორია; დაბალი შემოსავალი, ცუდი სამუშაო პირობები, ცუდი საცხოვრებელი პირობები, დაბალი განვითარების შესაძლებლობები უბიძგებს ადამიანების დიდ ნაწილს, რომ სამუშაო ადგილები საზღვარგარეთ ეძიონ და შრომითი მიგრაციის ნაწილი გახდნენ.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ ასევე განმარტა შრომითი მიგრაცია, როგორც ადამიანების გადაადგილება ერთი ქვეყნი-

დან მეორეში, დასაქმების მიზნით. საქართველოს კანონი შრომითი მიგრაციის შესახებ, იგივე ტერმინს შემდეგნაირად განმარტავს: პირის საქართველოდან შრომითი მოწყობის სახელმწიფოში გასვლა უცხოელ დამსაქმებელთან შრომითი მოწყობისა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელების მიზნით ან საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის არმქონე უცხოელის სხვა სახელმწიფოდან საქართველოში შემოსვლა ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომითი მოწყობისა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელების მიზნით. (საქართველოს კანონი შრომითი მიგრაციის შესახებ. https://migration.commission.ge/index.php?article_id=216&clang=0). ეს განმარტება, როგორც ვხედავთ აერთიანებს, როგორც შრომით ემიგრანტს, ასევე შრომით იმიგრანტს.

საქართველო, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, აქტიურად ჩაერთო საერთაშორისო შრომითი მიგრაციის პროცესებში. მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულიდან, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა სოციალურ-ეკონომიკური მიზეზების გამო დატოვა ქვეყანა და საზღვარგარეთ დაიწყო მუშაობა. მიგრაცია უკიდურესად მრავალფეროვანი ფენომენია, მისი გავლენის განსაზღვრა ქვეყნის ეკონომიკაზე ძალიან ბევრ ასპექტზე არის დამოკიდებული, მაგალითად, გასათვალისწინებელია სამუშაო ძალის კვალიფიკაცია. შრომითი მიგრაცია გავლენას ახდენს დასაქმების დონეზე, ინფლაციაზე, ცხოვრების დონეზე და სხვა ეკონომიკურ ფაქტორზე ორივე მხარისთვის – როგორც გამგზავნი, ასევე მიმღები ქვეყნებისთვის.

ცხრილში 11 მოცემულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, იმიგრანტთა და ემიგრანტთა რაოდენობა 2014-2022 წლებში, საიდანაც თუ ჩავშლით ემიგრანტთა რაოდენობას ასაკობრივ ჭრილში აღმოვაჩენთ, რომ დაახლოებით 80-90% ემიგრანტებისა არის 15-64 წლამდე, რაც წარმოადგენს სამუშაო ასაკის ადამიანებს. საქართველოს მოქალაქეები სამუშაოს საძიებლად, ძირითადად, მიდიან რუსეთში, საბერძნეთში, იტალიაში, გერმანიასა და აშშ-ში. მიგრაციის სალდო ცხრილში მოცემული პირველი რამდენიმე წლის განმავლობაში უარყოფითია, ხოლო 2020 წელს დადებითი, რაც იმით არის გამოწვეული, რომ პანდემიის პერიოდში შეზღუდული იყო თავისუფალი გადაადგილება. აღსანიშნავია, რომ 2021 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა ემიგრანტთა რაოდენობა, რაც გამოწვეული იყო ქვე-

**ცხრილი 11. საქართველოში იმიგრანტთა და ემიგრანტთა რიცხოვნობა 2014-2022 წლებში**

| წელი | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 |
|---|---|---|---|---|---|
| იმიგრანტთა რიცხოვნობა, კაცი | 82 161 | 92 557 | 90 228 | 83 239 | 88 152 |
| ემიგრანტთა რიცხოვნობა, კაცი | 88 704 | 95 965 | 98 288 | 85 451 | 98 935 |
| მიგრაციული სალდო, 1 000 კაცზე | -1.8 | -0.9 | -2.2 | -0.6 | -2.9 |

| წელი | 2019 | 2020 | 2021 | 2022 |
|---|---|---|---|---|
| იმიგრანტთა რიცხოვნობა, კაცი | 96 864 | 89 996 | 74 008 | 179 778 |
| ემიგრანტთა რიცხოვნობა, კაცი | 105 107 | 74 264 | 99 974 | 125 269 |
| მიგრაციული სალდო, 1 000 კაცზე | -2.2 | 4.2 | -7.0 | 14.7 |

**წყარო:** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/316/mosakhleoba-da-demografia

ყანაში რთული სოციალური ფონით, ქვეყანა ებრძოდა პანდემიისგან გამოწვეულ სიძნელეებს, გაზრდილი იყო უმუშევრობა, მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა კი ამჯობინა, რომ საზღვარგარეთ ეპოვნა სამსახური, რათა უზრუნველყო ოჯახები. 2022 წელს ემიგრანთრა ზრდის პარალელურად საგრძნობლად გაიზარდა იმიგრანტთა რაოდენობაც, რაც განპირობებულია რუსეთ-უკრაინის ომის გამო. მიგრაციის სალდო დადებით მაჩვენებელს დაუბრუნდა. ეს მაჩვენებელი დადებითი იყო 2020 წელს. 2022 წელს კი კიდევ უფრო გაიზარდა. 2020 წელს მი-

გრაციის დადებითი სალდო 15 732 იყო, ანუ ყოველ 1000 კაცზე 4,2, 2022 წელს კი, შესაბამისად 54 509 და14.7.

როგორც ეისითის კვლევის შედეგებმა აჩვენა, საქართველოდან რესპონდენტთა გამგზავრების ძირითადი მიზანი სამუშაოს ძიებაა. მოქალაქეების აზრით ქვეყნიდან გადინება ძირითადად სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებს უკავშირდება: დაბალი პენსიები და შემოსავლები - 69%, სამუშაო ადგილების ნაკლებობა - 62%, გაძვირებული პროდუქცია და მომსახურება (საკვები, ტანსაცმელი და აშ.) – 42%. მოსახლეობის თითქმის მეხუთედი - 18% ჯანდაცვის ხელმისაწვდომობას და დაბალ ხარისხს უსვამს ხაზს, 16%-სთვის ემიგრაციის ძირითად მიზეზს საზოგადო უპერსპექტივობის განცდა წარმოადგენს. (კაპანაძე მ. (2023). უკეთესი ცხოვრების ძიებაში–მიგრაცია. https://act-global.com/ka/georgia/insight/uketesi-tskhovrebis-dziebashi-migratsia)

ერთ-ერთი საუკეთესო სტატისტიკური ინსტრუმენტი შრომის ეკონომიკური გავლენის შესაფასებლად ემიგრაციის ქვეყნის ეკონომიკაზე არის საგადასახდელო ბალანსი. კერძოდ, პირველადი შემოსავალი და მეორადი შემოსავლები. მეორადი შემოსავალი გვიჩვენებს მიმდინარე ტრანსფერებს ქვეყნის რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის. მიმდინარე ტრანსფერები თავის მხრივ აერთიანებს ბევრ სხვადასხვა მუხლს და მათ შორის ფიზიკური პირების გზავნილებსაც (იხ. ცხრილი 12).

**ცხრილი 12. მეორადი შემოსავლები საქართველოში 2013-2023 წლებში (მლნ აშშ დოლარი)**

| **წლები** | **2014** | **2015** | **2016** | **2017** | **2018** |
|---|---|---|---|---|---|
| მეორადი შემოსავლები | 1,425.32 | 1,119.55 | 1,121,08 | 1,273.08 | 1,363.78 |
| **წლები** | **2019** | **2020** | **2021** | **2022** | **2023*** |
| მეორადი შემოსავლები | 1,375.12 | 1,809.65 | 2,303.71 | 3,053.20 | 1,454.05 |

**წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი. https://nbg.gov.ge/statistics/statistics-data**

ზემოთ ნაჩვენებ ცხრილში სწორედ ნაჩვენებია მეორადი შემოსავლების ოდენობა საქართველოში. შევნიშნავთ, რომ 2020 წელს წინა წელთან შედარებით 31%-ით არის გაზრდილი, რაც სავრაუდოდ გამოწვეულია პანდემიის ეფექტით, გაზრდილია ასევე 2021 წელს, რაც ნიშნავს, რომ პანდემიის შემდეგ მკვეთრად გაიზარდა გადმორიცხვები. ზრდის ტენდენცია შენარჩუნდა 2022 წელსაც, წინა წელთან შედარებით თითქმის 33%-ით გაიზარდა. ცხრილში ასევე ვხედავთ 2023 წლის პირველი და მეორე კვარტალის მაჩვენებელს და სავარაუდოა, რომ წლის ბოლომდე კიდევ გაიზრდება მეორადი შემოსავლების სიდიდე.

უფრო უკეთ, რომ შეგვექმნას წარმოდგენა შრომითი მიგრანტების მიერ გადმორიცხული თანხის ოდენობაზე, უნდა გავაანალიზოთ საგადასახდელო ბალანსის ერთ-ერთი მუხლი: პერსონალური ტრანსფერები (მიმდინარე ტრანსფერები რეზიდენტ და არარეზიდენტ შინამეურნეობებს შორის), რომელიც უშუალოდ გვიჩვენებს ფიზიკური პირების მიერ შესრულებულ ტრანზაქციებს. ცხრილში 3 მოცემულია პერსონალური ტრანსფერების ოდენობა, რომელიც 2017 წლის შემდეგ შეუქცევადად იზრდება და ჩარიცხვების სიდიდემ პანდემიის შემდეგ 2021 წელს 2 075.01 და 2022 წელს 2,892.33 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია. ცხრილში ასევე ნაჩვენებია 2023 წლის პირველ და მეორე კვარტალში დაფიქსირებული მაჩვენებელი (იხ. ცხრილი 13).

**ცხრილი 13. პერსონალური ტრანსფერები 2013-2022 წლებში (მლნ აშშ დოლარი)**

| **წლები** | **2014** | **2015** | **2016** | **2017** | **2018** |
|---|---|---|---|---|---|
| პერსონალური ტრანსფერები | 1,237.53 | 874.54 | 862.45 | 1,049.11 | 1,185.80 |
| **წლები** | **2019** | **2020** | **2021** | **2022** | **2023** |
| პერსონალური ტრანსფერები | 1,281.73 | 1,544.57 | 2,075.01 | 2,892.33 | 1,377.15 |

**წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, https://nbg.gov.ge/statistics/statistics-data**

საქართველოს ეკონომიკისთვის ემიგრანტთა მიერ გადმორიცხული ფულადი გზავნილები წარმოადგენს ერთ-ერთ საყრდენს. ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე ნაჩვენებია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გასაჯაროებული სტატისტიკა ფულადი გადარიცხვებისა და ჩარიცხვების შესახებ კონკრეტულად 2020 წლის აგვისტოდან 2022 წლის სექტემბრის ჩათვლით. როგორც ვხედავთ, ჩარიცხვები თავდაპირველად სტაბილურად 200 მილიონი აშშ დოლარის ფარგლებში მერყეობდა, თუმცა მიმდინარე წლის მაისში მან რეკორდულად მაღალ ნიშნულს მიაღწია და 500 მილიონ აშშ-ზე მეტი შეადგინა. თუ შევადარებთ, მაგალითად, მიმდინარე წლის სექტემბრის ჩარიცხვებს, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან, შევამჩნევთ, რომ მიმდინარე წელს ჩარიცხვები გაზრდილია 84.6%-ით.

**გრაფიკი 1. საქართველოში ჩარიცხვებისა და გადარიცხვების ოდენობა 2020 წლის აგვისტოდან 2022 წლის სექტემბრის ჩათვლით (მლნ აშშ დოლარი)**




**წყარო:** საქართველოს ეროვნული ბანკი. - https://cutt.ly/EwGGtnBX

უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 97.5% 23 უმსხვილეს პარტნიორ ქვეყანაზე მოდის. იმავე 23 ქვეყანაზე მოდიოდა გასული წლის სექტემბერში მთელი ფულადი გზავნილების 92.2%. ამ ქვეყნებს შორის ლიდერობენ რუსეთი, იტალია, აშშ, საბერძნეთი, რაც

საკმაოდ ლოგიკურია, რადგან ემიგრანტთა დიდი ნაწილი სწორედ ამ ქვეყნებში მიგრირებს.

ჩარიცხვების ოდენობის მატება შესაძლოა ავხსნათ ერთი მხრივ, იმით რომ გაზრდილია მიგრანტთა ოდენობა, რაც იმას ნიშნავს, რაც უფრო მეტი ადამიანია ემიგრაციაში, მით უფრო მეტ თანხებს ურიცხავენ ისინი თავიანთ ოჯახებს. მეორე მხრივ, უნდა აღვნიშნოთ, რომ გაზრდილია გზავნილების ოდენობა რუსეთიდან, რაც, სავარაუდოა, რომ განპირობებულია რუსეთის მიერ უკრაინაში ომის დაწყებით. გაზრდილია რუსეთიდან მიგრანტთა ნაკადები, შესაბამისად, ამანაც იქონია გავლენა ჩარიცხვების ოდენობის ზრდაზე.

საქართველო აქტიურადაა ჩართული შრომითი მიგრაციის პროცესებში. ბოლო ხანს, მნიშვნელოვანი გამოწვევაა გაზრდილი ემიგრაცია და ასევე, გაზრდილი იმიგრაციული ნაკადები უკრაინიდან, ბელარუსიდან და განსაკუთრებით კი რუსეთიდან. უკრაინის ომის დაწყებიდან მნიშვნელოვნად არის მომატებული ნაკადები რუსეთის ფედერაციიდან. იქედან გამომდინარე, რომ რუსეთის მოქალაქეებს საქართველოსთან აქვთ უვიზო მიმოსვლა, მათთვის შედარებით მარტივია დარიალის სასაზღვრო-გამტარი პუნქტის გავლით საზღვრის კვეთა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ 27 სექტემბერს ნაწილობრივი ინფორმაცია გაასაჯაროვა, სულ 10 დღის მონაცემები, სადაც მოცემული იყო რუსეთის რამდენმა მოქალაქემ გადმოკვეთა და გადაკვეთა საქართველოს საზღვარი ყველა გამშვები პუნქტიდან: გადმოკვეთა - 78 742 ადამიანმა, ხოლო გადაკვეთა - 62 120 ადამიანმა (წყარო: https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/15448). ამავე სტატისტიკით ირკვევა, რომ 2022 წელს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი რუსეთის 1 459 546-მა მოქალაქემ გადმოკვეთა. 2021 წელს საქართველოს საზღვარი ჯამში რუსეთის 292 512-მა მოქალაქემ გადმოკვეთა. (წყარო: https://formulanews.ge/News/83920). გაზრდილ მიგრაციას თან სხვადასხვა ეფექტები ახლავს. აუცილებელია მათი ჩამოსვლისა და დარჩენის მიზეზების გამოკვლევა, რათა შეფასდეს გავლენა ეკონომიკაზე. შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნული გარემოებების გამო გაიზარდა ფასები მაგალითად, უძრავი ქონების ყიდვასა და გაქირავებაზე, სურსათზე, ამასთანავე გამყარდა ლარის კურსი.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემების მიხედვით, 2022 წელს რუსეთიდან ვიზიტორების შემოსვლის ზრდის ტემპი მნიშ-

ვნელოვნად დაჩქარდა და იანვარ-ივნისში 247 ათასი ვიზიტორი შემოვიდა. თუმცა 2019 წლის იანვარ-ივნისთან შედარებით, რუსეთიდან შემოსული ვიზიტორების რაოდენობა მაინც 3-ჯერ ნაკლებია. 2022 წლის იანვარ-ივნისში რუსი ვიზიტორების წილი საქართველოს ვიზიტორების ჯამურ რაოდენობაში 15.2% იყო, რაც 2018-2019 წლების მაჩვენებელს ჩამორჩებოდა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველო ზოგიერთისთვის მხოლოდ შუალედური პუნქტია და მათი ნაწილი ჩვენი გავლით სხვა ქვეყანაში გადადის, თუმცა საყურადღებოა, რომ მათი დიდი ნაწილი საქართველოში რჩება, რაზეც მეტყველებს ისიც, რომ მარტიდან საჯარო რეესტრში დარეგისტრირებულ კომპანიების 93% ინდივიდუალური საწარმოა. ეს იმას მიანიშნებს, რომ რუსეთის მოქალაქეების ნაწილი საქართველოში საცხოვრებლად და ბიზნესის საკეთებლად გადმოვიდა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთიდან გაზრდილ მიგრაციას თან სხვადასხვა ეფექტები ახლავს. აუცილებელია მათი ჩამოსვლისა და დარჩენის მიზეზების გამოკვლევა, რათა შეფასდეს გავლენა ეკონომიკაზე. რაც უკვე შეგვიძლია ვთქვათ არის ის, რომ გაზრდილია ფასები მაგალითად, უძრავი ქონების ყიდვასა და გაქირავებაზე. პროფესორ ვლადიმერ პაპავას აზრით, შემომსვლელთა გავლენა ინფლაციაზე, ეს იმდენად არ არის დამოკიდებული მათ რაოდენობაზე, რამდენადაც მათ მსყიდველობითუნარიანობაზე - რაც მაღალი იქნება, მით მეტად გაიზრდება ფასები. ინფლაციისა და სოციალური პრობლემების გადაჭრის მთავარ გამოსავლად პაპავა მიიჩნევს მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და მშენებლობის სექტორის განვითარებას. მისი აზრით, უნდა გაფართოვდეს პროექტი "აწარმოე საქართველოში", საიდანაც უნდა იქნეს ამოღებული ტურისტული კომპონენტი და მეტი დაფინანსება და მხარდაჭერა უნდა მოხდეს ზემოთნახსენები სექტორების. (მაჩაიძე რ. (2022). რუსი მოდის, რუსი მიდის?! https://kvirispalitra.ge/article/97191-rusi-modis-rusi-midis/; მაჩაიძე რ. (2023). საგანგაშო სტატისტიკა. https://kvirispalitra.ge/article/100281-sagangasho-statistika/).

მიგრაციული პროცესების მართვა საქართველოსთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. საქართველოში შრომითი მიგრაციის საკანონმდებლო რეგულირება საკმაოდ მწირია, თუმცა ეტაპობრივად მთავრობა იღებს შესაბამის კანონებს. 2013 წლის 15 მარტს საქართველოს მთავრობამ მიიღო #59 დადგენილება „მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე". ამ პროცესში მნიშვნელოვანია საერთაშორისო

ინსტრუმენტების, ევროპის აღმოსავლეთ პარტნიორი ქვეყნებისა და ევროკავშირის რიგი სახელმწიფოების საკანონმდებლო რეგულირების მოდელების ცოდნა და გაზიარება. აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივამ სერიოზული ბიძგი მისცა მიგრაციის მართვის სისტემის განვითარებას ქვეყანაში. საქართველო არის ევროკავშირის ინიციატივის „პარტნიორობა მობილურობისთვის" ერთ-ერთი წევრი 2009 წლიდან, რის ფარგლებშიც ხორციელდება არალეგალურ მიგრაციასთან ერთობლივი ბრძოლა და ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობა. შესაბამისად, იგი ითვლისწინებს თანამშრომლობას მიგრაციასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებზე, როგორიცა შრომითი მიგრაცია, რეადმისია, რეინტეგრაცია, დიასპორა, დოკუმენტების უსაფრთხოება, შრომის ბაზარი და პროფესიული კვალიფიკაციის აღიარების საკითხი.

საყურადღებოა, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მუშაობა საქართველოში, რომელიც 1993 წლიდან დაიწყო. ქვეყნის მასშტაბით ის უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ რეაგირებას მიგრანტთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა, დაბრუნებულ პირთა და მანსპინძელი თემების ჰუმანიტარულ საჭიროებებზე პირდაპირი ჰუმანიტარული დახმარების, რეკრეაციული აქტივობების და სხვადასხვა ძალისხმევის საშუალებით. საქართველოს დინამიურ სოციო-ეკონომიკურ კონტექსტში, IOM-მა წლების განმავლობაში იმუშავა მიგრაციასთან დაკავშირებულ სხვადასხვა პრიორიტეტულ მიმართულებებზე - როგორებიცაა საგანგებო მდგომარეობასა და კრიზისზე რეაგირება, იმიგრაციის და საზღვრის მართვა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და საზღვარზე მიგრანტთა უკანონო გადაყვანის წინააღმდეგ ბრძოლა და პრევენცია, მიგრანტების დაცვა და დახმარება, მიგრანტთა ჯანმრთელობის დაცვა, შრომითი მიგრაცია და ადამიანური რესურსის განვითარება - ასევე მხარი დაუჭირა მიგრაციის პოლიტიკის შემუშავებასა და კვლევას და უზრუნველყო მიგრაციასთან დაკავშირებული ყველა სტრუქტურის შესაძლებლობების გაძლიერება.

ბოლო ათწლეულში, საქართველოსთვის მიგრაციის მართვის პროცესი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა. აღნიშნულ პერიოდში მიგრაციული პროცესების მართვის სისტემის ჩამოყალიბების, გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით შემუშავდა 2013-2015 და 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიები. 2020 წლის 30 დეკემბრის N 810 დადგენილებით კი ძალაში შევიდა 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგია, რომლის მიზანია, მოერგოს ახალ რეალობას და გააგრძე-

ლოს თანამედროვე გამოწვევებთან გამკლავება. სტრატეგიის მიზნები და სექტორული პრიორიტეტები განისაზღვრა რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული და ერთმანეთზე დამოკიდებული − ადგილობრივი, რეგიონული და გლობალური - განზომილებით. სტრატეგიაში გამოყოფილია შემდეგი პრიორიტეტები: მიგრაციის მართვის გაუმჯობესება; ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობა; არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლა; დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია; დიასპორის ჩართულობა ქვეყნის განვითარებაში; თავშესაფრის სისტემის განვითარება; უცხოელთა ინტეგრაცია. (საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგია. https://migration.commission.ge/files/ms_2021-2030_geo.pdf).

ანალიტიკოსები სამართლიანად მიიჩნევენ, რომ საქართველოში არსებული პრობლემების დასაძლევად, მნიშვნელოვანია, ემიგრანტებს გარემო პირობები უჩენდეს საქართველოში დაბრუნების სურვილს და არა ძალიან სუბიექტური მიზეზები. ისიც გასაცნობიერებელია, რომ ჩვენ ერთად ვქმნით ასეთ გარემოს, რა თქმა უნდა პირველ რიგში ნდობის მანდატით, რომელსაც ამ გარემოს შექმნის პასუხისმგებელ პირებს ვანიჭებთ და მეორეს მხრივ აქტიური მოქალაქეობით, რომლითაც ამ პასუხისმგებლობის შენარჩუნებას ვუწყობთ ხელს. (კაპანაძე მ. (2023). უკეთესი ცხოვრების ძიებაში–მიგრაცია. https://act-global.com/ka/georgia/insight/uketesi-tskhovrebis-dziebashi-migratsia).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი. გლობალიზაციის პირობებში შეუძლებელია არ იქნას გათვალისწინებული მიგრაციული პროცესების გავლენა ქვეყანაში ეკონომიკურ განვითარებაზე, დასაქმების დონეზე, საგადასახდელო ბალანსზე თუ სხვა ფაქტორებზე. მისი გავლენა, ერთი მხრივ, შეიძლება უარყოფითი იყოს, თუმცა, მეორე მხრივ, ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა პოზიტიური. მიგრაციას, რთულ გამოწვევებთან ერთად, აქვს შესაძლებლობათა დიდი პოტენციალი, რომელიც სრულყოფილად უნდა იქნეს ათვისებული და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე - მისი განვითარებისკენ მიმართული.

ინდივიდები მიგრაციასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას იღებენ სხვადასხვა ალტერნატივების გათვალისწინებით და მათთვის საუკეთესოდ მორგებული ვარიანტის არჩევით. ემიგრაციაში წასვლა რისკთან და გაურკვევლობასთან არის დაკავშირებული, ძირითად შემთხვევაში გადაწყვეტილებას უკიდურეს შემთხვევაში იღებენ, თუკი ვერ ხედავენ ქვეყანაში განვითარებისა და დასაქმების შესაძლებლობებს.

ნებისმიერმა გამგზავნმა ქვეყანამ და მათ შორის საქართველომ უნდა შეძლოს ემიგრანტებისგან მიღებული სარგებლის სწორად გამოყენება. ვგულისხმობ, რომ, პირველ რიგში, მიგრანტებისგან გადმორიცხული თანხები წარმოადგენს ქვეყნის მნიშვნელოვან ბერკეტს და ფულის შემოდინების წყაროს. ასევე გასათვალისწინებელია, რომ არსებითია დაბრუნებული მაღალკვალიფიციური კადრების ინტეგრაცია, რადგან აღნიშნულ მიგრანტებს აქვთ გამოცდილება უცხოეთში სხვადასხვა სფეროში მუშაობის, მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენების, შესაბამისად მათი გამოცდილების გაზიარება და ცოდნის გამოყენება ქვეყანას დაეხმარება. თუმცა აქ მნიშვნელოვანია არ მოხდეს ე.წ. ინტელექტის გადინება („ტვინების გადინება“), რაც გულისხმობს განათლებული და ნიჭიერი ადამიანების ემიგრირებას წარმოშობის ქვეყნიდან, რაც განპირობებულია წარმოშობის ქვეყანაში შესაძლებლობათა ნაკლებობით. მაღალკალიფიციური კადრების გადინება ქვეყნისთვის უარყოფითი შედეგის მომტანია, ამცირებს ქვეყნის ეკონომიკურ აქტივობას.

ამგვარად, მსოფლიო შრომის ბაზარზე ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობა, რომელიც საერთაშორისო შრომითი მიგრაციის მეშვეობით ხდება, უკვე ნორმა გახდა მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნებისათვის. მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანამ ხელი შეუწყოს ლეგალურ შრომით მიგრაციას. ასევე გაატაროს შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკა, სხვადასხვა ქვეყანასთან უზრუნველყოს შესაბამისი თანამშრომლობა, რათა წაახალისოს ლეგალური შრომითი მიგრაცია. არალეგალური შრომითი მიგრაცია საფრთხეს წარმოადგენს, როგორც ცალკეული ინდივიდისთვის, ასევე გამგზავნი და მიმღები ქვეყნისთვის. აღნიშნულის აღსაკვეთად კი ყველაზე გონივრულია შრომის ლეგალური მიგრაციის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება.

მეორე მხრივ, საქართველოში სხვადასხვა ქვეყნებიდან მიგრირებულ ინდივიდებს იღებს. 2022 წლის მონაცემებზე დაყრდნობით გაიზარდა იმიგრანტთა რიცხვი, რომელმაც გადააჭარბა ემიგრანტთა რაოდენობას აღნიშნულ წელს. ეს ყოველივე გამოიწვია რუსეთიდან მიგრირებულ პირთა ნაკადების საგრძნობლად გაზრდამ. ქვეყანამ ერთი მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს იმიგრანტთა ინტეგრაციას. მეორეს მხრივ, საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის საქართველოს მოქალაქის სტატუსის მინიჭებისას. საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირების უფლებები არ უნდა გაუთანაბრდეს ქვეყნის მოქალაქის უფლებებს. მაგალითად, მათ არ უნდა

ჰქონდეთ უძრავი ქონების (მიწის, სტრატეგიული ობიექტების და ა. შ.) სრული საკუთრების (განკარგვის) უფლება. მათთვის დასაშვები უნდა იყოს, უძრავი ქონების მხოლოდ კონტრაქტის საფუძველზე იჯარით სარგებლობა. მხოლოდ საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ უნდა შეიძლებოდეს უცხო ქვეყნის პირთათვის ანგარიშების გახსნა და ა. შ., ისეთი გათვლებით, რომ დაცული იქნეს ეროვნული ინტერესების პრიორიტეტული მნიშვნელობა.

**შენიშვნა:**

კვლევის შედეგები გამოქვეყნებულია VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში" - კრებულში, თბ. 2023.

# თავი 8. საქართველოს მონაწილეობა ტექნოლოგიების და ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო ბაზარზე

XXI საუკუნეში მიმდინარეობს რიგით მეოთხე ტექნოლოგიური რევოლუცია, რომლის საშუალებითაც იცვლება ყოველდღიური ქმედებები და მარტივდება ყოველდღიურობა, ამასთან წარმოიქმნება რეალობა, რომელიც გვაიძულებს გავხდეთ ციფრულ სამყაროზე დამოკიდებულნი. ტექნოლოგიური ინოვაციების საერთაშორისო ბაზარი, გლობალიზაციის პირობებში, საერთაშორისო ასპარეზზე უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. ინოვაციების შექმნისას მნიშვნელოვანია დაიცვას ინტელექტუალური საკუთრება. განვითარების ინოვაციური გზა არის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მიმართულება და სწორედ ის მიიჩნევა პრიორიტეტულ ფაქტორად. მსოფლიო ბაზრის მაკროეკონომიკურ და მიკროეკონომიკურ დონეზე ინოვაციებს აქვს დიდი მნიშვნელობა, რისთვისაც საჭირო გახდა კონტროლი და დაარსდა ინოვაციური საკუთრების დაცვის პოლიტიკა.

ინტელექტუალური საკუთრება კლასიფიცირება შემდეგია: სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეთა ინდივიდუალიზაციის საშუალებებისა და მათი პროდუქციის იურიდიული დაცვა, საავტორო უფლებები, ინტელექტუალური საკუთრების არატრადიციული ობიექტების სამართლებრივი დაცვა, პატენტის კანონით დაცული ინტელექტუალური საკუთრება.

ინტელექტუალური საკუთრება უკავშირდება ტექნოლოგიურ ბაზარსაც, რომელიც ამავდროულად მოიცავს მის ისტორიულ განვითარებას, სასიცოცხლო ციკლსა და ინდუსტრიულ რევოლუციას.

გლობალური ეკონომიკა, რომელშიც გათვალისწინებულია განვითარებული და განვითარებადი ქვეყნებიც, ინოვაციებზე ორიენტირებული ხდება ცოდნით, ტექნოლოგიებითა და ასევე კრეატიულობით, თითოეული მათგანი არის მხარდაჭერილი ინტელექტუალური საკუთრების (IP) და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების (IPR) დაცვით. შეიძლება ითქვას, რომ ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, პოლიტიკის დებატები IP-ის როლზე კოორდინირებული თავდასხმის ქვეშ მოექცა, გამოწვეული IPR სკეპტიკოსებით, რომლებიც წარმოადგენენ მრავალმხრივ ინსტიტუტებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს (NGO).

მსოფლიოში მზარდმა კონკურენტუნარიანმა ტექნოლოგიების ბაზარმა, ინტელექტუალური უსაფრთხოების დაცვის საჭიროება გაა-

ჩინა. ინტელექტუალური საკუთრების დაცვისათვის საზოგადოებაში გაჩნდა მოთხოვნა შემუშავებული იქნას კანონები, რათა არ მოხდეს მათი დაკოპირება და ინოვაციური პროდუქტისა თუ მომსახურებისაგან მისაღები სარგებელი მიიღოს მხოლოდ და მხოლოდ ინოვაციის შემქმნელმა. აქედან გამომდინარე, თემის „ინტელექტუალური საკუთრებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო ბაზრის" კვლევა XXI საუკუნეში მეტად მნიშვნელოვანია.

## ინტელექტუალური საკუთრების არსი და მნიშვნელობა

პირველი გონიერი არსებების გამოჩენის დღიდან ადამიანებისთვის დამახასიათებელია ინტელექტუალური საქმიანობა. საზოგადოება, ნებისმიერი სისტემის პირობებში, ყოველთვის იცავდა საკუთრებას. თუ მატერიალური საკუთრება დაცულია უძველესი დროიდან, მაშინ ინტელექტუალური საკუთრება პირველად არის ნახსენები მე-18 საუკუნეში. ეს კი იმითაა გამოწვეულია, რომ ინტელექტუალური საქმიანობის შედეგები ეკონომიკაში მონაწილეობას იწყებს იმ დროიდან.

ინტელექტუალური საკუთრების გაჩენისა და ჩამოყალიბებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მსოფლიო ისტორიაში შემდეგ მოვლენებს:

- მე-16 საუკუნე - დაიწყო წიგნის ბეჭდვა;
- მე-18 საუკუნე - მოხდა ინდუსტრიული რევოლუცია, რომელიც დაკავშირებული იყო მანუფაქტორული წარმოებიდან ფაბრიკულ წარმოებაზე გადასვლასთან;
- მე-20 საუკუნე - მოხდა სამეცნიერო და ტექნოლოგიური რევოლუცია, რომელმაც, ხელი შეუწყო ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებას და ზრდასრული მოსახლეობის წილის გაზრდას სამუშაო ძალაში, ასევე კომპიუტერული საინფორმაციო ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება და გამოყენება ეკონომიკაში.

ბოლო 300 წლის განმავლობაში, ადამიანის საქმიანობათა სფეროში გაჩნდა რევოლუციური ტექნოლოგია, რომელმაც შეცვალა მსოფლიო ეკონომიკა (WIPO 2015 მსოფლიო ინტელექტუალური საკუთრების ანგარიში (WIPR 2015)).

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია არის მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ახალი დონე, რომლის მიღწევაც გახდა შემდეგით:

- საზოგადოების ძალების განვითარება, რომელიც დაფუძნებულია ხალხის ინტელექტუალური საქმიანობის შედეგების გამოყენებაზე ეკონომიკისა და კულტურის სფეროში;
- ინოვაციებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის ურთიერთობის უფრო გაძლიერება, ცოდნისა და ტექნოლოგიების შექმნისა და გამოყენების გლობალურობა და მათი წყალობით შექმნილი საქონლისა და სერვისების გაცვლა.

ინტელექტუალურ საკუთრებას გააჩნია სპეციფიკური მახასიათებელი: მათი კოპირება და გავრცელება შესაძლებელია, რაც მოითხოვს უფრო დაბალ ხარჯებს, ვიდრე შემოქმედებითი სამუშაო. სწორედ ეს იწვევს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევას და, აქედან გამომდინარე, მათ სჭირდებათ სამართლებრივი დაცვა.

განსხვავება მატერიალურ საკუთრებასა და ინტელექტუალურ საკუთრებას შორის შემდეგია:

- ხელმისაწვდომია მომხმარებელთა ფართო სპექტრისთვის;
- არ გააჩნია მკაფიო ხარისხის კრიტერიუმები;
- რთულია მისი ღირებულებისა გამოთვლა;
- ზოგიერთი ტიპისთვის საჭიროა საფუძვლიანი გამოკვლევა, პრაქტიკული ღირებულება და ა.შ.

ინტელექტუალური საკუთრება მკაცრად ტერიტორიულ ხასიათს ატარებს. მაგალითად, საქონლის მიერ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა მის მფლობელს ამ ქონების საკუთრებაზე უფლებას ართმევს.

„ინტელექტუალური საკუთრების“ განმარტება ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დაარსების კონვენციაშია მოცემული (სტოკჰოლმის კონვენცია), რომელიც მიღებულია 1967 წელს. ამ კონვენციის მე-2 დებულებით „ინტელექტუალური საკუთრება მოიცავს უფლებებს, რომლებიც ეხება:

- ლიტერატურული, მხატვრული , სამეცნიერო ნაწარმოებები;
- წარმოდგენები, ფონოგრამები და გადაცემები;
- გამოგონებები ყველა სფეროში;
- სამეცნიერო აღმოჩენები;
- სამრეწველო ნიმუშები;
- სავაჭრო ნიშნები, მომსახურების ნიშნები და აღნიშვნები;
- არაკეთილსინდისიერი კონკურენციის და ყველა სხვა უფლების აღკვეთა.

ინტელექტუალური საკუთრების სახეობების კლასიფიკაციისთვის

მიზანშეწონილია განვიხილოთ რამდენიმე დამოუკიდებელი ინსტიტუტის იდენტიფიცირება:

- საავტორო და ასევე მონათესავე უფლებებით დაცული ინტელექტუალური საკუთრება;
- საპატენტო კანონით დაცული ინტელექტუალური საკუთრება;
- სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა და მათი პროდუქციის ინდივიდუალიზაციის საშუალებების სამართლებრივი დაცვა;
- ინტელექტუალური საკუთრების არატრადიციული ობიექტების სამართლებრივი დაცვა.




**ნახაზი 14. ინტელექტუალური საკუთრების სახეობების კლასიფიკაცია**

ეს კლასიფიკაცია ორ ძირითად ფაქტორს ითვალისწინებს: 1) ინტელექტუალური საკუთრების ზოგიერთი ობიექტი საერთოა; 2) ამავე სფეროში შემუშავებული მარეგულირებელი დოკუმენტებისა და უფლებების უზრუნველყოფის სისტემას.

ისტორიულად, პირველი გაჩნდა საავტორო და პატენტის კანონი. ინტელექტუალური საკუთრების კანონები მათი თანამედროვე გაგებით წარმოიშვა ინგლისში. პირველი საავტორო კანონი, დედოფალ ანას დებულება, გამოჩნდა ინგლისში 1709 წელს. „დედოფალ ანას დებულებამ“ ჩამოაყალიბა საავტორო უფლებების ძირითადი პრინციპები, რომლებიც მოქმედებს ჩვენს დროში:

1. ბუნებრივი კანონი;
2. სამართლიანი ანაზღაურება სამუშაოსთვის;
3. შემოქმედებითი საქმიანობის სტიმულირება;
4. საზოგადოებრივი საჭიროებები.

ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს გააჩნია ორმაგი ბუნება და ესენია: ექსკლუზიური ქონებრივი უფლებები (ინგლ. *economical rights*) და პირადი არაქონებრივი უფლებები (ინგლ. *moral rights*), რომლებიც კავშირშია ერთმანეთთან.

პირველი, შემოქმედებითი შედეგის შემქმნელს აქვს მისივე გამოყენების ექსკლუზიური უფლება, რომელიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს, ხოლო მისი გამოყენება შემქმნელის ან მისი უფლებამონაცვლის ნებართვის გარეშე არის ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევა.

მეორეც, შემოქმედებითი შედეგის შემქმნელს აქვს პირადი არამატერიალური (მორალური) უფლებები: ავტორის უფლება, ავტორის სახელის უფლება და ა.შ.

საავტორო უფლება იცავს აზრის გამოხატვის ფორმას, მაგრამ არა თავად იდეებს. ავტორის მიერ ნაფიქრი მონაკვეთი დაცული არ არის. საავტორო უფლება წარმოიქმნება იმ მომენტში, როდესაც იქმნება ნაწარმოები. ნაწარმოების შემქმნელის უფლებაა გამოიყენოს საავტორო უფლებების დაცვის ნიშანი, რომელიც შედგება სამი ელემენტისგან და განთავსებულია ნაწარმოების თითოეულ ეგზემპლარზე:

- ლათინური ასო "C" წრეში: © (ინგლ copyright);
- საავტორო უფლებების მფლობელის სახელი ან დანიშნულება;
- პირველი გამოცემის წელი.

ბერნის კონვენციის შესაბამისად, ნაწარმოების დაცვა უზრუნველყოფილია ავტორის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალებიდან 70 წლის შემდეგ. როდესაც საავტორო უფლებები იწურება, ნამუშევარი საზოგადოებრივ ქონებაში შედის.

1883 წელს ხელი მოეწერა სამრეწველო საკუთრების დაცვის „პარიზის კონვენციის" პირველ გამოცემას, რომლის თანახმად, სამრეწველო საკუთრების დაცვის ობიექტებია:

- გამოგონების პატენტები;
- სასარგებლო მოდელები;
- სამრეწველო ნიმუშები;
- სავაჭრო ნიშნები;

- მომსახურების ნიშნები
- სავაჭრო სახელები;
- წარმოშობის მითითებები;
- ადგილწარმოშობის დასახელება;
- არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა.

სავაჭრო ნიშანი ეკონომიკური ბრუნვის აუცილებელი კომპონენტია, რომელიც წარმოადგენს კომპანიის საბაზრო ღირებულების მნიშვნელოვან წილს.

**ცხრილი 6. მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული სავაჭრო ნიშნების რეიტინგი 2023 წელს**

| სავაჭრო ნიშანი | სავაჭრო ნიშნის ღირებულება, მილიონი დოლარი | ქვეყანა | ბაზრის სექტორი |
|---|---|---|---|
| Amazon | 299.3 | აშშ | სამომხმარებლო საქონელი და საცალო ვაჭრობა |
| Apple | 297.5 | აშშ | ტექ ბიზნესი |
| Google | 281.4 | აშშ | მედია |
| Microsoft | 191.6 | აშშ | ბიზნეს გადაწყვეტილებები და ტექნიკური პროვაიდერები |
| Walmart | 113.8 | აშშ | საცალო ვაჭრობა |
| Samsung Group | 99.7 | სამხრეთ კორეა | ტექ ბიზნესი |
| ICBC | 69.5 | ჩინეთი | საბანკო სექტორი |
| Verizon | 67.4 | აშშ | ტელეკომუნიკაციები |
| Tesla | 66.2 | აშშ | საავტომობილო სექტორი |
| TikTok/Douyin | 65.7 | ჩინეთი | მედია |

**წყარო:** https://www.visualcapitalist.com/top-100-brand-value-2023/

ინტელექტუალური საკუთრების წარმატებული გამოყენებისთვის აუცილებელია მათთვის შესაბამისი სამართლებრივი დაცვა, რომელიც შეიძლება იყოს განსხვავებული და დამოკიდებული უამრავ ფაქტორზე:

- ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი;
- შექმნის მიზანი;
- ადგილი და როლი კომპანიის საქმიანობაში;
- გამოყენების მიმართულებები;
- კომერციალიზაციის შესაძლებლობები და ა.შ.

ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სწორი გზის ასარჩევად, მის ავტორს კარგად უნდა ესმოდეს, რა იქნება ინტელექტუალური საკუთრების ესა თუ ის ობიექტები.

## ტექნოლოგიების საერთაშორისო გაცვლა

„ახალ ეკონომიკაში“, ტექნოლოგიური გაცვლის სფეროში ჩართული არის ადამიანის საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი ფორმები: წარმოება, მენეჯმენტი, მეცნიერება, ტექნოლოგია და ოთხივე მათგანი, ისევე როგორც მათი სხვადასხვა კომბინაცია, შეიძლება შევიდეს გაცვლაში. UNCTAD-ის მიერ შემუშავებული „ტექნოლოგიების გადაცემის ქცევის საერთაშორისო კოდექსი” შეიცავს ტრანზაქციების შემდეგ ჩამონათვალს:

- სალიცენზიო ხელშეკრულება;
- ნოუჰაუს გადაცემის ხელშეკრულებები;
- გაყიდვის, იჯარის, ლიზინგის ხელშეკრულებები;
- შეთანხმებები სამეცნიერო და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ;
- საინჟინრო მომსახურების გაწევის ხელშეკრულებები;
- სამეცნიერო, ტექნიკური და სამრეწველო თანამშრომლობის ხელშეკრულებები;
- საინვესტიციო ხელშეკრულებების საფუძველზე ინტელექტუალური საკუთრების კომპანიების საწესდებო კაპიტალში შენატანი.

საერთო საქონლითა და ტექნოლოგიებით მსოფლიო ვაჭრობის მოცულობა და დინამიკა წარმოდგენილია ცხრილში. 11.3, რომელშიც ჩანს, რომ ბოლო 25 წლის განმავლობაში ტექნოლოგიების ექსპორტი და იმპორტი საქონლის ექსპორტსა და იმპორტზე უფრო სწრაფად გაიზარდა.

**ცხრილი 7. მსოფლიო ვაჭრობა ტექნოლოგიებით და საქონლით, მილიარდი დოლარი**

| ინდიკატორები | წლები | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1990 | 2000 | 2010 | 2020 |
| ტექნოლოგიების ექსპორტი | 26,7 | 92,1 | 244,4 | 323,3 |
| საქონლის ექსპორტი | 3490,0 | 6458,0 | 15 301,0 | 16 489,0 |
| ტექნოლოგიების იმპორტი | 23,7 | 75,8 | 260,8 | 363,6 |
| საქონლის იმპორტი | 3600,0 | 6725,0 | 15 511,0 | 16 743,0 |

**წყარო:**World trade organization (URL: https://www.wto.org/english/res_e/statis_e/wts2021_e/wts2021_e.pdf)

სალიცენზიო ვაჭრობა ტექნოლოგიით საერთაშორისო ვაჭრობის ძირითადი და მზარდი ფორმაა. იგი წერილობითი შეთანხმებაა და დადებულია ლიცენზიის მფლობელს და ლიცენზიის შემსყიდველს შორის ინტელექტუალური საქმიანობის შედეგად ანაზღაურების საფუძველზე ექსკლუზიური უფლების გადაცემის სანაცვლოდ.

სალიცენზიო ხელშეკრულებები მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა სახის ტრანზაქციებისგან. ძირითადი განსხვავებები შემდეგია:

- სალიცენზიო ხელშეკრულებების სავალდებულო პირობაა ამ ხელშეკრულებებში გამოყენებული ტერმინების განსაზღვრა;
- ინტელექტუალური საქმიანობის შედეგები, გამოხატული წერილობით ან ზეპირი ფორმით, აგრეთვე ინდივიდუალიზაციის საშუალებებით.
- სალიცენზიო ხელშეკრულებით ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე ექსკლუზიური უფლება გაიცემა მხოლოდ გარკვეული პირობებით;
- ლიცენზიატი ხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მხოლოდ გარკვეული უფლებების მფლობელი;
- სალიცენზიო ხელშეკრულების ვადა;

ვაჭრობაში სალიცენზიო ხელშეკრულებები კლასიფიცირდება სხვადასხვა კრიტერიუმებით:

- სალიცენზიო ხელშეკრულების საგანზე;
- გადაცემული უფლებების მოცულობით;

- ლიცენზიის საგნის დაცვის მეთოდის მიხედვით.

როგორც წესი სხვა არამატერიალური აქტივებიც ლიცენზიის საგანია. დღესდღეობით ნოუ-ჰაუსა და სავაჭრო ნიშნების ლიცენზიების რაოდენობა უფრო მეტად იზრდება, ვიდრე გამოგონებებისა და სხვა ნივთების ლიცენზიების რაოდენობა.

## საერთაშორისო მომსახურებით ვაჭრობის დინამიკა და ტენდენცია XXI საუკუნეში

ბოლო ათწლეულის განმავლობაში გლობალურ ეკონომიკაში, სერვისებით ვაჭრობა მუდმივად პოზიტიური დინამიკისკენ იყო მიმართული. დივერსიფიცირებულ და დინამიურ სერვის სექტორს შეუძლია ხელი შეუწყოს ეროვნული ეკონომიკის ზრდას.

სხვადასხვა სახის სერვისებით ვაჭრობის ზრდის დინამიკა კი მნიშვნელოვნად განსხვავდება. ყველაზე მეტად იზრდება ტელეკომუნიკაცია, კომპიუტერული და საინფორმაციო სერვისები. 1995 წლიდან 2020 წლამდე კომპიუტერული და საინფორმაციო სერვისების ექსპორტი უფრო სწრაფი ტემპით გაიზარდა, ვიდრე სხვა სექტორების და მან 2020 წელს 302 მილიარდ დოლარს მიაღწია.

რეგიონულ ჭრილში, ევროკავშირი ლიდერია სერვისების ექსპორტში. აღმოსავლეთ აზია და წყნარი ოკეანის რეგიონი ეწევა ევროპას მომსახურებით ვაჭრობის ზრდის თვალსაზრისით და უსწრებს ჩრდილოეთ ამერიკასაც კი. მომსახურების სექტორის სექტორთაშორისი და შიდა სტრუქტურა სწრაფად იცვლება სამხრეთ აზიის, ლათინური ამერიკის, ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში. აღმოსავლეთ აზია ორიენტირებულია კომპიუტერული და საინფორმაციო-საკომუნიკაციო მომსახურების სექტორების განვითარებაზე, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები კი მეწარმეობისა და კომპიუტერულ-საინფორმაციო მომსახურების განვითარებაზე.

აშშ და ევროკავშირი კვლავ ასრულებენ წამყვან როლს მომსახურების სექტორის პრაქტიკულად ყველა სექტორში. ევროკავშირში მომსახურების სექტორი შეადგენს 2/3 მშპ, ხოლო ევროკავშირის მშპ ბოლო წლების ზრდის 4/5 უზრუნველყოფილია მომსახურების სექტორის პოზიტიური ზრდის ტემპებით.

შეერთებული შტატები ლიდერობს მსოფლიო ვაჭრობაში ტურიზ-

მის, ფინანსური, ბიზნესის, ტრანსპორტირებისა და ინტელექტუალური უფლებების მომსახურებით. ამერიკის სერვისების ბაზარი იმდენად სტაბილურია, რომ კრიზისმაც კი მნიშვნელოვნად არ იმოქმედა მომსახურების ბაზრის იმ სექტორებზე, რომლებსაც ციფრულ ეკონომიკას უწოდებენ.

გლობალური ფინანსური კრიზისის დროს საქონლის ექსპორტისა და იმპორტის მოცულობა საშუალოდ 30%-ით შემცირდა, მომსახურებით ვაჭრობის მოცულობა კი 7%-ით. ამავდროულად, სერვისები, რომლებიც კლასიფიცირდება როგორც მაღალტექნოლოგიური და გლობალური ეკონომიკის განუყოფელი ნაწილია, შეინარჩუნა ზრდის ტენდენცია, რომელიც აიხსნება შემდეგით: პირველი, მოთხოვნა რიგ სერვისებზე ნაკლებად ციკლურია და მეორე, მომსახურებით წარმოება და ვაჭრობა ნაკლებად არის დამოკიდებული დაფინანსების გარე წყაროებზე.

ევროკავშირმა ასევე განიცადა სერვისებით ვაჭრობის ზრდა ბოლო ათწლეულის განმავლობაში, გარდა 2009 წლისა, როდესაც ფინანსური კრიზისის დროს ვაჭრობა 8%-ით დაეცა. სერვისებით ვაჭრობა მესამე ქვეყნებთან ევროკავშირის მთლიანი ვაჭრობის 30%-მდე მოდის.

მომსახურების ექსპორტის როლი ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურის განვითარებაში თვალსაჩინოა ინდოეთის მაგალითზე. 2010-2020 წლებშიმომსახურების ექსპორტის მოცულობა სამჯერ გაიზარდა და შეადგინა მსოფლიოს დაახლოებით 3%.

დაბოლოს, სერვისებით ვაჭრობა ბევრად უფრო ინკლუზიურია, ვიდრე საქონლით ვაჭრობა. ზოგიერთი ქვეყნიდან მუშახელის მიგრაცია ამცირებს მოთხოვნას მომსახურებაზე, ხოლო სხვა ქვეყნებში მომხმარებელთა შემოდინება ზრდის მოთხოვნას საქონელსა და ფართო მასშტაბით მომსახურების ასორტიმენტზე, რომელიც თან ახლავს მათ წარმოებას, გაყიდვას და გაყიდვის შემდგომ მომსახურებას.

## საქართველოს მონაწილეობა ინტელექტუალური საკუთრებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო ბაზარზე

ახალი ტექნოლოგიების საერთაშორისო ბაზარზე გარიგების ობიექტი არის ინტელექტუალური საკუთრება, როგორც ნივთობრივი, ასევე არანივთობრივი ფორმით.

ინტელექტუალური საკუთრების მონაცემების დამუშავება ხდება

„მსოფლიო ინტელექუალური საკუთრების ორგანიზაციის" (WIPO)-ს მიერ. ინტელექტუალური საკუთრების ბაზარზე მონაცემები ხელმისაწვდომია WIPO-ს სტატისტიკის ვებ-გვერდზე: www.wipo.int/ipstats

საქართველო მსოფლიო მასშტაბით „ინტელექტუალური საკუთრებისა და ინოვაციების ბაზარზე" ამინდს ვერ შექმნის, მაგრამ მაინც აუცილებელია განისაზღვროს საქართველოს ეკონომიკის განვითარების მიმართულებები, რომელიც აქცენტს გააკეთებს ინკლუზიურ ზრდასა და არაელასტიკური მოთხოვნის პროდუქტების წარმოებაზე.

საქართველო ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა რეგიონში ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვის მაჩვენებლით, ეს კი დადებითად აისახება ლოკალურ ეკონომიკაზე, სტარტაპეკოსისტემის ზრდასა –2021 წლის ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგში, 45 სახელმწიფოს შორის, საქართველო იკავებს მე-7 ადგილს, რაც განაპირობა საზოგადოებაში ახალი ტექნოლოგიების ათვისების მიმართ მზაობამ, მეწარმეობის განვითარებამ, კონკურენტული შიდა ბაზრის გაჩენის საჭიროებამ, პანდემიამ. მაგალითად, სმარტფონებისა და ინტერნეტის საბაზრო შეღწევადობის მაჩვენებლებით, რომლებიც 2021 წლის მონაცემებით, 84% და 86%-ს შეადგენენ, საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა. საქართველოში განვითარებულია საბანკო ინდუსტრიაც, რომლებიც რეგიონში ქმნიან საუკეთესო ინოვაციურ სერვისებსა და პროდუქტებს, რაც ავითარებს ბიზნესსა და ეკონომიკას.

ანალოგიურად კარგი მაჩვენებლები ჰქონდა საქართველოს 2022 წელს, 2022 წლის მონაცემებით, ინტერნეტთან წვდომის მაჩვენებელი 88% არის, რაც მნიშვნელოვნად აღემატება მსოფლიო საშუალო მაჩვენებელს (66%) და არის თითქმის ევროპულ მაჩვენებელთან (89%) მიახლოებული. ეს უზრუნველყოფს ხელსაყრელ გარემოს ადგილობრივი ელექტრონული კომერციის ბიზნესისთვის.

2022 წელს საქართველოში ფიზიკურ პირთა 88% ფლობდა მობილურ ტელეფონს. ეს მაჩვენებელი მსოფლიოს აჭარბებს მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელს, რომელიც 73%-ს შეადგენს. [წყარო: https://tbccapital.ge/static/file/202308180748-e-commerce_eng_08.2023.pdf]

ქვეყნის საბანკო ინფორმაციის პროგნოზსა და მის გამჭვირვალობას განაპირობებს საქართველოს ეროვნული ბანკი, რომელმაც 2021 წელს დაანონსა ციფრული ლარის შექმნა. ახალი ტექნოლოგიების გაჩენამ და მათმა აქტიურმა განვითარებამ განაპირობა ქართული ვალუტის გაციფრულება, რადგანაც სწორედ ვალუტის განვითარებითაა შე-

საძლებელი, რომ ქართული ლარი მოერგოს ციფრულ ეკონომიკას და გაზარდოს ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობა.

გადახდების ტექნოლოგიებზე მომუშავე კომპანიებიც უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ საქართველოს ინოვაციურ განვითარებაში. აუცილებელია გამოვყოთ ციფრული გადახდების მსოფლიო ლიდერი – Visa, გლობალური კომპანია, რომლის მისია მსოფლიოს დაკავშირება გადახდების ინოვაციური, მოსახერხებელი და უსაფრთხო ქსელის მეშვეობით. სწორედ Visa-ს დამსახურებაა, რომ ბაზარზე Visa-ს ბარათებით შესრულებული გადახდების რაოდენობით, საქართველო მსოფლიოში მეორე ადგილს იკავებს. პანდემიამ დააჩქარა ციფრული ტრანსფორმაცია, ბაზარზე გაიზარდა მოთხოვნა გაციფრულებაზე და გაფართოვდა უკონტაქტო გადახდების ფუნქციონალის გამოყენების არეალი. ქართული ფინანსურ-ტექნოლოგიური სტარტაპი „Payze"-ი, რომელიც არის მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი სტარტაპ-აქსელერატორის, „Y Combinator"-ის პროგრამის მონაწილე და „500 Georgia"-ს გამარჯვებული კომპანია, „Visa Everywhere Initiative 2021"-ის ფინალისტი, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის, აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონალური ფინალის გამარჯვებული გახდა, რაც საქართველოს ინოვაციურობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.

საქართველოში არსებობენ კომპანიები, რომელთაც ინოვაციური პროდუქტით გლობალური მოთამაშეების ყურადღება მიიპყრეს, ამ მხრივ წარმატებული აღმოჩნდა ქართული კომპანია „PulsarAI"-ი – ამ კომპანიის უკან მდგომმა ადამიანებმა შექმნეს საავტომობილო ინდუსტრიისთვის მსოფლიოში ყველაზე განვითარებული ხელოვნური ინტელექტი, რომლის საშუალებითაც „SpinCar"-ის ყურადღება მიიპყრეს, რომელიც ავტოინდუსტრიის გიგანტია.

„ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სსიპ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს" (GITA) „ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროგრამის" ფარგლებში საფრანგეთში „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსა" და „მასალების, მეტალურგიისა და პროცესების ტექნოლოგიურ კვლევით ინსტიტუტს" (The Technological Research Institute for Materials, Metallurgy and Processes (IRT M2P)) შორის „ერთობლივი კვლევისა და ლიცენზირების ხელშეკრულებას" მოეწერა ხელი. „IRT M2P" არის ფრანგული კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც ინოვაციურ და ტექნოლოგიურ გადაწყვეტებზე სხვადასხვა სფეროებშიც მუშაობს.

„IRT M2P" სსიპ ფერდინანდ თავაძის „მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის" ინსტიტუტთან ერთად იმუშავებს, რათა განავითარონ ქართული ტექნოლოგიის ტექნოლოგიური მზაობა. 4 ფრანგული კომპანია ამ პროცესის დაფინანსებით უკვე დაინტერესებულია, ხოლო 50% დაფინანსდება საფრანგეთის მთავრობის მიერ. აგრეთვე, „IRT M2P" ზემოთ ხსენებული ქართული ტექნოლოგიის დანერგვასა და ფრანგული ინდუსტრიული კომპანიებისთვის ლიცენზიით გადაცემას უზრუნველყოფს.

საქართველოს აქვს ინოვაციების დანერგვისა და განვითარების დიდი პოტენციალი. თუმცაღა, სახელმწიფოს მონაწილეობისა და ჩარევის გარეშე ინტელექტუალური საკუთრება ვერ განვითარდება, ამიტომ, ინოვაციების ხელშეწყობა ეროვნულ და საერთაშორისო ბაზარზე გასვლისათვის არის აუცილებელი. პრაქტიკის მიხედვით, საუკეთესო გზად ითვლება ტექნოპარკების შექმნა, რომელშიც ჩართული იქნება არამხოლოდ სახელმწიფო და კერძო სექტორი.

საქართველოში ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირებულია შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

ეროვნული კანონმდებლობა მოიცავს:

- საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონი;
- საქართველოს საპატენტო კანონი;
- სასაქონლო ნიშნების შესახებ' საქართველოს კანონი და სხვა.

საერთაშორისო ხელშეკრულებები მოიცავს ისეთ ხელშეკრულებებს, როგორიც არის:

- სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია;
- ლიტერალურისა და ხელოვნების ნაწარმოებების საცვის შესახებ ბერნის კონვენცია;
- შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (TRIPS);
- დიზაინების საერთაშორისო დეპონირების შესახებ ჰააგის შეთანხმება;
- დიზაინების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ჰააგის შეთანხმება (ჟენევის აქტი);
- ადგილწარმოშობის დასახელების დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ლისაბონის შეთანხმება და სხვა.

რაც შეეხება მომსახურების სფეროს, აქ საქართველო ყველაზე მეტ შემოსავალს იღებს მოგზაურობიდან. 2021 წელს, წმინდა შემოსავა-

ლმა მოგზაურობიდან შეადგინა 1 მლრდ აშშ დოლარი, 2023 წელს კი 3.5 მილიარდი დოლარი [წყარო: https://www.interpressnews.ge/ka/article/741988-turizmis-erovnuli-administracia-2022-cels-turizmidan-sakartvelom-35-miliardi-dolaris-shemosavali-miigo/], ხოლო 2019 წელს კი - 2.6 მლრდ დოლარი. აქედან გამომდინარე, ტურიზმი არის საქართველოს უცხოური ვალუტის შემოდინებისა და მიმდინარე ანგარიშის დაფარვის მნიშვნელოვანი დარგი. ტელეკომუნიკაციის, საინფორმაციო და კომპიუტერული მომსახურების დარგებიდან 2021 წელს ჩვენმა ქვეყანამ მიიღო 120 მლნ დოლარის წმინდა შემოსავალი, რაც პრე-პანდემიურ პერიოდთან შედარებით 4-ჯერ ზრდას ნიშნავს. ცალკე აღებული მუხლებიდან, წმინდა შემოსავალი მილსადენებისა და ელექტროსადენების მომსახურებიდანაც მაღალია, საიდანაც შემოსავლები ბოლო წლებში დაახლოებით 350 მლნ დოლარი იყო.

მომსახურებით ვაჭრობის სტატისტიკას აქვეყნებს „საქართველოს ეროვნული ბანკი". ის წარმოადგენს მიმდინარე ანგარიშის მნიშვნელოვან კომპონენტს და შესაბამისად, მასზე ინფორმაცია გვხვდება საგადასახდელო ბალანსში.

2021 წელს, მომსახურების ექსპორტმა 2.5 მლრდ აშშ დოლარი, იმპორტმა 1.8 მლრდ დოლარი, ხოლო პროფიციტმა 726 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2019 წელს, მომსახურების ექსპორტი შეადგენდა 4.5 (მშპ-ს 26.3%) მლრდ აშშ დოლარს, იმპორტი კი 2.4 მლრდ დოლარს.

**ცხრილი 8: მომსახურებით ვაჭრობის სტატისტიკა 2013-2022 წლებში, მლნ აშშ დოლარი**

| | **2013** | **2014** | **2015** | **2016** | **2017** |
|---|---|---|---|---|---|
| **სალდო** | 1400 | 1286 | 1390 | 1559 | 2014 |
| **ექსპორტი** | 2961 | 3019 | 3066 | 3295 | 3976 |
| **იმპორტი** | 1561 | 1733 | 1675 | 1736 | 1962 |
| | **2018** | **2019** | **2020** | **2021** | **2022** |
| **სალდო** | 2241 | 2169 | 129 | 726 | 2675 |
| **ექსპორტი** | 4482 | 4586 | 1577 | 2539 | 5703 |
| **იმპორტი** | 2241 | 2418 | 1449 | 1813 | 3028 |

**წყარო:** https://cutt.ly/BwGCZI5f; https://www.geostat.ge/ka/modules/categories/766/momsakhurebit-saertashoriso-vachroba

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი არის „საქპატენტი“ და საქართველოს კანონმდებლობის თანხმად განსაზღვრავს ინტელექტუალური საკუთრების პოლიტიკას.

საქართველოს ფარგლებს გარეთ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს წარმოადგენს ინტელექტუალური საკუთრების გლობალურ სისტემაში სრულფასოვანი ინტეგრაცია, რომელიც საქპატენტის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად არის მიჩნეული და სწორედ საქაპატენტი ზრუნავს სრულფასოვანი შედეგის დადგომისათვის.

## საქართველო საკუთრების დაცვის განახლებულ რეიტინგში

ამერიკული ორგანიზაცია „საკუთრების უფლებების ალიანსი“ (Property Rights Alliance) საკუთრების დაცვის რეიტინგს საკუთრების დაცვის საერთაშორისო ინდექსის (International Property Rights Index) მიხედვით 2007 წლიდან ყოველწლიურად აქვეყნებს. ბოლო სრულყოფილად გამოცემული რეიტინგი გახლდათ 2022 წლის, რომელიც მოიცავს 129 ქვეყანას.

ზემოთ აღნიშნული ინდექსი სამი ძირითადი კომპონენტისგან შედგება და ესენია: ფიზიკური საკუთრებისა დაცვა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, ქვეყნის სამართლებრივი და პოლიტიკური გარემო. საკუთრების დაცვის დონე ფასდება მაქსიმუმ 10 ქულით.

2021 წლის მდგომარეობით, საქართველო 5.327 ქულით 129 ქვეყნიდან 67-ე ადგილზეა. სწორედ ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კომპონენტის ქულის ზრდამ განაპირობა საქართველოს ქულის გაუმჯობესება, რომელიც 3.27-დან 3.88-მდე გაიზარდა. მიუხედავად გაუმჯობესებისა, ყველაზე ცუდი მდგომარეობა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კუთხითაა – ამ კომპონენტით საქართველო 129 ქვეყანას შორის 112-ე ადგილზეა. საავტორო უფლებების დაცვაში კი საქართველოს 10-დან 1.9 ქულა აქვს.

სამწუხაროდ, 2022 წელს მდგომარეობა შედარებით გაუარესდა, რადგან ქვეყანას სამივე კომპონენტში ნაკლები ქულა მიენიჭა, რის გამოც საბოლოო ქულა 4.671-მდე შემცირდა, შედეგად 67-დან 72-ე ადგილზე გადმოინაცვლა. ამ ეტაპზე ორგანიზაციას არ დაუსრულებია 2023

წლის რეიტინგზე საბოლოო მუშაობა, თუმცა არსებული მონაცემებით 2022 წელთან შედარებით საქართველოს ქულა გაუმჯობესდა 0.247-ით და შეადგინა 4.918, რის გამოც გადაინაცვლა 66-ე ადგილზე.

საქართველო 129 ქვეყნას შორის მოწინავე ადგილზეა ფიზიკური საკუთრების დაცვის მხრივ და ეს მაჩვენებელი განპირობებულია იმით, რომ ქონების რეგისტრაციის სიმარტივეში საქართველოს მაქსიმალური – 10 ქულა აქვს.

**ნახაზი 14. საქართველოს პოზიცია საკუთრების დაცვის საერთაშორისო რეიტინგში**




**წყარო:** https://forbes.ge/blogs/sakuthrebis-datsvis-saerthashoriso-indeqsshi-saqarthvelo-5-adgilith-chamoqveithda/

რაც შეეხბა ქვეყნის სამართლებრივ და პოლიტიკურ გარემოს, 2021 წლის მონაცემებით საქართველო 56-ე ადგილს იკავებს და 5.16 ქულა აქვს, ხოლო სასამართლოს დამოუკიდებლობაში საქართველოს 4.25 ქულა აქვს და 72-ე ადგილზეა. კანონის უზენაესობა კანონისადმი თანასწორობას, კრიმინალის დონეს, პოლიციის მუშაობის ხარისხს და სხვა მსგავს საკითხებს მოიცავს, სადაც საქართველოს 5.6 ქულით და 50-ე ადგილზე, ხოლო პოლიტიკურ სტაბილურობაში 4.4 ქულით 86-ე ადგილზეა, კორუფციის კონტროლში კი 6.3 ქულით 36-ე ადგილზე. რაც შეეხება 2022 წელს, სამართლებრივ და პოლიტიკურ გარემოს მაჩვენებელში ქვეყანამ 57-ე ადგილზე ჩამოინაცვლა 5.09 ქულით.

## ქვეყნები, სადაც საკუთრება ყველაზე კარგადაა დაცული

„საკუთრების დაცვის საერთაშორისო ინდექსის“ 2022 წლის რეიტინგში პირველ ადგილს ფინეთი იკავებს 8.173 ქულით. შემდეგ სინგაპური, შვეიცერია და ახალი ზელანდია. პოლიტიკურ და სამართლებრივ გარემოში ყველაზე მაღალი ქულა აქვს ახალ ზელანდიას.

გეოგრაფიული მეზობლებიდან საქართველოს რუსეთი და თურქეთი ჩამორჩება, რომელიც 85-ე ადგილზეა. აზერბაიჯანი 60-ე, სომხეთი 63-ე და თურქეთი 81-ე ადგილზეა.

**ცხრილი 9. საკუთრების დაცვის საერთაშორისო ინდექსის 2022 წლის რეიტინგის პირველი ათეული**

| | ქვეყანა | ქულა |
|---|---|---|
| **1** | ფინეთი | 8.17 |
| **2** | სინგაპური | 7.97 |
| **3** | შვეიცარია | 7.94 |
| **4** | ახალი ზელანდია | 7.93 |
| **5** | ლუქსემბურგი | 7.89 |
| **6** | დანია | 7.81 |
| **7** | ნორვეგია | 7.80 |
| **8** | ნიდერლანდები | 7.78 |
| **9** | იაპონია | 7.68 |
| **10** | ავსტრია | 7.67 |

**წყარო:** https://forbes.ge/blogs/sakuthrebis-datsvis-saerthashoriso-indeqsshi-saqarthvelo-5-adgilith-chamoqveithda/

## დასკვნა

როგორც ვნახეთ, ინტელექტუალური საკუთრება მოიცავს ყველაფერს, დაწყებული პატენტით, დასრულებული ნააზრევითაც კი, რომელიც ნაწარმოებში ერთმა მწერალმა გამოიყენა.

საკმაოდ საფრთხილოა ინტელექტუალური საკუთრება, რომლის განვითარება მიმდინარეობდა ნელა, თუმცა ტექნოლოგიური ბაზრის წილის გაზრდის შემდეგ მდგომარეობაც შეიცვალა.

დღეს რომ არა ტექნოლოგიური და ინდუსტრიული რევოლუციები, XXI საუკუნე არ იქნებოდა ამდაგვარი და ყოველდღიურობაც სრულიად განსხვავებული იქნებოდა, საერთაშორისო ვაჭრობას კი შესაძლოა არც ეარსება. ინდუსტრიული რევოლუცია გლობალიზაციის საყრდენი ძალაა, რადგან ისეთი გამოგონების გარეშეც კი, როგორიცაა ავტომობილი თუ სხვა, ვერ მოხდებოდა საერთაშორისო ვაჭრობის ექსპორტ-იმპორტის ასპარეზზე გასვლა იმ დოზით, რა დოზითაც ახლაა.

ამ ბაზრის ლიდერები, რომელთა შორისაც წლების განმავლობაში მიმდინარეობს კონკურენცია არიან ამერიკის შეერთებული შტატები და ჩინეთი. ამ ქვეყნებიდან წამოსული ინოვაციები მსოფლიო საერთაშორისო მასშტაბით ზეგავლენის,ხოლო საერთაშორისო ვაჭრობაზე ამინდის შემქმნელია.

იმისდა მიუხედავად, რომ ასეთ დიდ ქვეყნებს საქართველო კონკურენციას ვერ უწევს, მაინც შეინიშნება ამ მხრივ წინსვლა. შეიქმნა ტექნოპარკები, ვიღებთ საგრანტო პროექტებში მონაწილეობას და მივდივართ სრული სვლით მომავლისკენ. საქართველოში არსებობს „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო", რომლის მისიაცაა ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარებისათვის საჭირო ეკოსისტემის ფორმირება, ინოვაციების და მაღალტექნოლოგიური პროდუქტების ექსპორტის ზრდისთვის საჭირო გარემოს შექმნა, ინოვაციისა და ცოდნის კომერციალიზაციის ხელშეწყობა, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების გამოყენების სტიმულირება ეკონომიკის ყველა დარგში.

ინოვაციების სააგენტო დაინტერესებულ პირებს სთავაზობს სხვადასხვა უფასო მომსახურებას. სააგენტო ტექნოპარკთან ერთად მოიცავს როგორც საერთო სამუშაო სივრცეს, ასევე სამრეწველო ინოვაციების უნივერსალურ ლაბორატორიას FABLAB-ს, საკონფერენციო დარბაზს, სარეკრეაციო ზონას, შეხვედრების ოთახებს.

ეს არის სივრცე ნებისმიერი მოქალაქისათვის, რომელსაც აქვს იდეა და სურს მისი განხორციელება ან სტარტაპ ბიზნესად ჩამოყალიბება. ფაბლაბი ყველას აძლევს საშუალებას, ჰქონდეს წვდომა თანამედროვე დანადგარებსა და ტექნოლოგიებზე. ის მორგებულია ნებისმიერ მომხმარებელზე და ხელს უწყობს იდეების გენერირებას.

# თავი 9. საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო ინტეგრაციულ გაერთიანებებში

გლობალიზაცია ნიშნავს საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის ზრდას, რომელსაც მივყავართ მთელი მსოფლიოს მთლიანობისაკენ, ქვეყნებს შორის ბარიერების დაძლევისაკენ საქონლის და მომსახურების, კაპიტალის და სამუშაო ძალის მოძრაობაში. თუმცა თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში ვრცელდება ისეთი მოვლენა, როგორიცაა რეგიონალიზმი, რაც ნიშნავს რეგიონული პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმებების გავრცელებას, რომლებიც შემოიფარგლება ბარიერების მოსპობით ცალკეული ქვეყნების ჯგუფების ჩარჩოებში.

რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაცია - ესაა სამეურნეო-პოლიტიკური სახელმწიფოთშორისი ქვეყნების გაერთიანება მდგრადი ურთიერთკავშირის განვითარების და შრომის დანაწილების საფუძველზე ეროვნულ მეურნეობებს შორის. იგი წარმოიშობა პრეფერენციულ შეთანხმებათა დადების შედეგად ქვეყნებს შორის, რომლებიც საინტეგრაციო ბლოკს (დაჯგუფებას) ქმნის. რეგიონალიზმის მიზეზები ძირითადად პოლიტიკური ხასიათისაა. ჯერ ერთი, ესაა სწრაფვა პოლიტიკური გავლენის განსამტკიცებლად, რაც განსაკუთრებით პატარა ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი, რომელთათვისაც ინტეგრაციულ ბლოკში მონაწილეობა ყველაზე ეფექტური საშუალებაა თავიანთი ინტერესების დასაცავად.

გამოყოფენ საერთაშორისო რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაციის რამდენიმე ფორმას. თავდაპირველად მათი კლასიფიკაცია შეიმუშავა ბ. ბალასამ და გამოაქვეყნა წიგნში „ეკონომიკური ინტეგრაციის თეორია"(1961). მან გამოყო საერთაშორისო ეკონომიკური საქმიანობის 5 რეჟიმი: თავისუფალი ვაჭრობის ზონა, საბაჟო კავშირი, საერთო ბაზარი, ერთიანი ბაზარი, ეკონომიკური და სავალუტო კავშირი. მსო-ის პოზიციის გათვალისწინებით რეგიონალური სავაჭრო ინტეგრაციის თვალსაზრისით, თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყოფენ საინტეგრაციო შეთანხმებების შემდეგ ტიპებს: პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმება, შეთანხმება თავისუფალ ვაჭრობაზე, საბაჟო კავშირი, საერთო ბაზარი, ეკონომიკური კავშირი (იხ. ცხრ.1).

რეგიონალური ინტეგრაციის ეკონომიკური შედეგი არაერთგვაროვანია. ეკონომიკის ზოგი სექტორი ბაზრების გაერთიანების შედეგად შეიძლება გაფართოვდეს, სხვები, პირიქით, დაიხუროს. ეკონომიკათა გა-

**ცხრილი 14. საინტეგრაციო შეთანხმებების ტიპები**

| შეთანხმების ტიპები | ორმხრივი სავაჭრო საბაჟო ტარიფების შემცირება | ორმხრივი სავაჭრო საბაჟო გადასახადების აღმოფხვრა | საერთო საბაჟო ტარიფი მესამე ქვეყნებთან ერთად | წარმოების ფაქტორებისთავისუფალი გადაადგილება | ეკონომიკური პოლიტიკის ჰარმონიზაცია |
|---|---|---|---|---|---|
| პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმება | + | – | – | – | – |
| შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ | - | + | – | – | – |
| საბაჟო კავშირი | - | + | + | – | შესაძლებელია ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაცია |
| საერთო ბაზარი | - | + | + | + | შესაძლებელია ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაცია |
| ეკონომიკური კავშირი | - | + | + | + | + |

**წყარო:** Trade and Development Report, 2007: Regional Cooperation and Development. UNCTAD. 2007. P.89

ერთიანებამ შეიძლება გამოიწვიოს ქვეყანა-მონაწილეთა შემოსავლების ისეთი გათანაბრება, რომ ამ დროს ზოგიერთი ქვეყნის მდგომარეობის გაუმჯობესება მოხდეს სხვა ქვეყნების ხარჯზე. ინტეგრაციის შედეგების შესწავლისას აუცილებელია გამოვყოთ ეფექტების ორი ჯგუფი:

**კონკურენციის ეფექტი და მასშტაბის ეფექტი;**

**ვაჭრობის და ალოკაციის (განთავსების) ეფექტი.**

კონკურენციის ეფექტს და მასშტაბის ეფექტს აქვს დადებითი მნიშვნელობა ინტეგრაციული ბლოკისათვის, თუმცა ისინი ავტომატურად კი არ ჩნდება, არამედ იმ ქვეყნების მთავრობების დაბალანსებული და გააზრებული პოლიტიკის წყალობით, რომლებიც აერთიანებენ თავიანთ ეკონომიკებს.

კონკურენციის ეფექტი და მასშტაბის ეფექტი (წარმოების მასშტაბზე ეკონომია) ჩნდება იმიტომ, რომ ცალკეული ეროვნული ბაზრები ერთიანდება მთლიან ბაზრად. უფრო მსხვილი ბაზარი საშუალებას აძლევს, გაერთიანებული ქვეყნების კომპანიებს მიიღონ დადებითი უკუგება საქმიანობის მასშტაბიდან, აგრეთვე დაამყარონ უფრო მჭიდრო ურთიერთქმედება, მათ შორის კონკურენტული ურთიერთობები, რომელიც პოზიციებს ურყევს მონოპოლიებს და იწვევს ეფექტიანობის ზრდას.

მასშტაბის ეფექტი - ესაა წარმოების საშუალო დანახარჯთა გრძელვადიანი შემცირება (პროდუქციის თვითღირებულების) გამოშვებული პროდუქციის მოცულობათა გაზრდის შედეგად. ინტეგრაციული ბლოკის წევრებს შეუძლია მიიღოს როგორც შიდა, ასევე გარე ეკონომია წარმოების მასშტაბიდან. კომპანიის შიდა ეკონომიას იღებენ ერთეულ პროდუქტზე დანახარჯთა შემცირების შედეგად წარმოების მოცულობათა გაზრდის ხარჯზე. ვთქვათ, ფირმა ბელგიიდან ეკონომიკური კავშირის შექმნამდე აწარმოებდა თავისი ქვეყნის მოსახლეობისთვის 1000 ერთეულ საქონელს, ახლა კი აწარმოებს მთელი ეკ-თვის 4000-ს. მან გააფართოვა თავისი წარმოება, რამაც საშუალება მისცა შეემცირებინა პროდუქციის თვითღირებულება. გარდა ამისა, ტარიფების და სავაჭრო ბარიერების მოხსნის ხარჯზე მას შეუძლია მიიღოს გარე ეკონომია უფრო იაფ კაპიტალთან, სამუშაო ძალასთან და პროგრესულ ტექნოლოგიასთან დაშვების გაიოლებული შესაძლებლობების წყალობით.

## საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო ინტეგრაციულ გაერთიანებებში

„დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა“ - დსთ (The Commonwealth of independent states, CIS) - დაარსდა დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობის შექმნის შესახებ შეთანხმების საფუძველზე 1991 წლის 8 დეკემბერს, რომელსაც ბელორუსში ხელი მოაწერეს ყოფილი საბჭოთა კავშირის ლიდერებმა. 1991 წლის 21 დეკემბერს თა-

ნამეგობრობას კიდევ შეემატა შვიდი ქვეყანა: ყირგიზეთის რესპუბლიკა, აზერბაიჯანის რესპუბლიკა, ყაზახეთის რესპუბლიკა, მოლდოვა, სომხეთის რესპუბლიკა, ტაჯიკეთის რესპუბლიკა და უზბეკეთის რესპუბლიკა. საქართველო დსთ-ს წევრი 1993 წლის 9 დეკემბერს გახდა, ხოლო 2009 წელს ოფიციალურად დატოვა ორგანიზაცია. ამისდა მიუხედევად, საქართველო რჩება დსთ-ის ეკონომიკური შეთანხმებების მონაწილე ტრანსპორტის, ვაჭრობის, ინტელექტუალური დაცვის და სხვა სფეროებში.

ეკონომიკური კავშირის დაფუძნების შესახებ ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 1993 წლის 24 სექტემბერს და საფუძველი ჩაყარა „დსთ-ის ქვეყნების მრავალმხრივ თავისუფალი ვაჭრობის ზონის" (FTA) შექმნის იდეას. FTA-ს შექმნის მიზანს წარმოადგენდა ვაჭრობის ზრდის სტიმულირება, სავაჭრო ბარიერების გაუქმება და წინაპირობების შექმნა მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის. 1994 წლის იანვარში ძალაში შევიდა დსთ-ის ქარტია. დსთ ხელს უწყობს წევრი სახელმწიფოების თანამშრომლობას ეკონომიკურ, სამხედრო და პოლიტიკურ ასპექტებში. დღესდღეობით დსთ-ში 9 ქვეყანაა გაწევრიანებული: რუსეთის ფედერაცია, უზბეკეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, ტაჯიკეთის რესპუბლიკა, ბელორუსია, ყირგიზეთი, მოლდოვა, სომხეთი.

2022 წლის მდგომარეობით მოსახლეობის რაოდენობით ყველაზე დიდია რუსეთი - 144,705,625 მლნ კაცი, მას მოსდევს უზბეკეთი- 34,737,788 მლნ, ყაზახეთი - 19,439,080 მლნ, აზერბაიჯანი - 10,369,498 მლნ, ტაჯიკეთი - 9,991,380 მლნ, ბელორუსია- 9,528,949 მლნ, ყირგიზეთი - 6,651,714 მლნ, მოლდოვა - 3,363,071 მლნ და სომხეთი - 2,779,297 მლნ.

დსთ-ის ქვეყნები ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარებით არიან დაინტერესებულნი, რადგან:

1. დსთ ყოფილი სსრკ-ის ქვეყნების მიერ შეიქმნა, ამ კავშირისათვის კი დამახასიათებელი იყო ეკონომიკური კავშირების ინტენსიურობის მაღალი ხარისხი;
2. ქვეყნების მდიდარი ბუნებრივი და ეკონომიკური პოტენციალი;
3. გეოგრაფიული სიახლოვე, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, რკინიგზის, ნავთობ და გაზსადენების ერთობლივი ინფრასტრუქტურა.
4. მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია და სხვა მიზეზები, რომელებიც დსთ-ის ქვეყნებისთვის ეკონომიკურ ინტეგრაციას მიმზიდველს ხდიან.

დსთ-ის ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარებისადმი დაინტერესების მიუხედავად, არსებობს დეზინტეგრაციის მთელი რიგი ფაქტორები და ესენია:

- მიმდინარე კონიუქტურული ფაქტორები;
- სისტემური ფაქტორები;
- სტრუქტურული ფაქტორები;
- ინსტიტუციური ფაქტორები;

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2009 წლის 18 აგვისტოს საქართველომ დატოვა დსთ, რასაც წინ უძღვოდა რუსეთთან 2008 წლის ომი. დსთ-იდან გამოსვლის შემდეგ წევრ ქვეყნებთან საქართველომ გააფორმა საერთაშორისო ხელშეკრულებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რომელიც რეგულირდება „თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ" დსთ-ის 1994 წლის შეთანხმებით. თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი საქართველოს დსთ-ს 8 ქვეყანასთან აქვს და ესენია: მოლდოვა, აზერბაიჯანი, უკრაინა, სომხეთი, ბელორუსი, ყაზახეთი, უზბეკეთი და თურქმენეთი.

საქართველოსა და დსთ-ს შორის გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ფარგლებში:

1. მხარეები თავისუფლდებიან საბაჟო გადასახადებისგან;
2. გაუქმებულია რაოდენობრივი შეზღუდვა ვაჭრობის დროს;
3. მხარეები მოწოდებულ არიან ითანამშრომლონ სავაჭრო-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაში;
4. მხარეებს შორის უნდა განვითარდეს ჯანსაღი კონკურენცია;
5. გაუქმებულია ექსპორტ-იმპორტის სატარიფო კონტროლი;
6. მხარეებმა უნდა ითანამშრომლონ საქონლისა და მომსახურების სტანდარტიზაციისა და სერტიფიცირების საკითხებში;
7. გამარტივებულია; ა) ლიცენზირება; ბ) რაოდენობრივი შეზღუდვა; გ) სავალუტო კონტროლი; დ) სტატისტიკური აღრიცხვა; ე) დოკუმენტაციის დამოწმება; ვ) საქონლის მოძრაობასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები.

## საქართველოს მონაწილეობა პოსტსაბჭოთა სივრცის ინტეგრაციულ გაერთიანებებში

ყოფილი სსრკ-ს ქვეყნები ხუთ ჯგუფად იყოფიან:

- ბალტიისპირეთი: ესტონეთი, ლიტვა ლატვია;
- ცენტრალური აზია: ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი;
- სამხრეთ კავკასია: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი;

- აღმოსავლეთ ევროპა: უკრაინა, ბელარუსი, მოლდოვა;
- რუსეთი.

სსრკ-ს დაშლის შემდეგ ამ ქვეყნებმა შეინარჩუნეს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობები, რაც გამოიხატა შემდეგი გაერთიანებების ჩამოყალიბებით:

- დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ);
- ბელორუსიის და რუსეთის სახელმწიფოთა კავშირი - 1999 წელს ხელი მოეწერა ერთიან მოკავშირე სახელმწიფოთა შექმნის ხელშეკრულებას. მის მიზანს წარმოადგენდა რუსეთისა და ბელორუსის საერთო და მიმდინარე ინტერესების რეალიზაცია, ეკონომიკური ზრდა და ცხოვრების დონის ამაღლება სხვადასხვა ეკონომიკური მექანიზმების ეფექტიანი გამოყენების საფუძველზე.
- ევრაზიული ეკონომიკური კავშირი (Eurasian Economic Community, EAEC) - დაფუძნდა ევრაზიული 2000 წლის 10 ოქტომბრის ეკონომიკური კავშირის შესახებ ხელშეკრულებით ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში. კავშირი ითვალისწინებს საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და შრომის თავისუფალ გადაადგილებას. ევრაზიის ეკონომიკური კავშირის წევრი სახელმწიფოებია: სომხეთის რესპუბლიკა, ბელორუსის რესპუბლიკა, ყაზახეთის რესპუბლიკა, ყირგიზეთის რესპუბლიკა და რუსეთის ფედერაცია.
- სუამი- სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაცია 1997 წლის 19 ოქტომბერს ყოფილი საბჭოთა კავშირის რამდენიმე რესპუბლიკის (საქართველო, აზერბაიჯანი, უკრაინა, მოლდოვა) მიერ შეიქმნა. თურქეთი და ლატვია სუამის დამკვირვებელი ქვეყნებია. სუამის ძირითად მიზნებს წარმოადგენს: კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვა; ხანგრძლივი განვითარება; უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა; უსაფრთხოების საერთო სივრცის შექმნა; სახელმწიფოთა ეკონომიკური, სოციალური, ჰუმანიტარული, სატრანსპორტო და სხვა მრავალი მიმართულების განვითარება; ინტერესის საერთო სფეროებში ურთიერთქმედებისა და თანამშრომლობის გააქტიურება.

სუამის ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი 2002 წლიდან მოქმედებს. რაც შეეხება სუამის წევრ ქვეყნებს შორის გაფორმებულ ძირითად ხელშეკრულებას, რომელიც მხარეებს ვაჭრობის ლიბერალიზაციას ითვალისწინებს მდგომარეობს შემდეგში:

- მხარეები თავისუფლდებიან საბაჟო გადასახადებისგან;

- მხარეები თავისუფლდებიან იმ გადასახადებისა და მოსაკრებლებისგან, რომლებიც საბაჟო გადასახადის ეკვივალენტურია;
- მხარეებს არ აქვთ რაოდენობრივი შეზღუდვები საქონელზე;
- არ არსებობს ექსპორტ-იმპორტის სატარიფო შეზღუდვები;
- მხარეები სარგებლობენ გამარტივებული ადმინისტრაციული ფორმალობებით და სხვა.

სუამში საქართველოს წევრობის შესახებ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო დიდ ყურადღებას უთმობს ურთიერთთანამშრომლობას ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც თავიანთი არსით ეფუძნებიან ადამიანთა უფლებების დაცვას, ეკონომიკური განვითარებასა და საერთო უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ასევე ყველაზე მნიშვნელოვანია სუამთან რეგიონული სახის თანამშრომლობის განვითარება. საქართველო მზადაა ითანამშრომლოს ორგანიზაციის დღის წესრიგით გათვალისწინებული ძირითადი მიმართულებებით. მნიშვნელოვანია, ასევე თანამშრომლობის გაღრმავება სუამის პარტნიორ ქვეყნებთან, რათა აღნიშნულმა ქვეყნებმა შეძლონ ერთმანეთისთვის დაგროვილი გამოცდილების გაზიარება და ქვეყნისთვის სასარგებლო და მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება.

## საქართველოს შავიზღვისპირა ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების ძირითადი მიმართულებები

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია - შეთო (ინგლ. Black Sea Economic Cooperation-BSEC) დაარსდა 1992 წლის 25 ივნისს. დღესდღეობით შეთოს შემადგენლობაში 13 სახელმწიფოა: ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბულგარეთი, საქართველო, საბერძნეთი, მოლდოვა, ჩრდილოეთ მაკედონია, რუმინეთი, რუსეთი, სერბეთი, თურქეთი, უკრაინა. შეთოს მიზნები შემდეგია:

- რეგიონის სტაბილურობა;
- სოციალურ-ეკონომიკური განვითარება;
- წევრი სახელმწიფოების მოსახლეობისთვის კეთილდღეობის ამაღლება;
- შავი ზღვის ქვეყნებს შორის დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობა.

შეთო-ს დიდი ეკონომიკური პოტენციალი გააჩნია, რომლის განვითარებაც უმნიშვნელოვანესია წევრი ქვეყნების წარმატებისათვის, რადგან თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროებში წევრი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

საქართველო შეთო-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი ქვეყანა და ყველა იმ ძირითადი პროცესის მონაწილეა, რომელიც ხორციელდება რეგიონის ფარგლებში.

საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებთან, რასაც ადასტურებს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებთან არსებული სავაჭრო მაჩვენებლები (იხ. დიაგრამა 1-4).

**დიაგრამა 1. საქართველოს 2022 წლის საგარეო ვაჭრობა (ექსპორტი) შეთოს ქვეყნებთან**




**წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური/https://www.geostat.ge/ka/modules/categories/637/eksporti**

**დიაგრამა 2. საქართველოს 2022 წლის საგარეო ვაჭრობა (იმპორტი) შეთოს ქვეყნებთან**




**წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური/https://www.geostat.ge/ka/modules/categories/638/importi**

**დიაგრამა 3. საქართველოს 2023 წლის პირველი სამი კვარტლის საგარეო ვაჭრობა (ექსპორტი) შეთოს ქვეყნებთან:**




**წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური/ https://www.geostat.ge/ka/modules/categories/637/eksporti**

**დიაგრამა 4. საქართველოს 2023 წლის პირველი სამი კვარტლის საგარეო ვაჭრობა (იმპორტი) შეთოს ქვეყნებთან:**




**წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური/ https://www.geostat.ge/ka/modules/categories/638/importi**

საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თანამშრომლობის განვითარებას შემდეგ სფეროებში: ტრანსპორტი, ვაჭრობა, მცირე და საშუალო მეწარმეობა, სოფლის მეურნეობა, მეცნიერება და სხვა. ევროკავშირს და შავი ზღვის რეგიონს ერთმანეთთან სტრატეგიული ინტერესები აკავშირებს, რადგანაც ევროკავშირის მიერ მოხმარებული გაზისა და ნავთობის ნაწილი შავი ზღვის რეგიონის გავლით მოძრაობს. საქართველო ემხრობა BSEC-ის წევრი-ქვეყნების ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციას. ასევე მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის აღნიშნული თანამშრომლობის განვითარებაში.

სამომავლოდ შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის აუცილებელია:

- მჭიდრო თანამშრომლობა;
- ეკონომიკური ურთიერთობების განმტკიცება;
- ინტერესების ურთიერთპატივისცემის პრინციპი;
- მნიშვნელოვანი დარგების განვითარება;
- ურთიერთობების გაღრმავება საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებთან;

- რეგიონის ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და სხვა.

გრძელვადიანი განვითარების მთავარი გარანტი გაერთიანების წევრ ქვეყნებს შორის ჯანსაღი თანამშრომლობაა. ასევე, აქცენტი უნდა გაკეთდეს რეგიონალური თანამშრომლობის გაღრმავებაზე და უნდა ჩამოყალიბდეს მნიშვნელოვან საკითხებზე ერთობლივი აზრი, ეს კი გამოიწვევს შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების კეთილდღეობის გაზრდას.

**საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის მიღწევები და თანამედროვე გამოწვევები**

საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია აერთიანებს ქვეყნებს, რომლებსაც მჭიდრო ურთიერთკავშირის შედეგად სურთ გაიუმჯობესონ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. არსებობს უამრავი ინტეგრაციული გაერთიანება მსოფლიოს ოთხ კონტინენტზე და ესენია: ევროპა; ამერიკა; აზია და აფრიკა. საქართველო ინტეგრირებულია ისეთი სახის გაერთიანებებში, რომლის წევრობაც ქვეყანას საშუალებას აძლევს განავითაროს მნიშვნელოვანი დარგები.

დღესდღეობით საქართველო ცდილობს გააფართოვოს სამომხმარებლო ბაზარი და გააფორმოს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება სხვადასხვა ქვეყნებთან, რაც შესაძლოა ქვეყნის მნიშვნელოვან გამოწვევა იყოს. ეს ქვეყნებია: ჰონგ-კონგი, ჩინეთი, თურქეთი, ევროკავშირის ქვეყნები, სუამის წევრი ქვეყნები, დსთ-ის ქვეყნები და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია (ნორვეგია, ისლანდია, ლიხტენშტეინი, შვეიცარია). წინამდებარე თავებში ჩვენ უკვე განვიხილეთ ზოგიერთ ქვეყანასთან საქართველოს ინტეგრაცია, ახლა კი მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები სამომავლო პერსპექტივაში, ასევე შევეხოთ საქართველოსა და აზია-წყნარი ოკეანის ინტეგრაციულ გაერთიანებებს.

**საქართველოს პარტნიორობა და თანამშრომლობა ევროპის ქვეყნებთან**

საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობა სათავეს 1992 წლიდან იღებს, როდესაც საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა. პირველი მნიშვნელოვანი შეთანხმება, რომელიც 1996 წლის 22 აპრილს ლუქსემბურგში დაიდო, იყო პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ (PCA), რომელიც ძალაში შევიდა 3 წლის შემდეგ და განისაზღვრა 10 წლის ვადით. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში მხარეები

მოწოდებულნი იყვნენ ერთობლივად ემუშავათ სოციალურ-ეკონომიკურ, თუ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. შემდეგი მნიშვნელოვანი თარიღი 1997 წლის 2 სექტემბერია, როდესაც, საქართველოს პარლამენტის დადგენილების თანახმად, 1998 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოში მიღებული კანონები შესაბამისობაში უნდა იყოს ევროკავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებთან.

ტექნიკური დახმარების პროგრამის (TACIS) დსთ-ს ქვეყნებისთვის ფარგლებში თანამშრომლობამ დადებითი გავლენა იქონია საქართველოს საზოგადოების კეთილდღეობის და ეკონომიკის განვითარების კუთხით. 2007 წელს ეს პროგრამა ჩანაცვლდა ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის (ENP) მიერ, რომელიც შეიქმნა 2004 წელს და წარმოადგენს ევროკავშირის საზღვრების აღმოსავლეთსა და სამხრეთით მდებარე 16 ქვეყანასთან ურთიერთობის მექანიზმს. სამხრეთით: იორდანია, ალჟირი, ეგვიპტე, პალესტინა, ისრაელი, ლიბანი, ლიბია, მაროკო, სირია, ტუნისი, ხოლო აღმოსავლეთით: ბელორუსია, სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, უკრაინა და მოლდოვა. რუსეთი არ არის პარტნიორობის ნაწილი, მაგრამ მონაწილეობს ENP-ის ქვეშ მოქმედი ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის საქმიანობაში.

**აქცენტი სტაბილიზაციაზე**

რეგიონის სტაბილიზაცია სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში, ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საფუძველია. ევროკავშირი ვალდებულია, რომ მხარი დაუჭიროს პარტნიორ-ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას, ასევე, ყურადღება ექცევა კარგ მმართველობას, კანონის უზენაესობას. 2014-2021 წლებში ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ბიუჯეტი შეადგენდა 15.4 მილიარდ ევროს.

**მორგებული და მოქნილი პარტნიორობა**

ევროპული პოლიტიკის ორი ძირითადი პრინციპი: დიფერენციაცია და საკუთრებაა, ეს კი პარტნიორი ქვეყნების მისწრაფებებს აღიარებს ევროკავშირთან ურთიერთობების განვითარების პროცესში. პოლიტიკა მოქნილია ფინანსური დახმარების გამოყენების დროს. დღეს, როდესაც მსოფლიო პოსტპანდემიურ ვითარებას უმკლავდება, ზემოთ აღნიშნული კი აჩვენებს ნებისმიერი ქვეყნის მხრიდან სხვადასხვა საშიშროებისგან თავდაცვის პოლიტიკის არსებობის საჭიროებას.

**სექტორები**

პოლიტიკას აქვს 4 პრიორიტეტული მიმართულება: 1. კარგი მმართველობა, რომელიც მიზნად ისახავს სამართლიანი და სტაბილური საზოგადოების განვითარებას; 2. სოციალური და ეკონომიკური განვითარება, სამუშაო ადგილების შექმნა; 3. თანამშრომლობა უსაფრთხოების სექტორში და 4. კლიმატური მოქმედებები და ენერგეტიკული უსაფრთხოება.

**დაფინანსება**

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის დაფინანსება, რომელიც მოდის ევროკავშირის სამეზობლო ინსტრუმენტისგან (ENI), 2014-2021 წლებში გამოყო 15 მილიარდ ევროზე მეტი, რომლის დიდი ნაწილი თითოეული პარტნიორი ქვეყნის საჭიროებებზეა მორგებული და გამოიყენება ორმხრივი თანამშრომლობისთვის.

**საქართველო და ENP**

სამოქმედო გეგმა, რომელიც ხელს უწყობს სტრატეგიული მიზნებისა და ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნების განხორციელებას, მიიღეს 2006 წელს, საქართველო-ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში. სამოქმედო გეგმის ვადა 2011 წელს ამოიწურა და შემდეგ ავტომატურად გაგრძელდა. 2014 წლის 26 მაისს მიიღეს ასოცირების დღის წესრიგი, რომელმაც სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა ჩაანაცვლა.

**საქართველო და EAP**

საქართველოსთვის მნიშვნელოვანია აღმოსავლეთ პარტნიორობა (EaP), რომლის მიზანიცაა სარგებელი მოუტანოს მოქალაქეებს რეგიონის მასშტაბით. იგი მოიცავს ყოვლისმომცველ თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს (Deep and Comprehensive Free Trade Area –DCFTA) და ქვეყანას სთავაზობს ევროკავშირთან დაახლოების კონკრეტულ ეფექტურ მექანიზმებს. შეთანხმება ითვალისწინებს თანამშრომლობას, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს ჩამოყალიბებას სამართლიან, დემოკრატიულ და თავისუფალ ევროპულ ქვეყნად.

**DCFTA და საქართველო**

DCFTA მოიცავს საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას, ასევე ითვალისწინებს ვაჭრობასთან დაკავშირებული საქა-

რთველოს კანონმდებლობისა და ევროკავშირის კანონმდებლობის დაახლოებას. საქართველოს საშუალება აქვს მიიღოს ოთხი თავისუფლებიდან სამი: საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის გადაადგილება. რაც შეეხება მეოთხე თავისუფლებას - ხელს უწყობს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესს. DCFTA-ის მიზანი ზრდაზე ორიენტირებული და სტაბილური პოლიტიკური ჩარჩოს შექმნაა. საქართველო თანამშრომლობს საზოგადოებასთან, რომლებიც ჩართულნი არიან სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში. აშკარაა, რომ საქართველოს მიღწეული აქვს პროგრესი ასოცირების შესახებ შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ.

იმპლემენტაციის პროცესი აუცილებლად უნდა იყოს თანმიმდევრული და ზომიერი, რომელშიც იგულისხმება საქონლისა და მომსახურების ხარისხის ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების პროცესი. საჭიროა ქვეყნის მდგომარეობის გათვალისწინებით, გააზრებული ნაბიჯების გადადგმა, რათა ბიზნესმა შეძლოს სიახლეების გააზრება, მორგება და შემდეგ ახალი სტანდარტების მქონე პროდუქციის წარმოება.

საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობების შესახებ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროკავშირი ყოველწლიურად საქართველოს დიდი ოდენობის დახმარებას სთავაზობს და მხარს უჭერს საქართველოს რიგითი მოქალაქეების ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. ევროკავშირმა ქართული წარმოშობის პროდუქციას ბაზარი გაუხსნა, რაც გულისხმობს საქონლის ექსპორტზე გატანის შესაძლებლობების გაზრდას, ეს კი დადებითად აისახება ამ სექტორში დასაქმებულთა შემოსავლებზე.

ცნობილია, რომ საქართველოს ეკონომიკის ხერხემალს წარმოადგენს მცირე და საშუალო საწარმოები, ევროკავშირი კი მხარს უჭერს მათ განვითარებას.

ევროკავშირი საქართველოს მთავრობასთან მუშაობს, რათა შექმნას სამართლიანი სახელმწიფო, მოქალაქეების უფლებების დაცვის უზრუნველყოფით, რომელიც მათ გაუადვილებს ცხოვრებას.

ევროკავშირი დიდ გრანტებს გასცემს საქართველოზე წყლის ინფრასტრუქტურის, სატრანსპორტო კავშირების, ელექტროენერგიის განვითარებისთვის; ასევე ხორციელდება ენგურის კაშხლისა და ელექტროენერგიის სხვა ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია.

ევროკავშირი მხარს უჭერს გარემოს დაცვისა და მწვანე ეკონომიკის შესახებ პროგრამებს.

**საქართველო და აზია-წყნარი ოკეანის და მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტებისა და რეგიონების საერთაშორისო ინტეგრაციული გაერთიანებები**

აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობა (APEC) დაარსდა 1989 წელს აზია-წყნარი ოკეანის ინტეგრაციის განვითარების მიზნით და არის რეგიონალური ეკონომიკური ფორუმი. თანამშრომლობა აერთიანებს რეგიონის 21 წევრ ქვეყანას, ამ ქვეყნების დასახასიათებლად შეგვიძლია სიტყვა „ეკონომიკის" გამოყენება, რადგან APEC-ის თანამშრომლობის პროცესი ძირითადად ეკონომიკურ საკითხებს ეხება და წევრები ურთიერთქმედებენ როგორც ეკონომიკური სუბიექტები.

APEC-ის 21 წევრი ქვეყნის მიზანი რეგიონის ხალხისთვის უფრო მეტი კეთილდღეობის შექმნაა რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაციის დაჩქარებით. APEC საკონსულტაციო სტატუსის მქონე გაერთიანებაა და მოქმედებს, როგორც კოოპერატივი. „აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობა" მსოფლიოში ერთადერთი საერთაშორისო მთავრობათაშორისი ჯგუფია, რომელიც მოწოდებულია შეამციროს ინვესტიციებისა და ვაჭრობის ბარიერები. APEC აღწევს დასახულ მიზნებს დიალოგის წარმოების გზით. APEC-ში მოქმედებს თავმჯდომარის ინსტიტუტი.

ასევე, რეგიონის ბიზნეს-გაერთიანება, ფორუმის ურთიერთქმედების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, შეიქმნა 1995 წლის ნოემბერში. ფორუმის ფარგლებში ფუნქციონირებს APEC-ის ქალი-ლიდერების ქსელი, იგი დაკავებულია გენდერული თანასწორობის მხარდაჭერის საკითხებით გაერთიანების საქმიანობის ყველა დარგში.

ასევე, მნიშვნელოვანია, შანხაისა (2001) და ლოს კაბოსის (2002) სამიტები, სადაც გაჟღერდა საერთაშორისო ტერორიზმთან ფინანსური და ეკონომიკური საშუალებებით ბრძოლის იდეა.

აზია-წყნარი ოკეანის რეგიონსაც გააჩნია ინტეგრაციული პროცესების თავისებურებები და ესენია:

- აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკის თანამშრომლობის ფარგლებში ინტეგრაციული პროცესები ხორციელდება ტრანსნაციონალური კორპორაციების მნიშვნელოვანი გავლენით, ეს კი ქმნის სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის საფუძველს;
- APEC-ში ინტეგრაციული პროცესები ხორციელდება განსხვავებული ეკონომიკური განვითარების დონის, კულტურისა და სოციალურ-პოლიტიკური სისტემის მქონე ქვეყნებში. APEC-ში გაერთიანებულია ეკონომიკურად უძლიერესი ქვეყნები - აშშ და იაპონია.

- APEC უშვებს სხვადასხვა დონის ინტეგრაციას და მოიცავს ისეთ ეკონომიკურ კავშირებს, როგორებიცაა: ASEAN და NAFTA.

APEC ინტეგრაციული გაერთიანების პერსპექტივები შეიძლება განიხილოს სამ ვარიანტად:

1. შესაძლებელია შემცირდეს საბაჟო ტარიფები, შეიქმნას თავისუფალი ვაჭრობის ზონა და მოხდეს ინვესტიციური სფეროს ლიბერალიზაცია;

2. განიხილება APEC-სთვის რეგიონში ფორუმის ფუნქციის მინიჭება და მიმართული იქნება სავაჭრო პრობლემების გადასაწყვეტად.

3. შესაძლოა შეფერხდეს ინტეგრაციული პროცესები და ვაჭრობის ლიბერალიზაცია აზიურ ქვეყნებს შორის. ამის მიზეზად სახელდება ევროკავშირსა და აშშ-სთან პროტექციონისტული განწყობილების შესაძლო განახლება.

## დასკვნა

საერთაშორისო ინტეგრაციის პროცესთან ერთად, რომელიც მთელი მსოფლიოს მთლიანობის ზრდას ნიშნავს, ხდება რეგიონალური ინტეგრაცია, რაც ნიშნავს ცალკეული ქვეყნების სამეურნეო-პოლიტიკურ სახელმწიფოთაშორის გაერთიანების პროცესს ინტეგრაციულ ბლოკებად.

რეგიონალური ინტეგრაციის ისეთი ფორმებისათვის, როგორებიცაა: თავისუფალი ვაჭრობის ზონა და საბაჟო კავშირი, დამახასიათებელია ზედაპირული ინტეგრაცია, რომელიც შემოიფარგლება სავაჭრო ბარიერების მოხსნით ქვეყანა-მონაწილეებს შორის და სავაჭრო პოლიტიკის გაერთიანებით. საერთო ბაზარი და ეკონომიკური კავშირი - ღრმა ეკონომიკური ინტეგრაციის ფორმებია, რომლებსაც ახლავს ურთიერთაღიარება და ჰარმონიზაცია, ეკონომიკური პოლიტიკის შეთანხმებასა და გაერთიანებაზე გადასვლით.

რეგიონალურ ინტეგრაციას თან სდევს ისეთი შედეგები, როგორებიცაა: კონკურენციის ეფექტი და მასშტაბის ეფექტი, რომლებიც ვლინდება ინტეგრაციული ბლოკის ჩარჩოებში წარმოების ეფექტიანობის ზრდით, გაყიდვათა გაფართოებით და ფასების შემცირებით, ასევე ვაჭრობის და ალოკაციის ეფექტით, რაც გამოიხატება ვაჭრობის სასაქონლო და გეოგრაფიული სტრუქტურის ცვლილებაში.

რეგიონალურმა ინტეგრაციამ შეიძლება გამოიწვიოს არასასურველი შედეგები მესამე ქვეყნებისათვის, რომელთა მიმართაც შენარჩუნებულია სავაჭრო ბარიერები, აგრეთვე მოკლევადიან პერიოდში ინტეგრაციული ბლოკის ზოგიერთი წევრებისთვის შემოსავლების გათანაბრება და ეკონომიკის სტრუქტურის შეცვლა.

მრავალი კვლევის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას დიდი როლის თამაში შეუძლია საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში. ის, რომ DCFTA-ს საქართველოს ვაჭრობაზე მნიშვნელოვანი გავლენა უნდა მოეხდინა, სრულიად ლოგიკური იყო იმ ძირითადი ასპექტებიდან გამომდინარე, რასაც გულისხმობს სავაჭრო ბარიერების შემცირება, საკანონმდებლო სისტემის, მარეგულირებელი ორგანოების და ზოგადად, ინსტიტუტების ინტეგრაცია ევროკავშირთან.

იმისათვის რომ ზემოთაღნიშნული ფაქტორები აღარ წარმოადგენდნენ საქართველოს ვაჭრობის განვითარებისთვის დაბრკოლებას, აუცილებელია, რომ სახელმწიფო გრძელვადიან პერსპექტივაში მიჰყვეს ერთ განსაზღრულ გეგმას და ამ უკანასკნელის მიხედვით პრიორიტეტულ სექტორებში ხელი შეუწყოს საწარმოო შესაძლებლობების გაუმჯობესებას სხვადასხვა პროგრამებით (მაგალითად, ფინანსური დახმარებით), რათა ადგილობრივ მწარმოებლებს შეეძლოთ ხარისხიანი და კონკურენტუნარიანი პროდუქტის გატანა ევროკავშირის ბაზარზე.

ქვეყანამ მნიშვნელოვანი რესურსები უნდა ჩადოს ინფრასტრუქტურის განვითარებაში, რათა ბევრად უფრო ნაკლებ ხარჯებთან იყოს დაკავშირებული ადგილობრივი მწარმოებლების საქმიანობა (მაგალითად პროდუქციის ტრანსპორტირების სახით). სახელმწიფომ ასევე დიდი დრო უნდა დაუთმოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. რაც გულისხმობს საინფორმაციო კამპანიებს, ტრენინგებს. ქართველ მწარმოებლებს შეეძლებათ, დეტალურად გაეცნონ ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნებს და მათი დაკმაყოფილების გზებს, რაც მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ მწარმოებლებს მიეცეთ სტიმული, გაიტანონ თავიანთი პროდუქცია ბევრად უფრო მომგებიან ევროკავშირის ბაზარზე და არ აირჩიონ ისევ ის ნაკლებმომგებიანი გზა დსთ-ს წევრი ქვეყნების ბაზრების სახით.

რაც შეეხება დსთ-ს, საქართველოს დსთ-ში გაწევრიანების დღიდან საკმაოდ სწრაფად გაიზარდა საქართველოს ვაჭრობის მოცულობა დსთ-ს ქვეყნებში, განსაკუთრებით რუსეთთან და აზერბაიჯანთან.

საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს თურქმენეთთან რუსეთთან, აზერბაიჯანთან. საქართველოს ექსპორტი მეტია იმპორტზე ყაზახეთთან, უზბეკეთთან, ყირგიზეთთან, ტაჯიკეთთან და ბელარუსთან.

2021 წელს საქართველოდან 59,4 მლნ $ საქონელი გავიდა ექსპორტზე ბელორუსში, ეს კი წინა წელთან შედარებით 26%-ით მეტია, აღსანიშნავია, რომ 2022 წელს მცირედით შემცირდა ექსპორტის მოცულობა, 56.4 მლნ აშშ დოლარამდე. რაც შეეხება 2023 წლის პირველი სამი კვარტლის მონაცემებს, ამ ეტაპზე საქართველოდან ბელორუსში საექსპორტოდ გასულია 29.3 მლნ $-ის საქონელი, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 28.3%-ით ნაკლებია. ბელარუსში საქართველოს მთავარი საექსპორტო საქონელი არის ღვინო, სპირტიანი სასმელები, რომლებზეც მოდის ექსპორტის 1/3-ზე მეტი. მეორე ადგილს იკავებს მინერალური წყალი.

მიმდინარე წლის მაისის მონაცემების მიხედვით, საქართველოში სათესლე კარტოფილის იმპორტის მოცულობა 2015 წლის შემდეგ ყველაზე მაღალია და მიმდინარე წინასეზონურ პერიოდში, ანუ დეკემბერ-აპრილში ამავე თვეების ბოლო 8-წლიან საშუალო მაჩვენებელს 45%-ით აღემატება. ამის შესახებ პორტალ EastFruit-ის მონაცემებში არის ნათქვამი.

წინა წლების მსგავსად, საქართველოში სათესლე კარტოფილის იმპორტი ახლაც გერმანიიდან და ნიდერლანდებიდან ხდება. როგორც წესი, ევროკავშირის თესლი ქართულ ბაზარს უმაღლესი ხარისხის კარტოფილით უზრუნველყოფს. კერძოდ, ქართველი ფერმერები, რომლებიც სათესლე კარტოფილის იმპორტს მიმართავენ, აცხადებენ, რომ ხარისხიან კარტოფილზე მოთხოვნა მაღალია და მასში კარგადაც იხდიან.

თუმცა, EastFruit-ის მონაცემებით, ევროკავშირის თესლიდან მიღებული მაღალი ხარისხის პროდუქცია კარტოფილის მთლიან წარმოებაში, როგორც წესი, დიდ წილს არ იკავებს. კერძოდ, 2022 წლის დეკემბრიდან დღემდე საქართველოში, დაახლოებით, 1800 ტონა სათესლე კარტოფილი შემოვიდა. კილოგრამ თესლზე 10 კილოგრამ სასურსათო კარტოფილს პროგნოზირებენ. იმის გათვალისწინებით, რომ ამ მოცულობას მაისის იმპორტიც დაემატება, იმპორტირებული თესლიდან მოსავლიანობა 18 000 ტონას გადააჭარბებს, კარტოფილის მთლიანი წარმოება კი ქვეყანაში, ჩვეულებრივ, 200 000 ტონას შეადგენს. (Georgia

imports the highest volumes of seed potatoes in eight years - https://east-fruit.com/en/news/georgia-imports-the-highest-volumes-of-seed-potatoes-in-eight-years/)

ასევე, დაარსების დღიდან შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციისთვის (შეთოსთვის) მნიშვნელოვანია ტრანსპორტის სფეროსთან თანამშრომლობა. საქართველოს ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა ხელს უწყობს ორგანიზაციის მნიშვნელოვანი რგოლის ადგილის დაკავებაში. საქართველოს ეროვნული ინტერესები კი მდგომარეობს შავი ზღვის რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცებაში.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ნაწილს (DCFTA), ითვალისწინებს ევროკავშირთან საქართველოს თანმიმდევრულ ეკონომიკურ ინტეგრაციას.

ეკონომიკური ინტეგრაციის საკითხები აქტუალური ხდება მე-20 საუკუნის 50 წლებიდან და მას არაერთი ნაშრომი მიეძღვნა. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ეკონომიკური განზომილება მრავალ სფეროს მოიცავს და პირობითობის პრინციპზეა დაფუძნებული. ასოცირების შეთანხმების ეკონომიკური განზომილება შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს. პირველი ნაწილი მოიცავს შეთანხმების DCFTA-ს ნაწილს (IV კარი „ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები), ხოლო მეორე ნაწილი შეთანხმების მე-5 და მე-6 კარებს (ეკონომიკური თანამშრომლობა, თანამშრომლობის სხვა სფეროები). შეთანხმების ეკონომიკური განზომილება ითვალისწინებს ეკონომიკის ცალკეულ სფეროებში ევროკავშირთან მარეგულირებელი სისტემების კონვერგენციას და საკანონმდებლო დაახლოებას.

შესაბამისად, ევროკავშირთან საქართველოს თანმიმდევრული ეკონომიკური ინტეგრაცია მოიცავს ვაჭრობის, სექტორული, ინსტიტუციური, ასევე, ცალკეულ სფეროებში შესაბამისი დარგობრივი პოლიტიკის ცალკეული ასპექტების ინტეგრაციას.

ასოცირების შეთანხმების ეკონომიკური განზომილების ზემოაღნიშნული ორივე ნაწილის გათვალისწინებით, ნათელია, რომ აღნიშნული შეთანხმება ევროკავშირთან თანმიმდევრული ეკონომიკური ინტეგრაციის უნიკალურ ინსტრუმენტს წარმოადგენს. აღნიშნული შეთანმების უნიკალურობა განპირობებულია შემდეგი გარემოებებით: შეთანხმების ეკონომიკური განზომილება დაფუძნებული პირო-

ბითობაზე, რაც გულისხმობს ევროკავშირის ბაზრის თანმიმდევრულ გახსნას შესაბამისი წინაპირობების დაკმაყოფილების კვალობაზე; **მეორე,** შეთანხმების ეკონომიკური განზომილება მოიცავს როგორც ვაჭრობის და ვაჭრობასთან დაკავშირებულ სფეროებს, ასევე სხვა სფეროებს (ეგრეთ წოდებული WTO+ და WTO-X სფეროები), რაც ევროკავშირთან სექტორული ინტეგრაციის მექანიზმს წარმოადგენს; **მესამე,** შეთანხმება გულისხმობს ცალკეულ სფეროებში საკანონმდებლო და მარეგულირებელი სისტემების დაახლოებას, რაც თავის მხრივ წარმოადგენს ევროკავშირთან დარგობრივი პოლიტიკის/პოლიტიკების და ინსტიტუციური ინტეგრაციის მექანიზმს; **და ბოლოს,** შეთანხმება ასევე ითვალისწინებს კანონმდებლობის დინამიურ აპროქსიმაციას, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს და ევროკავშირის ეკონომიკური სისტემების თავსებადობის ამაღლებას. შესაბამისად, ნათელია, რომ შეთანხმების ეფექტიანი განხორციელება წარმოადგენს ევროკავშირთან ვაჭრობის სფეროში ინტეგრაციისა და უცხოური ინვესტიციებისთვის საქართველოს მიმზიდველობის ზრდის განმაპირობებელ ფაქტორს.

ცნობილია, რომ ვაჭრობისა და კაპიტალის მოძრაობის დინამიკა წარმოადგენს ეკონომიკური ინტეგრაციის უმთავრეს დეტერმინატებს. შესაბამისად, ევროკავშირთან საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციის არსებული დონის შეფასების მიზნით გაანალიზებულია 2014-2019 წლებში საქართველო-ევროკავშირის ვაჭრობის სტატისტიკა, ასევე, ამავე წლებში ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა. კერძოდ, ვაჭრობის სფეროში ევროკავშირთან ინტეგრაციის შეფასების მიზნით გაანალიზებულია 2014-2019 წლებში ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს ექსპორტის ზრდის ტემპი, საქართველოს მთლიან ექსპორტსა და საგარეო ვაჭრობაში ევროკავშირის წილის დინამიკა, ასევე ცვლილებები საქართველოს მთავარ სავაჭრო პარტნიორებში ექსპორტისა და სავაჭრო ბრუნვის მიხედვით. 2014-2019 წლებში, ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს ექსპორტი მზარდი ტენდენციით ხასიათდება. თუმცა, ვაჭრობის ინტეგრაციის სხვა დეტერმინანტები, როგორიცაა ევროკავშირის წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში და სავაჭრო ბრუნვაში, ასევე, მთავარი სავაჭრო პარტნიორების კომპოზიცია, მხოლოდ მცირედით შეიცვალა. ამასთან, 2014 წლის შემდეგ ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს ექსპორტის სტრუქტურა თითქმის უცვლელია და მხოლოდ მცირე რაოდენობის ახალი პროდუქცია დაე-

მატა ტრადიციულ საექსპორტო პროდუქციას. გარდა ამისა, უკვე განხორციელებულ საკანონმდებლო დაახლოებას და მარეგულირებელი სისტემების კონვერგენციას, რომელიც წარმოადგენს სექტორული და ინსტიტუციური ინტეგრაციის მექანიზმს, ხელი უნდა შეეწყო უცხოური ინვესტიციების მოზიდვისთვის, მათ შორის ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან. თუმცა, როგორც უცხოური ინვესტიციების თაობაზე სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ავლენს, 2014 წლიდან ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებული ინვესტიციების დინამიკაში მნიშვნელოვან პოზიტიურ ცვლილებებს ადგილი არ ქონია.

აღსანიშნავია, რომ პანდემიის პერიოდშიც საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის მოცულობა სტაბილურად გამოიყურებოდა და მატების დენტენცია აქვს. 2020 წელს ექსპორტის მოცულობამ ევროკავშირში 717.2 მლნ $ შეადგინა, 2021 წელსაც შენარჩუნდა აღნიშნული მოცულობა, ხოლო 2022 წელს 20%-ით გაიზარდა. 2023 წლის პირველი სამი კვარტლის მონაცემების საკმაოდ კარგად გამოიყურება, სექტემბრის ჩათვლით ექსპორტზე გატანილია 565 მლნ $-ის ღირებულების საქონელი და მომსახურება. [წყარო: geostat.ge https://www.geostat.ge/ka/modules/categories/637/eksporti]

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ამ ეტაპისთვის, მიუხედავად საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების, მათ შორის DCFTA-ს ეფექტიანი განხორციელებისა, საქართველოს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის დონე მნიშვნელოვნად არ გაზრდილა.

# თავი 10. საერთაშორისო ციფრული კონკურენციის ინდექსი და საქართველოს პოზიციის შეფასება

ციფრული ეკონომიკა არის შედარებით ახალი კონცეფცია, რომელიც ცვლის ისეთ ტერმინებს, როგორებიცაა „ინფორმაციული ეკონომიკა“, „ელექტრონული ეკონომიკა” ან “ქსელის ეკონომიკა“. მიუხედავად ამისა, ციფრული ეკონომიკის ერთიანი განმარტება არ არსებობს, თუმცა არსებობს ზოგადი შეთანხმება გარკვეულ ფუნდამენტურ პრინციპებზე. ციფრული ეკონომიკის ძირითადი იდეა ისაა, რომ საქონლისა და მომსახურების წარმოება, უწყვეტი განათლება, ინოვაციის დანერგვა შესაძლებელია თანამედროვე ტექნოლოგიების მხარდაჭერით, რასაც დადებითი გავლენა ექნება ბაზრის გლობალიზაციასა და მდგრად განვითარებაზე. მნიშვნელოვანია მისი გავლენა როგორც ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე, ასევე გარემოზე.

ციფრული ეკონომიკა არის ეკონომიკური აქტივობა, რომელიც გამოწვეულია მილიარდობით ყოველდღიური ონლაინ კავშირებით ადამიანებს, ბიზნესს, მოწყობილობებს, მონაცემებსა და პროცესებს შორის. ციფრული ეკონომიკის ხერხემალი არის კავშირი, რაც გულისხმობს ადამიანების, ორგანიზაციებისა და მანქანების მზარდ ურთიერთკავშირს, რაც გამოწვეულია ინტერნეტითა და მობილური ტექნოლოგიებით. ციფრული ეკონომიკა მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ხელოვნური ინტელექტი, კრიპტოვალუტა, ონლაინ ვაჭრობა, მომსახურება და სხვა. აღსანიშნავია, რომ კოვიდ-19-ის პანდემიის პერიოდში, კიდევ უფრო მეტად გაესვა ხაზი ციფრული ეკონომიკის მნიშვნელობას, გამოჩნდა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობა.

ციფრული ეკონომიკის ფორმირება წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს როგორც თანამედროვე ბიზნეს სამყაროს ლიდერების, ასევე მთლიანად ქვეყნების კონკურენტუნარიანობის დონეს. ქვეყნები, რომლებიც წარმოადგენენ ლიდერებს ტექნოლოგიების შემუშავებისა და ციფრული ეკონომიკის ინსტრუმენტების გამოყენების მხრივ, როგორც წესი, გამოირჩევიან მაღალი კონკურენტუნარიანობით და მდგრადი განვითარებით.

ქვეყნების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის შეფასებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ისეთ საერთაშორისო ინსტიტუტებს, როგორებიცაა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (WEF) და მენეჯმენტის განვითარების საერთაშორისო საერთაშორისო ინსტიტუტი (IMD).

ეს ინსტიტუტები ყოველწლიურად ატარებენ მსოფლიოს ქვეყნებისა და რეგიონების კონკურენტუნარიანობის ანალიზს საკუთარი კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისად. დავოსის WEF-ისა და ლოზანის IMD-ის მეთოდოლოგიურ მიდგომებში მთავარი განსხვავება კონკურენტუნარიანობის ცნების განსხვავებულ განმარტებებში, ასევე საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის შესწავლაში გამოყენებულ ინდიკატორებში მდგომარეობს. ამ ინსტიტუტების მიერ შემუშავებული ანგარიშები ემსახურება, როგორც გზამკვლევს საჯარო და კერძო სექტორის მრავალი წარმომადგენლისთვის, რომელიც ეხმარება განსაზღვროს კონკრეტული ეროვნული ეკონომიკის ძლიერი და სუსტი მხარეები საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით.

## WEF-ის ინდექსი

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი კონკურენტუნარიანობას განმარტავს, როგორც ინსტიტუტების, პოლიტიკისა და ფაქტორების ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრავს ქვეყნის პროდუქტიულობის დონეს. კონკურენტუნარიანობის შეფასებისას აღნიშნულია, რომ ყველაზე მეტად საჭიროა ქვეყნები ფოკუსირდნენ შემდეგზე: ცოდნის ეკონომიკაზე, კვლევაზე, ინოვაციებზე, ტექნოლოგიებსა და IT-ზე. ეს არსებითი ფაქტორებია გლობალური კონკურენტუნარიანობისა და მდგრადი ზრდისთვის. მაღალი კონკურენტუნარიანობა დაკავშირებულია ქვეყნის უფრო მაღალ ეკონომიკის პროდუქტიულობასთან, რაც განაპირობებს ეფექტურ და უფრო მაღალ ეკონომიკურ ზრდას. კონკურენტუნარიანობაზე გავლენას ახდენს ყველა ქვეყნის ეროვნული ინოვაციური სისტემების ძლიერი და სუსტი მხარეები. ეს ნიშნავს, რომ ინოვაციები ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ძალიან მნიშვნელოვანი წყაროა.

განვიხილოთ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ კონკურენტუნარიანობის შეფასების საკითხი. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი არის საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელსაც თავმჯდომარეობს მისი დამფუძნებელი, ჟენევის უნივერსიტეტის პროფესორი, კლაუს მარტინ შვაბი. WEF-ის შტაბ-ბინა მდებარეობს ჟენევაში. 1979 წლიდან WEF ყოველწლიურად აქვეყნებს გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშს. WEF განსაზღვრავს ეროვნულ კონკურენტუნარიანობას, როგორც ქვეყნის და მისი ინსტიტუტების შესაძ-

ლებლობას უზრუნველყონ სტაბილური ეკონომიკური ზრდის ტემპები, რაც მდგრადი იქნება საშუალოვადიან პერსპექტივაში.

2004 წლიდან 2020 წლამდე მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი წარადგენდა ყოველწლიურ გლობალური კონკურენტუნარიანობის რეპორტს (Global Competitiveness Report) და აფასებდა ქვეყნებს გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის ჭრილში. აღნიშნული მოხსენება პირველად შემუშავდა ესპანელი ეკონომისტის ხავიერ სალაი ი მარტინის მიერ.

პროდუქტიულობა და კონკურენტუნარიანობა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. მთლიანობაში, ინდექსი იყენებს 114 ინდიკატორს, რომლებიც გაერთიანებულია 12 ჯგუფად სხვადასხვა წონით. GCI იზომება ქულებში 1-დან (ყველაზე ცუდი შედეგი) 7-მდე (საუკეთესო შედეგი). ინდექსის გაანგარიშება ეფუძნება საერთაშორისო ორგანიზაციების სტატისტიკურ მონაცემებს (IMF, მსოფლიო ბანკი და სხვ.) და 148 ქვეყნიდან 14000-ზე მეტი კომპანიის მენეჯერების ერთობლივი გამოკითხვის შედეგებს (150 შეკითხვა). რეიტინგის შედგენისას 30% საერთაშორისო სტატისტიკაა, 70% კი კვლევის შედეგები.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის გამოსათვლელად იყენებს 12 ძირითად ელემენტს, ესენია: ინსტიტუტები; ინფრასტრუქტურა; მაკროეკონომიკური გარემო; ჯანდაცვა და დაწყებითი განათლების სისტემა; უმაღლესი განათლების სისტემა და ტრენინგები; საქონლის ბაზრის ეფექტურობა; შრომის ბაზრის ეფექტურობა; ფინანსური ბაზრები; ტექნოლოგიური მზადყოფნა; ბაზრის ზომა; განვითარებული ბიზნეს სექტორი; ინოვაცია.

აღსანიშნავია რომ ზემოთ მოცემული 12 ელემენტი კონკურენტუნარიანობის შესაფასებლად არ უნდა გამოვიყენოთ როგორც ცალკე მდგომი კომპონენტები, რადგან ისინი ერთმანეთზე ახდენენ გავლენას, ერთი კომპონენტი ქვეყნისთვის თუ არის პრობლემური, ის გავლენას მოახდენს სხვაზეც.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის დაანგარიშებისას მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა გამოყო ქვეყნების სამი კატეგორია:

- ქვეყნები, რომელთა განვითარება განპირობებულია წარმოების ფაქტორებით (ინგლისურად უწოდებენ factor-driven);
- ქვეყნები, რომელთა განვითარება განპირობებულია ეფექტურობით (ინგლისურად efficiency-driven);

- ქვეყნებს, რომელთა განვითარება განპირობებულია ინოვაციებით (ინგლისურად innovation-driven).

ამერიკელი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი, პრინსტონის უნივერსიტეტის პროფესორი პოლ კრუგმანი ამტკიცებს, რომ კონკურენტუნარიანობა „ეროვნულ ეკონომიკასთან მიმართებაში აზრსმოკლებული სიტყვაა და კონკურენტუნარიანობით შეპყრობა არასწორი და საშიშია“.

პ. კრუგმანის კრიტიკა ეფუძნება სამ მთავარ არგუმენტს:

- არასწორია კონკურენტუნარიანობაზე მსჯელობა ფირმისა და ქვეყნებისთვის ერთი და იგივე კონტექსტში. მაგალითად, თუ ფირმა წარუმატებლად ოპერირებს ბაზარზე და ის გაკოტრდა, მას შეუძლია რომ ბაზრიდან გავიდეს; მაშინ როცა ასეთი ლოგიკის სახელმწიფო დონეზე გადატანა შეუძლებელია;
- ფირმები კონკურენციას უწევენ საბაზრო წილების მოპოვებისთვის, ზოგჯერ ერთი ფირმის წარმატება ხდება მეორის ხარჯზე. ამისგან განსხვავებით, ქვეყნებს შორის ურთიერთქმედება არ შეიძლება განვიხილოთ „თამაში ნულოვანი ნაშთით“, ერთი ქვეყნის წარმატება ქმნის მეორე ქვეყნისთვისაც შესაძლებლობებს;
- ეროვნული კონკურენტუნარიანობის კატეგორიის ერთადერთი მნიშვნელობა თავისი არსით მწარმოებლურობის კატეგორიის იდენტურია.

ერთიანი კლასიფიკაციის არარსებობის გამო, სახელმწიფოთა საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გაანალიზებისას აუცილებელია არსებული მეთოდოლოგიების როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეების გათვალისწინება.

WEF მეთოდოლოგიის უპირატესობებს შორისაა:

- ქვეყნებისა და ინდიკატორების ფართო გაშუქება რეიტინგში;
- WEF-ის სანდოობა და GCI რეიტინგის საერთაშორისო აღიარება;
- GCI ინდექსის მონაცემები გამოიყენება რიგი სხვა რეიტინგების შედგენისას და თუ ქვეყანა არ შედის ამ ინდექსში, ის გამოირიცხება მათგან;
- მეთოდოლოგიის დახვეწა, ახალი ინდიკატორების დამატება, რომლებიც ასახავს მსოფლიო ეკონომიკური ურთიერთობების გლობალიზაციის პროცესს, მის გავლენას ქვეყნების კონკურენტუნარიანობაზე.

ნაკლოვანებებს შორის შეიძლება აღინიშნოს:

- შეფასებების სუბიექტურობა - GCI-ის გამოსათვლელად საჭირო ინდიკატორების თითქმის 2/3 ყალიბდება კვლევის შედეგების საფუძველზე, ანუ ასახავს კომპანიის აღმასრულებელთა პირად აზრს;
- გამოკითხულთა უმრავლესობა კერძო ბიზნესის წარმომადგენელია. შესაბამისად, რეიტინგის შედეგები პრაქტიკულად არ ასახავს საჯარო სექტორში ჩამოყალიბებულ თვალსაზრისს;
- რეიტინგის შედეგები შეიძლება გამოიყენონ ბიზნესის წარმომადგენლებმა მთავრობაზე ზემოქმედების მიზნით, რათა მიიღონ გადაწყვეტილებები ეკონომიკის ცალკეულ სექტორებში პოლიტიკის გაუმჯობესების შესახებ;
- GCI ინდექსის ზოგიერთი მაჩვენებელი ადეკვატურად არ ასახავს ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის დონეს. მაგალითად, შიდა ბაზრის ზომა პრაქტიკულად არ მოქმედებს მის ზრდაზე, თუ მომხმარებელს არ აქვს მაღალი მოთხოვნები პროდუქტის ხარისხზე და არ უბიძგებს მწარმოებლებს ინოვაციების დანერგვისკენ;
- GCI ინდექსის გამოყენებით შეუძლებელია მომავალში კონკურენტუნარიანობის ცვლილების სრულად პროგნოზირება, რადგან კითხვარის ინდიკატორები აჩვენებს არა მომავალს, არამედ არსებულ მდგომარეობას;
- მთლიანი ინდიკატორების კომპონენტების პერიოდული გადაჯგუფება ართულებს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ობიექტურ შედარებას დინამიკაში.

რაც შეეხება საქართველოს პოზიციას მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენციის ინდექსის შეფასების რეიტინგში, ქვეყანაში მიმდინარე რთული პროცესების გამო, რეიტინგში მოწინავე პოზიციას შესაბამისად ვერ ვიკავებთ. ქვემოთ მოცემულია ცხრილი, სადაც ნაჩვენებია 2009-2019 წლებში საქართველოს პოზიცია რეიტინგში, ასევე ცხრილი გვიჩვენებს იმ ქვეყნების რაოდებას, რამდენიც ეკონომიკურმა ფორუმმა იმ წელს გაანალიზა და რეიტინგში შეიყვანა (იხ. ცხრილი 9).

საქართველომ 8 პოზიციით დაიწია უკან განვიხილოთ საქართველოს საქართველოს პოზიცია რეიტინგში და შედარებისთვის ავიღოთ 2018 წლისა და 2019 წლის მონაცემები. 2018 წელს ქვეყნის პოზიცია 66-ე ადგილი იყო, რომელიც 2019 წელს რვა ნიშნულით დაეცა და 74-მდე ჩამოვიდა (იხ. ცხრილი 10-11).

ცხრილებში მოცემულია ქვეყნის პოზიცია თორმეტივე ელემენტის

## ცხრილი 9. საქართველოს პოზიციები გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის რეიტინგში 2009-2019 წლებში

| პოზიცია | 90 | 93 | 88 | 77 | 72 | 69 | 66 | 59 | 67 | 66 | 74 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქვეყნების რაოდენობა | 132 | 131 | 139 | 140 | 139 | 147 | 140 | 138 | 137 | 140 | 141 |
| წელი | 2009-2010 | 2010-2011 | 2011-2012 | 2012-2013 | 2013-2014 | 2014-2015 | 2015-2016 | 2016-2017 | 2017-2018 | 2018 | 2019 |

**წყარო:** სტატია - მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშში [ქვეყნების კონკურენტუნარიანობასთან დაკავშირებით]

## ცხრილი 10. საქართველოს პოზიცია 2018 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში




**წყარო:** გლობალური კონკურენციის ინდექსის 2018 წლის ანგარიში, გვ. 235; https://www3.weforum.org/docs/GCR2018/05FullReport/TheGlobalCompetitivenessReport2018.pdf

**ცხრილი 11. საქართველოს პოზიცია 2019 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში**




**წყარო:** გლობალური კონკურენციის ინდექსის 2019 წლის ანგარიში, გვ. 234; https://www3.weforum.org/docs/WEF_TheGlobalCompetitivenessReport2019.pdf

მიხედვით, როგორც ჩანს 2019 წელს წინა წელთან შედარებით ქვეყნის პოზიცია ყველა კომპონენტის მიხედვით გაუარესებულია. განსაკუთრებით დრამატული გაუარესება შეინიშნებოდა შემდეგ კომპონენებში: ტექნოლოგიური მზადყოფნის კომპონენტი და მაკროეკონომიკური სტაბილურობა. აღნიშნულ ელემენტში შემავალი სხვადასხვა კომპონენტი ძირითადად არის გაუარესებული, მაგალითად, ინფლაციის დონე, ვალის მართვის კომპონენტი. ტექნოლოგიური მზადყოფნის ელემენტში გაუარესდა, მაგალითად, ინტერნეტ მომხმარებელთა პროცენტული წილი მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაში.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მაშინდელმა მინისტრმა, ნათია თურნავამ საქართველოს რვა პოზიციით ჩამოქვეითება ორგანიზაციის მეთოდოლოგიის ცვლილებით ახსნა. მან აღნიშნა, რომ შეფასება არ გაუარესებულა და საქართველოს კვლავ 61 ქულა მიენიჭა, რაც მისი აზრით, საკმაოდ მაღალი შეფასებაა.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2018 წლის ანგარიშში საქართველოს 60.9 ქულა ჰქონდა. რაც შეეხება მეთოდოლოგიის ცვლილებას, 2019 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ მიმდინარე წლის მეთოდოლოგია უმნიშვნელოდ შეიცვალა, რაც, ორგანიზაციის განმარტებით, იმას ნიშნავს, რომ გასული წლის ანგარიშთან შედარებისას, ცვლილებებზე მას დიდი ზეგავლენა არ მოუხდენია. უფრო კონკრეტულად, ცვლილებები ინსტიტუციების, სასაქონლო ბაზრისა და შრომის ბაზრის კომპონენტებს შეეხო.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მაშინდელმა მინისტრმა, ნათია თურნავამ საქართველოს რვა პოზიციით ჩამოქვეითება ორგანიზაციის მეთოდოლოგიის ცვლილებით ახსნა. მან აღნიშნა, რომ შეფასება არ გაუარესებულა და საქართველოს კვლავ 61 ქულა მიენიჭა, რაც მისი აზრით, საკმაოდ მაღალი შეფასებაა.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2018 წლის ანგარიშში საქართველოს 60.9 ქულა ჰქონდა. რაც შეეხება მეთოდოლოგიის ცვლილებას, 2019 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ მიმდინარე წლის მეთოდოლოგია უმნიშვნელოდ შეიცვალა, რაც, ორგანიზაციის განმარტებით, იმას ნიშნავს, რომ გასული წლის ანგარიშთან შედარებისას, ცვლილებებზე მას დიდი ზეგავლენა არ მოუხდენია. უფრო კონკრეტულად, ცვლილებები ინსტიტუციების, სასაქონლო ბაზრისა და შრომის ბაზრის კომპონენტებს შეეხო.

## ᲛᲔᲜᲔᲯᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲢᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲔᲑᲔᲑᲘ

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, როგორც უკვე ვნახეთ აანალიზებს მხოლოდ კონკურენციის ინდექსს, მისგან განსხვავებით, მენეჯმენტის განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტი აანალიზებს კონკურენტუნარიანობის ინდექსს და ასევე ციფრული კონკურენციის ინდექსს.

მენეჯმენტის განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტი (IMD) არის უდიდესი კვლევითი ინსტიტუტი მსოფლიო ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის შესწავლისა და რეიტინგების შედგენის სფეროში. საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის კვლევის ცენტრი დაარსდა

მენეჯმენტის განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტისა და ლოზანის უნივერსიტეტის პროფესორის სტეფანე გარელის მიერ 1989 წელს. 2014 წლიდან პროფესორი არტურო ბრისი არის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის კვლევის ცენტრის დირექტორი. შტაბ-ბინა მდებარეობს ლოზანაში, შვეიცარია.

1989 წლიდან 1996 წლამდე საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ანგარიშების შემუშავება განხორციელდა მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმთან ერთად. 1996 წელს გამოჩნდა ორი დამოუკიდებელი პუბლიკაცია და IMD მოხსენების სათაური შეიცვალა საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის წლის წიგნით (IMD World Competitiveness Yearbook), რომელიც აქვეყნებს ქვეყნების რეიტინგს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით.

კონკურენტუნარიანობის წლის წიგნი არის ყოვლისმომცველი რეპორტი. ის ინფორმაციას გვაწვდის ტრენდებზე და დაფუძნებულია სტატისტიკურ მონაცემებსა და კვლევის შედეგებზე. იგი აანალიზებს და აფასებს ქვეყნებს იმის მიხედვით, თუ როგორ იყენებენ ისინი თავიანთ კომპეტენციას გრძელვადიანი ღირებულების შექმნის მისაღწევად. ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა არ შეიძლება დავიყვანოთ მხოლოდ მშპ-სა და პროდუქტიულობაზე, რადგან საწარმოებს ასევე უწევთ გაუმკლავდნენ პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ გამოწვევებს. ამიტომ მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ გარემო, რომელიც ხასიათდება ეფექტური ინფრასტრუქტურით, ინსტიტუტებითა და პოლიტიკით, რომლებიც ხელს შეუწყობს ბიზნესს განვითარებას. IMD-ის მსოფლიო კონკურენტუნარიანობის რეიტინგში სიის პირველ ქვეყნებს აქვთ უნიკალური მიდგომა კონკურენტუნარიანობისკენ. კონკურენტუნარიანობის წლის წიგნი გვაწვდის ინფორმაციას 64 ეკონომიკაზე, რომლებიც არჩეულია შესადარებელი საერთაშორისო სტატისტიკის ხელმისაწვდომობისა და ამ ქვეყნებში ადგილობრივ პარტნიორ ინსტიტუტებთან თანამშრომლობის საფუძველზე, რომლებიც ხელს უწყობენ კვლევის მონაცემების შეგროვებას და უზრუნველყოფენ ყველა მონაცემის სანდოობასა და სიზუსტეს.

ინდექსი აერთიანებს კრიტერიუმებს 4 კატეგორიაში: ეკონომიკურ, სამთავრობო, ბიზნეს და ინფრასტრუქტურულ კატეგორიებს. თავის მხრივ, ეს ოთხი კატეგორია მოიცავს 5-5 ქვეკატეგორიას, ჯამში არის 20 ქვეკატეგორია.

ეკონომიკური ფაქტორები:

- შიდა ეკონომიკა
- საერთაშორისო ვაჭრობა
- საერთაშორისო ინვესტიცია
- დასაქმება
- ფასები

სამთავრობო კატეგორია მოიცავს:

- საჯარო ფინანსები
- საგადასახადო პოლიტიკა
- ინსტიტუციური ჩარჩო პოლიტიკა
- ბიზნეს საკანონდმებლო ბაზა
- სოციალური ჩარჩო პოლიტიკა

ბიზნეს კატეგორია მოიცავს:

- პროდუქტიულობა და ეფექტურობა
- შრომის ბაზარი
- ფინანსები
- მენეჯმენტის პრაქტიკა
- დამოკიდებულებები და ღირებულებები

ინფრასტრუქტურული ფაქტორებია:

- ძირითადი ინფრასტრუქტურა
- ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა
- სამეცნიერო ინფრასტრუქტურა
- ჯანდაცვა და გარემო
- განათლების სისტემა

მსოფლიო კონკურენტუნარიანობის რეიტინგი 2021 წელს ჯამში ეფუძნება კონკურენტუნარიანობის 334 კრიტერიუმს, რომლებიც შერჩეულია ყოვლისმომცველი კვლევის შედეგად ეკონომიკური ლიტერატურის, საერთაშორისო, ეროვნული და რეგიონალური წყაროებისა და ბიზნეს საზოგადოების, სამთავრობო უწყებებისა და აკადემიური მოსაზრებების გამოყენებით. კრიტერიუმების გადახედვა და განახლება ხდება რეგულარულად, რათა შეესაბამებოდეს გლობალურ ეკონომიკურ გამოწვევებს. ინდექსის მაქსიმალური მნიშვნელობა არის 100, მინიმალური 0.

მენეჯმენტის განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტის კვლევის მეთოდოლოგია მნიშვნელოვნად დაიხვეწა ბოლო ორი დეკადის მანძილზე, რაც განპირობებულია ახალი კვლევის მეთოდების გამოყენებითა და ეკონომიკური გარემოს მუდმივი ცვალებადობით. იქედან გა-

მომდინარე რომ კონკურენტუნარიანობის წლის წიგნი ჯამში მოიცავს 20 ქვეკატეგორიას, თითოეულის წონა შეფასებულია 5%-ით. ორგანიზაციის მოსაზრებით, აღნიშნული მიდგომა აუმჯობესებს შედეგების სანდოობას და ხელს უწყობს რომ მონაცემები თავსებადი და შესადარი იყოს წინა წლის მონაცემებთან. ასევე, იქედან გამომდინარე რომ სტატისტიკურ მონაცემებში შესაძლოა იყოს გარკვეული ცდომილება, ქვეფაქტორების წონებით შემოსაზღვრა ხელს უშლის პრობლემების გავრცელებას. WCY იყენებს სხვადასხვა ტიპის მონაცემებს რაოდენობრივი და ხარისხობრივი საკითხების ცალკე შესაფასებლად. სტატისტიკური მაჩვენებლები მოპოვებულია საერთაშორისო, ეროვნული და რეგიონული ორგანიზაციებიდან და კერძო ინსტიტუტებიდან. ამ ინფორმაციის გარდა, ორგანიზაცია იყენებს მათ მიერ ჩატარებული ყოვლისმომცველი კვლევის შედეგებს. გამოკითხვა მიზნად ისახავს რაოდენობრივად განსაზღვროს საკითხები, რომლებიც არ არის ადვილად გასაზომი, მაგალითად: მენეჯმენტის პრაქტიკა, კორუფცია, ადაპტაციური დამოკიდებულებები და კომპანიების სისწრაფე. გამოკითხვის პასუხები ასახავს კონკურენტუნარიანობის აწმყო და სამომავლო აღქმას ბიზნესის ხელმძღვანელების მიერ, რომლებსაც საქმე აქვთ საერთაშორისო ბიზნეს ურთიერთობებთან. მათი პასუხები უახლესია და რეალობასთან ახლოსაა. კვლევა ეგზავნება იმ ბიზნეს სუბიექტების საშუალო და ზედა დონის მენეჯერებს, რომლებიც ოპერირებენ იმ ქვეყანაში, რომელთა კონკურენტუნარიანობის ინდექსსაც შემდეგ კვლევის ინსტიტუტი აქვეყნებს. გამოკითხვაში მათ სთხოვენ შეაფასონ იმ ეკონომიკის დღევანდელი და მომავალი კონკურენტუნარიანობის პირობები, რომელშიც ისინი მუშაობენ, მათი შიდა და საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე. კითხვარები იგზავნება თებერვალში და ბრუნდება აპრილში. ყველა პასუხი უბრუნდება IMD-ს და განიხილება, როგორც კონფიდენციალური. მაგალითად, 2021 წელს IMD-მ მიიღო 5800-ზე მეტი პასუხი მსოფლიოს 64 ქვეყნიდან. რესპონდენტები აფასებენ კონკურენტუნარიანობის საკითხებს კითხვებზე პასუხის გაცემით 1-დან 6-მდე. საშუალო მნიშვნელობა თითოეული ეკონომიკისთვის შემდეგ გამოითვლება და გარდაიქმნება 0-დან 1-მდე.

IMD მეთოდოლოგიის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ყველაზე კონკურენტუნარიან ეკონომიკას ენიჭება კოეფიციენტი 1, ხოლო WCY ინდექსის მნიშვნელობად აღებულია 100%. ქვეყნების რეიტინგი დაგროვილი ქულების მიხედვით ხდება, ხოლო კონკურენტუნარიანობის

საბოლოო შეფასების ღირებულება გამოითვლება პირველ ადგილზე გასულ სახელმწიფოსთან შედარებით. უნდა აღინიშნოს, რომ რეიტინგი აჩვენებს ქვეყნის პოზიციას შესადარ ეკონომიკასთან მიმართებაში, ანუ სახელმწიფო, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა, ამიტომ არ ასახავს ქვეყნის საკუთარი ცვლილებების დინამიკას. რეიტინგში პოზიციების დაკარგვა ყოველთვის არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში რაღაც უარესობისკენ შეიცვალა.

მენეჯმენტის განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტის არსებულ მეთოდოლოგიას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

IMD მეთოდოლოგიის უპირატესობებს შორისაა:

- რეიტინგის გამოთვლისას გამოიყენება ინდიკატორების ფართო სპექტრი და გადამოწმებული სტატისტიკური მონაცემები;
- მეთოდოლოგიის დახვეწა, ახალი ინდიკატორების დამატება, რომლებიც ასახავს მსოფლიო ეკონომიკური ურთიერთობების გლობალიზაციის პროცესს, მის გავლენას ქვეყნების კონკურენტუნარიანობაზე;
- 2001 წელს მეთოდოლოგიის გადახედვის შემდეგ, მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში, მოხდა ყველა რეიტინგის გადაანგარიშება, რაც ახლა შესაძლებელს ქმნის შეფასდეს ქვეყნების კონკურენტუნარიანობა დინამიკაში;
- 2004 წელს დაწყებული საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ონლაინ მონიტორინგის პროგრამის წყალობით, მკვლევრებს აქვთ უფასო წვდომა სხვადასხვა ვარიანტებზე.

რაც შეეხება მეთოდოლოგიის ნაკლოვანებებს, შეიძლება გამოვყოთ:

- ქვეყნების შეზღუდული რაოდენობა;
- წლიური წიგნის სრულ ვერსიაზე წვდომა ხელმისაწვდომია მხოლოდ გარკვეული საფასურის გადახდის შემთხვევაში;
- რეიტინგი აჩვენებს ქვეყნის პოზიციას შესადარ ეკონომიკასთან მიმართებაში, მაგრამ არ ასახავს მისი ცვლილებების დინამიკას;
- არსებული მეთოდოლოგია აშკარად აფასებს პრიორიტეტული ინდიკატორების მნიშვნელობას რეიტინგის ქვეყნებისთვის და არ ითვალისწინებს ცალკეული ეკონომიკის მახასიათებლებს;
- WCY ინდექსის გამოყენებით შეუძლებელია მომავალში კონკურენტუნარიანობის ცვლილების პროგნოზირება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მენეჯმენტის განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული რეიტინგი არ მოიცავს

მსოფლიოს ყველა ქვეყნის მონაცემებს და უფრო შეზღუდულია. 2021 წელს გამოქვეყნებულ რეიტინგში 64 ქვეყანა შევიდა, ზოგიერთი მათგანი წინა წლის რეიტინგშიც იყო და მანამდეც ყოფილა რეიტინგში, თუმცა, მაგალითად, ამ წელს პირველად დაემატა ბოტსვანა. 2021 წლის პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: შვეიცარია, შვედეთი, დანია, ნიდერლანდები და სინგაპური. იქედან გამომდინარე რომ აღნიშნული რეიტინგი არ არის ყოვლისმომცველი, შესაბამისად, საქართველოც ვერ მოხვდა აღნიშნულ რეიტინგში.

## IMD-ის მსოფლიო ციფრული კონკურენტუნარიანობა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბოლო წლებში მსოფლიო ეკონომიკაში ძალიან სწრაფი ტემპით ხდება მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური ცვლილებები, რაც გავლენას ახდენს არა მხოლოდ კომპანიების ფუნქციონირებაზე, არამედ თავად ქვეყნების განვითარებაზეც. ისეთი ტექნოლოგიების დაჩქარებულმა განვითარებამ და შემდგომმა გავრცელებამ, როგორიცაა 3D ბეჭდვა, რობოტიკა, ნეიროტექნოლოგიები, ციფრული ვალუტები, ელექტრონული მმართველობა, ხელი შეუწყო გლობალური ეკონომიკის სწრაფ ტრანსფორმაციას. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მიმდინარე ცვლილებების რაოდენობრივი შეფასება, რათა კომპანიებმა და მთავრობებმა შეძლონ ადაპტირება საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ციფრულ ტრანსფორმაციასთან.

IMD მსოფლიო ციფრული კონკურენტუნარიანობის რეიტინგი აფასებს ეკონომიკის შესაძლებლობებსა და მზადყოფნას გამოიყენოს და გამოიკვლიოს ციფრული ტექნოლოგიები, როგორც მამოძრავებელლი ძალა ქვეყანაში ეკონომიკის ტრანსფორმაციისთვის. 64 ქვეყნის მაგალითზე აღნიშნულ რეიტინგს IMD უკვე ხუთი წელია რაც აქვეყნებს. რეიტინგი ეფუძნება ქვეყნის წარმომადგენელი ბიზნესისა და მთავრობის პირების მონაცემებსა და გამოკითხვის შედეგებს. ციფრული რეიტინგი ეხმარება მათ გააცნობიერონ, სად მოახდინონ თავიანთი რესურსების ფოკუსირება და რა შეიძლება იყოს საუკეთესო პრაქტიკა ციფრული ტრანსფორმაციის დაწყებისას.

IMD-ს მეთოდოლოგია ეფუძნება იმას, რომ ციფრული ტრანსფორმაცია ხდება ძირითადად საწარმოს დონეზე (იქნება ეს კერძო თუ სახელმწიფო), მაგრამ მას ადგილი აქვს ასევე მთავრობის და საზოგადოების

დონეზეც. რეიტინგის მეთოდოლოგია ციფრულ კონკურენტუნარიანობას სამ ძირითად ფაქტორად განსაზღვრავს:

- ცოდნა
- ტექნოლოგია
- სამომავლო მზადყოფნა

თავის მხრივ, თითოეული ფაქტორი დაყოფილია 3 ქვეფაქტორად, რომელიც ხაზს უსვამს გაანალიზებული სფეროების ყველა ასპექტს. საერთო ჯამში, ინდექსი შეიცავს 9 ასეთ ქვეფაქტორს. 9 ქვეფაქტორი კი მოიცავს 52 კრიტერიუმს. 52 კრიტერიუმი მოიცავს 19 ახალ ინდიკატორს, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ WDC (World Digital Competitiveness)-ის რეიტინგის შეფასებისას. დანარჩენი ინდიკატორები იზიარებს IMD-ის მსოფლიო კონკურენტუნარიანობის რეიტინგს.

უნდა აღინიშნოს, რომ IMD-ის ციფრული კონკურენტუნარიანობის რეიტინგი აჩვენებს ქვეყნის პოზიციას შესადარ ეკონომიკასთან შედარებით (სახელმწიფო, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა), მაგრამ არ ასახავს საკუთარი ცვლილებების დინამიკას. ეს ნიშნავს, რომ რეიტინგის გაუმჯობესება ყოველთვის არ შეიძლება აისახოს უფრო მაღალ რეიტინგში, თუ სხვა ქვეყნებმა იგივე კრიტერიუმით უკეთესად იმოქმედეს. იგივე შეიძლება ითქვას რეიტინგში პოზიციების გაუარესებაზეც.

ზემოთ წარმოდგენილი საერთო რეიტინგის გარდა, ანგარიშში ასევე ცალკე არის წარმოდგენილი ქვეყნების რეიტინგი მოსახლეობის მიხედვით (20 მილიონი ადამიანი ზემოთ და ქვემოთ), მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე (20,000 აშშ დოლარის ქვემოთ და ზემოთ), ასევე სამი რეგიონული რეიტინგი, რომელშიც სხვადასხვა გეოგრაფიული ქვეყნებია (იხ. ცხრილი 12).

IMD-ის კონკურენტუნარიანობის ინდექსის მსგავსად, ციფრული კონკურენტრუნარიანობის ინდექსის 64 ქვეყანაში ვერ მოხვდა საქართველო. ინდექსი აჩვენებს რომ მაღალი ციფრული კონკურენტრუნარიანობით გამოირჩევა ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა: აშშ, ჰონგ კონგი, შვედეთი, დანია, სინგაპური. აღნიშნული ქვეყნები იკავებენ მოწინავე პოზიციებს რეიტინგში, როგორც 2020, ასევე 2021 წელს.

IMD-ის საერთაშორისო ციფრული კონკურენტუნარიანობის შესწავლის არსებულ მეთოდოლოგიას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები.

IMD მეთოდოლოგიის უპირატესობებს შორისაა:

1) 2017 წელს ქვეყნების ციფრული კონკურენტუნარიანობის შეფა-

**ცხრილი 12. ციფრული კონკურენტუნარიანობის ინდექსის ფაქტორები**




სების დაწყება ასახავს მსოფლიო ეკონომიკის ტრანსფორმაციის მიმდინარე პროცესებს;

2) რეიტინგის გაანგარიშებისას გამოიყენება გადამოწმებული სტატისტიკური მონაცემები;

3) 2017 წელს მსოფლიო ციფრული კონკურენტუნარიანობის ინდექსის განვითარების მიუხედავად, წლიური ანგარიშები იძლევა წინა 5 წლის მონაცემებს, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს ქვეყნების კონკურენტუნარიანობა დინამიკაში;

4) საერთაშორისო ციფრული კონკურენტუნარიანობის ონლაინ მონიტორინგის პროგრამის წყალობით მკვლევარებს აქვთ უფასო წვდომა სხვადასხვა მონაცემზე;

5) ცალკეული ქვეყნების ციფრული კონკურენტუნარიანობის გაანალიზებას ამარტივებს დაყოფა რეიტინგში სხვადასხვა კრიტერიუმით, როგორიცაა რეგიონული მდებარეობა.

IMD მეთოდოლოგიის უარყოფითი მხარეები:

1) ქვეყნების შეზღუდული რაოდენობა;

2) რეიტინგი აჩვენებს ქვეყნის პოზიციას შესადარ ეკონომიკასთან შედარებით, მაგრამ არ ასახავს საკუთარი ცვლილებების დინამიკას;

3) ინდექსის ინდიკატორები სრულად არ ასახავს ეროვნული ეკონომიკის ციფრული კონკურენტუნარიანობის დონეს. მაგალითად, ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, როგორიც არის ციფრული ეკონომიკის ინსტიტუციური გარემო, არ არის გათვალისწინებული;

4) ინდექსის გამოყენებით, შეუძლებელია სამომავლოდ ციფრული კონკურენტუნარიანობის ცვლილების სრულად პროგნოზირება.

## ინდექსები

უნდა აღინიშნოს, რომ ციფრული პოტენციალის შესაფასებლად შეიძლება გამოყენებული იქნებას სხვა ინდექსებიც, მაგალითად, ICT (საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები) განვითარების ინდექსი, რომელიც ქვეყნდება 2009 წლიდან და აერთიანებს 11 ინდიკატორს. მოცემული ინდექსი გამოიყენება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების მონიტორინგისა და ქვეყნების შედარებისთვის. მაგალითად, 2017 წლის ICT განვითარების ინდექსის რანგირებაში საქართველო 74-ე ადგილზეა, რაც 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე (73-ე ადგილი) 1 ერთეულით არის შემცირებული.

პორტულანსის ინსტიტუტის (The Portulans Institute) ქსელური მზადყოფნის ინდექსი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გამოყენებისა და გავლენის შეფასების ერთ-ერთი წამყვანი გლობალური ინდექსია. 2021 წლის ქსელური მზადყოფნის ინდექსის ანგარიში აფასებს 130 ქვეყნის შემდეგ მაჩვენებლებს: ტექნოლოგია, მოსახლეობა, მმართველობა და გავლენა. საქართველოს მაჩვენებელი იყო რეიტინგში 68-ე ადგილი, რას ამიერკავკასიის მასშტაბით იყო მეორე მაჩვენებელი.

ამერიკული ორგანიზაცია „Freedom House" აქვეყნებს ინტერნეტის გლობალური თავისუფლების ინდექსს. ბოლო ინდექსი 70 ქვეყანას მოიცავს. თუმცა ქვეყნები, რომლებიც მოცემულ ინდექსში არ არიან შეტანილი, ძირითადად განვითარებადი, ღარიბი ქვეყნებია, სადაც ნაკლებად სავარაუდოა, რომ ინტერნეტის თავისუფლების დონე მაღალი იყოს. ინდექსის მონაცემები ყოველწლიურად ახლდება. 2022 წელს გა-

მოქვეყნებული ინდექსი 2021 წლის რეალობას ასახავს. ქვეყანას მაქსიმუმ 100 ქულის დაგროვება შეუძლია, მეტი ქულა ინტერნეტის მეტ თავისუფლებას ნიშნავს. 100 ქულა შეფასების 3 კრიტერიუმზე ნაწილდება: მაქსიმუმ 70-100 ქულა მოდის ინტერნეტის ხელმისაწვდომობაზე, მაქსიმუმ 40-69 ქულა მოდის ინტერნეტის თემატურ შეზღუდვაზე და მაქსიმუმ 40 ქულა მოდის ინტერნეტის მომხმარებლების უფლებების დარღვევაზე. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბოლო სამი წლის განმავლობაში, რაც გამოწვეულია იმით, რომ ქვეყანაში ხორციელდება პროექტები, რომლებიც უზრუნველყოფს ინტერნეტით მიწოდების უზრუნველყოფას.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ინოვაციური პროექტების განხორიელება, აქ ასევე არსებითია, თუ რამდენად ღია არის მთავრობაც ამ საკითხის მიმართ განწყობილი. მონაცემთა ღიაობის ბარომეტრი წარმოადგენს გლობალურ საზომს, რომელიც აფასებს თუ როგორ აქვეყნებენ და იყენებენ მთავრობები ღია მონაცემებს. მონაცემთა ღიაობის ბარომეტრი ახდენს მთავრობების რანგირებას შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით: ღია მონაცემთა ინიციატივებისთვის მზადყოფნა; ღია მონაცემთა პროგრამების დანერგვა; ღია მონაცემების გავლენა ბიზნესზე, პოლიტიკასა და სამოქალაქო საზოგადოებაზე. მონაცემთა ღიაობის ბარომეტრის ბოლო ანგარიში გამოქვეყნდა 2016 წელს. ანგარიშში საქართველო 114 ქვეყანას შორის 37 ქულით მე-40 ადგილზეა. მოცემულ ანგარიშში არ იძებნება მეზობელი ქვეყნები: აზერბაიჯანი და სომხეთი.

გლობალური ინოვაციების ინდექსი (GII) 2012 წლიდან ყოველწლიურად ქვეყნდება და მისი მიზანია ინოვაციების მიმართულებით მსოფლიო ტენდენციების ჩვენება. ინდექსი მოიცავს ინოვაციების ეფექტურობის მაჩვენებლებს მსოფლიოს 131 ქვეყნის და ეკონომიკების მიხედვით. მისი 80 ინდიკატორი იკვლევს ინოვაციების ფართო ხედვას. იგი ასევე წარმოაჩენს იმ მექანიზმებს, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია გრძელვადიანი ზრდის, პროდუქტიულობის და სამუშაო ადგილების ზრდის მიღწევა. ინოვაციების გლობალური ინდექსი ეხმარება და რჩევებს აძლევს ქვეყნებს თუ რა არის საჭირო ინოვაციების განვითარებისათვის აუცილებელი გარემოს შესაქმნელად. საქართველომ 2021 წელს ქვეყნებს შორის 63-ე ადგილი დაიკავა 32.4 ქულით, რაც იმ წელს ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობა მუშაობს ისეთი პროექტების განხორციელებაზე, რომელიც ხელს შეუწყობს გაციფრულებას, რაც შემდგომში ლოგიკურად უნდა აისახოს ინდექსების გაუმჯობესებაშიც. მაგალითად, მთავრობის სამთვრობო პოლიტიკა, რომლის განხორციელებაც განსაზღვრულია 2021-2024 წლებისთვის, ერთ-ერთ პრიორიტეტად მიიჩნევს საინფორმაციო და საკომუნიკაციო საინფორმაციო საზოგადოების განვითარებას. მიზნის მისაღწევად, მთავრობას გამოყოფილი აქვს იმ ღონისძიებების სია, რომლებიც შეუწყობს ხელს ციფრული ეკონომიკის განვითარებას, მათ შორისაა: საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020 – 2025 წლების ეროვნული სტრატეგია, რომლის შესაბამისად, „ლოგ ინ ჯორჯიას" პროექტი ხორციელდება.

## დასკვნა

ეკონომიკისა და საზოგადოების მზარდი გაციფრულება ცვლის ადამიანების ქმედებებს. ციფრული ეკონომიკა ეკონომიკის მაღალტექნოლოგიურად აღჭურვილი ნაწილია, რომელიც თანხვედრაშია კვლავწარმოების პროცესში მიმდინარე ცვლილებებთან. იგი იყენებს ვირტუალური სივრცის შესაძლებლობებს, როგორებიცაა ინტერნეტი, კომპიუტერები, ინფორმაცია, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ხელოვნური ინტელექტი.[1] როგორც უკვე აღვნიშნეთ, COVID-19-ის პანდემიამ დააჩქარა გაციფრულების პროცესები, როგორც სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი აგრძელებს, შეძლებისდაგვარად, თავიანთ საქმიანობას ონლაინ არხებით - მაგალითად, მუშაობისთვის, სწავლისთვის, კომუნიკაციისთვის, გაყიდვისა და ყიდვისთვის, ან გასართობად.

საქართველოსთვის, ისევე როგორც მთელი მსოფლიოსთვის, ახალი გამოწვევაა რომ ფეხი ავუწყოთ ციფრულ ეკონომიკას. ამ კუთხით მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ჩარჩო პოლიტიკის გაუმჯობესება და დახვეწა. 2016 წელს კი იქნა მიღებული საქართველოს კანონი ინოვაციების შესახებ, რომლის „მიზანია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის შექმნა და სრულყოფა, ქვეყანაში ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობა, სხვა სახელმწიფოებში შექმნილი ტექნოლოგიების საქართველოში ათვისების ხელშეწყობა,

საქართველოში შექმნილი ინტელექტუალური საკუთრებისა და ტექნოლოგიების დანერგვისა და ექსპორტის ხელშეწყობა, მოწინავე ტექნოლოგიების მეცნიერებისა და ეკონომიკის ყველა სფეროში შეღწევა ამ სფეროთა კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით".[13] აღნიშნულის მიუხედავად, აუცილებელია კონკრეტული საკანონმდებლო ბაზის შემუშავება ციფრული ეკონომიკის მიმართულებით.

ყურადსაღებია, რომ ციფრული ეკონომიკის პოტენციალის შესწავლა ქვეყანას დაეხმარება მისი პრობლემების იდენტიფიცირებაში, ამ კუთხით მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნას ზემოთნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებები, რადგან შეფასება აჩვენებს თუ ქვეყანას რა კრიტერიუმი აქვს გასაუმჯობესებელი. პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტიც ყურადღებას ამახვილებს ციფრული ეკონომიკის შესაძლებლობებზე. გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომ ციფრული ეკონომიკის მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ თემატური მოკვლევა დაიწყოს. კომიტეტის პირველი მოადგილე, ეკა სეფაშვილი, ხაზს უსვამს ციფრული ეკონომიკის მნიშვნელობაზე მსოფლიოს მასშტაბით და ასევე საქართველოსთვის.[14] აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე ციფრული ეკონომიკის კვლევა არ ჩატარებულა. შესაბამისად, აღნიშნული თემატური მოკვლვევა დაგვეხმარება, რომ ქვეყნის პოტენციალი უკეთესად დავინახოთ .

# თავი 11. საქართველოს თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ძირითადი შედეგების შეჯამება

ცნება „გლობალიზაცია“ თანამედროვე მსოფლიოში მოვლენათა ფართო წრის მიმართ მისი მთლიანობის ზრდის აღსანიშნავად გამოიყენება. ეს არის პროცესი რომლის განხორციელების შედეგად მსოფლიო გარდაიქმნება ერთიან სისტემად, რა დროსაც ხდება ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური და რეგიონალური სფეროების ინტეგრაცია. ქვეყნის გლობალიზაციის დონე გვიჩვენებს, რამდენად არის ქვეყანა ინტეგრირებული მსოფლიოში ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური კუთხით. გლობალიზაციის მაღალი დონე ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ხელშემწყობ ფაქტორად მიიჩნევა.

ქვეყნის გლობალიზაციის დონე განისაზღვრება გლობალიზაციის ინდექსით, რომელიც გვიჩვენებს, რამდენად არის ქვეყანა ინტეგრირებული მსოფლიოში ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური კუთხით. გლობალიზაციის მაღალი დონე ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ხელშემწყობ ფაქტორად მიიჩნევა. ციურიხის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსის თანახმად, საქართველო გლობალიზაციის დონით მსოფლიოში, 2021 წელს 53–ე ადგილს იკავებდა.

თანამედროვე მსოფლიოში, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, დამოკიდებულია როგორც საშინაო, ასევე საგარეო ფაქტორებზე. ამიტომ, თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირობებში, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, საქართველოს მდგრადი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ის ხელს უწყობს სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარებას, ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციას, სამრეწველო გამოცდილების გაცვლას, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების და საქონლითა და სერვისებით მსოფლიო ვაჭრობის დაჩქარებულ განვითარებას.

მსოფლიო ეკონომიკის დინამიური განვითარების შედეგად, ახალ ათასწლეულში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის და საერთაშორისო კონკურენციის გაღრმავების ზეგავლენის ფონზე საერთაშო-

რისო ეკონომიკური ურთიერთობების ფორმები შეიცვალა. მისთვის დამახასიათებელი გახდა ეკონომიკური ზრდის დინამიკის შენელება. ის უფრო დაბალია, ვიდრე მეოთხე სამრეწველო რევოლუციის ტემპებით იყო მოსალოდნელი. შეიცვალა გლობალიზაციის ხასიათი. მასზე ზეგავლენა იქონია, ასევე COVID-19 პანდემიის გლობალურმა გავრცელებამ, ხოლო შემდეგ რუსეთ–უკრაინის ომმა, ეკონომიკური აგენტების უმეტესობის ქცევაში მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ცვლილებები გამოიწვია. შედეგად, ახალი რეალობა ერთ-ერთ მთავარ ტენდენციად უნდა ჩაითვალოს, რომელიც მსოფლიო ეკონომიკის ამჟამინდელ განვითარებას განსაზღვრავს.

2007-2008 წლების მსოფლიო გლობალური ეკონომიკური კრიზისის დაბალი ტემპებით დაძლევა, რომელიც გამოიხატება მსოფლიო საქონელბრუნვის ზრდის ტემპის შენელებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების შემცირებით, პირველ რიგში, განვითარებადი ბაზრების ქვეყნებში, ნიშნავს იმას, რომ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაში ახალი ტენდენციები გამოიკვეთა. ეს ეხება წარმოების ფაქტორების საერთაშორისო მოძრაობას, ახალი ტენდენციებს კაპიტალის და სამუშაო ძალის საერთაშორისო მოძრაობაში. ეკონომიკის გლობალიზაციაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ციფრული ეკონომიკის განვითარება, რომელიც გამოსახავს დიგიტალიზაციის ზეგავლენას საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების თითოეულ ფორმაზე. საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალური დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე იკვეთება ტენდენცია, 21-ე საუკუნეში ციფრული ეკონომიკის გაფართოების და ციფრული უთანასწორობის დაძლევის შესახებ. საქართველოს ეკონომიკური განვითარების დონე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებთან და საერთაშორისო ეკონომიკურ გაერთიანებებთან ურთიერთობის ხარისხზე.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, საქართველოს მდგრადი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ის ხელს უწყობს: სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარებას; ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას; მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციას; სამრეწველო გამოცდილების გაცვლას;საქონლითა და სერვისებით მსოფლიო ვაჭრობის დაჩქარებულ განვითარებას.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვანი

სექტორია ვაჭრობა. საქართველოს საგარეო ვაჭრობა მეტად მოკრძალებულია საერთაშორისო ვაჭრობაში. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, 2021 წელს მსოფლიო საქონლის ექსპორტმა 21678 მლრდ აშშ დოლარი, ხოლო საქონლის იმპორტმა 22034 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოს საქონლის ექსპორტი მსოფლიო ექსპორტის 0.02%, ხოლო საქართველოს საქონლის იმპორტი მსოფლიო იმპორტის 0.05%-ია. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, საქართველო მსოფლიო 100 ექსპორტიორ და იმპორტიორ ქვეყანებს შორის არაა წარმოდგენილი (წყარო: World Trade Organization, 2022. World Trade Statistical Review). 2022 წლის წინასწარი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 19 042.9 მლნ., საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB)– 5 592.8 მლნ., საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (CIF)– 13 450.1 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს. ბოლო 6 წლის პერიოდში, საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სალდო შესაბამისად შეადგენს: 2017 წ. –-5 311.4 მლნ., 2018 წ. –5 981.7 მლნ., 2019 წ. –5 721.1 მლნ., 2020 წ. –4 709.4 მლნ., 2021 წ. –5 857.1 მლნ., 2022 წ. –7 857.2 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს. ადგილობრივი ექსპორტი, შესაბამისად, მლნ. აშშ დოლარებში შეადგენს: 2006, 4; 2 224.1; 2 323.8; 2 409.1; 3 127.1; 3 704.2. ( წყარო საქსტატი: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/765/sakonlit-sagareo-vachroba).

მონაცემები ცხადყოფს, რომ საანალიზო პერიოდში, ადგილობრივი ექსპორტი განუხრელად იზრდება. თუმცა, საქართველოს საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სალდო აქვს და ექსპორტი, იმპორტს 2,5–ჯერ ჩამორჩება. ასევე, ძირითადი აგროსასურსათო პროდუქტების, მათ შორის ხორბლის, სიმინდის, ბოსტნეულის, რძის და რძის პროდუქტების, ხორცის - თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტები 90%-ზე დაბალია, რაც მდგრადი სასურსათო უზრუნველყოფის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი ძირითადად იმეორებს ადგილობრივი წარმოების ტენდენციას. სხვა სიტყვებით, როდესაც იზრდება ადგილობრივი წარმოება, იზრდება თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტიც. თუმცა, არსებობს გამონაკლისი შემთხვევებიც, როდესაც ადგილობრივ წარმოებაზე მეტად სხვა ფაქტორი ახდენს გავლენას (უარყოფითს ან დადებითს) თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტზე. ამიტომ მნიშვნელოვანია იმპორტის ჩანაცვლებითი და ექსპორტზე ორიენტირებული წარმოებების შექმნა, რასაც ხელს ინოვა-

ციების დანერგვა, ახალი საწარმოების აშენება და ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების შემოტანა და ასევე მისი გაუმჯობესება.

საგარეო ვაჭრობის განვითარება და საქონელბრუნვის ზრდა, საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს:

❖ ქვეყნის სავალუტო შემოსავლების შევსება;

❖ ხელი შეუწყოს ადგილობრივი წარმოების გაფართოებას და მოსახლეობის დასაქმების ზრდას;

❖ მოახდინოს აუცილებელ, ანუ კრიტიკულ იმპორტზე შიდა ბაზრის მოთხოვნილების დაკმაყოფილება;

❖ ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ფორმირება და ეკონომიკის სტრუქტურული სრულყოფა;

❖ დააჩქაროს მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ქვეყნის სრულფასოვანი ინტეგრირების პროცესი;

❖ დააჩქაროს საგარეო ვაჭრობის დივერსიფიცირების პროცესი.

საგარეო ვაჭრობის სფეროში საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა, 2000 წლიდან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის *(WTO)* წინაშე აღებული ვალდებულებების შესაბამისად ხორციელდება. ქვეყანამ უნდა გააგრძელოს ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, რაც საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. საქართველოს უნდა გააგრძელოს ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების გაფორმება საერთაშორისო თანამეგობრობის წევრ ქვეყნებთან.

ახალმა ეკონომიკურმა პირობებმა გააფართოვა „სატრანსპორტო მომსახურების" კონცეფცია. დღეს სატრანსპორტო მომსახურება ნიშნავს არა მხოლოდ საქონლის ან მგზავრების რეალურ გადაზიდვას, არამედ ნებისმიერ ოპერაციას, რომელიც არ არის ტრანსპორტირების პროცესის ნაწილი, არამედ დაკავშირებულია მის მომზადებასა და განხორციელებასთან. როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის ანალიზით ირკვევა, ბოლო წლებში, მშპ–ს ზრდის მილართულებით, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ინფორმაციას და კომუნიკაციებს, ტრანსპორტს და დასაწყობებას. ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის სექტორი ყველაზე სწრაფად იზრდება. განსაკუთრებით დაჩქარდა მისი ზრდა ბოლო წლებში. 2017 წელს, წინა წელთან შედარებით, მისი ზრდა 0,8%–ს, 2018 წელს 0,3%–ს, 2019 წელს 1,0%–ს, 2020 წელს 1,3%–ს, 2021 წელს 2,4%–ს, 2022 წლის I, II და III კვარტლების მიხედვით კი შე-

საბამისად 2,4%–ს, 2,5%–ს, და 3,7%–ს შეადგენს, რაც ყველა სექტორზე მაღალია. (წყარო: file:///C:/Users/user/Desktop/master-presentation-for-web-31-01-2023-geo.pdf). შეიძლება ითქვას, რომ უმთავრესი პროდუქტი, რომელიც საქართველოსგან ჭირდება გარესამყაროს, სატრანსპორტო-ლოგისტიკური მომსახურება და კომუნიკაციებია.

მსოფლიოში ახალი ფოტმატის აბრეშუმის გზა ყალიბდება. საქართველოსთვის ეს ნიშნავს ახალი ენერგომატარებლების, ელექტროსადენების, ბოჭკოვანი სადენების, ავტოსტრადების, ახალი პორტების და აეროპორტების ისტორიულ და ბუნებრივ კალაპოტს, ფინეთის ყურედან სპარსეთის ყურემდე, ბალტიის ზღვიდან არაბეთის ზღვამდე, ეგეოსის ზღვიდან კასპიის ზღვამდე, კასპიის ზღვიდან ყვითელ ზღვამდე. ამ ახალ პორტებს, ახალ ციფრულ სადენებს და ახალ ქარვასლებს ახალი ტექნოლოგიები და ინფრასტრუქტურა სჭირდება, რომ ქვეყანამ შეასრულოს სატრანსპორტო, ლოგისტიკური, ენერგეტიკული, ინფორმაციული, ფინანსური ჰაბის ფუნქციები. იწყება აღმოსავლეთ ევროპის და კავკასიის კონტინენტური წესრიგი, როგორც კარგად დავიწყებული ძველი და ახალი აბრეშუმის გზა. მალე, საქართველოს წლიურად $35 ტრილიონის ტვირთები მოადგება, დაიწყება ანაკლიის ღრმაწყლიანი პორტის მშენებლობა, შავი ზღვის ფსკერზე ელექტრო და ინტერნეტკაბელების ჩადება და სხვა მრავალი იდეა პროექტების განხორციელება, სტრატეგიოლ პარტნიორებთან ერთად.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა, თუმცა მისი გავლენა არ არის ცალსახად პოზიტიური. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უდიდესი ნაწილი თბილისზე მოდის. აუცილებელია საქართველოს ყველა რეგიონში შეიქმნას ისეთი ინფრასტრუქტურული პოლიტიკური თუ ეკონომიკური გარემო, რომელიც ინვესტორებისთვის ძალზედ მიმზიდველი იქნება, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მის განვითარებას. ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ აღებული შიდა და საგარეო ვალის ეფექტიანობის ამაღლება.

საქართველო აქტიურად ჩაერთო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საერთაშორისო შრომითი მიგრაციის პროცესებში. 90-იანი წლებიდან მოსახლეობის დიდმა ნაწილმა სოციალურ-ეკონომიკური მიზეზების გამო დატოვა ქვეყანა და საზღვარგარეთ დაიწყო მუშაობა. საქართველოსთვის, 2022 წლისთვის, გამოწვევაა გაზრდილი ემიგრაცია და ასევე, გაზრდილი იმიგრაციული ნაკადები უკრაინიდან, ბელარუ-

სიდან და განსაკუთრებით კი რუსეთიდან. უკრაინის ომის დაწყებიდან მნიშვნელოვნად არის მომატებული ნაკადები რუსეთის ფედერაციიდან. იქედან გამომდინარე, რომ რუსეთის მოქალაქეებს საქართველოსთან აქვთ უვიზო მიმოსვლა, მათთვის შედარებით მარტივია დარიალის სასაზღვრო-გამტარი პუნქტის გავლით საზღვრის კვეთა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ 27 სექტემბერს ნაწილობრივი ინფორმაცია გაასაჯაროვა, სულ 10 დღის მონაცემები, სადაც მოცემული იყო რუსეთის რამდენმა მოქალაქემ გადმოკვეთა და გადაკვეთა საქართველოს საზღვარი ყველა გამშვები პუნქტიდან: გადმოკვეთა - 78 742 ადამიანმა, ხოლო გადაკვეთა - 62 120 ადამიანმა (წყარო: https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/15448). ამავე სტატისტიკით ირკვევა, რომ 2022 წელს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი რუსეთის 1 459 546-მა მოქალაქემ გადმოკვეთა. 2021 წელს საქართველოს საზღვარი ჯამში რუსეთის 292 512-მა მოქალაქემ გადმოკვეთა. (წყარო: https://formulanews.ge/News/83920). გაზრდილ მიგრაციას თან სხვადასხვა ეფექტები ახლავს. აუცილებელია მათი ჩამოსვლისა და დარჩენის მიზეზების გამოკვლევა, რათა შეფასდეს გავლენა ეკონომიკაზე. რაც უკვე შეგვიძლია ვთქვათ არის ის, რომ გაზრდილია ფასები მაგალითად, უძრავი ქონების ყიდვასა და გაქირავებაზე, სურსათზე, გამყარდა ლარის კურსი.

2022 წლის ნოემბრის ბოლოს მსოფლიო ბანკმა KNOMAD-თან (The Global Knowledge Partnership on Migration and Development) ერთად გამოაქვეყნა ანგარიში საზღვარგარეთიდან ფულადი გზავნილების მდგომარეობის შესახებ „Remittances Brave Global Headwinds Special Focus: Climate Migration“. პუბლიკაცია შეიცავს უამრავ სტატისტიკურ ინფორმაციას ფულადი გზავნილების შესახებ მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან 1990-იანი წლების დასაწყისიდან. შემომავალი და გამავალი ფულადი ნაკადების ანალიზი საშუალებას იძლევა არა მხოლოდ ქვეყნის შრომის ბაზრის ხარისხის დიაგნოსტიკისა, არამედ განსაზღვროს მისი გადასვლის მდგომარეობა მდგრად საბაზრო ეკონომიკაზე.

2022 წელს ფულადი გზავნილები საზღვარგარეთიდან გახდა ყველაზე დიდი სავალუტო ნაკადი დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში. მათ გადააჭარბეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, პორტფელის ინვესტიციებისა და სახელმწიფო საგარეო დახმარების მოცულობას. შრომითი მიგრანტები (მუდმივი, სეზონური) თავად პოულობენ დასაქმების შესაძლებლობებს, თავად ქმნიან კომპანიებს,

შოულობენ ფულს და შემოსავლის ნაწილს უგზავნიან ოჯახებს სახლში. ასეთი დეცენტრალიზებული ხალხის ეკონომიკური პარტნიორობა ძალიან ღირებულია. საზღვარგარეთ მომუშავე ქართველები, იღებენ არა მხოლოდ ფულს, არამედ ცოდნას, კავშირებს, ნოუ-ჰაუს, მართვის უნარებს და კაპიტალის სხვა ფორმებს, რომელთა ინვესტიცია გარკვეულ პირობებში შეუძლიათ მშობლიურ ქვეყანაში. ჩატარებული ფართომასშტაბიანი სოციოლოგიური გამოკვლევით გამოვლინდა, რომ მსოფლიო შრომის ბაზარზე ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობა, საერთაშორისო შრომითი მიგრაციის მეშვეობით, საქართველოსთვის სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. არალეგალური შრომითი მიგრაცია საფრთხეს წარმოადგენს, როგორც ცალკეული ინდივიდისთვის, ასევე გამგზავნი და მიმღები ქვეყნისთვის. ამიტომ, საჭიროა გონივრული ღონისძიებების გატარება შრომის ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობა, რაც შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის გაძლიერებას მოითხოვს. მნიშვნელოვანია მსოფლიო თანამეგობრობის, განსაკუთრებით საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორ ქვეყნებთან შესაბამისი თანამშრომლობის დამყარება, ლეგალური შრომითი და ცირკულარული მიგრაციის განვითარებისთვის. დღეს ქართველების მხარდაჭერის ყველაზე ღირებული ფორმა განვითარებულ ქვეყნებში, პირველ რიგში, ევროკავშირში, აშშ-ში, კანადაში, ბრიტანეთში და ა. შ., არის შემდეგი გადაწყვეტილებების მიღება: ქართველებისა და ადგილობრივი მოქალაქეების სტატუსის გათანაბრება მათ შრომით ბაზარზე; შრომის ბაზარზე შესვლის პროცედურის მაქსიმალური გამარტივება, ღირებულების შემცირება; დროებით დასაქმებულ ქვეყანაში ანგარიშების გახსნის, შიდა და გარე გადახდების შეუფერხებელი უფლების მინიჭება; დროებით საცხოვრებელ ქვეყანაში ფულადი შემოსავლის გადასახადის გადახდისაგან გათავისუფლება.

საქართველოს ეკონომიკა სწრაფად ინტეგრირდება მსოფლიო ეკონომიკაში. ვაჭრობისა და კაპიტალის მოძრაობის დინამიკა წარმოადგენს ეკონომიკური ინტეგრაციის უმთავრეს დეტერმინატებს. ბოლო შვიდ წელიწადში, ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს ექსპორტი მზარდი ტენდენციით ხასიათდება. თუმცა, ევროკავშირის წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში და სავაჭრო ბრუნვაში, ასევე, მთავარი სავაჭრო პარტნიორების კომპოზიცია, მხოლოდ მცირედით შეიცვალა. ამასთან, ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს ექსპორტის სტრუქტურა თითქმის უცვლელია და მხოლოდ მცირე რაოდენობის ახალი

პროქდუქცია დაემატა ტრადიციულ საექსპორტო პროდუქციას. ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებული ინვესტიციების დინამიკაში მნიშვნელოვან პოზიტიურ ცვლილებებს ადგილი არ ქონია. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების, მათ შორის DCFTA-ს განხორციელების ეფექტიანობის ამაღლება, საქართველოს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის დონის მნიშვნელოვნი ზრდა.

საქართველოს მონაწილეობა ტექნოლოგიების და ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო ბაზარზე ხასიათდება სმარტფონებისა და ინტერნეტის საბაზრო შეღწევადობის მაჩვენებლებით, რომლებიც 2021 წლის მონაცემებით, 84% და 86%-ს შეადგენს. ამ მაჩვენებლით, საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა. საქართველოში განვითარებულია საბანკო ინდუსტრიაც, რომლებიც რეგიონში ქმნიან საუკეთესო ინოვაციურ სერვისებსა და პროდუქტებს, რაც ავითარებს ბიზნესსა და ეკონომიკას. საქართველოში არსებობს „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო", რომლის მისიაცაა ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარებისათვის საჭირო ეკოსისტემის ფორმირება, ინოვაციების და მაღალტექნოლოგიური პროდუქტების ექსპორტის ზრდისთვის საჭირო გარემოს შექმნა, ინოვაციისა და ცოდნის კომერციალიზაციის ხელშეწყობა, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების გამოყენების სტიმულირება ეკონომიკის ყველა დარგში.

საერთაშორისო ციფრული კონკურენციის ინდექსი კარგი მაჩვენებელია საქართველოს პოზიციის შესაფასებლად ციფრული კონკურენტრუნარიანობის მიხედვით. ციფრული ეკონომიკა არის ეკონომიკური აქტივობა, რომელიც გამოწვეულია მილიარდობით ყოველდღიური ონლაინ კავშირებით ადამიანებს, ბიზნესს, მოწყობილობებს, მონაცემებსა და პროცესებს შორის. ციფრული ეკონომიკის ხერხემალი არის კავშირი, რაც გულისხმობს ადამიანების, ორგანიზაციებისა და მანქანების მზარდ ურთიერთკავშირს, რაც გამოწვეულია ინტერნეტითა და მობილური ტექნოლოგიებით. ციფრული ეკონომიკა მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ხელოვნური ინტელექტი, კრიპტოვალუტა, ონლაინ ვაჭრობა, მომსახურება და სხვა. აღსანიშნავია, რომ კოვიდ-19-ის პანდემიის პერიოდში, კიდევ უფრო მეტად გაესვა ხაზი ციფრული ეკონომიკის მნიშვნელობას, გამოჩნდა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობა. თუმცა, ციფრული კონკურენტრუნარიანობის

ინდექსის 64 ქვეყანაში ვერ მოხვდა საქართველო. ინდექსი აჩვენებს რომ მაღალი ციფრული კონკურენტუნარიანობით გამოირჩევა ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა: აშშ, ჰონგ კონგი, შვედეთი, დანია, სინგაპური. აღნიშნული ქვეყნები იკავებენ მოწინავე პოზიციებს რეიტინგში, როგორც 2020, ასევე 2021 წელს.

## ბოლოთქმა

საქართველო, წარმატებითაა ჩართული მსოფლიო ეკონომიკურ თანამეგობრობაში. ქვეყანა ზრდის საექსპორტო პოტენციალს, აფართოებს ეკონომიკურ თანამშრომლობას მსოფლიოს ქვეყნებთან, ამყარებს ურთიერთხელსაყრელ ურთიერთობებს ყველა სფეროში აშშ–სთან, ევროკავშირთან, აზერბაიჯანის და სომხეთის რესპუბლიკებთან, ახლო აღმოსავლეთის, ყაზახეთის და შუა აზიის სხვა რესპუბლიკებთან, რუსეთის ფედერაციასთან, ჩინეთთან, ევროპის ქვეყნებთან, იაპონიასთან, სრულიად მსოფლიო თანამეგობრობასთან. მნიშვნელოვანი საკითხია საქართველოს ევროპული ინტეგრაცია. ამ მოკლე დროში ქვეყნის პრიორიტეტს წარმოადგენს კანდიდატის სტატუსის მიღება და კიდევ უფრო დაახლოება ევროკავშირის წევრობასთან.

